

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2008, №6

ზ ი ა ნ ი ს

ა ნ ა ზ ლ ა უ რ ე ბ ა

1. **ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მოვალეობა**
 - ზიანის ანაზღაურების ვალდებულება
 - სტიქიური მოვლენების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება
 - უმოქმედობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება
2. **მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება**
3. **ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება**
 - გამქირავებლის მიერ უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობა
 - ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება
4. **სოლიდარული პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებაში**
5. **ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება**
6. **შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება; საწარმოო ტრავმა; სარჩო**
 - სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურება
 - სარჩო
 - შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურება; საწარმოო ტრავმა
7. **ზიანის ანაზღაურება კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტისას**
8. **სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სახელმწიფო მოხელის მიერ მიყენებული ზიანისათვის**
9. **ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის ვადა**

1. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მოვალეობა

უმოქმედობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#ბს-819-785-(კ-06)

12 ივნისი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 7 დეკემბერს ჭიათურის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა პ. ნ-მემ მოპასუხე ჭიათურის რაიონის გამგეობის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება 15 300 ლარის ოდენობით.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

2005 წელს ჭიათურაში «საშევარდნოს» მთიდან მოწყვეტილმა, დაახლოებით 16-ტონიანმა ლოდმა დაანგრია მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი. მოსარჩელემ ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს - გამგეობას. გამგეობის წარმომადგენლები მივიდნენ მის სახლში, დააფიქსირეს მომხდარი, რის შემდეგაც შესაბამის სამსახურებს მიეცათ მითითება, რომ მოეხდინათ რეაგირება. არქიტექტურის სამსახურის დაანგარიშებით, მიყენებული ზარალის ოდენობა შეადგენდა 15 300 ლარს. აღნიშნული თანხა დანგრეული სახლის შეკეთება-გარემონტებისათვის საჭირო სამუშაოების მინიმალურ ოდენობასაც არ ყოფნიდა, რადგან, ფაქტობრივად, სახლი თავიდან იყო ასაშენებელი. ამასთან, არქიტექტურის სამსახურის მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვაში არ იყო შესული მისი ოჯახისათვის მიყენებული სრული ზარალის ოდენობა, მაშინ როდესაც განადგურდა ნარგავები, დაზიანდა ეზო, ღობე და საოჯახო ნივთები. ამდენად, მიყენებული ზარალი გაცილებით მეტი იყო 15 300 ლარზე. მოსარჩელემ რამდენჯერმე მიმართა გამგეობას, რა დროსაც განემარტა, რომ ბიუჯეტს არ ჰქონდა შესაძლებლობა, გამოეყო თანხა ზარალის ასანაზღაურებლად და რომ გამგეობას შეეძლო მის ოჯახს მხოლოდ 1000 ლარით დახმარებოდა.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ გამგეობამ მას თავდაპირველად გამოუყო 300 ლარი, ხოლო შემდეგ - 1000 ლარი. აღნიშნული თანხა ჩამონგრეული სახურავის სათანადოდ შეკეთებას და ჩამოტანილი ნაგვის გატანასაც არ იყო სრულად, არადა სასწრაფოდ იყო ჩასატარებელი მთელი რიგი სამუშაოები. ჭიათურის რაიონის გამგეობა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, ვალდებული იყო სრულად აენაზღაურებინა მისი ოჯახისათვის მიყენებული ზარალი.

ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით პ. ნ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ამყარებდა იმ გარემოებაზე, რომ ჭიათურის რაიონის გამგეობა ვალდებული იყო, ჩაეტარებინა ე.წ. «საშევარდნოს» კლდის გამაგრებითი სამუშაოები, რადგან აღნიშნული მონაკვეთი გამოცხადებული იყო საშენ ან «რისკთან მიახლოებულ» ტერიტორიად. საქმეში წარმოდგენილი იყო ჭიათურის რაიონის გეგმარების და რაიონის განვითარების სამსახურის უფროსის მთავარი არქიტექტორის დ. ბ-მის პასუხი ა. რ-მისადმი, სადაც აღნიშნული იყო, რომ 1990 წელს საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ «თბილსახავტოგაზპროექტის» მიერ შედგენილი პროექტი ითვალისწინებდა ქ. ჭიათურაში «საშევარდნოს» კლდის უბანზე ჩამოქცევის საწინააღმდეგო დაცვით სამუშაოებს. აღნიშნული სამუშაოები არ შესრულდა საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან დაუფინანსებლობის გამო.

სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებდა ზიანს, ვალდებული იყო აენაზღაურებინა ეს ზიანი. აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრებოდა, თუ იარსებებდა ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წანამდღვრები, კერძოდ, სახეზე იქნებოდა ზიანი, ზიანი მიყენებული იქნებოდა მართლ-საწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის იარსებებდა მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღოდა ბრალი. აღნიშნული პირობების ერთობლიობა წარმოადგენდა სავალდებულო პირობას დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომისათვის, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ქმედება დროში წინ უსწრებდა შედეგს და შესაბამისად, პირველი წარმოშობდა მეორეს, ხოლო პასუხისმგებლობა დადგებოდა იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იქნებოდა პირდაპირი (არა ირიბი) და გარდაუვალი (არა შემთხვევითი) შედეგი ზიანის მიმყენებლის მოქმედების ან უმოქმედობისა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეზე

მიყენებული ზიანი იყო სტიქიური უბედურების (დაუძლეველი ძალის) შედეგი და არ იკვეთებოდა ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეული ქმედება. მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების მოპასუხეზე დაკისრების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითებდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსის ჯ. ბ-ძის წერილზე ჭიათურის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ მ. გ-შვილისადმი, რაც სასამართლომ არ გაიზიარა. აღნიშნულ წერილში მითითებული იყო, რომ რაიონის გამგეობა შესაძლებლობის ფარგლებში აღმოუჩენდა დახმარებას პ. ნ-ძეს, რაც განახორციელა კიდევ რაიონის გამგეობამ და სტიქიის შედეგად დაზარალებულ პ. ნ-ძეს გადასცა 1300 ლარი. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი გახდებოდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა პ. ნ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტი არ დაეთანხმა რაიონული სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვინაიდან 80-100 მეტრი სიმაღლიდან ლოდის ჩამოვარდნა სტიქიური უბედურებით იყო გამოწვეული, ამდენად, ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა ჭიათურის რაიონის გამგეობის ბრალეულობას. ამასთან დაკავშირებით აპელანტი მიუთითებდა შპს «საპროექტოს» გეოლოგ მ. ხ-ძის დასკვნაზე, სადაც აღნიშნული იყო, რომ ჭიათურაში, ... ქ. #50-ში მცხოვრებ პ. ნ-ძის საცხოვრებელ სახლს «საშევარდნოს» მხრიდან დაეცა ლოდი დიამეტრით 3 მეტრი, სისქით 60-80 სმ, ლოდი დაეცა 80-100 მეტრის სიმაღლიდან, მოწყდა «საშევარდნოს» კლდის ვერტიკალურ კედელს, რაც გამოწვეული იყო ნაპრალებით, რომელიც ძლიერი წვიმის დროს ირეცხებოდა და ქმნიდა საშიშროებას. გარდა ამისა, აპელანტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ... ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქეების განცხადებების საფუძველზე ჭიათურის რაიონის გამგეობაში შექმნილმა კომისიამ ადგილზე მისვლით შეამოწმა საშევარდნოს კლდის მდგომარეობა, რა დროსაც გამოირკვა, რომ საშევარდნოს კლდის თავზე მადაროთა სამმართველოს მისასვლელი გზის მიმდებარე ტერიტორია გადათხრილი იყო მანგანუმის მოპოვებელი ფირმებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, რამოდენიმე ადგილზე გაჩენილი იყო ღრმულები და ორმოები, რომელშიც ჩამდგარი იყო წყალი და საფრთხე ემუქრებოდა საშევარდნოს კლდეს. ამდენად, «საშევარდნოს» კლდის მასივიდან ქვის ცეცხლის აღმოფხვრის საკითხი ყოველთვის იდგა დღის წესრიგში, მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ არ გადაწყვეტილა. გამაგრებითი და სხვა პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების სანაცვლოდ, ჭიათურის რაიონის გამგეობა იძლეოდა თანხმობას, რომ მომხდარიყო მანგანუმის მადნის მოპოვება «საშევარდნოს» კლდის ტერიტორიაზე. წიაღისეულის, როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი სიმდიდრის მოპოვება-გადამუშავება უნდა მომხდარიყო კანონით დადგენილი წესით, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

აპელანტის მითითებით, სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მან შუამდგომლობით ითხოვა, მოპასუხე მხარეს წარმოედგინა ის დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდებოდა, თუ რა ღონისძიებები გაატარა გამგეობამ იმისათვის, რომ არ დამდგარიყო ამგვარი შედეგი, თუმცა ასეთი სახის დოკუმენტები ჭიათურის რაიონის გამგეობის მხრიდან წარდგენილი არ ყოფილა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით პ. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება, პ. ნ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ჭიათურის რაიონის გამგეობას პ. ნ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 13 738 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივები მდგომარეობს შემდეგში:

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შპს «საპროექტოს» გეოლოგის დასკვნით პ. ნ-ძის სახლს დაეცა 3 მეტრი დიამეტრის კირქვის ლოდი, ლოდმა დააზიანა პ. ნ-ძის სახლის სახურავი, მზიდი კედლები და ტიხრები. სახლი საჭიროებდა გადახურვას, მზიდი კედლებისა და ტიხრების გამაგრებას. სასამართლომ საქმეზე ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ჭიათურის რაიონის გამგეობამ მოსარჩელეს გამოუყო 1300 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო. მოცემულ შემთხვევაში ჭიათურის რაიონის გამგეობამ მოსარჩელეს გამოუყო 1300 ლარი. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, სახეზე იყო ვალდებულების აღიარება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გამგეობის ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე გამომდინარეობდა «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონიდან, რომლის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტის მიხედვით, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები უზრუნველყოფდნენ კატასტროფების, სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციას. ამავე კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ლ» ქვეპუნქტის თანახმად, მთავრობის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა კატასტროფების, სტიქიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა ორგანიზება. პ. ნ-ძის საცხოვრებელი სახლის კაპიტალური შეკეთების

ხარჯთაღრიცხვით სახლის კაპიტალური შეკეთებისათვის საჭირო იყო 15 038 ლარი. მოსარჩელეს მიღებული ჰქონდა 1300 ლარი, ე.ი. მას უნდა ანაზღაურებოდა 13 738 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გამგეობის წარმომადგენლის პოზიცია, თითქოს ის არასათანადო მოპასუხე იყო, რადგან გამგეობის მიერ გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში ლოდი არ მოწყდებოდა და მოსარჩელეც არ დაზარალდებოდა. გარდა ამისა, გამგეობა ვალდებული იყო, აღმოეფხვრა სტიქიური უბედურების შედეგები, თანახმად, «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტისა და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ლ» ქვეპუნქტისა.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქიათურის რაიონის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. მისი განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აანაზღაუროს ეს ზიანი. კანონის აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ იარსებებს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წანამდგვრები, კერძოდ, სახეზე იქნება ზიანი, ზიანი მიყენებული იქნება მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. აღნიშნული პირობების ერთობლიობა წარმოადგენს სავალდებულო პირობას დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომისათვის. ამდენად, პ. ნ-მისათვის მიყენებული ზიანი არის სტიქიური უბედურების შედეგი და არა ადმინისტრაციული ორგანოს - ქიათურის რაიონის გამგეობის ბრალეული ქმედება.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმსჯელა შპს «საპროექტოს» მიერ შედგენილ დასკვნაზე, სადაც აღნიშნულია ზიანის გამომწვევი უშუალო მიზეზი. დასკვნაში არ იკვეთება ქიათურის რაიონის გამგეობის ბრალეული ქმედება, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა, არ დანიშნა ექსპერტიზა, რომელიც დაადასტურებდა რაიონის გამგეობის არაბრალეულობას. გარდა ამისა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი მსჯელობის გარეშე გაითვალისწინა შპს «საპროექტოს» დირექტორის მ. ყ-მის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა პ. ნ-მის საცხოვრებელი სახლის კაპიტალური შეკეთებისათვის 15 300 ლარზე, მაშინ როდესაც საქმეში არ დევს ზარალის აქტი და სტიქიით მიყენებული ზიანის გაანგარიშებაც არ განხორციელებულა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ქიათურის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე უტყუარადაა დადგენილი ქიათურაში ე.წ. «საშეგარდნოს» კლდიდან მოწყვეტილი ლოდით პ. ნ-მის სახლის დაზიანების ფაქტი და აღნიშნული გარემოება სადავო არ არის.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ პ. ნ-მის სახლის კაპიტალური შეკეთებისათვის საჭიროა 15 038 ლარი. ამ ნაწილში ქიათურის რაიონის გამგეობას წამოყენებული არა აქვს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

რაც შეეხება მიყენებული ზიანის მიზეზის გამორკვევას და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად გამგეობის მიჩნევას, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია.

ადმინისტრაციული ზოგადი კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს ეს ზიანი. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვს რაიონის გამგეობისაგან, იმ მოტივით, რომ აღნიშნული ზიანი გამომწვეულია გამგეობის უმოქმედობით - გამგეობამ არაფერი იღონა, რომ ამგვარი შედეგი არ დამდგარიყო. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე უმოქმედობის გამო ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელია გაირკვეს, შესაბამისი მოქმედება, რომლის განუხორციელებლობითაც პირს ზიანი მიადგა, შედის თუ არა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციაში.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ქიათურის რაიონის გამგეობის ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე გამომდინარეობს «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტიდან, რომლის თანახმად,

ადგილობრივი მმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ კატასტროფების, სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა აღნიშნული ნორმა. სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველყოფა არ ნიშნავს სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. იმავდროულად, სააპელაციო სასამართლომ გამგეობის მიერ მოსარჩელისათვის სახლის დაზიანების გამო 1300 ლარის გამოყოფის ფაქტი შეაფასა როგორც გამგეობის მიერ პ. ნ-მის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულების აღიარება, მაშინ როდესაც არ დაუსაბუთებია, თუ რომელი კონკრეტული გარემოება ან მტკიცებულება იძლეოდა ასეთი შეფასების საფუძველს, რატომ გამოირიცხებოდა აღნიშნული ფაქტის, როგორც გამგეობის მიერ გაწეული დახმარების შეფასება.

ასევე დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია სტიქიური უბედურების შედეგად. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია აღნიშნულ საკითხზე საქმის რიგ გარემოებებს, კერძოდ:

ჭიათურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 21 თებერვლის #107 წერილში აღნიშნულია, რომ საშევარდნოს კლდის თავზე მდაროთა სამმართველოს მისასვლელი გზის მიმდებარე ტერიტორია გადათხრილია მანგანუმის მადნის მოპოვებელი ფორმებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, სადაც რამდენიმე ადგილზე გაჩენილია ღრმულები და ორმოები, რომელშიც ჩამდგარია წყალი და საფრთხე ემუქრება საშევარდნოს კლდეს. ამავე წერილში გამგეობა აღნიშნავს, რომ ეს ადგილი არის წერეთლის მდაროთა სამმართველოში მისასვლელი გზა და ტერიტორიის აღდგენა-რეკულტივაცია ევალება სს «ჭიათურმანგანუმს».

საქმეში წარმოდგენილია ქ. ჭიათურის ქალაქკომის აღმასკომის დაკვეთით შესრულებული სსრკ სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს საავტომობილო გზების თბილისის სახელმწიფო საპროექტო-სამიებო ინსტიტუტ «თბილსახავტოგზაპროექტის» მიერ 1990 წელს შედგენილი ქ. ჭიათურაში «საშევარდნოს» კლდის უბანზე ჩამოქცევის საწინააღმდეგო დაცვის მუშა პროექტი, რაც ცხადყოფს, რომ ქ. ჭიათურაში «საშევარდნოს» კლდის ტერიტორია დიდი ხანია წარმოადგენს ქვების ცვენის თვალსაზრისით საშიშ ტერიტორიას, რის თაობაზეც უნდა სკოდნოდან შესაბამის ორგანოებს. იმავდროულად, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია პ. ნ-მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოება, რომ პ. ნ-მის სახლის საერთოდ მოშორებულია იმ უბანს, სადაც 1990 წლის პროექტით უნდა განხორციელებულიყო «საშევარდნოს» კლდის გამაგრებითი სამუშაოები და რომ 1990 წელს «საშევარდნოს» კლდის იმ მონაკვეთზე, სადაც მოსარჩელის სახლი მდებარეობს, რისკის ფაქტორი ან სულ არ იყო, ან იყო მინიმალური. საშიში ზონის ფარგლების გაიზარდა წლების მანძილზე კანონდარღვევით განხორციელებული მადნის მოპოვებითი სამუშაოების შედეგად, რომელიც არ აღიკვეთებოდა.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით გარანტირებულია ადამიანის უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, რეგლამენტირებულია, რომ ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას. აღნიშნული ნორმა შესაბამისად კონკრეტიზირებულია მიმდინარე კანონმდებლობის ნორმებში.

«ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-8 მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კომპეტენციაა გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარების ორგანიზება.

«გარემოს დაცვის შესახებ» კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის «გ» ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის «ა» და «გ» ქვეპუნქტების თანახმად, ამ კანონის მიზანი და ძირითადი ამოცანაა, უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, დაიცვას და შეინარჩუნოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემო და უზრუნველყოს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება. ამავე კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კომპეტენცია გარემოს დაცვის სფეროში, მათ შორის, სახელმწიფო კონტროლი.

«გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ» 2005 წლის 23 ივნისის კანონით შეიქმნა გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულება, რომლის მეშვეობითაც სამინისტრო ახორციელებს გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლს. ამავე კანონის მე-6 მუხლის, მე-8 მუხლის «ბ» ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის თანახმად, აღნიშნული ინსპექციის ფუნქციაა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება და გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელება. ამ მიზნით მას უფლება აქვს, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები და სამართალდამრღვევის მიმართ გამოიყენოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები.

საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, განაპირობებულია თუ არა «საშევარდნოს» კლდიდან 16-ტონიანი ლოდის მოწყვეტა და მოსარჩელის სახლის დაზიანება არა-რაციონალური ბუნებათსარგებლობით, თუ აღნიშნული წარმოადგენს კლდის ქანების დაშლის ბუნებრივ პროცესს, რაც არ არის განპირობებული ადამიანის ზემოქმედებით. აღნიშნულთან დაკავშირებით

სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, ჭიათურის რაიონის გამგეობამ მიიღო თუ არა ზომები «საშევარდნოს» კლდეზე მადნის უკანონოდ მოპოვებისა და კლდის არარაციონალური სარგებლობის აღკვეთის, კლდის ქანების დაშლისა და კლდიდან ლოდების ცვენის თავიდან აცილების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარების ორგანიზებისათვის, რასაც ითვალისწინებს «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-8 მუხლის «დ» ქვეპუნქტი; საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა დაადგინოს, თუ ვის სარგებლობაშია «საშევარდნოს» კლდე, არის თუ არა მასზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზია ან გარემოსდაცვითი ნებართვა. ადგილი აქვს თუ არა წიაღით უკანონოდ ან არარაციონალურ სარგებლობას და ასეთი სარგებლობის აღსაკვეთად განხორციელებულია თუ არა სათანადო ღონისძიებები საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და მისი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის ინსპექციის მიერ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, წარმოადგენს თუ არა საქმეზე სათანადო მოპასუხეს ჭიათურის რაიონის გამგეობა ან ხომ არ არის საჭირო საქმეში სხვა თანამოპასუხეების ჩაბმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის, 412-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ჭიათურის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სტიქიური მოვლენების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#ბს-254-240(კ-07) 18 ივლისი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ნ. სხირტლაძე

სარჩელის საგანი: ზიანის ანაზღაურება

ადწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 14 იანვარს კ. ო-იანმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ლენტეხის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ლენტეხის რაიონის გამგეობის მიმართ და მოითხოვა 2005 წლის აპრილ-მაისის სტიქიური მოვლენების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით.

სასარჩელო განცხადებაში მითითებული იყო, რომ 2005 წლის აპრილ- მაისის სტიქიური მოვლენების შედეგად მთლიანად დაიშრება და განადგურდა კ. ო-იანის საცხოვრებელი სახლი, დამხმარე ნაგებობები, სახნავ-სათესი და სამოვრები. მოსარჩელემ განცხადებებით მიმართა ლენტეხის რაიონის გამგეობასა და ჟახუნდრის საკრებულოს კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნით და მიუთითა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 მაისის #190 განკარგულებაზე, რომლითაც სტიქიური უბედურების შედეგად სახლ-კარ დანგრეული ოჯახებისათვის კომპენსაციის ანაზღაურების ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 5000 ლარით, თუმცა უშედეგოდ.

მოსარჩელის განმარტებით, ჟახუნდრის საკრებულოს 2005 წლის 10 ივნისის კომისიური წესით შედგენილი აქტის მიხედვით, ადგილზე შემოწმებით დადასტურდა, რომ კ. ო-იანის საცხოვრებელი სახლი, დამხმარე ნაგებობები, სახნავ-სათესი და სამოვრები მეწყერისაგან იყო დაფარული და ჩამარხული. დაბა ლენტეხის საკრებულოს მიერ გაცემული 2005 წლის 17 ივლისის ცნობით დასტურდებოდა სოფ. ... კ. ო-იანის სახლ-კარის მთლიანად განადგურება, რის გამოც მისი ოჯახი დროებით შეკედლებული იყო სიდედრის ბინაში, რადგან სხვა საცხოვრებელი სახლი არ გააჩნდათ,

ხოლო ჟახუნდრის საკრებულოს მიერ 2005 წელს გაცემული ცნობით დასტურდებოდა, რომ იგი ნამდვილად ცხოვრობდა სოფ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა დაბა ლენტეხის რაიონის გამგეობისათვის მის სასარგებლოდ ზიანის -5000 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

ლენტეხის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით კ. ო-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა; ლენტეხის რაიონის გამგეობას დაევალა მოსარჩელე მხარისათვის ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით, რომელიც შეადგენდა იმ საკომპენსაციო თანხას, რაც გადაეცათ სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილებს.

ლენტეხის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლენტეხის რაიონის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 3 იანვრის განჩინებით ლენტეხის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ლენტეხის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ 2005 წლის აპრილში სტიქიური მოვლენების შედეგად განადგურდა კ. ო-იანის სახლ-კარი. აღნიშნულის დადასტურება შესაძლებელი იყო შესაბამისი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნით. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 მაისის #190 განკარგულების მე-3 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უნდა უზრუნველყო უსახლკაროდ დარჩენილი თითოეული ოჯახისათვის 5000 ლარის გადაცემა. ხსენებული თანხა უნდა გაცემულიყო ადგილობრივი ორგანოდან შესაბამისი დოკუმენტების წარდგენისას, მაგრამ დახმარების ასეთი ფორმა კ. ო-იანის მიმართ არ განხორციელებულა, რის გამოც მოსარჩელემ მოითხოვა ზიანის ანაზღაურება ლენტეხის რაიონის გამგეობისაგან.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ლენტეხის რაიონის გამგეობა უარს აცხადებდა დახმარების გაცემაზე, რადგან კ. ო-იანს მიგრაციის რეგიონში გამოყოფილი ჰქონდა სახლი, მაგრამ ირკვეოდა, რომ აღნიშნული სახლი გამოყოფილი იყო 1987 წელს სვანეთში მომხდარი სტიქიური მოვლენების გამო და ეკუთვნოდა არა კ. ო-იანს, არამედ მის მამას -ვ. ო-იანს, მთავრობის ზემოხსენებული დადგენილება კი ეხებოდა 2005 წელს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირებს. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ კ. ო-იანი ცხოვრობდა ლენტეხის რაიონის სოფ. ... და არა მიგრაციის რეგიონში. მიგრაციის რეგიონის ცნობით დადასტურებული იყო, რომ #78 სამოსახლო ნაკვეთი გამოყოფილი იყო კ. ო-იანის მამის -ვ. ო-იანის სახელზე, ხოლო იქ არსებულ სახლში ცხოვრობდა ვ. ო-იანის მეორე შვილი -ვი. ო-იანი თავისი ოჯახით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კ. ო-იანი მიეკუთვნებოდა უსახლკაროდ დარჩენილ პირთა კატეგორიას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 3 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლენტეხის რაიონის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 მაისის #190 განკარგულება ეხება მხოლოდ იმ ოჯახებს, რომლებიც სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩნენ, ხოლო კ. ო-იანს, დამეწყრილი საცხოვრებელი სახლის გარდა, კიდევ ორი საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ჰქონდა, ამასთან, 2005 წელს კ. ო-იანი სოფ. ... საერთოდ არ ცხოვრობდა, რადგან 1987 წელს სოფ. ... მცხოვრები ყველა მოსახლე დაექვემდებარა მდგრად ადგილზე გადაყვანას, ვინაიდან შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ტერიტორია საშიში იყო საცხოვრებლად და ამ მიზეზის გამო, იმჟამინდელი სახალხო დეპუტატთა ლენტეხის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით სოფ. ... მცხოვრები ყველა მოსახლე, მათ შორის, კ. ო-იანი და მისი ოჯახიც ჩასახლებულ იქნა საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

კასატორის მტკიცებით, კ. ო-იანზე საკომპენსაციო თანხის გაცემა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ნებაყოფლობით ჩააბარებდა თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ... მისთვის გადაცემულ საცხოვრებელ სახლს და საკარმიდამო მიწის ნაკვეთს, ხოლო სოფ. ... მისი მამაპაპისეული სახლი გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ლენტეხის რაიონის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ცნობების საფუძველზე, საცხოვრებლად ვარგისად იქნებოდა ცნობილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აპრილის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ლენტეხის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 2 აპრილის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2007 წლის 6 ივნისამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განჩინებით ლენტეხის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2007 წლის 18 ივლისს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ლენტეხის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: კ. ო-იანი დაბადებულია 1939 წელს. ჟახუნდრის თემის საკრებულოს 2005 წლის 26 აგვისტოს ცნობა-აქტის მიხედვით, 2005 წლის აპრილ-მაისის სტიქიური მოვლენების შედეგად კ. ო-იანის საცხოვრებელი სახლი დაინგრა. ჟახუნდრის თემის საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს წევრებისგან შემდგარი კომისიის აქტის მიხედვით, კ. ო-იანის საცხოვრებელი სახლი, დამხმარე ნაგებობები, სახნავ-სათესი და საძოვრები მთლიანად მეწყერმა დაფარა და ჩამარხა, რაც გამოიწვია 2005 წლის აპრილ-მაისის სტიქიურმა მოვლენებმა. ჟახუნდრის თემის საკრებულოს გამგებლის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, კ. ო-იანი ნამდვილად ცხოვრობს ლენტეხის რაიონის სოფ. დაბა ლენტეხის საკრებულოს 2005 წლის 13 ივლისის ცნობის თანახმად, კ. ო-იანი ნამდვილად ცხოვრობდა დაბა ლენტეხში სიდედრის ბინაში და იმჟამად მას სხვა საცხოვრებელი არ გააჩნდა, ვინაიდან სტიქიურმა მოვლენებმა მას სახლი მთლიანად დაუნგრია სოფ. სსიპ «სტიქიას» ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, 2005 წლის 28 აპრილს მეწყერმა დაანგრია და მთლიანად წაუგვია კ. ო-იანის საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი. მიგრაციის რეგიონისათვის კითხვარის მიხედვით, ვ. ო-იანის ოჯახი შედგება შემდეგი პირებისაგან: ა. ლ-ძე (მეუღლე), კ. ო-იანი (შვილი), ჩ. და ლ. ო-იანები (შვილიშვილები) და გ. ზ-იანი (რძალი), ხოლო ვ. ო-იანის ოჯახი დაზარალდა 1987 წელს სვანეთში მომხდარი სტიქიის გამო. ვ. ო-იანის ოჯახი მიგრირებულია სოფ., ხოლო სახელმწიფოს მიერ შესყიდულ ბინაში ცხოვრობს ვი. ო-იანი.

კასატორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კ. ო-იანი არ არის უსახლკარო და მასზე არ ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 მაისის #190 განკარგულება. იგი შეეხება იმ ოჯახებს, რომლებიც სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩნენ, ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ კ. ო-იანს, დამეწყერილი საცხოვრებელი სახლის გარდა, აქვს კიდევ ორი საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. 1987 წელს სოფ. ... მცხოვრები ყველა მოსახლე დაექვემდებარა მდგრად ადგილზე გადაყვანას, ვინაიდან შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ტერიტორია საშიში იყო საცხოვრებლად და ამ მიზეზის გამო, იმჟამინდელი სახალხო დაპუტატთა ლენტეხის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით სოფ. ... მცხოვრები ყველა მოსახლე, მათ შორის, კ. ო-იანი და მისი ოჯახიც ჩასახლებულ იქნა საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ, როგორც კასატორი მიუთითებს, თუ კ. ო-იანი ნებაყოფლობით ჩააბარებს თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ... მისთვის გადაცემულ საცხოვრებელ სახლს და საკარმიდამო მიწის ნაკვეთს, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მასზე საკომპენსაციო თანხის გაცემა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა მოცემულ საქმეზე ძირითადი მტკიცებულება -1987 წელს სვანეთში მომხდარი სტიქიის გამო, ვ. (მამა) და კ. ო-იანების ოჯახის მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების შესაძლო ზეგავლენა მისი სარჩელის საფუძვლიანობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის ფინანსური დახმარების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 მაისის #190 განკარგულების მე-3 პუნქტზე, რომლის მიხედვით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უნდა უზრუნველყო უსახლკაროდ დარჩენილი თითოეული ოჯახისათვის 5000 ლარის გადაცემა. აღნიშნულ განკარგულებაში მითითებულია, რომ იგი შეეხება ბოლო პერიოდში სტიქიური მოვლენების შედეგად საცხოვრებელი სახლების დანგრევის გამო, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისთვის გადაუდებელი დახმარების გაწევას. ამდენად, ხსენებული განკარგულება ითვალისწინებდა გადაუდებელ ფინანსურ დახმარებას 2005 წლის აპრილ-მაისში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე მიაკუთვნა კ. ო-იანი უსახლკაროდ დარჩენილ პირთა კატეგორიას, რომ არ უმსჯელია 1987 წელს სვანეთიდან ვ. და კ. ო-იანების ოჯახის მიგრაციის შედეგად მათთვის საცხოვრებელი სახლის გამოყოფის ფაქტზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი კ. ო-იანისათვის ზიანის მიყენების შესახებ ჟახუნდრის თემის საკრებულოს ცნობები ვერ გამოირიცხავს 1987 წელს სვანეთში მომხდარი სტიქიის გამო, ვ. და კ. ო-იანების ოჯახის მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილებას, რის გამოც მის მიერ ლენტეხის რაიონის გამგეობისაგან ზიანის სახით 5000 ლარის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა საჭიროებს დეტალურად გარკვევას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია მტკიცებულებები და არ დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც აუცილებელი იყო საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვით, სასამართლო ავასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით,

რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათს ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რის გამოც არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების იმავე კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი – გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს მტკიცებულებები, ყოველმხრივ და ობიექტურად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ლენტეხის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს. საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს განჩინების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, რის გამოც მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ლენტეხის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 3 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

განჩინება

#ბს-252-238(კ-07)

28 ნოემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ხ-ელმა 29.09.05წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე პ. ო-იანის მიმართ და მოპასუხისათვის მის მიმართ მიყენებული ზიანის -57100 ლარისა და მორალური ზიანის -50000 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 08.09.99წ. ქ. ქუთაისში, ... ქ. #8-ში მდებარე მისი სახლი გაქურდეს, რის შედეგადაც განიცადა 57 100 ლარის მატერიალური ზარალი. დანაშაულის ჩადენის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც გამოსამიებლად დაეწერა იმ დროს გამომძიებელს, მოპასუხე პ. ო-იანს. გამოძიების პროცესში პ. ო-იანმა ჩაიდინა სამსახურებრივი გულგრილობა, თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობით, საქმისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რაც გამოიხატა მის მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 27.01.2000წ. ბრძანების შეუსრულებლობაში. ბინაზე ყადაღის დაუდებლობით ისარგებლა რ. რ-მემ და გაასხვისა აღნიშნული ბინა. რ. რ-მე გაასამართლეს მოსარჩელის ბინის გაქურდვის ბრალდებით, მიუსაჯეს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და მასვე დაეკისრა გადასახდელად რ. ხ-ელის სასარგებლოდ 57100 ლარის გადახდა, მაგრამ მოპასუხე პ. ო-იანის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგად, სასამართლოს განაჩენის აღსრულება ვერ მოხერხდა, ვინაიდან რ. რ-მეს იმ დროისთვის უკვე გასხვისებული ჰქონდა ბინა. პ. ო-იანის დანაშაულებრივი ქმედების გამო, მოსარჩელემ განიცადა მატერიალური ზარალი 57100 ლარის ოდენობით. 6 წლის მანძილზე მოსარჩელეს არ შეუწყვეტია საჩივრების წარდგენა, პ. ო-იანი კი თავისი

ნაცნობობით თუ სხვა ზეგავლენას ახდენდა თითქმის ყველა თანამდებობის პირზე, რითაც მოსარჩელეს მიაყენა უმძიმესი მორალური ტრავმა, დიაბეტიტით დაავადდა მისი მეუღლე, ორჯერ ჩაუტარდა თირკმელების ოპერაცია და გახდა II ჯგუფის ინვალიდი. ამასთან, ამ ტრავმამ დაავადა თავად მოსარჩელეც, თუმცა ინვალიდობის ჯგუფის დასადგენად ვერ ახერხებდა სტაციონარულ მკურნალობას, ვინაიდან ასეთ პირობებში უმეტესადაა ურთიერად რჩებოდა მეუღლე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 25.01.06წ. გადაწყვეტილებით რ. ხ-ელის სარჩელი მოპასუხე პ. ო-იანის მიმართ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 25.01.06წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ხ-ელმა, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 25.04.06წ. განჩინებით აპელანტ რ. ხ-ელის წარმომადგენლის -ნ. ხ-ელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, საქმეში თანამოპასუხედ, მოპასუხის სახით, ჩაბმულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და ამავე სამინისტროს ქუთაისის სამმართველო და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.01.07წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა რ. ხ-ელის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 25.01.06წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის. ამასთან, სააპელაციო პალატის განმარტებით, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ბრალდებულ რ. რ-მის ბინა, ყადაღადადებული რომ ყოფილიყო მას არ მიადგებოდა ზიანი. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 27.01.2000წ. ბრძანებით, ყადაღა დაედო ქუთაისში, ... #31/79-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში რ. რ-მის კუთვნილ ქონებას, გარდა საქართველოს სსსკ-ის 192-ე მუხლით გათვალისწინებული ქონებისა. აღნიშნული ბრძანებით ყადაღა არ დასდებია რ. რ-მის ბინას. შესაბამისად, უსაფუძვლოა მოსარჩელის განმარტება, რომ ბინაზე ყადაღა უნდა დაედო გამომძიებელს და ამით მოხდებოდა ზიანის ანაზღაურება. 28.01.2000წ. ყადაღის დადების ოქმში აღნიშნულია, რომ ბრალდებულს ყადაღის დასადები ქონება არ გააჩნდა. რ. რ-მემ 02.06.2000წ. გაასხვისა ... #31/81-ში მდებარე ბინა. ქუთაისის სასამართლოს 27.01.2000წ. ბრძანებით კი ყადაღა დაედო ... #31/79-ში მდებარე ბინაში არსებულ ქონებას. ტექტიურის ცნობით, ... #31/79-ში მდებარე სახლი ირიცხებოდა ლ. ვლადიმერის ასულ რ-მის სახელზე. ამ ცნობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ყადაღა ვერ დაედებოდა ლ. რ-მის სახლს, რადგან იგი ბრალდებული არ იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი მიყენებულ ზიანსა და მოპასუხეთა ქონებას შორის. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის არსს არ ცვლიდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ 27.01.05წ. დადგენილებაში მითითებული გარემოება, რომ გამომძიებელმა პ. ო-იანმა არ დაადო ყადაღა ბრალდებულის საკუთრებაში არსებულ ქონებას, რითაც ჩაიდინა სამსახურებრივი გულგრილობა. სსსკ-ის 192-ე მუხლის 27.01.2000წ. რედაქციით, არ შეიძლება ყადაღა დაედოს ბრალდებულისა და მისი ოჯახის წევრებისათვის საჭირო კვების პროდუქტებს, სათბობს, პროფესიული საქმიანობის ინვენტარსა და სხვა საგნებს, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანისათვის აუცილებელ, ნორმალურ სასიცოცხლო პირობებს. ასევე, სსსკ-ის 190-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ყადაღა ედება ექვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის ქონებას, ... #31/79-ში მდებარე სახლი არ ირიცხებოდა ბრალდებულ რ. რ-მის სახელზე, სწორედ ამიტომ ვერ იქნებოდა და არც ყოფილა ყადაღადადებული ეს ქონება. 27.01.2000წ. ყადაღის დადების ბრძანებაში ნათლად არის აღნიშნული, რომ ყადაღა დაედო ... #31/79-ში არსებულ რ. რ-მის კუთვნილ ქონებას. ბრძანება არ შეიცავს მითითებას ბინაზე ყადაღის დადების შესახებ. ამიტომ სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია ამ ბრძანების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. აღინიშნა, რომ გასხვისდა არა ... #31/79-ში მდებარე, არამედ ... #31/81-ში არსებული სახლი. ეს უკანასკნელი გაიყიდა 2300 ლარად, მოსარჩელე კი ზიანის სახით ითხოვდა 57100 ლარს. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 16.04.04წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ჯ. რ-მის სარჩელი და ყადაღისაგან გათავისუფლდა მისი ნივთები. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი

ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურებას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც უნდა დამტკიცდეს მიზეზ-ზოზრივი კავშირი, რასაც მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეთა მხრიდან ადგილი არ აქვს.

რ. ხ-ელმა 06.03.07წ. საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.01.07წ. განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება უკანონოა, იგი გამოტანილია საქმეზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან და განმარტა, რომ მოპასუხე პ. ო-იანი, მუშაობდა საქართველოს შს სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო განყოფილების გამომიებლად. 08.09.99წ. მომხდარი რ. ხ-ელის საცხოვრებელი სახლის გაქურდვისათვის დაპატიმრებული ერთ-ერთი ბრალდებულის, რ. რ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას უხეშად და ბრალეულად დაარღვია მისი, როგორც სახელმწიფოსაგან უფლებამოსილი თანამდებობის პირის, საპროცესო მოვალეობანი, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან ქუთაისში, ... #38/81-ში მდებარე ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინა, რომელიც საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით ირიცხებოდა ბრალდებულ რ. რ-ძის სახელზე, რატომღაც მიიჩნია ამავე ბრალდებულის ოჯახისთვის თითქოსდა ნორმალური სასიცოცხლო პირობებისათვის აუცილებელ საგნად და ამ მიზნით სასამართლოში არ წარადგნა შუამდგომლობა, არ გამოითხოვა სასამართლოდან ბრძანება ბინაზე ყადაღის დადების შესახებ, შესაბამისად, არც ყადაღის დადების ოქმი გააფორმა და სათანადო დოკუმენტაცია არ გადაუზღავნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს. ეს მაშინ, როცა გამომძიებელმა პ. ო-იანმა ამავე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რათა ყადაღა დასდებოდა ქ. ქუთაისში, ... #31/79-ში საერთო საცხოვრებელი ბინის იმავე სართულზე მდებარე სხვა საცხოვრებელ ბინას, რომელიც საკუთრების უფლებით, იურიდიულად ეკუთვნოდა არა ბრალდებულს, არამედ მის -დედას ლ. რ-ძეს, მაგრამ, ფაქტობრივად, სარგებლობდა რ. რ-ძე. სასამართლოს 27.07.2000წ. ბრძანებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და გამომძიებელმა პ. ო-იანმა მეორე დღეს, 28.01.2000წ. ამავე ბინაში დამსწრეთა მონაწილეობით შეადგინა ოქმი იმის შესახებ, რომ ბრალდებულ რ. რ-ძეს ყადაღის დასადება ქონება არ გააჩნდა. ე.ი. გამომძიებელმა პ. ო-იანმა არ უზრუნველყო ბრალდებულის ქონებაზე ყადაღის დადება, რაც მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე სავალდებულო იყო, მან სასამართლოდან გამოითხოვა სხვა (ბრალდებულის დედის კუთვნილ) არასათანადო ქონებაზე ყადაღის დადების ბრძანება, თუმც, პრაქტიკულად, არც იგი აღასრულა, რითაც უხეშად დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები. ბრალდებულის ქონებაზე ყადაღის დაუდებლობას შედეგად მოჰყვა ის, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესშივე ქ. ქუთაისში, ... #31/81-ში მდებარე ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინა გამომძიებელ პ. ო-იანის მეუღლემ -იმ დროისათვის ქ. ქუთაისის ნოტარიუსმა თ. მ-ძემ 01.06.01წ. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე, სანოტარო წესით, რ. რ-ძისაგან ბინა გადაუფორმა საკუთრებაში ვინმე ლ. ც-ძეს. კანონიერ ძალაში მყოფი ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 23.06.03წ. განჩინებით განსასჯელ რ. რ-ძეს მოსარჩელის ოჯახის წინააღმდეგ ჩადენილი ქონებრივი დანაშაულისათვის მიესაჯა 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. ამავე განჩინებით დაკმაყოფილდა რ. ხ-ელის სამოქალაქო სარჩელი და მსჯავრდებულ რ. რ-ძეს დაეკისრა დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად რ. ხ-ელის სასარგებლოდ 57100 ლარის, ანუ ქურდობისას გატაცებული მთლიანი ქონების ღირებულების გადახდა. მიუხედავად აღნიშნულისა რ. ხ-ელს ერთი თეთრიც არ მიუღია და ამ ნაწილში განაჩენის აღსრულება უპერსპექტივოა, რადგან რ. რ-ძეს რაიმე სხვა უძრავ-მოძრავი ქონება საკუთრებაში არ გააჩნია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. მოპასუხე პ. ო-იანმა რომ უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია სამსახურებრივი მოვალეობა დაზარალებულის მიმართ და ყადაღა არ დაადო ბრალდებულ რ. რ-ძის კუთვნილ საცხოვრებელ ბინას, გარდა ადმინისტრაციულ საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულებისა, პირდაპირ არის დადასტურებული ამავე საქმეში წარმოდგენილი, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის 27.01.05წ. დადგენილებით, რომლითაც გამომძიებელ პ. ო-იანის მიმართ არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მის მიერ ჩადენილი სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. დადგენილება მის მიერ არ გასაჩივრებულა, ანუ შესულია კანონიერ ძალაში. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის ეს დადგენილება თავის მხრივ გამოტანილია მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 23.09.04წ. განჩინებაში იმის კატეგორიულად მითითების შემდეგ, რომ დადგენილიყო თუ რა განზრახვით მოქმედებდა გამომძიებელი პ. ო-იანი, როცა ყადაღა არ დაადო ბრალდებულ რ. რ-ძის საცხოვრებელ ბინას და საშუალება მისცა მას იგი გაესხვისებინა მისი მეუღლის

-ნოტარიუს თ. მ-ის მიერ დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ანუ განზრახი სამოხელეო დანაშაული ჰქონდა ჩადენილი პ. ო-იანს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სახით, თუ გაუფრთხილებელი სამოხელეო დანაშაული სამსახურებრივი გულგრილობის სახით. კასატორის აზრით, გამომძიებელმა პ. ო-იანმა ჩაიდინა განზრახ დანაშაული, საქმის გამოძიების მთელ პერიოდში, სარგებლობდა რა დაზარალებულების სამართლებრივი გაუცნობიერებლობით, უმტკიცებდა, რომ ბრალდებულ რ. რ-ის ქონებაზე ყადაღა იყო დადებული სასამართლოს ბრძანებით და რაიმე პრობლემა ამ კუთხით არ არსებობდა. სადავო ბინაზე ყადაღის დაუდებლობის შესახებ მოსარჩელემ შეიტყო რ. რ-ის მიმართ გამამტყუნებელი განჩინების გამოტანის შემდეგ, როცა განაჩენი სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში აღსასრულებლად წარადგინა იმერეთის სააღსრულებო ბიუროში და აღმოჩნდა, რომ რ. რ-მეს ბინა უკვე გაყიდული ჰქონდა ლ. ც-მეზე. მანამდე კასატორისათვის ეს ფაქტი უცნობი იყო და არც რაიმე პრეტენზია გამოუხატავს სახელმწიფოს ნდობით აღჭურვილი გამომძიებლის მიმართ, რომელიც თავს პატიოსან ადამიანად აჩვენებდა. მართალია, პროკურატურამ დაზარალებულების მოსაზრება გამომძიებელ პ. ო-იანის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენის შესახებ არ გაიზიარა და დაადგინა, რომ ბინაზე ყადაღის დაუდებლობით მან ჩაიდინა სამსახურებრივი გულგრილობა, მაგრამ ასეც რომ იყოს, იგი არ ათავისუფლებს არც მას და არც სხვა მოპასუხეებს მათთვის მიყენებული ზიანისათვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მსჯელობა იმის შესახებ, რომ არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი მოპასუხეთა ქმედებასა და დაზარალებულთათვის მიყენებულ ზიანს შორის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისთვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოდგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. პოლიციის გამომძიებელი პ. ო-იანი, რომელსაც ამ თანამდებობაზე მუშაობის 10 წელზე მეტი სტაჟი და უმაღლესი იურიდიული განათლება ჰქონდა, ვალდებული იყო სცოდნოდა და მისი თანამდებობრივი სტატუსიდან გამომდინარე, უნდა სცოდნოდა კიდევ, რომ ქონებრივი დანაშაულის საქმეზე ბრალდებულის კუთვნილი ქონების მოუძიებლობით, მასზე ყადაღის დაუდებლობით და მხოლოდ გარეშე პირის ქონებაზე ყადაღის დასადებლად ზომების ფორმალურად მიღებით, მით უფრო, როცა ქურდობის შედეგად გატაცებული იყო დიდი ღირებულების ქონება და ეს ქონება გამომიებით ამოღებული არ ყოფილა, ზიანი აუცილებლად მიადგებოდა დაზარალებულის ინტერესებს. კასატორის აზრით, სწორედ მოპასუხე პ. ო-იანის ასეთმა მოქმედებამ გამოიწვია მისთვის ზიანის უშუალოდ მიყენება, რადგან ბრალდებულ რ. რ-ის ბინაზე რომ მას ყადაღა დაედო და ამის შესახებ წერილობით ეცნობებინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის, იგი მას ვეღარ გაასხვისებდა, ყადაღადადებული ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას ნოტარიუსიც არ დაამოწმებდა და სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში განჩინების აღსრულების სტადიაზე სასამართლო აღმასრულებელთა მიერ სადავო ბინის რეალიზაციის შედეგად ნაწილობრივ მაინც აუნაზღაურდებოდა დანაშაულით მოყენებული მატერიალური ზიანი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო განმარტებულია, როგორც ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. სააპელაციო სასამართლოს სამოტივაციო ნაწილში, მისი საფუძვლიანობის დასადასტურებლად სრულიად უადგილოდ არის მოყვანილი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 16.04.04წ. გადაწყვეტილება მსჯარდებულ რ. რ-ის მამის -ჯ. რ-ის სარჩელის დაკმაყოფილებისა და ყადაღისაგან მისი ნივთების გათავისუფლების შესახებ. მათ არასდროს გამოუთქვამთ უკმაყოფილება გამომძიებლის ან სასამართლო აღმასრულებლის მიმართ იმის გამო, რომ მათ ყადაღა არ დაადეს ჯ. რ-ის ან სხვა გარეშე პირთა კუთვნილ ქონებას, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყადაღა ედება ექვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის და არა სხვა, გარეშე პირების ქონებას. უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ თითქოსდა არ არსებობს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მიზეზობრივი კავშირი ამ ზიანსა და მოპასუხეთა მოქმედებას შორის. რ. ხ-ელს, მის მეუღლეს და ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით კი მეუღლეს, ნ. ხ-ელს, სერიოზულად დაუზიანდათ ჯანმრთელობა არა იმდენად მემკვიდრეობით მიღებული და განვლილი ცხოვრების მანძილზე შრომითი დანაზოგით შეძენილი ქონების ქურდობის გამო, არამედ ამ დანაშაულის საქმის გამომძიებელი სახელმწიფო მოხელის -მოპასუხე პ. ო-იანის არაჯეროვანი, ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისა და დაზარალებული მხარის ინტერესებისადმი. კასატორი ამჟამად არის 68 წლის, ხოლო მეუღლე 62 წლის, მათ წლები დასჭირდათ იმისათვის, რომ

ჯერ სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს და შემდეგ დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურას გამოესწორებინათ ქუთაისის საქალაქო პროკურატურის შეცდომა თუ დარღვევა და დაედასტურებინა პოლიციის გამომძიებელ პ. ო-იანის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი გულგრილობა მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს, რის შედეგად დღემდე ვერ გახდა შესაძლებელი კუთვნილი თანხის რეალური ამოღება, ვერც მსჯავრდებულ რ. ო-ის ქონების რეალიზაციის გზით და, მით უფრო, დანაშაულის თანამონაწილე სხვა პირებისაგან, რომელთა დასადგენად და დასაპატიმრებლად გამოძიებას პრაქტიკულად არავითარი რეალური საგამომიებო მოქმედებები და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები არ ჩაუტარებია. სწორედ მოპასუხეთა არამართლობიერი მოქმედებით მიღებული უმძიმესი ფიზიკური და სულიერი სტრესები გახდა იმის მიზეზი, რომ 2005 წლის 13 აპრილიდან კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ დაუდგინდა ინვალიდობის მე-2 ჯგუფი, რაც ნიშნავს, რომ გააჩნია შესაძლებლობათა მნიშვნელოვანი შეზღუდვა და ითვლება შრომისუუნაროდ. მოპასუხე პ. ო-იანის მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით საგამომიებო, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებში მიმდინარე შემოწმების ხანგრძლივ პროცესებსა და სასამართლო სხდომებში მონაწილეობისა და ძლიერი მორალურ-ფსიქოლოგიური და ფიზიკური განცდებისაგან ასევე შეირყა მისი მეუღლის -ნ. ხ-ელის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რამდენადაც მყარად ჩამოყალიბდა მძიმე დაავადება მარცხენამხრიანი გონართროზის სახით და ამის გამო საჭიროებს ძვირად ღირებულ ოპერაციულ ჩარევას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.05.07წ. განჩინებაზე მოსაზრებები წარმოადგინეს კასატორმა რ. ხ-ელმა და მოწინააღმდეგე მხარემ პ. ო-იანმა.

რ. ხ-ელმა 11.06.07წ. წარმოდგენილი მოსაზრებით მიიჩნია, რომ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის III ნაწილით განსაზღვრული, მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. პ. ო-იანის 11.06.07წ. მოსაზრებით კი უარი უნდა ეთქვას კასატორს საკასაციო საჩივრის დაშვებაზე, ვინაიდან მასში არ არის დასაშვებობის საფუძვლების არსებობის კონკრეტული დასაბუთება. პ. ო-იანის მოსაზრებით, როცა საუბარია სამართლის განვითარებაზე, უნდა იყოს დასახელებული მოქმედი კანონმდებლობის კასატორისათვის საინტერესო სამართლებრივი ნორმა, გაანალიზებული უნდა იყოს, თუ რაში გამოიხატება ამ ნორმის არასრულყოფილება და მითითებული უნდა იყოს, რა კუთხით საჭიროებს იგი სრულყოფას, რომ დადგეს მომჩივნისათვის სასურველი შედეგი. ამასთან, კასატორი არ ასახელებს, არ აანალიზებს და არ განსაზღვრავს, რომელი სასამართლო პრაქტიკა მიაჩნია გამართლებულად, კანონშესაბამისად და მხარდასაჭერად, რომელს ემხრობა და რომელს არ უჭერს მხარს და რას შემატებს სასამართლო პრაქტიკას მოცემული საკასაციო საჩივრის არსებითი განხილვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 01.11.07 წ. განჩინებით რ. ხ-ელის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. საკასაციო პალატის სხდომაზე რ. ხ-ელმა და მისმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარის, პ. ო-იანის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივარი არ ცნეს უსაფუძვლობის და ხანდაზმულობის გამო და ითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს პ. ო-იანის წარმომადგენლის გ. კობრიძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რ. ხ-ელის სასარჩელო მოთხოვნა უთანაბრდება სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის რევიზიას, რომლითაც დადგენილია, რომ 57 100 ლარის ზიანი მოსარჩელეს მიაყენა არა პ. ო-იანმა, არამედ რ. ო-მემ, რის გამო ამ უკანასკნელს დაეკისრა მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე ითხოვს არა ქურდობით მიყენებული ზიანის, არამედ სარჩელის უზრუნველსაყოფად კანონით განსაზღვრული ზომების მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, განსახილველი დავის საგანს შეადგენს მოხელის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოხელე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო და ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს,

ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოთ მითითებულ ნორმათა საფუძველზე ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანი, რომელიც გამოწვეულია პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ან მის მიერ ჩადენილი დანაშაულით. რამდენადაც ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ გამომძიებელ პ. ო-იანის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის მიერ არასწორად იქნა მითითებული სააპელაციო საჩივარში აღწერილი ზიანის ანაზღაურების საფუძველი. რ. ხ-ელი სადავოდ ხდოდა იმ გარემოებას, რომ მოპასუხე პ. ო-იანმა, რომელიც მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო განყოფილების გამომძიებლად, ქურდობაში ბრალდებულის რ. რ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას უხეშად და ბრალეულად დაარღვია სამსახურებრივი მოვალეობები, რაც გამოიხატა იმაში, რომ გამომძიებელმა ბრალდებულის სახელზე რიცხული, ქ. ქუთაისში, ... #31/81 მდებარე ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინა მიიჩნია ნორმალური სასიცოცხლო პირობებისათვის აუცილებელ საგნად და ამ მოტივით არ წარადგინა სასამართლოში შუამდგომლობა აღნიშნული ბინისათვის ყადაღის დადების შესახებ. მიუხედავად აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა აპელანტის მიერ მითითებულ გარემოებასა და მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის თაობაზე და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა ის გარემოება, რომ რ. რ-ძის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 27.01.2000წ. ბრძანებით ყადაღა დაედო ქუთაისის ... #31/79-ში მდებარე, რ. რ-ძის დედის სახელზე აღრიცხულ საცხოვრებელ სახლში რ. რ-ძის კუთვნილ ქონებას, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლით გათვალისწინებული ქონებისა, და გამომძიებელ პ. ო-იანის მიერ სასამართლოს აღნიშნული ბრძანება შესრულებული იქნა. დავის საგანთან შემხებლობაში არ არის სააპელაციო პალატის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. ქუთაისში ..., #31/79-ში მდებარე, ბრალდებულის დედის სახელზე რიცხულ სახლს, სსკ-ის 190-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ყადაღა ვერ დაედებოდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქ. ქუთაისში ..., #31/79-ში მდებარე ბრალდებულის დედის სახელზე რიცხულ სახლზე ყადაღის დაუდებლობა რ. ხ-ელს ზიანის ანაზღაურების საფუძველად არ მიუთითებია, აღნიშნული გარემოება განსახილველი დავის საგანს არ შეადგენს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის (გამომძიების წარმოების დროს მოქმედი რედაქციით) თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადების საფუძველის არსებობისას გამომძიებელს უნდა დაედგინა, სად და ვის ხელში იყო ქონება და წარედგინა სასამართლოსათვის დასაბუთებული შუამდგომლობა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 27.01.2000წ. ბრძანებით დაკმაყოფილდა საგამომძიებო დეპარტამენტის ქ. ქუთაისის განყოფილების გამომძიებლის პ. ო-იანის შუამდგომლობა და ყადაღა დაედო ქ. ქუთაისში, ..., #31/79-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში არსებულ რ. რ-ძის კუთვნილ ქონებას, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლით გათვალისწინებული ქონებისა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ბრალდებულის სახელზე რიცხული უძრავი ქონების დაყადაღების შუამდგომლობით გამომძიებელს სასამართლოსათვის არ მიუმართავს. 02.06.2000წ. რ. რ-ძემ გაასხვისა მის სახელზე რიცხული ქ. ქუთაისში, ... #31/81-ში მდებარე ერთოთახიანი ბინა, რომელიც მის სახელზე ირიცხებოდა 1993 წლიდან ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე. საქმეში დაცულია «სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ» დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორის 27.01.05წ. დადგენილება, რომლითაც დადგენილად არის ცნობილი, რომ პ. ო-იანმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, სამსახურებრივი გულგრილობა, მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც მოქალაქე ნ. ხ-ელის კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. პ. ო-იანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა სისხლის-სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, რაც, სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველია. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ ქმნის პირის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკმარის საფუძველს. აღნიშნული დადგენილებით დასტურდება პ. ო-იანის მიერ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენა, საქმის ხელახალი განხილვის დროს სააპელაციო პალატამ უნდა დაადგინოს არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი ზემოაღნიშნულ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის, რაც ზიანის ანაზღაურების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კარშირის დადგენისათვის საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს იმ

გარემოებას, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 01.06.2000წ. განაჩენით რ. რ-მე უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა. ამავე განჩინებით გაუქმდა მის მიმართ შერჩეული აღკვეთი ღონისძიება და იგი დაუყოვნებლივ განთავისუფლდა სხდომის დარბაზიდან. აღნიშნული განჩინების მიღების მომდევნო დღეს, 02.06.2000წ. რ. რ-მემ გაასხვისა მის სახელზე რიცხული ქ. ქუთაისში, ... #31/81-ში მდებარე ერთთახიანი ბინა. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის გათვალისწინებით უნდა იმსჯელოს გამომძიებლის მიერ რ. რ-მის სახელზე რიცხული ბინის დაყადაღების შემთხვევაში ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ 01.06.2000წ. გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ შეძლებდა თუ არა რ. რ-მე აღნიშნული ბინის გასხვისებას, რამაც ფაქტობრივად ზიანი მიაყენა რ. ხ-ელის კანონიერ ინტერესებს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაშიც, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სარჩელის დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, თუ ასეთი სარჩელი განცხადებული იქნება, გააგრძელოს ქონებაზე ყადაღის დადების ვადა 30 დღით. განსახილველ შემთხვევაში დადგენას საჭიროებს ჰქონდა თუ არა რ. ხ-ელს ინფორმაცია სარჩელის უზრუნველსაყოფი ქონების არსებობის თაობაზე. ვინაიდან სკ-ის 1008-ე მუხლის თანახმად, დელიქტური ვალდებულებისათვის დადგენილია სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა განსახილველი დავის კანონიერი გადაწყვეტისათვის სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა სარჩელის ხანდაზმულობის საკითხზე. საქმის ხელახალი განხილვისას გარკვევას საჭიროებს მიუთითა თუ არა სამოქალაქო მოსარჩელემ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას აღძრულ სარჩელში მოპასუხის მისამართი, კერძოდ რ. რ-მის სახელზე რიცხული ბინა და მოითხოვა თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის რომ რ. ხ-ელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 იანვრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით, 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. რ. ხ-ელის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.01.07წ. განჩინება, საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უმოქმედობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#ბს-1116-1067(კ-07) 17 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ჩინჩალაძე,

ლ. მურუსიძე

სარჩელის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 7 დეკემბერს პ. ნ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ჭიათურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ჭიათურის რაიონის გამგეობის მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 2005 წელს ქ. ჭიათურაში «სამევენდოს» მთიდან მოწყვეტილმა, დაახლოებით 16-ტონიანმა ლოდმა დაანგრია მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი. მოსარჩელემ ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს - ჭიათურის რაიონის გამგეობას. ხსენებული გამგეობის წარმომადგენლები მივიდნენ მოსარჩელის სახლში, დააფიქსირეს მომხდარი, რის შემდეგაც შესაბამის სამსახურებს მიეცათ მითითება, რომ აღნიშნულზე რეაგირება მოეხდინათ. არქიტექტურის სამსახურის დაანგარიშებით, მიყენებული ზარალის ოდენობა

15300 ლარს შეადგენდა. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული თანხა დანგრეული სახლის შეკეთება-გარემონტებისათვის საჭირო სამუშაოების მინიმალურ ოდენობასაც არ ყოფიდა, რადგან, ფაქტობრივად, სახლი თავიდან იყო ასაშენებელი. ამასთან, არქიტექტურის სამსახურის მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვაში არ იყო შესული მისი ოჯახისათვის მიყენებული ზარალის სრული ოდენობა, მაშინ, როდესაც განადგურდა ნარგავები, დაზიანდა ეზო, ღობე და საოჯახო ნივთები. ამდენად, მიყენებული ზარალი 15300 ლარზე გაცილებით მეტი იყო. მოსარჩელემ რამდენჯერმე მიმართა ჭიათურის რაიონის გამგეობას, რა დროსაც განემარტა, რომ ზარალის ასანაზღაურებლად ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის შესაძლებლობა არ იყო და მხოლოდ 1000 ლარით შეეძლო გამგეობას დახმარებოდა მის ოჯახს.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ჭიათურის რაიონის გამგეობამ მას თავდაპირველად გამოუყო 300 ლარი, ხოლო შემდეგ -1000 ლარი. აღნიშნული თანხა ჩამონგრეული სახურავის სათანადოდ შეკეთებას და ჩამოტანილი ნაგვის გატანასაც არ ეყო სრულად, მაშინ, როდესაც სასწრაფოდ ჩასატარებელი იყო მთელი რიგი სამუშაოები. მოსარჩელის განმარტებით, ჭიათურის რაიონის გამგეობა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, ვალდებული იყო, სრულად აენაზღაურებინა მისი ოჯახისათვის მიყენებული ზიანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 15300 ლარის მოპასუხისთვის დაკისრება მოითხოვა.

ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით პ. ნ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლის 7 ოქტომბერს ქ. ჭიათურაში, ე.წ. «საშევარდნოს» კლდიდან მოწყვეტილმა კირქვის ლოდმა დააზიანა ქ. ჭიათურაში, ... ქუჩის #50-ში მცხოვრები პ. ნ-ძის საცხოვრებელი სახლი. საქმეში წარმოდგენილი იყო საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსის წერილი ჭიათურის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლისადმი, რომელშიც მითითებული იყო, რომ ხსენებული გამგეობა შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას აღმოუჩენდა პ. ნ-ძეს. საქმეში წარმოდგენილი იყო ასევე შპს «საპროექტოს» გეოლოგის დასკვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქ. ჭიათურაში, ... ქუჩის #50-ში მცხოვრები პ. ნ-ძის საცხოვრებელ სახლს «საშევარდნოს» მხრიდან დაეცა კირქვის ლოდი, დიამეტრით -სამი მეტრი, სისქით -60-80 სმ. ლოდი დაეცა სახლს 80-100 მეტრის სიმალიდან, რომელიც მოსწყდა «საშევარდნოს» კლდის ვერტიკალურ კედელს, რაც გამოწვეული იყო ნაპრალებით, რომლებიც ძლიერი წვიმის დროს უფრო ირეცხებოდა და ქმნიდა საშიშროებას. აღნიშნულმა ლოდმა დააზიანა პ. ნ-ძის საცხოვრებელი სახლის სახურავი, მზიდი კედლები და ტიხრები. სახლი აუცილებლად საჭიროებდა გადახურვას და მზიდი კედლებისა და ტიხრების გამაგრებას, ლოდი ადგილზე უნდა დამტვრეულიყო პნევმატური ჩაქურით. ამასთან, «საშევარდნოს» კლდის მხარეს ნაპრალების შემოწმება და ლოდების დროულად მოცილება აუცილებელი იყო, რადგან ძლიერი წვიმებისა და ყინვების დროს მოსალოდნელი იყო ქვების ცვენა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და მხარეებიც ადასტურებდნენ, რომ ჭიათურის რაიონის გამგეობამ პ. ნ-ძეს დახმარების სახით გადასცა 1300 ლარი. ამდენად, დადგენილი იყო, რომ მოსარჩელის სახლის დაზიანება გამოწვეული იყო სტიქიის შედეგად.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანისათვის 15300 ლარის გადახდის დაკისრებას იმ საფუძველით, რომ ჭიათურის რაიონის გამგეობა იყო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო და შესაბამისად, ვალდებულიც, სრულად აენაზღაურებინა მისთვის მიყენებული ზიანი, რაც რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ იყო დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენებოდა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

რაიონული სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ამყარებდა იმ გარემოებაზე, რომ ჭიათურის რაიონის გამგეობა ვალდებული იყო, ჩაეტარებინა ე.წ. «საშევარდნოს» კლდის გამაგრებითი სამუშაოები, რადგან აღნიშნული მონაკვეთი გამოცხადებული იყო საშიშ ან «რისკთან მიახლოებულ» ტერიტორიად. საქმეში წარმოდგენილი იყო ჭიათურის რაიონის არქიტექტურის, გეგმარებისა და რაიონის განვითარების სამსახურის უფროსის, მთავარი არქიტექტორის -დ. ბ-ძის პასუხი პ. ნ-ძის რწმუნებით აღჭურვილი პირის -ა. რ-ძისადმი, სადაც აღნიშნული იყო, რომ 1990 წელს საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ «თბილსახავტოგაზპროექტის» მიერ შედგენილი პროექტი ითვალისწინებდა ქ. ჭიათურაში, «საშევარდნოს» კლდის უბანზე ჩამოქცევის საწინააღმდეგო დაცვით სამუშაოებს. აღნიშნული სამუშაოები არ შესრულდა საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან დაუფინანსებლობის გამო.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებდა ზიანს, ვალდებული იყო, აენაზღაურებინა ეს ზიანი. აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრებოდა, თუ იარსებებდა ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წანამდგრები, კერძოდ, თუ იარსებებდა ზიანი და ზიანი მიყენებული იქნებოდა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის იარსებებდა მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღოდა ბრალი. აღნიშნული პირობების

ერთობლიობა წარმოადგენდა სავალდებულო პირობას დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომისათვის, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ქმედება წინ უსწრებდა შედეგს და შესაბამისად, პირველი წარმოშობდა მეორეს, ხოლო პასუხისმგებლობა დადგებოდა იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იქნებოდა პირდაპირი (არა ირიბი) და გარდაუვალი (არა შემთხვევითი) შედეგი ზიანის მიმყენებლის მოქმედების ან უმოქმედობისა. აღნიშნულის გათვალისწინებით, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანი, რომელიც მიადგა მოსარჩელეს, იყო სტიქიური უბედურების (დაუძლეველი ძალის) შედეგი და ამდენად, არ იკვეთებოდა ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეული ქმედება. მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრების ერთ-ერთ საფუძველად მიუთითებდა მთავრობის კანცელარიის რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსის წერილზე ჭიათურის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლისადმი, რაც რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან აღნიშნულ წერილში მითითებული იყო, რომ ჭიათურის რაიონის გამგეობა შესაძლებლობის ფარგლებში აღმოუჩენდა დახმარებას პ. ნ-ძეს, რაც ჭიათურის რაიონის გამგეობამ განახორციელა კიდევ და სტიქიის შედეგად დაზარალებულ პ. ნ-ძეს გადასცა 1300 ლარი. რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა რაიმე მტკიცებულება, რაც მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი გახდებოდა.

ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება პ. ნ-ძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით პ. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც პ. ნ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ჭიათურის რაიონის გამგეობას პ. ნ-ძის სასარგებლოდ 13738 ლარის გადახდა დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს «საპროექტოს» გეოლოგის შესაბამისი დასკვნით, პ. ნ-ძის სახლს დაევა 3 მეტრი დიამეტრის კირქვის ლოდი, რომელმაც დააზიანა პ. ნ-ძის სახლის სახურავი, მზიდი კედლები და ტიხრები. სახლი საჭიროებდა გადახურვას, მზიდი კედლებისა და ტიხრების გამაგრებას. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ჭიათურის რაიონის გამგეობამ მოსარჩელეს გამოუყო 1300 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო. მოცემულ შემთხვევაში ჭიათურის რაიონის გამგეობამ მოსარჩელეს გამოუყო 1300 ლარი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, სახეზე იყო ვალდებულების აღიარება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ჭიათურის რაიონის გამგეობის ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე, გამომდინარეობდა «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონიდან, რომლის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები უზრუნველყოფდნენ კატასტროფების, სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციას. იმავე კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ლ» ქვეპუნქტის თანახმად კი, მთავრობის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა კატასტროფების, სტიქიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა ორგანიზება. პ. ნ-ძის საცხოვრებელი სახლის კაპიტალური შეკეთების ხარჯთაღრიცხვით სახლის კაპიტალური შეკეთებისათვის საჭირო იყო 15038 ლარი. მოსარჩელეს მიღებული ჰქონდა 1300 ლარი, ანუ მას უნდა ანაზღაურებოდა 13738 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ჭიათურის რაიონის გამგეობის წარმომადგენლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჭიათურის რაიონის გამგეობა არასათანადო მოპასუხე იყო, რადგან გამგეობის მიერ გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში, ლოდი არ მოსწყდებოდა და მოსარჩელეც არ დაზარალდებოდა. გარდა ამისა, ჭიათურის რაიონის გამგეობა ვალდებული იყო, აღმოეფხვრა სტიქიური უბედურების შედეგები «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტისა და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ლ» ქვეპუნქტის თანახმად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება ჭიათურის რაიონის გამგეობამ საკასაციო წესით გაასაჩივრა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივნისის განჩინებით ჭიათურის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეზე უტყუარად იყო დადგენილი ქ. ჭიათურაში, ე.წ. «საშევარდნოს» კლდიდან მოწყვეტილი ლოდით პ. ნ-ძის სახლის დაზიანების ფაქტი. ასევე, დადგენილი იყო, რომ პ. ნ-ძის სახლის კაპიტალური შეკეთებისათვის საჭირო იყო 15038

ლარი. ამ ნაწილში ჭიათურის რაიონის გამგეობას დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წამოყენებია. რაც შეეხებოდა მიყენებული ზიანის მიზეზის გამორკვევასა და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად ჭიათურის რაიონის გამგეობის მიჩნევას, ამ ნაწილში საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებლად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენებოდა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებდა ზიანს, ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მისთვის ეს ზიანი. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა ჭიათურის რაიონის გამგეობისაგან, იმ მოტივით, რომ აღნიშნული ზიანი გამოწვეული იყო გამგეობის უმოქმედობით – ჭიათურის რაიონის გამგეობამ არაფერი იღონა, რომ ამგვარი შედეგი არ დამდგარიყო.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, უმოქმედობის გამო, ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელი იყო გარკვეულიყო, მოქმედება, რომლის განუხორციელებლობითაც პირს ზიანი მიადგა, შედიოდა თუ არა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციაში.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ჭიათურის რაიონის გამგეობის ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე გამომდინარეობდა «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტიდან, რომლის თანახმად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები უზრუნველყოფდნენ კატასტროფების, სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა აღნიშნული ნორმა და მიუთითა, რომ სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველყოფა არ ნიშნავდა სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ხსენებული გამგეობის მიერ მოსარჩელისათვის სახლის დაზიანების გამო 1300 ლარის გამოყოფის ფაქტი შეაფასა, როგორც ამ გამგეობის მიერ პ. ნ-ძის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულების აღიარება, მაშინ, როდესაც არ დაუსაბუთებია, თუ რომელი კონკრეტული გარემოება ან მტკიცებულება იძლეოდა ასეთი შეფასების საფუძველს, რატომ გამოირიცხებოდა აღნიშნული ფაქტის, როგორც ჭიათურის რაიონის გამგეობის მიერ გაწეული დახმარების, შეფასება.

საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეული იყო სტიქიური უბედურების შედეგად. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია ხსენებულ საკითხზე მთელ რიგ გარემოებებს, კერძოდ, იმას, რომ ჭიათურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 21 თებერვლის #107 წერილში აღნიშნული იყო, რომ «საშევარდნოს» კლდის თავზე მდაროთა სამმართველოს მისასვლელი გზის მიმდებარე ტერიტორია გადათხრილი იყო მანგანუმის მადნის მოპოვებელი ფირმებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, რის გამოც რამდენიმე ადგილზე გაჩნდა ღრმულები და ორმოები, რომლებშიც ჩამდგარი იყო წყალი და საფრთხე ემუქრებოდა «საშევარდნოს» კლდეს. იმავე წერილში ჭიათურის რაიონის გამგეობამ აღნიშნა, რომ ეს ადგილი იყო წერეთლის მდაროთა სამმართველოში მისასვლელი გზა და ტერიტორიის აღდგენა-რეკულტივაცია ევალებოდა სს «ჭიათურმანგანუმს».

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო ქ. ჭიათურის ქალაქკომის ადმსკომის დაკვეთით შესრულებული სსრკ სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს საავტომობილო გზების თბილისის სახელმწიფო საპროექტო-სამიებო ინსტიტუტ «თბილსახავტოგზაპროექტის» მიერ 1990 წელს შედგენილი ქ. ჭიათურაში, «საშევარდნოს» კლდის უბანზე ჩამოქცევის საწინააღმდეგო დაცვის მუშა პროექტი, რაც ცხადყოფდა, რომ ქ. ჭიათურაში «საშევარდნოს» კლდის ტერიტორია დიდი ხანია ქვების ცვენის თვალსაზრისით, საშიშ ტერიტორიას წარმოადგენდა, რის თაობაზეც უნდა სცოდნოდათ შესაბამის ორგანოებს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია პ. ნ-ძის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოება იმის თაობაზე, რომ პ. ნ-ძის სახლი საერთოდ მოშორებული იყო იმ უბანს, სადაც 1990 წლის პროექტით უნდა განხორციელებულიყო «საშევარდნოს» კლდის გამაგრებითი სამუშაოები და 1990 წელს «საშევარდნოს» კლდის იმ მონაკვეთზე, სადაც მოსარჩელის სახლი მდებარეობდა, რისკის ფაქტორი ან სულ არ იყო, ან იყო მინიმალური. საშიში ზონის ფარგლები გაიზარდა წლების მანძილზე კანონდარღვევით განხორციელებული მადნის მოპოვებითი სამუშაოების შედეგად.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციის 37-ე მუხლით გარანტირებული იყო ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება, ასევე რეგლამენტირებული იყო, რომ ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად სახელმწიფო უზრუნველყოფდა გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას. «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-8 მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კომპეტენციას გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარების ორგანიზება წარმოადგენდა. «გარემოს დაცვის შესახებ» კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის «გ» ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის «ა» და «გ» ქვეპუნქტების

თანახმად, ამ კანონის მიზანი და ძირითადი ამოცანა იყო, უზრუნველყო სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, დაეცვა და შეენარჩუნებინა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემო და უზრუნველყო გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება. იმავე კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრული იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კომპეტენცია გარემოს დაცვის სფეროში, მათ შორის, სახელმწიფო კონტროლი. «გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ» საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონით შეიქმნა გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის მეშვეობითაც სამინისტრო ახორციელებდა გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლს. იმავე კანონის მე-6 მუხლის, მე-8 მუხლის «ბ» ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის თანახმად, აღნიშნული ინსპექციის ფუნქციას წარმოადგენდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებასა და გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელება. ამ მიზნით მას უფლება ჰქონდა, გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეედგინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, განეხილა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები და სამართალდამრღვევის მიმართ გამოეყენებინა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემული საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია, განპირობებული იყო თუ არა «საშევარდნოს» კლდიდან 16-ტონიანი ლოდის მოწყვეტა და მოსარჩელის სახლის დაზიანება არარაციონალური ბუნებათსარგებლობით, თუ აღნიშნული წარმოადგენდა კლდის ქანების დაშლის ბუნებრივ პროცესს, რაც არ იყო განპირობებული ადამიანის ზემოქმედებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია, ჭიათურის რაიონის გამგეობამ მიიღო თუ არა ზომები «საშევარდნოს» კლდეზე მადნის უკანონოდ მოპოვებისა და კლდის არარაციონალური სარგებლობის აღკვეთის, კლდის ქანების დაშლისა და კლდიდან ლოდების ცვენის თავიდან აცილების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარების ორგანიზებისათვის, რასაც ითვალისწინებდა «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის «დ» ქვეპუნქტი. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა, თუ ვის სარგებლობაში იყო «საშევარდნოს» კლდე, იყო თუ არა მასზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზია ან გარემოსდაცვითი ნებართვა, ისარგებლეს თუ არა წიაღით უკანონოდ ან არარაციონალურად და ასეთი სარგებლობის აღსაკვეთად განხორციელდა თუ არა სათანადო ღონისძიებები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და მისი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის ინსპექციის მიერ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, წარმოადგენდა თუ არა საქმეზე სათანადო მოპასუხეს ჭიათურის რაიონის გამგეობა ან ხომ არ იყო საჭირო საქმეში სხვა თანამოპასუხეების ჩაბმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ივლისის განჩინებით პ. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეებზე მითითებულ იქნა ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით პ. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება; პ. ნ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობას პ. ნ-ძის სასარგებლოდ 13738 ლარის გადახდა დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ქ. ჭიათურაში, ე.წ. «საშევარდნოს» კლდიდან მოწყვეტილი ლოდით პ. ნ-ძის სახლის დაზიანების ფაქტი, ასევე -ის, რომ პ. ნ-ძის სახლის კაპიტალური შეკეთებისათვის საჭირო იყო 15038 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენებოდა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებდა ზიანს, ვალდებული იყო, აენაზღაურებინა ეს ზიანი. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა ჭიათურის რაიონის გამგეობისაგან, იმ მოტივით, რომ აღნიშნული ზიანი გამოწვეული იყო ამ გამგეობის უმოქმედობით – ჭიათურის რაიონის გამგეობამ არაფერი იღონა, რომ ამგვარი შედეგი არ დამდგარიყო. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, უმოქმედობის გამო, ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელი იყო გარკვეულიყო, მოქმედება, რომლის განუხორციელებლობითაც პირს ზიანი მიადგა, შედიოდა თუ არა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციაში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ჭიათურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 21 თებერვლის #107 წერილში აღნიშნული იყო, რომ «საშევარდნოს» კლდის თავზე მადართა სამმართველოს მისასვლელი გზის მიმდებარე ტერიტორია გადათხრილი იყო მანგანუმის მადნის მოპოვებელი ფირმებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, სადაც რამდენიმე ადგილზე გაჩენილი იყო ღრმულები და ორმოები, რომლებშიც ჩამდგარი იყო წყალი და საფრთხე ემუქრებოდა «საშევარდნოს» კლდეს. საქმეში წარმოდგენილი იყო ასევე ქ. ჭიათურის ქალაქკომის აღმასკომის დაკვეთით შესრულებული სსრკ

სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს საავტომობილო გზების თბილისის სახელმწიფო საპროექტო-სამიებო ინსტიტუტ «თბილსახავტოგზაპროექტის» მიერ 1990 წელს შედგენილი ქ. ჭიათურაში «საშე-ვარდნოს» კლდის უბანზე ჩამოქცევის საწინააღმდეგო დაცვის მუშა პროექტი, რაც ცხადყოფდა, რომ ქ. ჭიათურაში «საშევარდნოს» კლდის ტერიტორია დიდი ხანია, ქვების ცვენის თვალსაზრისით, საშიშ ტერიტორიას წარმოადგენდა, რის თაობაზეც უნდა სცოდნოდათ შესაბამის ორგანოებს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ კონსტიტუციის 37-ე მუხლით გარანტირებული იყო ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა. «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-8 მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კომპეტენციას წარმოადგენდა გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარების ორგანიზება. «გარემოს დაცვის შესახებ» კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის «გ» ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის «ა» და «გ» ქვეპუნქტების თანახმად, ამ კანონის მიზანი და ძირითადი ამოცანა იყო, უზრუნველყო სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, დაეცვა და უზრუნველყო გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება. იმავე კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრული იყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კომპეტენცია გარემოს დაცვის სფეროში, მათ შორის, სახელმწიფო კონტროლი. «გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ» 2005 წლის 23 ივნისის კანონით შეიქმნა გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის მეშვეობითაც ხსენებული სამინისტრო ახორციელებდა გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლს. იმავე კანონის მე-6 მუხლის, მე-8 მუხლის «ბ» ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის თანახმად, აღნიშნული ინსპექციის ფუნქციას წარმოადგენდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებასა და გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელება. ამ მიზნით მას უფლება ჰქონდა, გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეედგინა ადმი-ნისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, განეხილა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები და სამართალდამრღვევის მიმართ გამოეყენებინა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 15 ოქტომბრის #01-5/3120 წერილის მე-4 პუნქტით «საშევარდნოს» კლდიდან ლოდის მოწყვეტის მიზეზის დადგენა ცენტრის მიერ შეუძლებელი იყო, რადგან ხსენებული ფაქტი მოხდა 2005 წელს და იმჟამად ყველანაირი კვალი, როგორც მიწაზე, ასევე კლდეზე (მოწყვეტილი ლოდის ფუძეზე) განადგურებული იქნებოდა. ჭიათურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 21 თებერვლის #107 წერილიდან ირკვეოდა, რომ «საშევარდნოს» კლდის თავზე, მალაროთა სამმართველოს გასასვლელი გზის მიმდებარე ტერიტორიაზე გადათხრილი იყო მარგანეცის მომპოვებელი ფორმებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, სადაც რამდენიმე ადგილას გაჩენილი იყო ღრმულები და ორმოები, რომლებშიც ჩამდგარი იყო წყალი და საფრთხე ემუქრებოდა «საშევარდნოს» კლდეს. ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტის 2007 წლის 25 სექტემბრის წერილზე დართული ნუსხით ლიცენზია ჰქონდა სს «ჭიათურმანგანუმს», შპს «ზეციხელს», შპს «მალაროელს» და შპს «მაწისს». აღნიშნული ლიცენზიები გაცემული იყო ქალაქის ტერიტორიაზე მანგანუმის გაბნეული მადნების შესწავლა-მომპოვებისათვის, რასაც არ ჰქონდა კავშირი საშევარდნოს კლდესთან. შესაბამისად, სს «ჭიათურმანგანუმი» ან სხვა ორგანიზაცია არ წარმოადგენდა მოპასუხეს მოცემულ საქმეში. სს «ჭიათურმანგანუმის» გენერალური დირექტორისადმი ჭიათურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 21 თებერვლის #108 წერილის მიხედვით, «საშევარდნოს» კლდის თავზე მოსახლეობისა და კერძო ფორმების მიერ ხდებოდა მარგანეცის მადნის უკანონო მოპოვება, რის გამოც ჩნდებოდა ღრმულები და ორმოები, ღრმულებში დგებოდა წყალი, რომელიც ჩაედინებოდა «საშევარდნოს» კლდის ნაპრალებში, რის შედეგადაც მოსალოდნელი იყო «საშევარდნოს» კლდის დაშლა, რაც გამოიწვევდა მასიურ ქვათა ცვენას ... ქუჩაზე. მსგავს შემთხვევას ადრეც არაერთხელ ჰქონდა ადგილი და ... ქუჩის მოსახლეობას ექმნებოდა საგანგებო სიტუაციები და მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ასევე, ქვათა ცვენას შეიძლებოდა მოჰყოლოდა საცხოვრებელი სახლების ნგრევა და კომუნიკაციების მწყობრიდან გამოსვლა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის 2007 წლის 31 მაისის წერილის მიხედვით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გეოლოგიის სამსახურმა ჩაატარა სპეციალური კვლევები და დასახა გამაჯანსაღებელი რეკომენდაციები. ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების საფუძველზე დამუშავდა სათანადო ღონისძიებების პროექტი და გადაეცა იმჟამინდელ ჭიათურის ხელმძღვანელობას. ქ. ჭიათურაში, ... ქუჩაზე კლდეზვავებისა და ქვათაცვენებით გამოწვეული საშიშროების შესახებ გეოლოგიის სამსახურმა ჯერ კიდევ 2000 წელს ჭიათურის იმდროინდელ ხელმძღვანელობას გაუგზავნა ინფორმაცია შექმნილი სიტუაციის შესახებ და სამუშაო პროგრამა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ჭიათურის რაიონის გამგებლის 2005 წლის 17 იანვრის #5 განკარგულების საფუძველზე შექმნილმა კომისიამ ადგილზე შესწავლა მდგომარეობა და შეადგინა 2005 წლის 21 იანვრის აქტი. ამ აქტის მიხედვით, ქ. ჭიათურაში, ... ქუჩის მალა მდებარე მალარო, მისასვლელი გზის მიმდებარე ტერიტორიაზე სავალი გზის ბეტონის საფარველი, მანგანუმის მადნის

გამოდების გამო, ავარიულ მდგომარეობაში იყო, რამდენიმე ადგილზე შესაძლებელი იყო გზის ჩამოშლა-ჩამონგრევა. რთული კლიმატური პირობებისა და მადნის მოპოვების ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის გამო, ნებისმიერ დროს მოსალოდნელი იყო ქვათაცვენის განვითარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ლოდის ჩამოვარდნა გამოწვეული იყო კლიმატური პირობებისა და მადნის უკანონო მოპოვების შედეგად. საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიიღო რაიმე ზომა ამ შემთხვევის თავიდან აცილებისათვის, შესაბამისად, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოადგენდა მოცემულ საქმეზე მოპასუხეს, რადგან იმ პერიოდისათვის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები უზრუნველყოფდნენ კატასტროფების, სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციას. ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, რადგან ჭიათურის რაიონის გამგეობამ არ უზრუნველყო უბედურების შედეგების ლიკვიდაცია, ანუ მისი უმოქმედობით დადგა მძიმე შედეგი, ამიტომ, მას უნდა დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურებაც, რადგან სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან გამომდინარე, ჭიათურის რაიონის გამგეობის უმოქმედობა იყო ბრალეულ და მიზეზობრივ კავშირში მოსარჩელის სახლის დანგრევასთან. ჭიათურის რაიონის გამგეობის პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებაზე პირდაპირ გამომდინარეობდა მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის 2007 წლის 31 მაისის წერილის შინაარსიდან, საიდანაც ირკვეოდა, რომ გეოლოგიის სამსახურის გამოკვლევები ეცნობებოდა ჭიათურის მაშინდელ ხელმძღვანელობას სათანადო ღონისძიებების გასატარებლად. «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით კი, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კომპეტენციას წარმოადგენდა გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარების ორგანიზება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ჭიათურის რაიონის გამგეობის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელისათვის გამოყოფილი 1300 ლარი მხოლოდ დახმარება იყო და არა ვალდებულების აღიარება. აღნიშნული თანხის გადაცემა გამოწვეული იყო სწორედ მოსარჩელის სახლის დანგრევით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, რამდენადაც ადგილობრივი ორგანოს კომპეტენციას წარმოადგენდა გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარების ორგანიზება და ეს ღონისძიება არ გატარებულა მოპასუხის მიერ, ამიტომ 1300 ლარის გადაცემა, სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის თანახმად, გულისხმობდა ვალდებულების აღიარებას. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის პირველის ნაწილის თანახმად კი, ყოველი შესრულება გულისხმობდა ვალდებულების არსებობას. ასევე, «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ლ» ქვეპუნქტის თანახმად, მთავრობის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა კატასტროფების, სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა ორგანიზება. მოსარჩელის სახლის კაპიტალური შეკეთებისათვის საჭირო იყო 15038 ლარი. მოსარჩელეს მიღებული ჰქონდა 1300 ლარი, შესაბამისად, მას უნდა ანაზღაურებოდა 13738 ლარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად ჭიათურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 21 თებერვლის #107 წერილზე მითითებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ «საშევარდნოს» კლდის თავზე წერეთლის მადართა სამმართველოს მისასვლელი გზის მიმდებარე ტერიტორია გადათხრილი იყო მარგანეცის მომპოვებელი ფირმებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, სადაც რამდენიმე ადგილას გაჩენილი იყო ღრმულები და ორმოები, რომლებშიც ჩამდგარი იყო წყალი და საფრთხე ემუქრებოდა «საშევარდნოს» კლდეს.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მიუთითა რა აღნიშნულ წერილზე, არ გამოიკვლია და სწორი შეფასება არ მისცა მას იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნული წერილით ჭიათურის რაიონის გამგეობამ მიმართა სს «ჭიათურმანგანუმს» და ითხოვა შესაბამისი ღონისძიებების გატარება ხსენებულ წერილში მითითებული დარღვევების აღსაკვეთად, მაშინ, როდესაც თვით სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენდა სს «ჭიათურმანგანუმის» წერეთლის მადართა სამმართველოს მისასვლელ გზას. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გამოიკვლია და ყურადღება არ გაამახვილა იმაზე, რომ მითითებულ ტერიტორიაზე მანგანუმის მომპოვებელი სხვადასხვა ფირმის მიერ ხორციელდებოდა მადნის მოპოვება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ მათ ევალებოდათ ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქცია.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძვლად ქ. ჭიათურის ქალაქკომის ადმასკომის დაკვეთით შესრულებულ სსრკ სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს საავტომობილო გზების თბილისის სახელმწიფო საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ «თბილსახავტოგზაპროექტის» მიერ 1990 წელს შედგენილ მუშა პროექტზე «საშევარდნოს» კლდის უბნებზე ჩამოქცევის საწინააღმდეგო დაცვის შესახებ მითითებას. სააპელაციო სასამართლომ არ

გამოიკვლია კლდის იმ მონაკვეთზე, რომლის ქვეშაც მოსარჩელის სახლი მდებარეობდა, რისკის ფაქტორი, საშინი ზონის გარდა, წლების მანძილზე მოსახლეობის მიერ კანონდარღვევით განხორციელებული მადნის მოპოვების შედეგად იყო გამოწვეული თუ იმ ფორმის მიერ მადნის მოპოვების შედეგად, რომლებზეც შესაბამისი ლიცენზიები იყო გაცემული, ხოლო, როგორც ზემოხსენებული მუშა პროექტიდან ირკვეოდა, პ. ნ-მის საცხოვრებელი სახლი, იმჟამინდელი მდგომარეობით, საერთოდ არ მდებარეობდა პროექტით გათვალისწინებულ გამაგრებითი სამუშაოების განხორციელების საზღვრებში.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ჭიათურის რაიონის გამგეობის მიერ მოსარჩელისათვის სახლის დაზიანების გამო 1300 ლარის გამოყოფის ფაქტი შეაფასა როგორც გამგეობის მიერ პ. ნ-მის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულების აღიარება, მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რომელი კონკრეტული გარემოება ან მტკიცებულება იძლეოდა ასეთი შეფასების საფუძველს, რატომ გამოირიცხებოდა აღნიშნული ფაქტის ჭიათურის რაიონის გამგეობის მხრიდან გაწეული დახმარების შეფასებად, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხსენებული გამგეობის მხრიდან იქნა განხორციელებული.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია, თუ ვის სარგებლობაშია «საშევარდნოს» კლდე, არის თუ არა მასზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზია ან გარემოსდაცვითი ნებართვა, ადგილი აქვს თუ არა წიაღით უკანონოდ და არარაციონალურ სარგებლობას და ასეთი სარგებლობის აღსაკვეთად განხორციელებულია თუ არა რაიმე ქმედება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და მისი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების –გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის ინსპექციის მიერ. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გადაწყვიტა, წარმოადგენდა თუ არა მოცემულ საქმეზე ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა სათანადო მოპასუხეს.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფდნენ კატასტროფების, სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციას, ვინაიდან სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაცია არ ნიშნავდა სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 21 თებერვლამდე.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის განჩინებით ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა მხარეთა დასწრებით დაინიშნა 2008 წლის 3 აპრილს, 11.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შემოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2005 წელს ქ. ჭიათურაში «საშევარდნოს» მთიდან მოწყვეტილმა, დაახლოებით 16-ტონიანმა ლოდმა დაანგრია პ. ნ-მის საცხოვრებელი სახლი, ხოლო პ. ნ-მემ რამდენჯერმე მიმართა ჭიათურის რაიონის გამგეობას (უფლებამონაცვლე -ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) და მოითხოვა მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. შპს «საპროექტოს» გეოლოგის დასკვნის მიხედვით, ქ. ჭიათურაში, ... ქუჩის #50-ში მცხოვრებ პ. ნ-მის საცხოვრებელ სახლს «საშევარდნოს» მხრიდან დაეცა კირქვის ლოდი, დიამეტრით სამი მეტრი, სისქით 60-80 სმ. ლოდი დაეცა სახლს 80-100 მეტრის სიმაღლიდან, რომელიც მოსწყდა «საშევარდნოს» კლდის ვერტიკალურ კედელს, რაც გამოწვეული იყო ნაპრალებით, რომლებიც ძლიერი წვიმის დროს უფრო ირეცხებოდა და ქმნიდა საშიშროებას. ამასთან, აღნიშნულმა ლოდმა დააზიანა პ. ნ-მის საცხოვრებელი სახლის სახურავი, მზიდი კედლები და ტიხრები, სახლი აუცილებლად საჭიროებდა გადახურვას და მზიდი კედლებისა და ტიხრების გამაგრებას, ლოდი ადგილზე უნდა დამტკრეულიყო პნევმატური ჩაქუჩით, «საშევარდნოს» კლდის მხარეს ნაპრალების შემოწმება და ლოდების დროულად მოცილება აუცილებელი იყო, რადგან ძლიერი წვიმებისა და ყინვების დროს მოსალოდნელი იყო ქვების ცვენა. მთავრობის კანცელარიის რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსის 2005 წლის 21 ნოემბრის წერილის მიხედვით, ჭიათურის რაიონის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლისადმი, ხსენებული გამგეობა შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას აღმოუჩენდა პ. ნ-მეს. 2005 წელს შედგენილი ხარჯთაღრიცხვით, პ. ნ-მის საცხოვრებელი

სახლის კაპიტალური შეკეთებისათვის საჭირო იყო 15038 ლარი. ჭიათურის რაიონის გამგეობამ (უფლებამონაცვლე -ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) პ. ნ-ძეს ორჯერ მისცა თანხა, ჯერ 300 ლარის, ხოლო შემდეგ -1000 ლარის ოდენობით. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის 2007 წლის 31 მაისის #17/840 წერილის მიხედვით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში, გეოლოგიის სამსახურმა ჩატარა სპეციალური კვლევები და დასახა გამაჯანსაღებელი რეკომენდაციები, ხოლო ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე დამუშავდა სათანადო ღონისძიებების პროექტი და გადაეცა ქ. ჭიათურის იმჟამინდელ ხელმძღვანელობას, ქ. ჭიათურაში, ... ქუჩაზე კი კლდეზავებისა და ქვათაცვენებით გამოწვეული საშიშროების შესახებ გეოლოგიის სამსახურმა ჯერ კიდევ 2000 წელს გაუგზავნა ჭიათურის იმდროინდელ ხელმძღვანელობას ინფორმაცია შექმნილი სიტუაციის თაობაზე და სამუშაო პროგრამა. ჭიათურის რაიონის გამგეობის (უფლებამონაცვლე -ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) 2005 წლის 21 თებერვლის #107 წერილში აღნიშნულია, რომ «საშევარდნოს» კლდის თავზე მალაროთა სამმართველოს მისასვლელი გზის მიმდებარე ტერიტორია გადათხრილი იყო მანგანუმის მადნის მოპოვებელი ფირმებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, სადაც რამდენიმე ადგილზე გაჩენილი იყო ღრმულები და ორმოები, რომლებშიც ჩამდგარი იყო წყალი და საფრთხე ემუქრებოდა «საშევარდნოს» კლდეს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 15 ოქტომბრის #01-5/3120 წერილის თანახმად, «საშევარდნოს» კლდიდან ლოდის მოწყვეტის მიზეზის დადგენა შეუძლებელი იყო, რადგან ხსენებული ფაქტი მოხდა 2005 წელს და იმჟამად ყველანაირი კვალი, როგორც მიწაზე, ასევე კლდეზე (მოწყვეტილი ლოდის ფუძეზე) განადგურებული იქნებოდა.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ პ. ნ-ძისათვის ზიანის მიყენება კომპლექსურად განაპირობა და ერთობლივად გამოიწვია, როგორც ბუნებრივმა, ანუ სტიქიურმა, ისე ადამიანურმა, ანუ ხელოვნურმა ფაქტორმა, რამაც ობიექტური თვალსაზრისით, მატერიალური გამოხატულება პოვა, შესაბამისად, სტიქიური მოვლენის მოქმედებასა და შესაბამისი ვალდებული სუბიექტის -მოპასუხის პასიურობაში, უმოქმედობაში. ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმის შესახებ, რომ ლოდის ჩამოვარდნა გამოწვეული იყო კლიმატური პირობებისა და მადნის უკანონო მოპოვების შედეგად, ხოლო ამ საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ (უფლებამონაცვლე -ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) მიიღო რაიმე ზომა ამ შემთხვევის თავიდან აცილებისათვის და შესაბამისად, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა (უფლებამონაცვლე -ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) წარმოადგენს მოცემულ საქმეზე მოპასუხეს, რადგან ჭიათურის რაიონის გამგეობამ (უფლებამონაცვლე -ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) არ უზრუნველყო უბედურების შედეგების ლიკვიდაცია, ანუ მისი უმოქმედობით დადგა მძიმე შედეგი, ამიტომ მას უნდა დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურება, რადგან სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან გამომდინარე, ჭიათურის რაიონის გამგეობის უმოქმედობა ბრალულ და მიზეზობრივ კავშირში იყო მოსარჩელის სახლის დანგრევასთან, რამდენადაც «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი ორგანოს კომპეტენციას წარმოადგენდა გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარების ორგანიზება და აღნიშნული ღონისძიება არ გატარებულა მოპასუხის მიერ, ამიტომ პ. ნ-ძისათვის 1300 ლარის გადაცემა, სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის თანახმად, გულისხმობდა ვალდებულების აღიარებას, იმავე კოდექსის 361-ე მუხლის პირველის ნაწილის თანახმად კი, ყოველი შესრულება გულისხმობდა ვალდებულების არსებობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით რეგლამენტირებულ მავალდებულებელ ნორმაში, ჯერ ერთი, საუბარია ბრალის ორივე ფორმაზე, ანუ ზიანის მიმყენებელს გაუფრთხილებელი ბრალის შემთხვევაშიც ეკისრება ზიანის ანაზღაურება და მეორეც, მიყენებულ ზიანში, ძირითადად, აქტიური მოქმედებით მიყენებული ზიანი იგულისხმება, თუმცა ზიანი შეიძლება გამოწვეულ იქნეს ასევე უმოქმედობით იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მოქმედების შესრულება ზიანის მიმყენებელი პირის ვალდებულებას წარმოადგენდა. ამასთან, ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპის მიხედვით, ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად ზიანის მიყენებაში მანამ, სანამ იგი არ დაამტკიცებს თავის არაბრალეულობას, მიყენებული ზიანი კი ექვემდებარება სრულად ანაზღაურებას ვალდებული პირის მიერ, ანუ აღდგენილ უნდა იქნეს პირვანდელი, ზიანის მიყენებამდე არსებული მდგომარეობა, ამ შემთხვევაში, სათანადო ფულადი კომპენსაციით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმჟამად მოქმედ «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტზე, რომლის

თანახმად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფდნენ კატასტროფების, სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციას. იმავე კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ლ» ქვეპუნქტის მიხედვით, ადგილობრივი მთავრობის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა კატასტროფების, სტიქიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა ორგანიზება. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხსენებული საკანონმდებლო ნორმებიდან გამომდინარე, სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაცია სწორედ რაიონის გამგეობის ვალდებულებას წარმოადგენდა, რაც მას ხსენებული კანონით იმპერატიულად ევალებოდა, მით უმეტეს, თუ ამ კანონის მიერ ვალდებულებას თან ახლდა იმავე გამგეობის მიერ შესაბამისი მოვალეობის შეუსრულებლობა, რომლის შესრულება, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობდა სტიქიური უბედურების, ამით გამოწვეული უბედური შემთხვევისა და ზიანის მიყენების პრევენციას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გარდა იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა (ჭიათურის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლე) პ. ნ-ძის სარჩელზე სათანადო მოპასუხედ, მან მოსარჩელეს ასევე სწორად აუნაზღაურა მისთვის მიყენებული ზიანი, რადგან პ. ნ-ძის სახლის კაპიტალური შეკეთებისათვის საჭირო, ზემოხსენებული მტკიცებულებით კონკრეტულად განსაზღვრული თანხის -15038 ლარისა და მოსარჩელის მიერ მანამდე უკვე მიღებული თანხის -1300 ლარის სხვაობას წარმოადგენდა სწორედ 13738 ლარი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფდნენ კატასტროფების, სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციას, ვინაიდან სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაცია არ ნიშნავდა სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კასატორი არ მიუთითებს, რომ, თუ აღნიშნული არ გულისხმობდა ზიანის ანაზღაურებას, მაშინ რას ითვალისწინებდა სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაცია.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სააქციო საზოგადოება «ჭიათურმანგანუმისა» და წერეთლის სახელობის მადაროთა სამმართველოსადმი ჭიათურის რაიონის გამგეობის (უფლებამონაცვლე -ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) 2005 წლის 21 თებერვლის #108 წერილით, გამგეობამ მათ მხოლოდ სთხოვა გაეთვალისწინებინათ ქ. ჭიათურაში, ... ქუჩაზე მცხოვრებთა საშიში მდგომარეობა - მოსახლეობისა და კერძო ფირმების მიერ მანგანუმის მადნის უკანონო მოპოვების გამო, ჩნდებოდა ღრმულები და ორმოები, რომლებშიც დგებოდა წყალი და იგი ჩაედინებოდა «საშევარდნოს» კლდის ნაპრალებში, რაც საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობის სიცოცხლეს, ასევე ქვათა ცვენას შეიძლება მოჰყოლოდა საცხოვრებელი სახლის ნგრევა, კომუნიკაციების მწყობრიდან გამოსვლა და უახლოეს პერიოდში დაეწყოს «საშევარდნოს» კლდის თავზე გაჩენილი ღრმულებისა და ორმოების ამოვსება. მართალია, ჭიათურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 17 იანვრის #5 განკარგულების საფუძველზე შექმნილმა კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაუყოვნებლივ აკრძალულიყო ქ. ჭიათურაში, ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე «საშევარდნოს» კლდის ჩათვლით მანგანუმის მადნის უკანონო მოპოვება-შეგროვება, აგრეთვე, მადნის მოპოვების შედეგად გაჩენილი ორმოების უახლოეს დროში ამოვსება ფუჭი ქანებით, ასევე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წარდგენოდა თხოვნა შესაბამისი თანხების გამოყოფის თაობაზე «საშევარდნოს» კლდის გამაგრებისათვის, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჭიათურის რაიონის გამგეობას (უფლებამონაცვლე -ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) არავითარი ქმედითი ზომები არ მიუღია ქ. ჭიათურაში, ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთა უფლებების დასაცავად და მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კერძოდ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ იმავე გამგეობისთვის ნამდვილად იყო ცნობილი ქ. ჭიათურაში, ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, «საშევარდნოს» კლდის ჩათვლით, მანგანუმის მადნის უკანონო მოპოვების შესახებ, რასაც არც თვითონ უარყოფს, მაგრამ ხსენებულმა გამგეობამ არ გაითვალისწინა, რომ აღნიშნულის მხოლოდ აკრძალვა არ იყო საკმარისი და კასატორს ამ უკანონობის აღსაკვეთად არ მიუმართავს სათანადო სახელმწიფო ორგანოებისთვის კანონით გათვალისწინებული ზომების მიღების მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 3 აგვისტოს წერილზე ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის (ჭიათურის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლე) 2007 წლის 31 აგვისტოს პასუხის მიხედვით, «საშევარდნოს» კლდიდან ლოდის მოწყვეტის ფაქტი გამოიწვია დამჭერი გრუნტის ჩამოშლამ და გამორეცხვამ, რადგან ბუნებრივი რელიეფიდან გამომდინარე, ატმოსფერული ნალექი ზეგნებიდან აქტიურად ჩამოედინებოდა ქალაქის ცენტრალურ ტერიტორიაზე, რაც იწვევდა დანაპრალებული კლდეების გამორეცხვას, ხოლო «საშევარდნოს» კლდე წარმოადგენდა სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე არსებულ კირქვის მასას, რომელიც ზოლად ემიჯნებოდა ... ქუჩასა და წერეთლის სახელობის მადაროთა სამმართველოსკენ მიმავალ სატრანსპორტო გზას, იმავე გამგეობისთვის კი უცნობი იყო მითითებულ ზოლზე გაცემული იყო თუ არა წიაღით სარგებლობის ლიცენზია ან გარემოსდაცვითი ნებართვა.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კასატორის ზემოაღნიშნული პასუხიდან ნათლად ჩანს, რომ «საშევარდნოს» კლდე მდებარეობდა სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე და იგი არ იყო რომელიმე სხვა პირის მფლობელობაში, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დაეფუძნებინა სხვა

პირთა პასუხისმგებლობა პ. ნ-მისათვის ზიანის ანაზღაურების კუთხით, რის გამოც საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია, თუ ვის სარგებლობაში იყო «საშევარდნოს» კლდე, იყო თუ არა მასზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზია ან გარემოსდაცვითი ნებართვა, ადგილი ჰქონდა თუ არა წიაღით უკანონოდ და არარაციონალურ სარგებლობას და ასეთი სარგებლობის აღსაკვეთად განხორციელებული იყო თუ არა რაიმე ქმედება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და მისი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის ინსპექციის მიერ, ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გადაწყვიტა, წარმოადგენდა თუ არა მოცემულ საქმეზე ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა (ჭიათურის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლე) სათანადო მოპასუხეს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, როგორც ზემოხსენებულიდან ცხადად ირკვევა, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით რეგლამენტირებული ინკვიზიციურობის უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციული საპროცესო პრინციპი, ანუ მისთვის მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილება დამატებითი ინფორმაციის, ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების წარმოსადგენად.

ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 იანვრის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჭიათურის რაიონის გამგეობის (უფლებამონაცვლე -ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) უმოქმედობის გამო, ხდებოდა მანგანუმის მადნის მოპოვება, ხსენებული გამგეობა არ იჩენდა სათანადო ყურადღებას და ისედაც საშიში ზონა უფრო საშიში გახდა, იმავე გამგეობის უმოქმედობით ჩამოვარდა 16-ტონიანი ლოდი და დააზიანა პ. ნ-მის საცხოვრებელი სახლი, რის გამოც ჭიათურის რაიონის გამგეობა (უფლებამონაცვლე -ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) ვალდებული იყო, სრულად აენაზღაურებინა მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 ოქტომბრის სხდომაზე აპელანტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ, რადგან გამოწვეული ზიანის მიყენების აღსაკვეთად მოპასუხე ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობას (ჭიათურის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლე) არ გაუტარებია რაიმე ღონისძიება და ასევე არ არსებობდა რაიმე დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა ვინმეს დაკავება მადნის უკანონო მოპოვებისათვის, მაშინ, როდესაც დგინდებოდა, რომ ადგილი ჰქონდა მადნის უკანონო მოპოვებას, რასაც შედეგად პ. ნ-მისათვის ზიანის მიყენება მოჰყვა, აღნიშნულით დაირღვა პ. ნ-მის კონსტიტუციური უფლება ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების შესახებ და მისთვის მიყენებული ზიანი გამოწვეული იყო იმავე გამგეობის უმოქმედობით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის (ჭიათურის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლე) პასუხისმგებლობა მოსარჩელის წინაშე და მისივე ვალდებულება, აუნაზღაუროს პ. ნ-მეს მისთვის მიყენებული ზიანი, ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად არის დადგენილი ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმებითა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ანუ სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ერთიანი კომპლექსით.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 3 აპრილის სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობას (ჭიათურის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლე) ზემოაღნიშნული დარღვევების თაობაზე არ მიუმართავს პოლიციისათვის და გარდა ზემოთ მოხსენიებული თხოვნისა, არ განუხორციელებია არავითარი ღონისძიება. იმავე სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა განმარტა, რომ უკანონოდ ხდებოდა მანგანუმის მადნის მოპოვება, ხოლო ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა (ჭიათურის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლე) არავითარ რეაგირებას არ ახდენდა ამ უკანონობაზე და უფრო მეტიც, ჩამოვარდნილი ლოდი პ. ნ-მის სახლიდან ჯერაც არ არის გატანილი, რის გამოც არსებობს დასახელებული ადგილობრივი მმართველობის ორგანოს უმოქმედობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე მიიღო კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება და არ არსებობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის (ჭიათურის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რის გამოც აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის (ჭიათურის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#ბს-234-221(23-07)

18 ივლისი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ნ. სხირტლაძე

სარჩელის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის, ადვოკატისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 6 ივლისს ლ. ხ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მერიის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2005 წლის 20 მარტს ქ. თბილისში, ჩხეიძის ქუჩაზე ჩაჯდა #214 სამარშრუტო ტაქსში, რომელიც სადგურის მიმართულებით მოძრაობდა. გზაზე ხსენებული სამარშრუტო ტაქსი შეყოვნდა, ვინაიდან ორი სატვირთო-ლიფტისანი მანქანით ხდებოდა ხეების ტოტების მოჭრა და გზა იყო გადაკეტილი. სამარშრუტო ტაქსის მძღოლი იძულებული გახდა, შემოვლითი გზით გაეგრძელებინა მარშრუტი. ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ეზოში, ქუჩის განაპირა ტერიტორიაზე, მწკრივად იდგა ხეები, რომელთაგან ერთ-ერთი დაეცა აღნიშნულ სამარშრუტო ტაქსს, რის შედეგადაც მოსარჩელემ მიიღო მძიმე ტრავმა. მორიგე პატრულმა მოსარჩელე გადაიყვანა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში, სადაც მას ჩაუტარდა გადაუდებელი ოპერაცია.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ქალაქის კეთილმოწყობისა და უსაფრთხოების ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი იყო ქ. თბილისის მერია, რომელსაც ევალებოდა თვითმმართველობის ორგანოს -საკრებულოს მიერ შემუშავებული პროგრამების აღსრულება და მათ შესრულებაზე უშუალო ზედამხედველობის განხორციელება. მოცემულ შემთხვევაში კი ქ. თბილისის მერიას მომხდარი უბედური შემთხვევის ასაცილებლად შესაბამისი სავალდებულო ზომები არ მიუღია, რითაც დაარღვია «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ», «საქართველოს დედაქალაქის -თბილისის შესახებ» კანონებისა და საქართველოს დედაქალაქის -ქალაქ თბილისის მერიის დებულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები, რის შედეგადაც მოსარჩელეს მიადგა მატერიალური და მორალური ზიანი. აღნიშნული უბედური შემთხვევის შედეგად, მოსარჩელე გახდა დროებით შრომისუუნარო, რის გამოც რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ ახორციელებდა სამსახურებრივ მოვალეობას, შესაბამის ორგანიზაციაში მარტის პირველ ნახევარში გაფორმებული სამთვლიანი კონტრაქტის თანახმად, სადაც უნდა წაეკითხა ტრენინგის კურსები, თვეში 500 აშშ დოლარის ანაზღაურებით. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ოჯახის ერთადერთ მარჩენალს წარმოადგენდა, მისი ოჯახი აღმოჩნდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, მიღებული ფიზიკური ტრავმის გამო, მას გაუკეთდა გადაუდებელი მძიმე ოპერაცია, გაიარა ხანგრძლივი სტაციონალური და მედიკამენტოზური მკურნალობა, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს კანონის 46-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე და 1005-ე მუხლების საფუძველზე, ქ. თბილისის მერიისთვის მის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის -3900 ლარისა და მორალური ზიანის -20000 ლარის ანაზღაურება, ასევე, ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის -1500 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ლ. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. თბილისის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის -2721,1 ლარისა და მორალური ზიანის -1000 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ლ. ხ-შვილმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა იმ ნაწილში, რომლითაც მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აპელანტმა ხსენებული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ქ. თბილისის მერიამაც გაასაჩივრა იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. აპელანტმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ლ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. თბილისის მერიის ლ. ხ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის -2880,27 ლარისა და მორალური ზიანის -3000 ლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარისადმი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის მიერ 2005 წლის 10 იანვარს გაგზავნილი #1 წერილის თანახმად, ხსენებული კოლეჯის ტერიტორიაზე (ფეხბურთის სტადიონზე) არსებული ყველა ალვის ხე გადაბერებული იყო, მათმა წაქცევამ არაერთხელ გამოიწვია აგურის ღობის ნგრევა, რის გამოც ხეები ამოძრვას საჭიროებდა. ამდენად, ხსენებული კოლეჯის დირექტორმა აღნიშნული ხეების ამოძრვკის ნებართვა მოითხოვა. ამასთან, სტაციონალური ავადმყოფის სამედიცინო ბარათისა და მკურნალი ექიმის წერილის თანახმად, 2005 წლის 20 მარტს, 14.05 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში საპატრულო სამსახურის მიერ მიყვანილ იქნა ლ. ხ-შვილი, რომელსაც ორივე ბარძაყის ზემო მესამედში ჰქონდა შერჭობილი 70-80 სანტიმეტრი სიგრძის, დიამეტრით 6X6 სანტიმეტრზე ხის ნატეხი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2005 წლის 26 აპრილის #05-14/763 წერილის თანახმად, «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონისა და «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ქ. თბილისის ქუჩების კეთილმოწყობისა და გამწვანების პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება და ამ ღონისძიებათა განხორციელებაზე უშუალო კონტროლი და ზედამხედველობა წარმოადგენდა ქ. თბილისის თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა უფლებამოსილებას. «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ქ. თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდებოდა ქ. თბილისის მერიის მეშვეობით. ქ. თბილისის მერია წარმოადგენდა სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფდა ქ. თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას. იმავე კანონის 22-ე მუხლის თანახმად კი, ქ. თბილისის მერი ამტკიცებდა ქ. თბილისის კეთილმოწყობისა და გამწვანების პროგრამებსა და გეგმებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სწორედ ქ. თბილისის მერია იყო ვალდებული, ამოეძრევა ხეები, რომლებიც საშიშროებას ქმნიდა და შეექმნა უსაფრთხო გარემო, რაც არ შესრულდა და რამაც მოცემული შემთხვევა განაპირობა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აანაზღაუროს ეს ზიანი. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, ზიანი შეიძლება მიყენებულ იქნეს უმოქმედობითაც, როგორც მოცემულ შემთხვევაში მოხდა, ვინაიდან შესაბამისი მოქმედების, კერძოდ, ხეების ამოძრვკისა და უსაფრთხო გარემოს შექმნის მოვალეობა სწორედ მოპასუხეს ეკისრებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობას, მოსარჩელისათვის მიყენებულ მატერიალურ ზიანს, მიზნობრივ კავშირს უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის თანახმად კი, დაზარალებულს უფლება ჰქონდა, მკურნალობის ხარჯები წინასწარაც მოეთხოვა, რის გამოც სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი მოსარჩელისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის, კერძოდ, ოპერაციის თანხის -200 ლარის, შპს «ჯი-აი-ენ-ენ» კუზანოვის კლინიკაში მკურნალობის თანხის -1700 ლარის, სამთვიანი შრომისუუნარობით გამოწვეული ზიანის -საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმის -821,10 ლარის ნაწილში, სულ -2721,10 ლარის ოდენობით.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო მტკიცებულებები, კერძოდ, სამედიცინო კონსულტაციისთვის 15 ლარისა და მედიკამენტების შესაძენად 144,17 ლარის გადახდის ქვითრები, ხოლო აღნიშნულ მტკიცებულებებზე მითითებული თარიღები და სამედიცინო პრეპარატების დასახელებები, ლ. ხ-შვილის ავადმყოფობის სამედიცინო ბარათის ჩანაწერებიდან გამომდინარე, იძლეოდა იმის საფუძველს, რომ ისინი სწორედ მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების დამადასტურებელ მტკიცებულებებად ყოფილიყო მიჩნეული, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი ამ ნაწილშიც უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველიც, ვინაიდან დასტურდებოდა, რომ ფიზიკური დაზიანებით მოსარჩელემ მიიღო მორალური ზიანიც. აღნიშნული ზიანით გამოწვეული ტკივილების

შემსუბუქებას კი სწორედ ამ ზიანის ფულადი კომპენსაცია წარმოადგენდა. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო, როგორც მოსარჩელის სუბიექტური დამოკიდებულება ამ ზიანის მიმართ, ისე ობიექტური გარემოებები და მორალური ზიანის ანაზღაურების გონივრულ და სამართლიან ოდენობად 3000 ლარი მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატის მომსახურების ხარჯის -1500 ლარის ანაზღაურების თაობაზე და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაწეული ხარჯები, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება ეკისრება მეორე მხარეს, ხოლო, თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება იმ ნაწილის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხსენებულ მუხლში საუბარი იყო უკვე გაწეულ ხარჯებზე. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ ადვოკატისათვის აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ოფიციალური საბუთი საქმეში არ იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება ლ. ხ-შვილმა საკასაციო წესით გაასაჩივრა იმ ნაწილში, რომლითაც მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა. კასატორმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ, ერთი მხრივ, არ უარყო ის ფაქტი, რომ ლ. ხ-შვილმა განიცადა მძიმე ფიზიკური ტკივილი, რაც დასტურდებოდა საქმეში არსებული ექიმის შესაბამისი სამედიცინო დასკვნით, სპეციალისტის სახით მოწვეული მკურნალი ექიმის დაკითხვის ოქმით, ფოტო-სურათებითა და ვიდეო-ფირით. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ მტკიცებულებებსა და სამართლის ნორმებზე დაყრდნობით, დაადგინა მოპასუხის მხრიდან ლ. ხ-შვილისათვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტი, ამასთან, გაიზიარა მოსარჩელის სუბიექტური დამოკიდებულება დამდგარი ზიანის მიმართ, მეორე მხრივ კი, ობიექტური გარემოებების გამო, გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად 3000 ლარი მიიჩნია, რასაც კასატორი არ იზიარებს.

კასატორი ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმას და განმარტავს, რომ აღნიშნული ხარჯის გადახდა ქ. თბილისის მერიას უნდა დაეკისროს. ადვოკატის მომსახურების ხარჯების გადახდა მოსარჩელესა და ადვოკატს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, უნდა მომხდარიყო მოცემული საქმის განხილვის დამთავრებისას. აღნიშნული ხელშეკრულება მოსარჩელემ წარადგინა საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის დროს, რაც საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა და უარი განაცხადა ადვოკატის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მტკიცებულების სახით საქმეზე დართვაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით ქ. თბილისის მერიამაც გაასაჩივრა იმ ნაწილში, როლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა. კასატორმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 105-ე მუხლი, ამასთან, უკანონოდ არ გაითვალისწინა მოსარჩელის მკურნალი ექიმის ახსნა-განმარტება, რომ ლ. ხ-შვილი განკურნებული იყო და დამატებით მკურნალობას აღარ საჭიროებდა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია მოსარჩელისათვის დროებითი შრომისუუნარობით გამოწვეული ზიანის, რაც 821 ლარს შეადგენდა, ანაზღაურება. ამასთან, არ მიუთითა სამართლებრივი საფუძველი, რომლის თანახმადაც, ქ. თბილისის მერიას მოსარჩელისათვის დროებითი შრომისუუნარობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დაეკისრა.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილშიც, რასაც საფუძველად დაუდო ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკის ექიმის -ლ. ღ-ტის 2005 წლის 13 დეკემბრის ამონაწერი მოსარჩელის ავადმყოფობის სამედიცინო ბარათიდან, რომლის თანახმადაც, მოსარჩელეს დაესვა დიაგნოზი -ნევროზული მდგომარეობა, რასაც მოსარჩელე უკავშირებდა 2005 წლის 24 მარტს მომხდარ შემთხვევას. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ საკმარის საფუძველად მიიჩნია აღნიშნული ამონაწერი და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება იმის თაობაზე, თუ რამდენად იყო მოსარჩელის დიაგნოზი -ნევროზული მდგომარეობა უშუალო მიზეზობრივ კავშირში 2005 წლის 24 მარტს მომხდარ ავარიულ შემთხვევასთან, ამასთან, საქმეში არ მოიპოვებოდა აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი სპეციალისტის დასკვნა.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 მარტის განჩინებებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ლ. ხ-შვილისა და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრები; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 23 მარტის განჩინებების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივრები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2007 წლის 23 მაისამდე.

2007 წლის 11 აპრილს ქ. თბილისის მერიამ უზენაეს სასამართლოში წარადგინა მოსაზრება ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის თაობაზე და აღნიშნა, რომ საკასაციო საჩივარი იყო დასაშვები.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 მაისის განჩინებით ლ. ხ-შვილისა და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მათი განხილვა დაინიშნა 2007 წლის 18 ივლისს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარისადმი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის მიერ 2005 წლის 10 იანვარს გაგზავნილი წერილის თანახმად, ხსენებული კოლეჯის ტერიტორიაზე (ფეხბურთის სტადიონზე) არსებული ყველა ალვის ხე გადაბერებული იყო და მათმა წაქცევამ არაერთხელ გამოიწვია აგურის ღობის ნგრევა, რის გამოც ხეები ამოძირკვას საჭიროებდა და ამიტომ, ხსენებული კოლეჯის დირექტორმა აღნიშნული ხეების ამოძირკვის ნებათავე მოითხოვა. 2005 წლის 20 მარტს ლ. ხ-შვილმა სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას მიიღო მძიმე ტრავმა -სამარშრუტო ტაქსს დაეცა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ეზოში მდგარი ალვის ხე, რა დროსაც მან მიიღო ორივე ბარძაყის გამჭოლი ჭრილობები და დასჭირდა რეგულარული მკურნალობა. სტაციონალური ავადმყოფის #671 სამედიცინო ბარათიდან ირკვევა, რომ ლ. ხ-შვილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ სავადმყოფოში შეიყვანეს 2005 წლის 20 მარტს, 14.05 საათზე, ორთავე ბარძაყში გამჭოლი ჭრილობებით. ლ. ხ-შვილს მკურნალობისათვის დასჭირდა გარკვეული თანხები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არ წამოუყენებია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება) და იგი ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს, ასევე ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარში არც რაიმე სამართლებრივ საფუძვლებზეა მითითება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ «საქართველოს დედაქალაქის -თბილისის შესახებ» საქართველოს კანონისა და «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ქ. თბილისის ქუჩების კეთილმოწყობისა და გამწვანების პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება და ამ ღონისძიებათა განხორციელებაზე უშუალო კონტროლი და ზედამხედველობა წარმოადგენს ქ. თბილისის თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა უფლებამოსილებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «საქართველოს დედაქალაქის -თბილისის შესახებ» კანონის მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, ქ. თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ქ. თბილისის საკრებულოსა და ქ. თბილისის მერიის მეშვეობით. ამდენად, ქ. თბილისის მერია წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოთა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ქ. თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას, ხოლო აღნიშნული კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ო²» ქვეპუნქტის მიხედვით, ქ. თბილისის მერი ამტკიცებს ქ. თბილისის კეთილმოწყობისა და გამწვანების პროგრამებსა და გეგმებს.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ სწორედ ქ. თბილისის მერია იყო ვალდებული, ამოეძირკვა ხეები, რომლებიც საშიშროებას ქმნიდა და შეექმნა უსაფრთხო გარემო, რაც არ შესრულდა და რამაც ზემოაღნიშნული შემთხვევა განაპირობა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიამ არ შეასრულა «საქართველოს დედაქალაქის -თბილისის შესახებ» კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ო²» ქვეპუნქტიდან გამომდინარე შესაბამისი ვალდებულება, რამაც უშუალოდ გამოიწვია მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი, ასევე -საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მატერიალურ-საკანონმდებლო ნორმების მიხედვით, კონკრეტულ შემთხვევაში ქ. თბილისის მერიას ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და მან უნდა აუნაზღაუროს ლ. ხ-შვილს მიყენებული ზიანი, რადგან მან თავისი ბრალეული უმოქმედობით არ გაატარა შესაბამისი აუცილებელი ღონისძიება, კერძოდ, არ მოახდინა

მობერებული ხეების ამომიკვება და, შესაბამისად, არ მოუხდენია მათგან მომდინარე საშიშროების გაუფრებლყოფაც.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსარჩელას, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობას, მოსარჩელისათვის მიყენებულ მატერიალურ ზიანს, მიზეზობრივ კავშირს მოპასუხის უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის თანახმად კი, დაზარალებულს უფლება ჰქონდა, მკურნალობის ხარჯები წინასწარაც მოეთხოვა.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ლ. ხ-შვილს მართებულად აუნაზღაურა მორალური ზიანი, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ ფიზიკური დაზიანების შედეგად მოსარჩელეს მიადგა მორალური ზიანიც, ასევე სწორად განსაზღვრა მორალური ზიანის ანაზღაურების გონივრულ და სამართლიან ოდენობად 3000 ლარი, კერძოდ, იმ სულიერ-მორალური ტკივილისა და რეალური ტანჯვის გათვალისწინებით, რაც მოსარჩელემ განიცადა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლზე, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა, ხოლო დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლით რეგლამენტირებული საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვით, ობიექტურად შეაფასა ლ. ხ-შვილისათვის მიყენებული მორალური ზიანის ოდენობა, რის გამოც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორ ქ. თბილისის მერიის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატის მომსახურების ხარჯის -1500 ლარის ანაზღაურების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება ეკისრება მეორე მხარეს, ხოლო თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება იმ ნაწილის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი შეეხება უკვე გაწეულ ხარჯებს, მათ შორის, ადვოკატისათვის გაწეულ ხარჯებს და იგი არ ითვალისწინებს იმ ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც ჯერ არ გაუწევია მხარეს და რომლის გაწევასაც იგი აპირებს მომავალში, კერძოდ, ადვოკატისათვის არ გადაუხდია მომსახურების თანხა. კასატორი ლ. ხ-შვილი მიუთითებს, რომ უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მიერ ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმა, რაც ქ. თბილისის მერიას უნდა დაეკისროს, ხოლო ადვოკატის მომსახურების ხარჯების გადახდა მოსარჩელესა და ადვოკატს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, უნდა მომხდარიყო მოცემული საქმის განხილვის დამთავრებისას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ვინაიდან მოცემულ საქმეში წარმოდგენილი არ არის მოსარჩელე ლ. ხ-შვილის მიერ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯების, ანუ მისთვის თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისად, უსაფუძვლოა ლ. ხ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა ადვოკატის მომსახურების ხარჯის -1500 ლარის ანაზღაურების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მიიღო სწორი გადაწყვეტილება და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არის უსაფუძვლო, რის გამოც აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მერიისა და ლ. ხ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#ბს-454-43 (კ-05)

18 ოქტომბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1999 წლის 3 სექტემბერს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა თ. ა-მემ მოპასუხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაორგანული ქიმიის კათედრის გამგე რ. გ-ურის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

თ. ა-მემ 1981 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში იგი მუშაობდა ამავე ფაკულტეტის არაორგანული ქიმიის კათედრაზე სახელმწიფო უნივერსიტეტის თემაზე როგორც ენთუზიასტი, ხოლო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ - როგორც კათედრის თანამშრომელი. 1983 წელს კათედრაზე დაუმტკიცეს საკვალიფიკაციო თემა, 1989 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1990 წელს კათედრაზე გამოცხადდა კონკურსი დოცენტის სამტატო ერთეულის დასაკავებლად, მაგრამ იგი კონკურსში არ დაუშვეს. იყო მცდელობა კონკურსის გაუქმების, ნერვიულობის შედეგად მოხვდა საავადმყოფოში, გაურთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა. საავადმყოფოდან გამოსვლისას კათედრის გამგემ საბოლოოდ აითვალწუნა, ამცირებდა და ყველა პირობას უქმნიდა, რომ ხელი შეეშალა მისი მეცნიერული მუშაობისათვის. კათედრის გამგემ ცილი დასწამა, თითქოს საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი მოპარული ჰქონდა. კათედრის გამგე არ უქმნიდა შრომის პირობებს, კანონის დარღვევით უცხადებდა საყვედურებს, ჩამოართვა ლაბორატორიის გასაღები, აღარ უშვებდა სამუშაოზე. მიმართა რექტორატს, პირდებოდნენ, რომ დაარეგულირებდნენ მდგომარეობას, მაგრამ ამოდ. კათედრის გამგე რ. გ-ურმა დაარღვია შრომის კანონმდებლობისა და მორალური ეთიკის ქცევის წესები. მან აბუჩად აიგდო და შელახა მოსარჩელის კანონიერი უფლებები, სამუშაოზე არ უშვებდა და ყოველდღიურად ზის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. კათედრის გამგე რ. გ-ურმა შეურაცხყო არამარტო მოსარჩელის პიროვნული ავტორიტეტი, არამედ შეურაცხყოფა მიაყენა მისი, როგორც მეცნიერის ავტორიტეტს, მის ჯანმრთელობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა კათედრის გამგე რ. გ-ურის მკაცრად დასჯა და სარჩელის დაკმაყოფილება.

2000 წლის 15 მაისს თ. ა-მემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ამავე უნივერსიტეტის არაორგანული ქიმიის კათედრის გამგე რ. გ-ურის მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა:

ა. 1990 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის მიერ არაორგანული და ზოგადი ქიმიის კათედრის დოცენტის სამტატო ერთეულის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის დამთავრება იმ დროისათვის არსებული პირობების დაცვით;

ბ. მორალური ზიანის ანაზღაურება 500 000 ლარის ოდენობით.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

თ. ა-მემ 1981 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში იგი მუშაობდა ამავე ფაკულტეტის არაორგანული ქიმიის კათედრაზე რ. გ-ურის ხელმძღვანელობით სახელმწიფო უნივერსიტეტის თემაზე როგორც ენთუზიასტი, ხოლო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ - როგორც კათედრის თანამშრომელი. ამ პერიოდიდან მოყოლებული მას და მის სამეცნიერო ხელმძღვანელ რ. გ-ურს შორის შეიქმნა კონფლიქტური დამოკიდებულება, რაც შემდგომში მწვავე დაპირისპირებაში გადაიზარდა. რ. გ-ური სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ამცირებდა თანამშრომლებისა და სტუდენტების თვალწინ, არ აძლევდა ლაბორატორიაში მუშაობის საშუალებას. ყოველივე ამან უარყოფითად იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე. რ. გ-ურის საჩივრებისა და კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, მან შეძლო 1989 წელს საკანდიდატო დისერტაციის დაცვა და გახდა ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი. 1990 წელს გაზეთ «თბილისის უნივერსიტეტში» გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებდა კონკურსს სხვადასხვა თანამდებობის, მათ შორის, არაორგანული და ზოგადი

ქიმიის კათედრის დოცენტის თანამდებობის დასაკვებლად ერთ საშტატო ერთეულზე. მან ჯერ კიდევ კონკურსის გამოცხადებამდე განცხადებით მიმართა უნივერსიტეტის რექტორს და გამოთქვა ზემოაღნიშნული თანამდებობის დასაკვებლად კონკურსში მონაწილეობის სურვილი, მაგრამ რექტორატისაგან არ მიუღია პასუხი კონკურსის ჩატარების ან მისი გაუქმების შესახებ. არაორგანული და ზოგადი ქიმიის დოცენტის თანამდებობის დასაკვებლად გამართულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ მას ჰქონდა შეტანილი განცხადება და უთუოდ დაიკავებდა ამ თანამდებობას, მაგრამ კონკურსს შემდგომი მსვლელობა არ მისცემია. რ. გ-ურის უკანონო ჩარევის გამო კონკურსი მხოლოდ შეჩერდა და არ გაუქმებულა. 1989 წლის 7 ივნისს ქიმიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე რ. გ-ურმა მოსარჩელეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის გამოც დაემართა ნერვული სტრესი, რამაც გამოიწვია ფეხმძიმობის ნადრევად შეწყვეტა. მოგვიანებით, რ. გ-ურის საჩივრების გამო, მან კვლავ მიიღო ნერვული სტრესი და კვლავ ნადრევად შეუწყდა ფეხმძიმობა. ყოველივე ამის შედეგად მოსარჩელეს მთლიანად შეერყა ჯანმრთელობის მდგომარეობა, დაუზიანდა ფარისებრი ჯირკვავი, 1999 წელს დასჭირდა ოპერაციის გაკეთება. რ. გ-ურის მხრიდან მისთვის კათედრაზე ლაბორატორიის კარები ჩაკეტილი იყო და მას არ ეძლეოდა ლაბორატორიაში შესვლის შესაძლებლობა, რის გამოც სამუშაო ადგილი დაიმკვიდრა ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში, რომელიც მდებარეობს კათედრის გვერდით, სადაც შესაძლებლობის ფარგლებში მუშაობს. მან მიმართა უნივერსიტეტის რექტორს, რომ შეესწავლათ კათედრაზე მისთვის შექმნილი გაუსაძლისი მდგომარეობა და აღნიშნული გაეხადათ უნივერსიტეტის დიდი საბჭოს განსჯის საგანი, მაგრამ თსუ-ს ხელმძღვანელობამ გადამწყვეტი სიტყვა ვერ თქვა. მოსარჩელემ მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ თავისი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლზე.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 6 ივლისის განჩინებით რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ფაქტობრივად, თ. ა-ძის მიერ წარმოდგენილი იყო ახალი სასარჩელო განცხადება, სადაც სარჩელის საგანი და საფუძველი შეცვლილი იყო, რის გამოც თ. ა-ძეს დაზუსტებულ სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

2000 წლის 4 სექტემბერს თ. ა-ძემ განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს და სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება მოითხოვა, რის შემდეგაც სასამართლო შეუდგა დაზუსტებული სარჩელის განხილვას.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 18 დეკემბრის განჩინებით შეჩერდა თ. ა-ძის სარჩელზე წარმოება მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო 1990 წლის 16 ნოემბრის კონკურსის კანონიერების ნაწილში სარჩელის განხილვა გაგრძელდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით თ. ა-ძის სარჩელი თსუ-ს რექტორატის მიერ დოცენტის საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის გაგრძელებისა და აღნიშნულ შტატზე თ. ა-ძის არჩევის შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა თ. ა-ძემ. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თ. ა-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. ა-ძემ საკასაციო წესით გასაჩივრა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2002 წლის 5 ივლისის განჩინებით თ. ა-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2002 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 5 თებერვლის განჩინებით განახლდა საქმის წარმოება თ. ა-ძის სარჩელზე მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში.

რაიონული სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სარჩელის საფუძვლები და დამატებით განმარტა, რომ მოპასუხეებმა შელახეს მისი პირადი არაქონებრივი უფლებები, პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია. რ. გ-ურმა მის მიმართ გაავრცელა ცნობები, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა. რ. გ-ურის მიერ 1989 წლიდან დღემდე რექტორის სახელზე დაწერილ წერილობით განცხადებებში არაერთგზის შელახულ იქნა მისი პატივი და ღირსება, კერძოდ, რექტორის სახელზე გაგზავნილ განცხადებებში რ. გ-ური უთითებს, თითქოს თ. ა-ძე და ფაკულტეტის დეკანი შ. ს-ძე მოლაპარაკებელი არიან მის წინააღმდეგ, უჩივლეს პროკურატურაში, რის გამოც რ. გ-ური თ. ა-ძეს უწოდებს «ქურდს, სახელმწიფო თანხების მიმთვისებელს, გამომძალველს», აცხადებს, რომ თ. ა-ძე «დასჯის ღირსია», უწოდებს «რეკტორს, განუკითხაობის აპოთეოზის მამამთავარს, ავის მქმნელს, ცილისმწამებელს, დაუმსახურებლად კათედრის წევრს». თ. ა-ძემ მიმართა თსუ რექტორს, რომ შეესწავლათ კათედრაზე შექმნილი მისი გაუსაძლისი მდგომარეობა, მაგრამ რექტორმა მისი არაერთგზისი მოთხოვნა ყურად არ იღო. რ. გ-ური ისევ წერილობით ითხოვდა მოსარჩელის, როგორც «გამოუყენებელი ნივთის» თანამდებობიდან გათავისუფლებას და მასზე რექტორს სთხოვდა «გაიტანეთ». 2002 წლის 4 დეკემბრის საჩივარში მოპასუხე რ. გ-ურმა მას უწოდა «მკვდარი სული», რომ «კათედრა მას თანამშრომლად არ თვლის». აღნიშნული განცხადება გახდა საბჭოს სხდომის

ჩატარების საფუძველი, რაც ჩატარდა მისი საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდში, მან მოითხოვა საბჭოს სხდომის ოქმი, რაც დღემდე არ ჩაუბარებიათ. 2000 წლის 5 ივლისს გაზეთ «ახალ თაობაში» გამოქვეყნდა სტატია, რომლითაც რ. გ-ურის მიერ საჯაროდ იქნა შელახული მოსარჩელის პატივი და ღირსება. სტატიაში რ. გ-ური მიუთითებდა, რომ «თ. ა-ძე, მართალია, კათედრის თანამშრომლად ითვლება, მაგრამ 10 წელია სამსახურში არ დადის», «როგორ უნდა მოემსახურებინა მისთვის მუცელი, მაშინ როცა 10-12 წელიწადია, ქუჩაშიც არ შეხვედრია.» მოსარჩელემ თავისი მოთხოვნების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18, 413-ე, 992-ე და 997-ე-998-ე მუხლებზე.

მოსარჩელემ ასევე დააზუსტა მოპასუხის ის გამონათქვამები, რომლებსაც მიიჩნევდა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად, კერძოდ: «უვიცი, უწიგნური, ყალბისმქმნელი, ცანცარა, ტუტუცი, თავხედი, მატყუარა, გამომძალველი, რეკეტიორი, უსაქმური, უღირსი, უნივერსიტეტის ავტორიტეტის შემლახველი, კათედრის შემარცხველი, ქურდი, დაუმსახურებლად მიაღწია ყველაფერს, თანხებისა და თანამდებობის მიმთვისებელი, დაუმსახურებლად კათედრის წევრი, გარეგნობაში მყოფი დისერტაციის ხელმძღვანელთან, ჩურჩულით მოსაუბრე ფაკულტეტის დეკანთან კაბინეტში ჩაკეტილი, სამანდაუდებელი გულის წუხილით, გამოუყენებელი ნივთი, უნდა გაიტანონ უნივერსიტეტიდან, შ-ავას უზნეო ცოლის პროტოტიპი, პოქტია, გათახსირებული, ურცხვი, გამომძალველი, უღირსი ქიმიკოსი, მოსარჩელის გამო არის ქიმიური მეცნიერება ჩამორჩენილი, მას აქვს აკვიატებული აზროვნება, არ აქვს კათედრის პროფილი, დაუსაბუთებლად ბრალს დებენ საჩივრების წერაში, მოსარჩელის მდგომარეობა არის ნონსენსი, გაუგებარია, როგორ ჩამოყალიბდა თსუ-ში ასეთი პიროვნება, ტალახში ამოსვარა გამზრდელი ფაკულტეტი, უნივერსიტეტი შეარცხვინა, ა-ძის უნივერსიტეტში მუშაობა არის შეცდომის შედეგი, ა-ძის წარდგინება დასაწინაურებლად იყო მიუღებელი, პასუხს აგებინებენ ა-ძეს, დელიკატურად ექცეოდნენ ა-ძეს, სარჩელი ფანტაზიის შემოქმედების სფეროა, ა-ძე ტყუის მაშინ, როცა რ. გ-ური უმწიკვლო პიროვნებაა, უნივერსიტეტში კანონი კანონობს, ქაოსი არ არის, მიუხედავად საათების სიჭარბისა, ა-ძეს მაინც არ წარვადგენ, დიდხანს ელოლიავება ა-ძეს უნივერსიტეტი, ა-ძე კონკურსში მონაწილეობას არ ღებულობდა შეგნებულად».

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს. მათი მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მოპასუხეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. მოსარჩელე ვერ ადასტურებდა რ. გ-ურის მიერ რომელიმე შემთხვევაში სხეულის დაზიანებას ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებებს. საქმეში წარმოდგენილი იყო მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც არ ადასტურებდნენ რ. გ-ურის მიერ თ. ა-ძის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებას. რ. გ-ურსა და თ. ა-ძეს შორის წლების მანძილზე არსებობდა დამაბული ურთიერთობა. თავად თ. ა-ძის მიერ რ. გ-ურის მისამართით გაკეთებულ იქნა მთელი რიგი უსაფუძვლო და შეუსაბამო განცხადებები. თ. ა-ძემ მიმართა პროკურატურას და რ. გ-ურს ბრალი დასდო უნივერსიტეტის ქონების -პლატინის, ოქროს, ვერცხლის, კომპიუტერის მოპარვაში, რაც არ იქნა დადასტურებული. რ. გ-ური და თ. ა-ძე იმყოფებოდნენ საჯარო პოლემიკაში, რის გამოც იმ შემთხვევაშიც კი, თუ რ. გ-ურის განცხადებებში არ იქნებოდა დაცული მაქსიმალური ტაქტი, თ. ა-ძე ვალდებული იყო, ეთმინა «ემოციური თავდასხმები».

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით თ. ა-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, ვინაიდან ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე აფუძნებდა თავის აღნიშნულ მოთხოვნას, წარმოშობილი იყო 1989 წლიდან, რა დროსაც მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არ იყო მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა. რაიონული სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოპასუხის მიერ მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის გავრცელება, ხოლო ის გამონათქვამები, რომლებსაც მოსარჩელე სარჩელის საფუძველად მიუთითებდა, ატარებდა შეფასებით ხასიათს და არ მოიცავდა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ინფორმაციას.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა რ. გ-ურის მიერ მისი სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების ფაქტები, რის გამოც მოსარჩელეს არ გააჩნდა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით გათვალისწინებული მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი. ამასთან, რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დასტურდებოდა და არც მხარეები ხდიდნენ სადავოდ იმ გარემოებას, რომ თ. ა-ძესა და რ. გ-ურს შორის წლების მანძილზე (1989 წლიდან მოყოლებული) არსებობდა დამაბული ურთიერთობა. საქმის მასალებით ასევე დგინდებოდა, რომ თავად თ. ა-ძის მიერ რ. გ-ურის მისამართით გაკეთებული იყო მთელი რიგი განცხადებები. ამასთან, მართალია, ეს დამაბული ურთიერთობა არსებობდა წლების მანძილზე, მაგრამ რ. გ-ურის მხრიდან თ. ა-ძის მიმართ იმ გამონათქვამებმა, რომლებსაც მოსარჩელე პატივისა და ღირსების შემლახვად მიიჩნევდა, თავი იჩინა თ. ა-ძის მიერ სარჩელის სასამართლოში აღძვრისა და მის მიერ რ. გ-ურის წინააღმდეგ პროკურატურისათვის მიმართვის შემდეგ, სადაც თ. ა-ძე რ. გ-ურს ბრალს სდებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების მითვისებაში, ასევე უღირსი საქციელის

ჩადენაში. აქედან გამომდინარე, თ. ა-მის მიერ გასაჩივრებული რ. გ-ურის გამონათქვამები გამომდინარეობდა «მოსარჩელის მიერ განხორციელებული მადისკრედიტირებელი მოქმედებისაგან» და პასუხობდა მოსარჩელის მიერ დაწერილ განცხადებებს და მიუხედავად იმისა, რომ რ. გ-ურის განმარტებებში არ იყო დაცული მაქსიმალური ტექსტი, თ. ა-მე «ვალდებული იყო, ეთმინა» ამგვარი «ემოციური თავდასხმები».

რაც შეეხებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის მორალური ზიანის დაკისრებას, რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის საფუძველზე, არაქონებრივი ზიანისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. მოსარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ «თსუ-ს ხელმძღვანელობამ გადაწყვეტი სიტყვა ვერ სთქვა» მასა და რ. გ-ურს შორის კონფლიქტში, ვერ გახდებოდა მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ა-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

აპელანტის მითითებით, რ. გ-ურის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამო იგი იმყოფებოდა სტრესულ მდგომარეობაში, რამაც გამოიწვია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რაც დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო ცნობით, რომელშიც, მართალია, არ იყო მითითებული ჯანმრთელობის დაზიანების გამომწვევი კონკრეტული მიზეზი, მაგრამ სამედიცინო თვალსაზრისით, ფეხმძიმობის მოშლის ერთ-ერთ საფუძველს სტრესი წარმოადგენდა. საქმეში წარმოდგენილი იყო სამედიცინო ცნობები, რომლებითაც დასტურდებოდა, რომ მისი დაავადებები გამოწვეული იყო სტრესით, აღნიშნული კი ადასტურებდა მიზეზობრივი კავშირის არსებობას მოპასუხის ქმედებასა და ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანს შორის. აპელანტმა არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოპასუხის გამონათქვამები უხეშად არ ხელყოფდა მის რეპუტაციას, რადგან ის ფაქტი, რომ მეცნიერებათა კანდიდატი 1989 წლიდან თსუ-ს ლაბორანტის თანამდებობაზე იმყოფებოდა და ამ მოვალეობის შესრულებასაც ვერ ახერხებდა, წარმოადგენდა სწორედ მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვას. გარდა ამისა, აპელანტმა არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სარჩელში მითითებულ გარემოებებს ადგილი ჰქონდა ძველი სამოქალაქო კოდექსის მოქმედების პერიოდში და ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ რ. გ-ურის ქმედებებს ადგილი ჰქონდა არა მარტო 1989 წელს, არამედ -მთელი მომდევნო პერიოდის განმავლობაში მის მიერ სარჩელის შეტანის დღემდე, რის გამოც მოითხოვდა მორალური ზიანის ანაზღაურებას მთელი იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც ასეთი ზიანი რეალურად მიაღწა. აპელანტი თსუ-ს მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ საფუძველად მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 413-ე და 1005-ე მუხლებზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 26 იანვრის განჩინებით თ. ა-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხის იმ ქმედებების შედეგად გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, რაც მოპასუხემ განხორციელა სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე და მოსარჩელის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებაც ამ პერიოდს უკავშირდებოდა, რის გამოც მასზე ვერ გავრცელდებოდა სამოქალაქო კოდექსის დებულებანი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო ფაქტობრივი თვალსაზრისითაც, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ფაქტობრივი წინამძღვრების არსებობა. მართალია, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდებოდა მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტები, მაგრამ აღნიშნული მტკიცებულებებით არ დგინდებოდა ის გარემოება, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულმა ქმედებამ, აღნიშნული არ დასტურდებოდა არც საქმეში წარმოდგენილი მოწმეთა განმარტებებით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სადავო ურთიერთობაზე სამოქალაქო კოდექსის მოქმედების გავრცელების შემთხვევაშიც სარჩელი იყო უსაფუძვლო, მოპასუხე მხარის მხრიდან საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების (ბრალი, მართლსაწინააღმდეგობა და მიზეზობრივი კავშირი) დაუდასტურებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რადგან სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლისა და ლინგენსის საქმეზე ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, მოსარჩელეს უნდა დაედგინებინა მისი პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის გავრცელების ფაქტი, ხოლო გამავრცელებელს -მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სინამდვილესთან შესაბამისობა. სარჩელში მითითებული გამონათქვამების გავრცელების ფაქტი მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, თუმცა ამ გამონათქვამების გავრცელების შემთხვევაშიც მოპასუხეს არ ეკისრებოდა ვალდებულება, ემტკიცებინა მათი სინამდვილესთან შესაბამისობა, ვინაიდან ისინი ატარებდა შეფასებით ხასიათს და მათში არ იყო

მოცემული ინფორმაცია ფაქტების შესახებ, კერძოდ, მოსარჩელის მიერ დანაშაულებრივი, ამორალური ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის ფაქტების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოდ დადგენილად მიიჩნია, რომ, მართალია, რ. გ-ურსა და თ. ა-ძეს შორის წლების მანძილზე არსებობდა დამაბული ურთიერთობა, მაგრამ მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის მიმართ სადავო გამონათქვამებმა თავი იჩინა მოსარჩელის მიერ სასამართლოში სარჩელის წარდგენისა და პროკურატურისადმი მიმართვის შემდეგ, რა დროსაც მოსარჩელე მიუთითებდა მოპასუხის მიერ კანონის ნორმების დარღვევისა და მის მიერ უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი გამონათქვამები მოპასუხის მხრიდან მომდინარეობდა «მოსარჩელის მიერ განხორციელებული მადისკრედიტირებელი მოქმედებისგან» და იმის მიუხედავად, რომ რ. გ-ურის განმარტებებში არ იყო დაცული მაქსიმალური ტექსტი, მოსარჩელე ვალდებული იყო, ეთმინა მოპასუხის ემოციური თავდასხმები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ დამაბული ურთიერთობიდან და საჯარო პოლემიკიდან გამომდინარე, რაც მოდავე მხარეებს შორის მიმდინარეობდა წლების განმავლობაში, მოსარჩელე ვალდებული იყო, ეთმინა ისეთი გამონათქვამები, რომლებიც თუმცა შეურაცხყოფელი იყო, მაგრამ უხეშად არ ხელყოფდა პირის რეპუტაციას. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოპასუხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლები, რადგან მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ თსუ-მ ვერ უზრუნველყო მხარეთა შორის არსებული კონფლიქტის დარეგულირება, ვერ გახდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოლიდარული პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ა-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმის განხილვისას დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომლის მიხედვით, სასამართლო ავასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. სასამართლო ვალდებული იყო, განეხილა საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება. საქმეში მტკიცებულების სახით წარდგენილი იყო მოპასუხე რ. გ-ურის საჩივრები, რომლებიც დაწერილი იყო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის სახელზე და რომლებშიც იგი მოიხსენებდა მოსარჩელეს სარჩელში მითითებული ყველა ფრაზით.

კასატორი არ ეთანხმებოდა სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სიტყვები: «ქურდი», «ტუტუცი», «გამომძალველი», «მატყუარა», «უსაქმური», «თავხედი», «უწიგნური» და ა.შ. განეკუთვნება შეფასებით კატეგორიას და მათში არ არის მოცემული ინფორმაცია ფაქტების შესახებ, კერძოდ, მოსარჩელის მიერ დანაშაულებრივი, ამორალური ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის შესახებ, რადგან ქურდობა და გამოძალვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებია და შესაბამისად, «ქურდი» და «გამომძალველი» დამნაშავეს გულისხმობს. რაც შეეხება სიტყვებს: «ტუტუცი», «მატყუარა» და «თავხედი», აღნიშნული გამონათქვამები ლახავდა კასატორის ღირსებას და აყენებდა მორალურ ზიანს. ამდენად, ზემოაღნიშნული სიტყვები სცილდებოდა შეფასებით კატეგორიას და მოითხოვდა მათი სისწორის დადასტურებას. მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა ვერანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ამ გამონათქვამების სინამდვილესთან შესაბამისობას, უფრო მეტიც, მოპასუხეს არ უარყვია მისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტები. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ მოპასუხე უნდა გათავისუფლებულიყო სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებისგან, დაედასტურებინა მის მიერ გავრცელებული ცნობების სისწორე, უსაფუძვლო იყო.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მასა და რ. გ-ურს შორის არსებობდა საჯარო პოლემიკა, ვინაიდან ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, «პოლემიკა» არის კამათი რაიმე მეცნიერული, ლიტერატურული თუ პოლიტიკური საკითხების განხილვისას. მხარეებს შორის პოლემიკა და მით უფრო, საჯარო, არ არსებობდა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გამოყენებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტი საქმეზე «ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ», რომელზეც მოდავე მხარეებს წარმოადგენენ პოლიტიკური ფიგურა და ჟურნალისტი. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ კრიტიკის მიმართ თმენის ვალდებულება ეკისრებოდათ პოლიტიკოსებს. ასეთ ვითარებას მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

კასატორი ასევე არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსებობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ რეაგირება არ მოახდინა რ. გ-ურის უკანონო ქმედებების აღსაკვეთად. უფრო მეტიც, იგი ყურადღების გარეშე ტოვებდა მის მიმართვეს, რითაც, ფაქტობრივად, რ. გ-ურის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების მხარდამჭერი და თანამონაწილე ხდებოდა.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილი. აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. სწორედ ეს არის ის კანონით გათვალისწინებული შემთხვევა, რომელზეც საუბარია სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილში.

კასატორმა ასევე მიუთითა, რომ არც რაიონულ და არც საოლქო სასამართლოს არ უმსჯელია მისი დარღვეული შრომითი უფლებების შესახებ, რომელზეც იგი მიუთითებდა სარჩელში. კერძოდ, 1996 წლიდან მოყოლებული, მისთვის ლაბორატორიის კარები დაკეტულია და სამკითხველოში ცხადდებოდა, ხოლო ახლა უკვე დერეფანში უხდება გამოცხადება.

კასატორმა ასევე მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება იმ მოტივით, რომ არის ავადმყოფი და მისი ხელფასი შეადგენს 40 ლარს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 26 დეკემბრის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა თ. ა-ძის შუამდგომლობა და მოპასუხე რ. გ-ურის გარდაცვალების გამო სარჩელზე რ. გ-ურის მიმართ შეწყდა საქმის წარმოება სარჩელზე უარის თქმის გამო. აღნიშნულის გათვალისწინებით კასატორმა საკასაციო სასამართლოს სხდომებზე დააზუსტა მისი საკასაციო საჩივრის საფუძვლები დარჩენილი მოპასუხის -თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ. მან მიუთითა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იჩენდა უმოქმედობას და არ რეაგირებდა რ. გ-ურის მიერ თ. ა-ძის მიმართ დაწერილ საჩივრებსა და განცხადებებზე, რომლებშიც ასახულია თ. ა-ძის მიმართ შეურაცხყოფელი გამონათქვამები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ რეაგირებდა რ. გ-ურის მხრიდან ჩადენილ კანონდარღვევებზე, რითაც მიაყენა მატერიალური და მორალური ზიანი. უნივერსიტეტმა არ შეუქმნა შრომის პირობები, მას არ ეძლეოდა არც მეცნიერული და არც პედაგოგიური მოღვაწეობის საშუალება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, 413-ე მუხლი, 1005-ე მუხლის პირველი ნაწილი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ა-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 26 იანვრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო საქმეს იხილავს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 26 დეკემბრის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა თ. ა-ძის შუამდგომლობა და მოპასუხე რ. გ-ურის გარდაცვალების გამო სარჩელზე რ. გ-ურის მიმართ შეწყდა საქმის წარმოება სარჩელზე უარის თქმის გამო. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სადავო მორალური ზიანის ანაზღაურება მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ.

საქმის მასალების თანახმად, კასატორი ითხოვს როგორც სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე -1997 წლის 25 ნოემბრამდე, ისე -იმის შემდგომ პერიოდში მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას აღნიშნული კოდექსის საფუძველზე. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე სადავო პერიოდის მიმართ ვერ გავრცელდება აღნიშნული კოდექსით დადგენილი მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმები. სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო კოდექსი ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე, ამ კოდექსის ნორმები გამოიყენება 1997 წლის 25 ნოემბრიდან წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების მიმართ.

საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს საკითხზე, 1997 წლის 25 ნოემბრის შემდგომ პერიოდში მიაყენა თუ არა რ. გ-ურმა მოსარჩელეს მორალური ზიანი, რამდენადაც მის მიმართ სარჩელზე შეწყვეტილია საქმის წარმოება მისი გარდაცვალების გამო. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასევე არ არსებობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ დარჩენილი დავის ფარგლებში აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის საჭიროება. საქმის მასალებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ თ. ა-ძესა და არაორგანული ქიმიის კათედრის გამგე, აწ გარდაცვლილ რ. გ-ურს შორის იყო პიროვნული დაპირისპირება წლების მანძილზე, რა დროსაც ორივე მხარის მიერ ერთმანეთის მიმართ გამოითქმებოდა მძაფრი განცხადებები. ამ კონფლიქტის ფარგლებში რ. გ-ურის მიერ თ. ა-ძის მიმართ გაკეთებული განცხადებები ვერ ჩაითვლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით გაკეთებულ განცხადებებად. ასევე გამოირიცხება მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანება რ. გ-ურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განხორციელებული

მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების გამო. ამის გამო ვერ ჩაითვლება, რომ არსებობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის გამოყენების პირობები, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის მიყენებას.

საკასაციო სასამართლო მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველად ვერ მიიჩნევს მოსარჩელის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ წაყენებულ პრეტენზიებს იმის თაობაზე, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იჩენდა უმოქმედობას და არ რეაგირებდა რ. გ-ურის მიერ თ. ა-ძის მიმართ დაწერილ საჩივრებსა და განცხადებებზე და რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მას არ შეუქმნა სამუშაო პირობები. აღნიშნული საფუძველებით მორალური ზიანის დაკისრებას არ ითვალისწინებს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი. აღნიშნული კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ასეთი შემთხვევები კი მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილსა და 413-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომლებიც მოსარჩელის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ მითითებულ ზემოაღნიშნულ შემთხვევას არ მოიცავს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ასევე გამოირიცხება მოსარჩელის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის გავრცელება. აღნიშნულ მუხლში საუბარია სახელმწიფო მოსამსახურისა და სახელმწიფოს სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ. აღნიშნული მუხლის სუბიექტია საჯარო მოსამსახურე, რომლის ცნება და სახეები განსაზღვრულია «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად განსაზღვრულია იმ დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, აღნიშნულ ჩამონათვალში კი საჯარო სასამართლის იურიდიული პირი მითითებული არ არის. მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხება იმ პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის გამო ადმინისტრაციული ორგანოსათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას, რომელიც საჯარო მოსამსახურეს არ წარმოადგენდა, რის გამოც მითითება სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე არასწორია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია და არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე კასატორი, როგორც უმუშევარი, უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. თ. ა-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 26 იანვრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

გამქირავებლის მიერ უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-580-548(კ-05)

11 აპრილი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე),
ნ. ქადაგიძე (მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 3 სექტემბერს დ. გ-ძის წარმომადგენელმა მ. გ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების

სამმართველოს მიმართ მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საიჯარო ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ მასა და მოპასუხეს შორის 1999 წლის 23 დეკემბერს გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება არასაცხოვრებელ 114 კვ.მ-ზე. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2004 წლის 26 აგვისტომდე. იმავე დღეს გაფორმდა სახელმწიფო ქონების მიღება-ჩაბარების აქტი და მოსარჩელემ გადაიხადა ობიექტის ნარჩენი საბალანსო ღირებულების 44% -730 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ არ შეასრულა ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობა, კერძოდ, იჯარის ობიექტი არ გადასცა მოიჯარეს (მოსარჩელე). მოპასუხე ვალდებული იყო, ხელშეკრულება დაედო იმ შემთხვევაში, თუ არასაცხოვრებელი ფართი უფლებრივად თავისუფალი იქნებოდა. აღნიშნული ფართი, რომ სხვა პირებს ჰქონდათ დაკავებული, მოპასუხემ, იცოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, იგი შეცდომაში შეიყვანა.

მოსარჩელის მითითებით, ხელშეკრულების დადების დღიდან მოპასუხეს არ უცდია შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა იჯარის ხელშეკრულების გაუქმებასა და მისთვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას, კერძოდ, მოპასუხის მიერ ბეს თანხის ორმაგად - 1460 აშშ დოლარის დაბრუნებას, ბეს თანხის გამოყენებისათვის 671 აშშ დოლარის, მიუღებელი შემოსავლისთვის -4600 ლარის, ხოლო მორალური ზიანისთვის -5000 ლარის, სულ -13862 ლარის მის სასარგებლოდ მოპასუხისთვის დაკისრებას.

მოპასუხე ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომ სასარჩელო განცხადება არ ცნო და შესაგებლით განმარტა, რომ მხარეთა შორის დავას საფუძვლად დაედო 1999 წლის 26 აგვისტოს ქ. ხაშურში, ... ქ. #10 მდებარე არასაცხოვრებელ 114 კვ.მ-ზე სამმართველოსა და ფიზიკურ პირ ტ. ბ-მეს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება. 1999 წლის 23 დეკემბრიდან აღნიშნულ ხელშეკრულებაში ტ. ბ-მის უფლებამონაცვლე გახდა დ. გ-მე. ხელშეკრულებას თან ერთოდა მიღება-ჩაბარების აქტი, რითაც დასტურდებოდა მოიჯარის მიერ არასაცხოვრებელი ფართის მიღების ფაქტი, რაზეც ტ. ბ-მესა და დ. გ-მეს პრეტენზია არ განუცხადებიათ. მოპასუხის განმარტებით, მან შეასრულა ხელშეკრულების ყველა პირობა, მაგრამ მოიჯარეს უფლების განხორციელებაში ხელი შეუშალა შპს «ლანამ», რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით გამოსახლდა სადავო არასაცხოვრებელი ფართიდან, მაგრამ მოიჯარის დროებით საზღვარგარეთ გამგზავრების გამო, აღნიშნული ფართის მისთვის გადაცემა შეუძლებელი გახდა, ანუ არ არსებობდა პირი, რომელიც გადაცემულ ქონებას მიიღებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე ითხოვდა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. გ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა იჯარის ხელშეკრულება და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ბეს თანხის ორმაგად გადახდა. აგრეთვე, ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის -4600 ლარის ანაზღაურება.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელე დ. გ-მის წარმომადგენელმა მ. გ-მემ და ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომ.

აპელანტი ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებას.

აპელანტ დ. გ-მის წარმომადგენელი მ. გ-მე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას და მიუთითებდა, რომ დაზუსტებულ სააპელაციო საჩივარს წარადგენდა სასამართლო სხდომაზე, თუმცა არ წარუდგენია, რის გამოც თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 30 სექტემბრის საოქმო განჩინებით დ. გ-მის წარმომადგენელ მ. გ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; დ. გ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. გ-მემ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ მ. გ-მე არ იყო უფლებამოსილი, მიეღო სასამართლო უწყება სასამართლო სხდომასთან დაკავშირებით და გამოცხადებულიყო სხდომაზე, ვინაიდან საქმეში არსებული რწმუნებულება, რომლითაც მ. გ-მე წარმოადგენდა დ. გ-მეს, იყო ვადაგასული, კერძოდ, იგი ძალაში იყო 2004 წლის 6 აგვისტოს ჩათვლით, უწყება არ გაეგზავნა დ. გ-მეს და გაეგზავნა მხოლოდ მ. გ-მეს, როგორც დ. გ-მის წარმომადგენელს, 2004 წლის 10

ავგისტოს, როცა რწმუნებულებას ვადა უკვე გასული ჰქონდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დ. გ-ძის მოსაზრებით, სასამართლო სხდომაზე იგი არ იყო მიწვეული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, რაც იმავე კოდექსის 394-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, კასაციის აბსოლუტური საფუძველია.

კასატორი საკასაციო საჩივარში ასევე მიუთითებდა, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 407-ე, 423-ე მუხლები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, კასაციის საფუძველია, ამასთან, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის მიხედვით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით დ. გ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა საიჯარო ხელშეკრულება, დადებული დ. გ-ძესა და საქართველოს ქონების მართვის სამმართველოს ხაშურის რაიონულ სამმართველოს შორის. 1999 წლის 23 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკისა და ვაჭრობის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ხაშურის რაიონულ სამმართველოს დაეკისრა დ. გ-ძის სასარგებლოდ შეტანილი ბეს თანხის -730 აშშ დოლარის ორმაგი თანხა 1460 აშშ დოლარი ეროვნულ ვალუტაში, ასევე, ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის ზიანის ანაზღაურება 4600 ლარის ოდენობით და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დ. გ-ძის სარჩელი საიჯარო ხელშეკრულების გაუქმების, ბეს ორმაგად დაბრუნებისა და მიუღებელი შემოსავლისთვის ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 534-ე მუხლის შესაბამისად, გაქირავებული ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს დამქირავებელს მოთხოვნები ამ ნივთის გამო.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, 1999 წლის 23 დეკემბრის საიჯარო ხელშეკრულებითა და მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ მეიჯარე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ხაშურის რაიონულმა სამმართველომ მოიჯარე დ. გ-ძეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადასცა მფლობელობაში, ხოლო ამ უკანასკნელმა მიიღო უფლებრივად უნაკლო ნივთი - მუნიციპალური ქონება - არსაცხოვრებელი 114 კვ.მ ქ. ხაშურში, ... ქ. #10-ში. საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება, რომ მესამე პირს შეეძლო წაეყენებინა მოიჯარე (დამქირავებელი) დ. გ-ძისათვის რაიმე მოთხოვნა ამ ქონების მიმართ. ის გარემოება, რომ აღნიშნული საიჯარო ქონება გადაეცა მოიჯარეს და ამ უკანასკნელმა მიიღო იგი, დასტურდება დ. გ-ძის ხელმოწერებით საიჯარო ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტზე.

სააპელაციო პალატის მითითებით, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ საიჯარო ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების (1999 წლის 23 დეკემბერი) მომენტიდან 2003 წლის 2 სექტემბრამდე, სარჩელის სასამართლოში შეტანამდე, დ. გ-ძეს გააჩნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ხაშურის რაიონული სამმართველოს (მეიჯარეს) მიმართ რაიმე პრეტენზია. მოიჯარეს არ მოუთხოვია ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება იმ საფუძველით, რომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მფლობელობაში მისთვის გადაცემული ნივთი არ იყო უფლებრივად უნაკლო, რადგან ქონებას არამართლობრივად ფლობდა სპს «ლანა». საქმეში წარმოდგენილი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2002 წლის 24 ივლისის განჩინებით დასტურდება, რომ დ. გ-ძემ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 161-ე მუხლით მისთვის, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელისათვის მინიჭებული უფლება და უზრუნველყო სპს «ლანას» მხრიდან მისთვის, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელისათვის, უკანონო ხელშეშლის ფაქტის აღკვეთა. საქმის მასალებით აგრეთვე არ დასტურდება, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 543-ე, 561-ე მუხლების მოთხოვნების შესაბამისად, მოიჯარე დ. გ-ძემ მეიჯარეს დაუყოვნებლივ აცნობა, რომ ნივთს აღმოაჩნდა ნაკლი, კერძოდ, ის გარემოება, რომ მისთვის მფლობელობაში გადაცემულ ქონებას არამართლობრივად ფლობდა სპს «ლანა» და აღნიშნულის გამო, ხელშეკრულების დადებიდან სამი თვის ვადაში, არ მოითხოვა ხელშეკრულების მოშლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საპელაციო სასამართლოს განმარტებით, უსაფუძვლოდ გამო იგი ვერ გაიზიარებს მოსარჩელისა და რაიონული სასამართლოს მოსაზრებას იმის ყთობაზე, რომ მოპასუხემ არ შესარულა ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობა და ამ ხნის განმავლობაში ვერ მოახდინა იჯარის ობიექტის გადაცემა მასზე, როგორც მოიჯარეზე და თვლის, რომ საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით (1999 წლის 23 დეკემბრის საიჯარო ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი), საიჯარო ქონება მოიჯარეს გადაეცა და ამ უკანასკნელმა მიიღო კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც დასტურდება მოიჯარის მიერ სათანადო ხელმოწერებით.

ხელშეკრულების 5.3 პუნქტის თანახმად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება არ სრულდება ან არასათანადოდ სრულდება, რის გამოც ზიანი მიადგება სახელმწიფოს ქონებრივ ინტერესებს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო ვალდებულია, შეიტანოს სარჩელი სასამართლოში ამ ხელშეკრულებათა გადასინჯვის ან გაუქმების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მოტივით არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თვით ხელშეკრულების 5.3. პუნქტი ითვალისწინებს პირობას, რომ საიჯარო ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება არ სრულდება ან არასათანადოდ სრულდება და ჩათვალა, რომ ხელშეკრულების 5.3. პუნქტით მოიჯარეს და არა მოიჯარეს მიენიჭა უფლებამოსილება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებისას, როცა ამით ზიანი ადგება სახელმწიფოს ქონებრივ ინტერესებს, სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხელშეკრულების გადასინჯვა ან გაუქმება. საგულისხმოა, რომ განსახილველი დავის შემთხვევაში ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

საპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2002 წლის 24 ივლისის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა საპელაციო პალატის 2001 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა დ. გ-მის საპელაციო საჩივარი და სარჩელი, აგრეთვე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს ხაშურის რაიონული სამმართველოს შეგებულ სარჩელი და სპს «ლანას» გამოსახლებულ იქნა ქ. ხაშურში, ... ქ. #10-ში მდებარე არასაცხოვრებელი 114 კვ.მ-დან. საპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ 2002 წლის 24 ივლისის შემდეგ, ანუ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან, 2003 წლის 3 სექტემბრამდე, სასამართლოში სარჩელის შეტანამდე დ. გ-მემ უარი განაცხადა საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელებაზე, მოითხოვა მისი გაუქმება და ვადამდე შეწყვეტა. აგრეთვე, არ არის დადასტურებული ის გარემოება თუ რატომ დაეკარგა მას ინტერესი საიჯარო ხელშეკრულების მიმართ. აქვე სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მითითებული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში მოსარჩელე დ. გ-მე იმყოფებოდა საზღვარგარეთ.

საპელაციო სასამართლოს განმარტებით, მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებისას დ. გ-მის მიერ ბეს სახით გადახდილ იქნა 730 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

საიჯარო ხელშეკრულების 2.2. პუნქტის მიხედვით, მოიჯარის მიერ ბეს სახით შეტანილი თანხა მესაკუთრის ანგარიშზე შევიდა პირველი წლის საიჯარო ქირაში. საპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდა 1999 წლის 23 დეკემბერს. სარჩელი კი სასამართლოში აღიძრა 2003 წლის 3 სექტემბერს. ხელშეკრულების 2.2. პუნქტის შესაბამისად, გადახდილი ბეს თანხა, 730 აშშ დოლარი, შევიდა და ჩაითვალა 1999-2000 წლის საიჯარო ქირაში. აღნიშნული გარემოება მხარეს სადავოდ არ გაუხდია. შესაბამისად, საპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ გამო არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება ბეს თანხის ორმაგი ოდენობით დაბრუნების შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 423.2. მუხლზე დაყრდნობით. ამასთანავე, პალატის განმარტებით, გაურკვეველია თუ რა ვალდებულების შეუსრულებლობა მიიჩნია სასამართლომ ბეს მიმღების ბრალეულ ქმედებად, რადგან საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება იმისა, რომ საიჯარო ობიექტი, რომელიც არამართლზომიერად ჰქონდა დაკავებული სპს «ლანას», გამოწვეული იყო მეიჯარის ბრალეული მოქმედებით.

საპელაციო სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს არ შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით, როცა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. განსახილველი დავის შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება მეიჯარის ბრალეული ქმედება, აგრეთვე არ დასტურდება მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა (მოიჯარის მიუღებელ შემოსავალსა) და მეიჯარის ბრალეულ ქმედებას შორის, რადგან ის გარემოება, რომ იჯარის ობიექტი არამართლზომიერად ჰქონდა დაკავებული სპს «ლანას», არ წარმოადგენს მეიჯარის ბრალეული მოქმედების შედეგს.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-მემ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საიჯარო ხელშეკრულება მისი დადების დღიდან, კერძოდ, 1999 წლის 23 დეკემბრიდან არ სრულდება. მოიჯარეს მეიჯარემ ვერ გადასცა იჯარის ობიექტი, ვინაიდან მას სხვა პირი ფლობდა და დღესაც ფლობს. აღნიშნული ხელშეკრულების 5.3

პუნქტი ითვალისწინებს, რომ საიჯარო ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ სრულდება ან არასათანადოდ სრულდება. გარდა ამისა, კასატორის განმარტებით, მათ უკვე დაკარგეს ინტერესი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიმართ, რადგან ხელშეკრულება ძალაში იყო 2004 წლის 26 აგვისტომდე. მათ ხელშეკრულების დადებისთანავე მიმართეს სასამართლოს არაუფლებამოსილი პირის გამოსახლების შესახებ და არაერთი გადაწყვეტილება გამოტანილი ამის თაობაზე.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც: «თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად», მაგრამ არ გამოიყენა. კასატორის მითითებით, მოწინააღმდეგე მხარე აღიარებს, რომ მათ მიერ გადახდილი თანხა არის ბე, ე.ი. 730 აშშ დოლარის შესაბამისი ეკვივალენტი ლარი არის ბე, ამიტომ სასამართლოს მოპასუხისთვის უნდა დაეკისრებინა 730 აშშ დოლარის ორმაგი თანხა - 1460 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისას ასევე უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც კრედიტორს ხელშეკრულებიდან გასვლისას შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით. ასევე უნდა გამოეყენებინა ამ მუხლის მე-2 ნაწილიც, ვინაიდან ხელშეკრულებიდან გასვლა მათი ბრალით არ არის გამოწვეული და მათი მოთხოვნა 4600 ლარის მოთხოვნის ნაწილში დასაბუთებულია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. გ-მის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და ექვემდებარება ნაწილობრივ დაკმაყოფილებას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

1999 წლის 23 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ხაშურის რაიონულ სამმართველოსა და დ. გ-მეს შორის «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმით მართვის (გადაცემის) წესის შესახებ» დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და სახელმწიფო ქონების მართვის ხაშურის რაიონული სამმართველოს 1999 წლის 11 ნოემბრის #249 ბრძანების საფუძველზე, გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება, რომლითაც მეიჯარემ გადასცა, ხოლო მოიჯარემ მიიღო არასაცხოვრებელი 114კვ.მ, ქ. ხაშურში, ... ქუჩა 10-ში. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 1999 წლის 23 დეკემბრიდან 2004 წლის 26 აგვისტომდე. საიჯარო ქირის ყოველწლიურმა რაოდენობამ შეადგინა საიჯარო ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულების 44%, კერძოდ 730 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

1999 წლის 23 დეკემბერს ქ. ხაშურის სახელმწიფო ქონების მართვის ხაშურის რაიონულ სამმართველოსა და ფიზიკურ პირ დ. გ-მეს შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი სახელმწიფო მუნიციპალური დაქვემდებარების ფართზე, მდებარე ქ. ხაშურში, ... ქ. 10-ში.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას დ. გ-მისათვის უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის თაობაზე და თვლის, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის არსებობა არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას, რომ პირს, კანონით დადგენილი წესით, გადაეცა უფლებრივად უნაკლო ნივთი.

საქმეში დაცულია თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომელიც უცვლელად იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2002 წლის 24 ივლისის განჩინებით.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებით დგინდება, რომ მითითებული სადავო საიჯარო ხელშეკრულების შესრულებას ხელს უშლის ფართში მდ. ქ. ხაშურში, ... ქ. 10-ში სპს «ლანას» უკანონო განთავსება. ამავე გადაწყვეტილებებით სპს «ლანას» მიჩნეულია ფართის არაკეთილსინდისიერ დამქირავებლად და დადგენილია მისი გამოსახლების საკითხი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის «ბ» პუნქტის საფუძველზე, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

მითითებული მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო უდავოდ მიიჩნევს, რომ ხაშურის ქონების მართვის სამმართველოსა და დ. გ-მეს შორის ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის

არსებობის მიუხედავად, არ მომხდარა ფიზიკური პირისათვის იჯარით აღებული ქონების ფაქტობრივი გადაცემა, რასაც ხელი შეუშალა ფართის მე-3 პირის მხრიდან დაკავების ფაქტმა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 533-ე მუხლის შესაბამისად, გამქირავებელმა უნდა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი. იმავე კოდექსის 534-ე მუხლის თანახმად, გაქირავებული ნივთი უნაკლოა, თუ მე-3 პირს არ შეუძლია წაუყენოს დამქირავებელს მოთხოვნა ამ ნივთის გამო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, ქირავნობის ხელშეკრულების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს დამქირავებლისათვის უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემა. უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემა ნიშნავს იმას, რომ დამქირავებელს გადაეცემა ხარვეზისაგან თავისუფალი ნივთი, რომლის არსებობის შემთხვევაშიც, ჯეროვანი შესრულებისათვის აუცილებელი მოთხოვნა არ ჩაითვლება განხორციელებულად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დადგენილია, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული სიკეთის მიღება კასატორმა ვერ შესძლო იმის გამო, რომ ფართი ხელშეკრულების დადების მომენტისათვის და შემდგომაც დაკავებული ჰქონდა მე-3 პირს, რომელიც მითითებულ ფართზე აცხადებდა საკუთარ პრეტენზიას.

ყოველივე აღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ კასატორს გადაეცა უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთი, რამაც გამოიწვია ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ქირავნობის (საიჯარო) ხელშეკრულების ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს დამქირავებლისათვის ნივთის გადაცემის სავალდებულობა ე.ი. დამქირავებლის ძირითადი უფლებაა ისარგებლოს დაქირავებული ნივთით.

დადგენილია, რომ სადავო ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 1999 წლის 23 დეკემბრიდან 2004 წლის 26 აგვისტომდე. 2003 წლამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი გამოთავისუფლებული არ ყოფილა. ამასთან საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სპს «ლანას» გამოსახლება და ფართის დ. გ-მეზე გადაცემა არ მოხდა ამ უკანასკნელის საზღვარგარეთ ყოფნის გამო. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებას, რომლითაც სპს «ლანას» გამოსახლების ნაწილში დაკმაყოფილდა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს ხაშურის რაიონული სამმართველოს შეგებებული სარჩელი. ამდენად, გამოსახლების ნაწილში აღსრულების მოთხოვნის უფლება წარმოეშვა ხაშურის ქონების მართვის სამმართველოს. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მითითებულ ნაწილში აღსრულების ფაქტს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 541-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ დაქირავებული ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცემა დამქირავებელს დაგვიანებით, მაშინ დამქირავებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ ვადის დაცვის გარეშე, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მოშლისათვის. უარი ხელშეკრულებაზე დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ გამქირავებელი დამქირავებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ აღკვეთს სარგებლობისათვის ხელშემშლელ გარემოებას. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ იმ გარემოებათა შედეგად, რომლებიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს იძლევიან, დამქირავებელმა დაკარგა ინტერესი ამ ხელშეკრულებისადმი.

სადავო ხელშეკრულების მოქმედების ვადის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო საფუძველიანად მიიჩნევს კასატორის მითითებას ხელშეკრულებისადმი მისი ინტერესის დაკარგვის თაობაზე და თვლის, რომ კასატორის მოთხოვნა ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საფუძველიანია.

საკასაციო სასამართლო ასევე საფუძველიანად მიიჩნევს კასატორის მოთხოვნას «ბეს» ორმაგი ოდენობით დაბრუნების თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის შესაბამისად, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმღებს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

როგორც ზემოაღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, ვალდებულების დარღვევა უარყოფით სამართლებრივ შედეგს იწვევს იმ მხარის მიმართ, რომელმაც დაარღვია ხელშეკრულების პირობები. წინამდებარე შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების დარღვევას ადგილი აქვს ხაშურის ქონების მართვის სამმართველოს მხრიდან, ამასთან საკასაციო სასამართლო სამოქალაქო სამართლის პრინციპებისადმი შეუსაბამოდ მიიჩნევს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელის მხრიდან ადგილი არ ჰქონია ხელშეკრულების ბრალეულ დარღვევას და განმარტავს, არ არის სავალდებულო ადგილი ჰქონდეს ვალდებულების განზრახ ბრალეულ დარღვევას, ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნებისათვის საკმარისია სახეზე იყოს გაუფრთხილებელი ბრალი, რასაც, საკასაციო სასამართლოს აზრით, უდავოდ ჰქონდა ადგილი მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან, ვინაიდან ის, როგორც ქონების მესაკუთრე ვალდებული იყო, სცოდნოდა ქონების ფაქტობრივი მდგომარეობა და მოეხდინა მისი თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა. ზემოაღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 423.2 მუხლით გათვალისწინებული გარემოება, რაც პროცესუალურ მოწინააღმდეგეს ავალდებულებს ბეს დაბრუნებას ორმაგი ოდენობით.

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა და ამის შედეგად შესრულებისა და სარგებლის მხარეებისათვის დაბრუნება მოვალეს არ ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. ამასთან, დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ანგარიშში შესაძლებელია ბეს თანხის ჩათვლა, რისი გათვალისწინებითაც, საკასაციო სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს, კასატორის მიერ ზიანის სახით მოთხოვნილ თანხას დააკლდეს ბეს თანხა და საბოლოოდ კასატორის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდეს 3359 ლარის ოდენობით (ზიანის თანხას გამოკლებული ბეს ერთმაგი ოდენობა).

ყოველივე ზემოაღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძვეს არ გაიზიაროს სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია, თვლის, რომ გადაწყვეტილება ემყარება კანონის ნორმათა არასწორ განმარტებას და მიიჩნევს, რომ სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დ. გ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სარჩელის შეტანის მომენტიდან გაუქმებულად ჩაითვალოს დ. გ-ძესა და საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს ხაშურის რაიონულ სამმართველოს შორის 1999 წლის 23 დეკემბერს დადებული საიჯარო ხელშეკრულება; სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს დ. გ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს ბე -730 აშშ დოლარის ორმაგი ოდენობის, კერძოდ, 1460 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის და ზიანის თანხის -3359 ლარის გადახდა;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#ბს-704-670(23-06) 5 ივნისი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

16.02.05წ. საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ე. ც-ძემ, ს. კ-ძემ, ე. დ-ძემ, გ. კ-ძემ და მ. ც-ძემ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობის და ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს. მოსარჩელეთა განმარტებით, ხელვაჩაურის რაიონში აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის 1992 წლის ოქტომბრის #378 განკარგულებით დაკმაყოფილდა ხელვაჩაურის რაიონის მეცხოველეობის სახელმწიფო სანაშენე მეურნეობის მოთხოვნა და მეცხოველეობის ფერმაში შესასვლელი გზის მარცხენა მხარეს, საბავშვო ბაგა-ბაღის ტერიტორიის მახლობლად საფირმო მაღაზიის აშენების უფლება მიეცა. 05.01.94წ. ხელვაჩაურის რაიონის მეცხოველეობის ფერმასა და საინიციატივო ჯგუფს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საფირმო მაღაზიის აშენების შესახებ. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულეს ერთ წელიწადში, მშენებლობა აწარმოეს სანიტარული, სახანძრო და ეკოლოგიური ნორმების დაცვით, სამშენებლო მასალების შესყიდვა და თანხების ხარჯვა ხორცილდებოდა მეურნეობის დირექტორთან შეთანხმებით. მშენებლობის დასრულების შემდეგ მოითხოვეს მშენებლობაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. მშენებლობის დამკვეთს არ გააჩნდა შესაბამისი თანხა და არც ობიექტი გაუშვია ექსპლუატაციაში. მოსარჩელეთა განცხადებით, მოპასუხე ორგანიზაცია ჰპირდებოდა, რომ მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს აუნაზღაურებდა 05.01.94 წ. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, როცა საშუალება ექნებოდათ. 2002

წ. ხელვაჩაურის რაიონის გამგეობამ შესაბამისი სამართლებრივი აქტის მიღების გარეშე, მეურნეობის დირექტორთან შეთანხმებით დაანგრია მათ მიერ აშენებული შენობა. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მოპასუხეები ადასტურებდნენ მათი მოთხოვნის კანონიერებას. ფინანსთა სამინისტროში განკარგულების პროექტი შედგა მათთვის სადავო თანხის გამოყოფის თაობაზე, თუმცა ამ კანონით დადგენილი წესით არ დამტკიცებულა. მოსარჩელებმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 361-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხეებისათვის სოლიდარულად 14725 აშშ დოლარის შესაბამისი ეკვივალენტი ლარის დაკისრება მოითხოვეს.

მოპასუხე მეცხოველეობის ჯიშსაშენმა საწარმო «კახაბერმა» სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მას არ განუხორციელებია მშენებარე მაღაზიის შენობის დემონტაჟი. აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის მიერ. რაიონის ხელმძღვანელობამ მაღაზიის მშენებლობა უკანონოდ მიიჩნია და მშენებარე ობიექტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარდგენა მოსთხოვა, თუმცა მოსარჩელების მიერ სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტები საწარმოში არ მოინახა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 26.07.05 წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელეთა სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 14 725 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 26.07.05 წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მეცხოველეობის სახელმწიფო ჯიშსაშენმა საწარმო «...».

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.06.06 წ. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოსარჩელეთა სასარგებლოდ მოპასუხეებს 7000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა დაეკისრათ.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ხელვაჩაურის რაიონში აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ხელვაჩაურის რაიონის მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობის მოთხოვნა და უფლება მიეცა მეურნეობას აშენებინა ფერმაში შესასვლელი გზის მარცხენა მხარეს, საბავშვო ბაგა-ბაღის ტერიტორიის მახლობლად, საფირმო მაღაზია. 05.01.94 წ. გაფორმდა მაღაზიის მშენებლობის შესახებ ხელშეკრულება საინიციატივო ჯგუფსა და მეურნეობის დირექტორს შორის, რომლის თანახმად, მეურნეობის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ საინიციატივო ჯგუფს აუნაზღაურდებოდა საფირმო მაღაზიის მშენებლობაზე გაწეული ხარჯები. მეურნეობის მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო საინიციატივო ჯგუფს ნება დაერთო საკუთარი სახსრებით ეწარმოებინა მაღაზიის მშენებლობა შესაბამისი აქტების გაფორმებით, რომელსაც დაამტკიცებდა მეურნეობის დირექტორი. საინიციატივო ჯგუფის მიერ აშენებული ობიექტი დანგრეული იქნა ხელვაჩაურის რაიონის გამგებლის 05.03.02 წ. ზეპირი განკარგულებით შექმნილი კომისიის მიერ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან პროკურატურის დადგენილებიდან გამომდინარე, ობიექტის დანგრევა მართლზომიერად იყო მიჩნეული, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის მიხედვით საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს #74 დადგენილებით ხელვაჩაურის რაიონის მეცხოველეობის სახელმწიფო ჯიშსაშენი საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის დაქვემდებარებიდან, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის გარეშე, გადაეცა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს. ამავე დადგენილების მე-2 პუნქტით განისაზღვრა სანაშენე მეურნეობის რეორგანიზაცია და მის ბაზაზე შეიქმნა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მეცხოველეობის სახელმწიფო ჯიშსაშენი საწარმო «...», რომელიც მეურნეობის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საწარმო «...» შეგებებული სარჩელი წარმოდგენილი არ ჰქონდა და საინიციატივო ჯგუფსა და მეურნეობას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, აგრეთვე, ობიექტის მშენებლობის ნებართვა დავის საგანს არ შეადგენდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.06.06 წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საინიციატივო ჯგუფის წევრებმა და ხელვაჩაურის რაიონის გამგეობამ.

საინიციატივო ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა ზაკ-ის 209-ე მუხლი, ვინაიდან აღნიშნული ნორმა სულ სხვა სამართლებრივ ურთიერთობას არეგულირებს.

კასატორები მიიჩნევენ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა მხარეთა რომელი ინტერესები დაუდო საფუძვლად მათი სასარჩელო მოთხოვნის მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებას და მოპასუხეებისათვის მხოლოდ 7000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრებას. კასატორების აზრით, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით. პროცესის თაობაზე გაფრთხილებული არ ყოფილა პროცესის ყველა მონაწილე და ს. კ-მის და გ. კ-მის წარმომადგენლი. კასატორებმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის

21.06.06 წ. გადაწყვეტილების გაუქმება და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 26.06.05 წ. გადაწყვეტილების ძალაში დატოვება მოითხოვეს.

კასატორმა ხელვაჩაურის რაიონის გამგეობამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ შეაფასა საქმეში დაცული მტკიცებულებანი: 05.01.95 წ. ხელშეკრულება და მეურნეობის დირექტორის, გ. ბ-ძის მიერ დამტკიცებული აქტები, რომლებიც დაწერილია ერთი პირის მიერ. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლი. კასატორის განმარტებით, მის მიერ განხორციელდა უკანონო მშენებლობის დემონტაჟი, მშენებარე მაღაზიის დაშლისას რაიონის გამგეობა მოქმედებდა კანონის შესაბამისად. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 06.11.06 წ. განჩინებით საკასაციო საჩივრები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული. მხარეებს უფლება მიეცათ წარმოედგინათ მოსაზრებები საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით. საინციტივო ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს მოსაზრება. კასატორები თვლიან, რომ მათი საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული. კასატორთა განცხადებით, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ხელვაჩაურის რაიონის გამგეობას სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია და მის მიმართ ხელვაჩაურის რაიონის სასამართლოს 26.07.05 წ. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, რის გამოც კასატორებს მიაჩნიათ, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გასაჩივრება რაიონის გამგეობის მიერ დაუშვებელია. კასატორები მიუთითებენ, რომ მეცხოველეობის სახელმწიფო ჯიშსაშენი საწარმო «...» გადაწყვეტილებას საკასაციო წესით არ ასაჩივრებს. ამასთანავე, კასატორები თვლიან, რომ ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი ვერ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს და დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 10.04.07 წ. განჩინებით ე. ც-ძის, ს. კ-ძის, ე. დ-ძის, გ. კ-ძის და მ. ც-ძის და ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივრები ასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი განხილვით. 26.04.07წ. სასამართლო სხდომაზე სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმის განხილვა დადგინდა ზეპირი განხილვის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო გასაჩივრებულ განჩინებას, საკასაციო საჩივრებს და თვლის, რომ საინციტივო ჯგუფის წევრების ე. ც-ძის, ს. კ-ძის, ე. დ-ძის, გ. კ-ძის და მ. ც-ძის და ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს საინციტივო ჯგუფის წევრების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო პროცესის ჩატარების თაობაზე დადგენილი წესით არ იყო მოწვეული მოსარჩელეთა წარმომადგენელი რ. ხ-ში. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლომ 21.06.05 წ. სასამართლო სხდომისათვის უწყება გაუგზავნა საინციტივო ჯგუფის წევრებს გ. და ს. კ-ძეს, ე. დ-ძეს, მ. ც-ძეს და ხელვაჩაურის რაიონის გამგეობას, გ. კ-ძის და მ. ც-ძის წარმომადგენელ რ. ხ-შისათვის სასამართლო სხდომის ჩატარების შესახებ სასამართლო უწყება არ გაგზავნილა. საქმის მასალებში დაცულია გ. კ-ძის 12.07.05 წ. და მ. ც-ძის 27.06.05 წ. მიერ რ. ხ-შის სახელზე გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი რწმუნებულება, რომელთა მიხედვით, რ. ხ-შს მიენიჭა გ. კ-ძისა და მ. ც-ძის ინტერესების დაცვის უფლებამოსილება ყველა ინსტანციის სასამართლოში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლები და სასკ-ის მე-13 მუხლი ადგენს მხარეთა და მათი წარმომადგენელთათვის სასამართლო უწყების და დოკუმენტების გადაცემის წესს. ადმინისტრაციულ პროცესში, სამოქალაქო სამართალწარმოებისგან განსხვავებით, გამოიყენება სასკ-ის მე-13 მუხლით დადგენილი სპეციალური წესი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ წარმომადგენლისათვის დოკუმენტების გაგზავნის ვალდებულებას. კერძოდ, ხსენებული მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მხარე საქმეს აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით, ყველა დოკუმენტი ეგზავნება წარმომადგენელს, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც დოკუმენტი მხარესაც უნდა გაეგზავნოს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის გ. კ-ძისა და მ. ც-ძის წარმომადგენლის რ. ხ-შის დასწრების გარეშე, რომელსაც სააპელაციო სასამართლოს სხდომის შესახებ არ გაგზავნია სასამართლო შეტყობინება კანონით დადგენილი წესით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა არის სამართალწარმოების ზოგადი პრინციპი და მისი გამოყენება დასაშვებია არა მხოლოდ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის, არამედ აგრეთვე ქმედების (რეალაქტის) შედეგად ზიანის ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრისას. დადგენილია, რომ შენობის აღება მოხდა საზოგადოებრივ ინტერესებში. საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის პირის უფლების შელახვა ვერ იქნება მიჩნეული საზოგადოების ინტერესების ცალმხრივ დაკმაყოფილებად. საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთაწონასწოების საფუძველზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა იცნობს ზიანის ანაზღაურების ორ ძირითად ფორმას: ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე და დელიქტის საფუძველზე წარმოშობილ ზიანს. სწორედ ვალდებულებითი ურთიერთობიდან წარმოშობილ ზიანს, ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ საინიციატივო ჯგუფის წევრები (მოსარჩევეები) მეურნეობისაგან. გამგეობის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოადგენს დელიქტის (ნაგებობის უკანონო დემონტაჟის) საფუძველზე წარმოშობილ ზიანს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია, თუ სახეზეა ქმედების მარლთწინააღმდეგობა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შენობა აშენდა პროექტის და ნებართვის გარეშე, რაც წარმოადგენდა მისი დემონტაჟის საფუძველს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დადგომისათვის სახეზე უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის ბრალი (სკ-ის 1500-ე მუხ.). სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ ბათუმის საქალაქო პროკურორის 26.11.04 წ. დადგენილებით დასტურდება, რომ შენობის დემონტაჟის წინააღმდეგი არ იყო მისი ფორმალური მესაკუთრე ჯიშაშენი მეურნეობის დირექტორი, ამდენად არ იკვეთება მოხელეთა ბრალი ზიანის მიყენებაში. გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რა მოსაზრებებით არ შეესაბამება კანონმდებლობას შენობის დემონტაჟი, გაურკვეველია, თუ რის გამო იქნა მიჩნეული დემონტაჟი ბრალულ და ან უხეშ გაუფრთხილებელ მოქმედებად. გამგეობისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება სავალდებულო წესით მოითხოვდა საქმეში დაცული საპროექტო დოკუმენტის და მისი დამტკიცების მართლობიერების, სამშენებლო წესებთან მისი შესაბამისობის, 05.03.02 წ. კომისიის აქტის შეფასებას.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საინიციატივო ჯგუფის წევრების ე. ც-მის, ს. კ-მის, ე. დ-მის, გ. კ-მის და მ. ც-მის სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა წარმოადგენდა მოპასუხეებისთვის ხელვაჩაურის რაიონის გამგეობასა და ხელვაჩაურის რაიონის ... სახელობის მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობისთვის (რომლის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს მეცხოველეობის სახელმწიფო ჯიშაშენი საწარმო «...») თანხის სოლიდარულად დაკისრება. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე საინიციატივო ჯგუფს დაევალა მეურნეობის ტერიტორიაზე საფირმო მალაზიის მშენებლობა, ხოლო მეურნეობის ვალდებულებას წარმოადგენდა საფირმო მალაზიის მშენებლობაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი და მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელის სასარგებლოდ თანხის გადახდა. იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელიც მთლიანად ანაზღაურებს ზიანს, აქვს რეგრესული მოთხოვნის უფლება სხვა სოლიდარული მოვალის მიმართ. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მეცხოველეობის სახელმწიფო ჯიშაშენი საწარმო «...» მიერ გასაჩივრდა სრულად. ამდენად, ჯიშაშენი საწარმო «...» მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანით რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში არ შესულა, როგორც აპელანტის, ისე მეორე მოპასუხის - ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის მიმართაც. ამდენად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საინიციატივო ჯგუფის წევრების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში არის შესული რაიონის გამგეობის მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, გადაწყვეტილება არ ემყარება საქმეში დაცულ მტკიცებულებებს. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულად არ იქნა გამორკვეული საქმეში დაცული მტკიცებულებანი, რომელთა სამართლებრივი ანალიზის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორი გადაწყვეტა, რის გამოც საკასაციო საჩივრები სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი არსებითი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის, აგრეთვე ე. ც-მის, ს. კ-მის, ე. დ-მის, გ. კ-მის, მ. ც-მის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.06.06 წ. გადაწყვეტილება, საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს;

2. სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სოლიდარული პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებაში

განჩინება

#ბს-316-299(კ-07)

8 ნოემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლამე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 16 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა კ. ი-შვილმა მოპასუხეების -ფინანსთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის (ამჟამად ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური) მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისათვის 37 549 ლარისა და 1000 აშშ დოლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

მოსარჩელემ 2004 წლის 19 აპრილს რუსეთის ფედერაციის ქ. ვოლგოგრადში შპს «ტრანსოილ-სერვისთან» გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა კომპანია «ლუკოილის» წარმოების ავტომანქანის ზეთი, რომელიც საქართველოში შემოტანის შემდეგ, საბაჟო გაფორმების მიზნით, წარდგენილ იქნა ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალურ საბაჟო ორგანოში, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ განახორციელა საქონლის საბაჟო გაფორმება. კ. ი-შვილმა 2004 წლის 23 სექტემბერს განცხადებით მიმართა ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს და კუთვნილი საქონლის საბაჟო გაფორმების უზრუნველყოფა მოითხოვა, მაგრამ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. 2004 წლის 8 ოქტომბერს, ანუ მას შემდეგ, რაც საქონელი საბაჟო გაფორმების მიზნით წარდგენილ იქნა რეგიონალურ საბაჟო ორგანოში, ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის მე-3 განყოფილებამ განახორციელა იმ ავტომანქანის დალუქვა, რომელშიც განთავსებული იყო ზემოხსენებული საქონელი.

2004 წლის 29 ოქტომბერს კ. ი-შვილმა დარღვეული უფლებების დაცვის მიზნით სარჩელით მიმართა სასამართლოს. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ოპერატიულ დეპარტამენტს დაევალა შპს «ტერიმინალკომპლექსის «თბილისის» ტერიტორიაზე დალუქული ავტომანქანა «მაზის» მისაბმელზე დადებული ლუქის მოხსნა. იმავე სასამართლოს 2004 წლის 29 ნოემბრის განჩინებით ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად იქნა მიქცეული. ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ოპერატიულმა დეპარტამენტმა და ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება დააყოვნეს, რამაც გამოიწვია მატერიალური ზიანი, კერძოდ 2004 წლის 15 სექტემბერს მოსარჩელემ ინდემწარმე ერვანდ გ-შვილთან დადო ავტომანქანის ზეთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ამ უკანასკნელის საკუთრებაში უნდა გადასულიყო ზემოხსენებული საქონელი, ხოლო მიწოდების ვადად განისაზღვრა 2004 წლის 15 დეკემბერი. ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელეს ბეს სახით მიღებული ჰქონდა 9000 ლარი, ხოლო საქონლის მიწოდებისათვის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში მას ბე ორმაგად (18000 ლარი) უნდა დაებრუნებინა. საბაჟო გაფორმება განხორციელდა 2004 წლის 21 დეკემბერს, შესაბამისად, ვერ იქნა შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რის საფუძველზეც ბეს ორმაგად დაბრუნების ვალდებულება დაეკისრა მოსარჩელეს. ე. გ-შვილი ხელშეკრულების გაგრძელებაზე მხოლოდ იმ პირობით იყო თანახმა, თუ ნასყიდობის საგნის ღირებულება შემცირდებოდა, რაზეც მოსარჩელე დათანხმდა. აღნიშნულმა კი გამოიწვია მისთვის 14694 ლარის დანაკლისი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოსარჩელის მოსაზრებით, მისთვის მიყენებული ზიანის გამომწვევც ფაქტობრივ მიზეზს სწორედ ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული

ქმედება წარმოადგენდა, რაც განსახილველ შემთხვევაში მათი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სრულ ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს ქმნიდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებით ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის -1000 აშშ დოლარის, თბილისის სააღსრულებო ბიუროში გაღებული წინასწარი ხარჯის -80 ლარის, ავტომანქანის იძულებითი დგომისათვის გაწეული სატერმინალო მომსახურების ხარჯების -675 ლარის, ტერმინალში ავტომანქანის იძულებითი დგომისა და მოცდენისათვის მისი მფლობელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების -4100 ლარისა და ასევე, ქონებრივი დანაკლისის სახით 14 694 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით კ. ი-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტსა და ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციას სოლიდარულად დაეკისრათ კ. ი-შვილის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურება: ა) ბეს ორმაგი ოდენობით დაბრუნების გამო 18000 ლარის ოდენობით; ბ) ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები -1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი; გ) თბილისის სააღსრულებო ბიუროში გაღებული წინასწარი ხარჯები 80 ლარის ოდენობით; დ) ავტომანქანის იძულებითი დგომისათვის გაწეული სატერმინალო მომსახურების ხარჯები 675 ლარის ოდენობით; ე) ტერმინალში ავტომანქანის იძულებით დგომისა და მოცდენისათვის მისი მფლობელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით 4100 ლარის ოდენობით; მოსარჩელეს უარი ეთქვა ქონებრივი დანაკლისის სახით 14694 ლარი მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე.

საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება დაეყრდნო შემდეგ მოტივებს:

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

დადგენილად იქნა მიჩნეული ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანო, კანონმდებლობის თანახმად, ვალდებული იყო, განეხორციელებინა ქმედება, რომლის შეუსრულებლობით მოსარჩელეს მიადგა მატერიალური ზიანი, კერძოდ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კონტრაქტისათვის ზიანის ასანაზღაურებლად კ. ი-შვილს დაეკისრა ბეს ორმაგი ოდენობით დაბრუნება.

დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ 2004 წლის 25 ოქტომბრის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად მომსახურების საფასური განისაზღვრა 1000 აშშ დოლარით, აგრეთვე, თბილისის სააღსრულებო ბიუროში მოსარჩელის მიერ გადახდილ იქნა 80 ლარი. შპს ტერმინალკომპლექს «თბილისში» სალაროს შემოსავლის #2611 ორდერით დადგინდა ავტომანქანის იძულებითი დგომისათვის გაწეული სატერმინალო მომსახურების -675 ლარის გადახდის ფაქტი. ასევე დადგინდა, რომ ა. თ-შვილის კუთვნილი ავტომანქანა «მაზის» ტერმინალში იძულებითი დგომისა და მოცდენისათვის მოსარჩელემ განიცადა ზიანი 4100 ლარის ოდენობით.

მოსარჩელის მოთხოვნა 14 694 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ნაწილში მიჩნეულ იქნა უსაფუძვლოდ, რადგან საქმის მასალებით არ დადასტურდა, მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი გამოწვეული იყო თუ არა მხოლოდ მოპასუხეთა ბრალეული ქმედებით. სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის შესაბამისად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ზიანის ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, რაც მოცემულ შემთხვევაში წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

საბაჟო ორგანოს არ მიუძღვის ბრალი საქონლის გაფორმების დაყოვნებაში, ვინაიდან, სანამ საქონელი და სატრანსპორტო საშუალება დალუქული იყო ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის ლუქით, საბაჟო ორგანო მოკლებული იყო საშუალებას, ჩაეტარებინა საბაჟო გაფორმების პროცედურები მოსარჩელის მიერ საქართველოში შემოტანილ საქონელზე.

სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა საბაჟო კოდექსის 134-ე მუხლი, რომლის შინაარსიდან გამომდინარე, საბაჟო გაფორმებისათვის დადგენილი ვადის ათვლა ხდება საბაჟო დეკლარაციის მიღებისა და საბაჟო მიზნებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და მონაცემების წარდგენის მომენტიდან. აღნიშნულ ვადაში კი არ შედიოდა ის დრო, რომლის განმავლობაშიც საქონელი დალუქული იყო საფინანსო პოლიციის ლუქით.

საბაჟო დეკლარაცია და საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დოკუმენტაცია საბაჟო ორგანომ მიიღო 2004 წლის 21 დეკემბერს და იმავე დღეს გააფორმა ტვირთი მოსარჩელის მიერ არჩეულ საბაჟო რეჟიმში.

სადავო საქონელი საქართველოში შემოტანილ იქნა საბაჟო წესების დარღვევით, კერძოდ, ტვირთის შემოტანისას მოსარჩელემ დაარღვია «ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების დაბეგვისა და აღრიცხვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ივლისის #434 ბრძანებულება, რომლის თანახმად, ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატებით საქართველოს საზღვრის გადმოკვეთა ხდებოდა მხოლოდ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაცემული სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების საფუძველზე. ასევე დაირღვა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 1999 წლის 12 აგვისტოს #156 ბრძანება, რომლითაც აიკრძალა როკი-ცხინვალი-გორის საავტომობილო მაგისტრალის გავლით აქციზური საქონლის გადაადგილება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება 14 694 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. ი-შვილმა და მოითხოვა მითითებულ ნაწილში მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

2007 წლის 6 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე კ. ი-შვილის წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივარზე უარი განაცხადა და მოითხოვა კ. ი-შვილის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 10 იანვრის განჩინებით კ. ი-შვილის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებაზე კ. ი-შვილის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარზე შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს, სოლიდარულად, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის (18 000 ლარი, 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, 80 ლარი, 675 ლარი) და სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის -367,35 ლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივები მდგომარეობს შემდეგში:

საბაჟო დეპარტამენტისათვის თანხის დაკისრების ნაწილში სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამართლებრივად არ დაუსაბუთებია. საქალაქო სასამართლომ მხოლოდ ერთგან აღნიშნა, რომ საბაჟო დეპარტამენტის მხრიდან ადგილი ჰქონდა უმოქმედობას, რამდენადაც მან არ განახორციელა კანონით მისთვის დაკისრებული ვალდებულება სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2004 წლის 2 დეკემბრისა და 9 დეკემბრის #01-06 წერილების საფუძველზე. ზემოაღნიშნული მსჯელობა არ ექვემდებარებოდა გაზიარებას, რადგან საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ სააღსრულებო საქმის წარმოება დამთავრდა 2004 წლის 21 დეკემბერს, როდესაც ფინანსური პოლიციის მიერ შესრულდა აღმასრულებლის მოთხოვნა და ლუქი მოეხსნა ავტომანქანას. იმავე დღეს საბაჟო ორგანოს მიერ განბაჟდა ინდემწარმე კ. ი-შვილის კუთვნილი საქონელი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქალაქო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საბაჟო კოდექსის 134-ე მუხლი, რომლის შინაარსიდან გამომდინარე, საბაჟო გაფორმებისათვის დადგენილი ვადის ათვლა ხდება საბაჟო დეკლარაციის მიღების და საბაჟო მიზნებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და მონაცემების წარდგენის მომენტიდან, აღნიშნულ ვადაში კი არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც საქონელი დალუქული იყო საფინანსო პოლიციის ლუქით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის მოსაზრება, რომ ჯერ კიდევ ფინანსური პოლიციის მიერ ხსენებული საქონლის დალუქვამდე (2004 წლის 8 ოქტომბერი), საბაჟო ორგანოს შეეძლო ტვირთის განბაჟება, რითაც აცილებული იქნებოდა ზიანის დადგომა. თვით სარჩელის შინაარსიდან დგინდებოდა, რომ სარჩელის საფუძველს წარმოადგენდა მოპასუხეების, მათ შორის, საბაჟო ორგანოს მიერ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების დროული აღუსრულებლობა, რაც საბაჟო დეპარტამენტთან მიმართებაში არ დასტურდებოდა.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს, სოლიდარულად დაეკისრა ზიანისა და სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება, უნდა გაუქმებულიყო, ხოლო დანარჩენ ნაწილში -ფინანსურ პოლიციასთან მიმართებაში უცვლელად დარჩენილიყო, რამდენადაც აღნიშნული არ წარმოადგენდა სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანს -ფინანსურმა პოლიციამ არ გაასაჩივრა ხსენებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის -18 000 ლარის, 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, 80 ლარის, 675 ლარის და სახელმწიფო ბაჟის გადახდა 367.35 ლარის ოდენობით, შემდეგი საფუძველებით:

ფინანსურ პოლიციას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით არ ეცნობა სასამართლო სხდომის დრო, რის გამოც მოკლებული იყო შესაძლებლობას, მიეღო მონაწილეობა საქმის განხილვაში.

საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ კ. ი-შვილმა შეიძინა კომპანია «ლუკვილის» წარმოების ავტომანქანის ზეთი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილ იქნა ჩრდილოეთ ოსეთის საბაჟოს გავლით. იმ დროისათვის მოქმედი საბაჟო კანონმდებლობით საბაჟო საზღვარი უნდა გადმოკვეთილიყო ტერიტორიულად განსაზღვრულ ადგილებში, რომლებიც დადგენილი იყო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. აღნიშნული საზღვრიდან ტვირთის გადმოტანა აკრძალული იყო. იმის გამო, რომ კ. ი-შვილმა უკანონოდ გადმოკვეთა საზღვარი და საბაჟო დეპარტამენტმა არ მოახდინა აღნიშნული ტვირთის განბაჟება, ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის მე-3 განყოფილებამ აღნიშნული ტვირთი დააყადაღა. ფინანსურ პოლიციას სრული უფლება ჰქონდა, იმ დროს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 223-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ჯარიმის თანხის გადახდამდე მოეხდინა ასეთი წესით ტრანსპორტირებული მატერიალური ფასეულობების ან საქონლის დაყადაღება. მოგვიანებით ფინანსურმა პოლიციამ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოხსნა ლუქი და მის ქმედებას არ გამოუწვევია კ. ი-შვილის მიმართ არანაირი შეფერხება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციისათვის კ. ი-შვილის სასარგებლოდ თანხების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, დანარჩენ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს, სოლიდარულად, ფინანსურ პოლიციასთან ერთად დაეკისრა ზიანისა და სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება კ. ი-შვილის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენ ნაწილში, კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციასთან მიმართებაში გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა მხოლოდ იმ მოტივით, რომ ფინანსურ პოლიციას იგი სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს.

ის გარემოება, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციას სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია, არ ნიშნავს, რომ მის მიმართ გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, რამდენადაც დასახელებული გადაწყვეტილება ერთ-ერთმა სოლიდარულმა მოვალემ - ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა გაასაჩივრა სრულად. სოლიდარული ვალდებულების თავისებურება, სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლიდან გამომდინარე, იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მოვალე ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების ერთჯერადი მოთხოვნის უფლება. თავის მხრივ, იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელიც მთლიანად ანაზღაურებს ზიანს, აქვს რეგრესული მოთხოვნის უფლება სხვა სოლიდარული მოვალის მიმართ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, სასამართლომ უნდა მიუთითოს, თუ თითოეულმა მოპასუხემ გადაწყვეტილების რა წილი უნდა შეასრულოს, ან აღნიშნოს, რომ მათი პასუხისმგებლობა სოლიდარულია. ვინაიდან საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეებს -ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტსა და ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციას სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელის სასარგებლოდ თანხის გადახდა, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის -ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ გადაწყვეტილების სრულად გასაჩივრება თავისთავად გულისხმობდა მის გასაჩივრებას ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციისათვის თანხის სოლიდარულად დაკისრების ნაწილშიც, რადგან სოლიდარული ვალდებულების არსიდან გამომდინარე, აღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულება წარმოადგენდა მოპასუხეების მთლიანი შესრულების საგანს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უშუალოდ შეეხო კასატორს და მისი, როგორც სოლიდარული მოვალის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა, რამდენადაც ამჯერად მთლიანად მას დაეკისრა გადასახდელი თანხა.

მატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხი ფინანსურ პოლიციასთან მიმართებაში საჭიროებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამორკვევა-შეფასებას, რაზეც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში არ უმსჯელია.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას შესაბამის მტკიცებულებებზე დაყრდნობით სწორად უნდა დაადგინოს, კონკრეტულად, ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ბრალეულობა მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის დადგომაში, ფინანსური პოლიციის მოქმედებას (უმოქმედობას) და მოსარჩელისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა, რაც ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია 2007 წლის 17 იანვრის სასამართლო სხდომაზე (რომელზეც სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა), დადგენილი წესით არ იყო მიწვეული. მითითებული სხდომა წარმოადგენდა 2006 წლის 6 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე დაწყებული საქმის განხილვის გაგრძელებას, ხოლო საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2006 წლის 6 დეკემბრის სხდომის შესახებ ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია გაფრთხილებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამის მიუხედავად, მხარე სხდომაზე არ გამოცხადებულა და არც სასამართლოსათვის უცნობებია გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ. 2007 წლის 17 იანვარს საქმის განხილვა თავიდან კი არ დაწყებულა, არამედ გაგრძელდა უკვე დაწყებული სხდომა. ასეთ შემთხვევაში გამოუცხადებელი მხარისათვის საქმის განხილვის გაგრძელების დღის შეუტყობინებლობა ვერ გაუთანაბრდება ახლად დანიშნულ სხდომაზე მხარის მიუწვევლობას, თუკი აღნიშნული საქმის განხილვის დაწყებამდე მხარეს კანონით დადგენილ წესით ეცნობა პროცესის ჩატარების თაობაზე, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციისათვის კ. ი-შვილის სასარგებლოდ თანხების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#ბს-524-625-კ-03

30 მაისი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ნ. სხირტლაძე

სარჩელის საგანი: სალიზინგო საზღაურის შემცირება; მიუღებელი შემოსავლისა და მორალური ზიანის ანაზღაურება; ლიზინგის საგნის მოსარჩელის საკუთრებად ჩათვლა

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 8 აგვისტოს თბილისის საოლქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სს «კედარმა» მოპასუხეების -საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსა და შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს» მიმართ 2001 წლის 28 სექტემბრის #1 ლიზინგის ხელშეკრულებიდან გასვლისა და მატერიალური ზარალის -712275,46 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის მოპასუხეთათვის დაკისრების მოთხოვნით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 1999 წლის აგვისტოში ჩინეთის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის ეკონომიკური სიძნელეების გადალახვის ხელშეწყობის მიზნით, გრანტის სახით გამოყოფილ იქნა ხის საშრობი მანქანა-დანადგარების კომპლექტი -5 მლნ იუანის, ანუ 748478 ლარის უსასყიდლო დახმარება. აღნიშნულის თაობაზე 2001 წლის 16 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა #135 ბრძანებულება, რომლითაც განისაზღვრა ამ გრანტის ათვისებისათვის საჭირო ღონისძიებანი, მათ შორის, დამტკიცდა ხის საშრობი მანქანა-დანადგარების ათვისების მექანიზმი. აღნიშნული გრანტის მმართველად, საქართველოს მთავრობის უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, რომელსაც შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს» მეშვეობით გრანტის ათვისებასთან დაკავშირებული

საკონსულტაციო და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება დაეკისრა. ხსენებული გრანტის ათვისების პროცესში წამოჭრილ საკითხთა გადასაწყვეტად შეიქმნა საუწყებო-სამართლებრივი სატენდერო კომისია საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის, ფინანსთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წარმომადგენელთა შემადგენლობით. შესაბამისი ტენდერის პირობების მომზადება და გრანტის ათვისებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება დაევალა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს».

მოსარჩელის განმარტებით, გაზეთებში «საქართველოს რესპუბლიკა», «რეზონანსი» და «დილის გაზეთი» - გამოქვეყნდა ტენდერის პირობები შემდეგი ჩამონათვალით: ა) ხის საშრობი კამერა -100 მ3 ნედლი მასალის ტევადობის -4 ცალი; ბ) შესაბამისი საქვაბე სისტემა -1 ცალი; გ) აშქე - ტვირთამწეობა 2ტ -1 ცალი; დ) ელექტროგენერატორი -128 კვტ სიმძლავრის -1 ცალი. ტენდერში გამარჯვებულს გადაეცემოდა ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დანადგარი ლიზინგის ფორმით, სალიზინგო საზღაურის -დაახლოებით 748478 ლარის გადახდა უნდა მომხდარიყო 7 წლის განმავლობაში, ამასთან, ტენდერში გამარჯვებული მაძიებელი 3 წლით თავისუფლდებოდა გადასახადისაგან და ძირითადი თანხის დაბრუნება დაიწყებოდა სამწლიანი თავისუფალი პერიოდის გასვლის შემდეგ. ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა სს «კედარი», რის საფუძველზეც 2001 წლის 28 სექტემბერს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსა და სს «კედარს» შორის დაიდო #1 ლიზინგის ხელშეკრულება, რომლის #1 დანართით განისაზღვრა მანქანა-დანადგარების დასახელება, სპეციფიკაცია, რაოდენობა და ღირებულება, სადაც მითითებული იყო, რომ ხის საშრობი კამერა იყო ნედლი მასალის, 100 მ3 ტევადობის მოცულობით, აშქეს ტვირთამწეობა შეადგენდა 2ტ-ს, ხოლო ელექტროგენერატორი იქნებოდა 128 კვტ სიმძლავრის. ლიზინგის საგნის გადაცემის დროს სს «კედარს» მიეცა ერთწლიანი გარანტია.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 2001 წლის 28 სექტემბრის #1 ლიზინგის ხელშეკრულების:

2.1 პუნქტის შესაბამისად, ლიზინგის გამცემი ვალდებული იყო, ლიზინგის მიმღებისათვის გადაეცა ხელშეკრულების #1 დანართში მითითებული სპეციფიკაციის შესაბამისი მანქანა-დანადგარები;

2.2.3 პუნქტის შესაბამისად, ლიზინგის გამცემი თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებდა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მართვაში არსებული შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს» მეშვეობით, რაზედაც სამინისტროსა და სააგენტოს შორის გაფორმდა სათანადო ხელშეკრულება;

2.3.4 პუნქტის შესაბამისად, ლიზინგის მიმღები ვალდებული იყო, ლიზინგის საგნის გაუმართავ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა საკითხზე ლიზინგის გამცემისათვის მიეწოდებინა წერილობითი შეტყობინება;

2.3.9 პუნქტის შესაბამისად, ლიზინგის მიმღებს ეკისრებოდა ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ პარამეტრებთან ლიზინგის საგნის შეუსაბამობის მტკიცების ტვირთი. ლიზინგის მიმღებისთვის ლიზინგის საგნის გადაცემის შემდეგ აღმოჩენილი მისი ამ ხელშეკრულების #1 დანართში მითითებულ მოთხოვნასთან შეუსაბამობები, ნაკლი, დეფექტები უნდა რეგისტრირებულიყო ლიზინგის მიმღებისა და ლიზინგის გამცემის მიერ შექმნილი კომისიის ცალკე აქტით;

2.6 პუნქტის შესაბამისად, ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის გადაცემული ნაკლის, დეფექტების მქონე ლიზინგის საგანზე და, აქედან გამომდინარე, ლიზინგის მიმღების დანაკარგზე ლიზინგის მიმღები ვალდებული იყო მიემართა ლიზინგის გამცემისათვის, ხოლო სადავო საკითხების რეგულირება უნდა მომხდარიყო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2.7 პუნქტის მიხედვით, ლიზინგის გამცემი ვალდებული იყო მიეღო ყველანაირი ზომა, რათა ხელი შეეწყო ლიზინგის მიმღებისათვის ლიზინგის საგნის მწარმოებელთან ლიზინგის საგნის გარშემო წამოჭრილი ყველა ტექნიკური საკითხის მოგვარებაში, მათ შორის, საგარანტიო ვადაზე აღებული პასუხისმგებლობის შესრულებაში;

4.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ყველა პრეტენზია მეორე მხარის მიერ განხილული უნდა ყოფილიყო მის მიერ პრეტენზიის ფაქტობრივად მიღების დღიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში და შემდგომი სამუშაო დღის განმავლობაში გადაეგზავნა პასუხი ამ ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდებოდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საერთო სასამართლოში.

მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შესასრულებლად სს «კედარმა» სს «თიბისი ბანკიდან» 2001 წლის 1 აგვისტოს #927-7681 ხელშეკრულებით აიღო კრედიტი და გახსნა საკრედიტო ხაზი 121000 აშშ დოლარის ოდენობით, საიდანაც 35000 აშშ დოლარი პირდაპირ გადაირიცხა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ანგარიშზე, ხოლო 30500 აშშ დოლარი გაიხარჯა ფუნდამენტისა და ნულოვანი ციკლის მოსაწყობად. მიუხედავად იმისა, რომ ტენდერით გათვალისწინებული დანადგარები სს «კედარმა» 2002 წლის 1 თებერვალს, ანუ 4 თვის დაგვიანებით მიიღო, ე.წ. მომსახურებისათვის სს «კედარმა» შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს» გადაუხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 9000 ლარი. 2002 წლის თებერვალში სს «კედარმა» დაიწყო ხის საშრობების დამონტაჟება, რომელიც, პრაქტიკულად, მწყობრში შევიდა აპრილის ბოლოსათვის. ამ ხნის განმავლობაში შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტოსათვის» სს «კედარის»

მიერ კიდევ იქნა გადახდილი 4200 ლარი, ხოლო სს «თიბისი ბანკიდან» მიზნობრივად დამატებით გამოტანილ იქნა 55000 აშშ დოლარი. ხის საშრობი მანქანა-დანადგარები დამონტაჟდა ჩინელი სპეციალისტების მიერ და სს «კედარს» გადაეცა მიღება-ჩაბარების აქტით.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ ხის საშრობი კამერების ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ მრავალმა საწარმოო ხარვეზმა იჩინა თავი, რაც არ შეესაბამებოდა სატენდერო პირობებსა და ხელშეკრულებაში მითითებულ პირობებს. აღნიშნული გამოაშკარავდა ხის საშრობი კამერის დატვირთვის დროსაც, კერძოდ, მისი ექსპლუატაციის დროს გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

1. პრაქტიკულად, ხის საშრობ კამერაში, ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით, შესაძლებელი იყო არა 100 მ³ ნედლი მასალის დაწყოება გასაშრობად, არამედ მხოლოდ 60 მ³-ისა;
2. ექსპლუატაციისათვის უვარგისი აღმოჩნდა გენერატორი, რომელიც აპრილის პირველ რიცხვებში გამოვიდა მწყობრიდან და ოქტომბრის ბოლომდე არ მუშაობდა შემცვლელი ნაწილების უქონლობის გამო, რის გამოც სს «კედარი» იძულებული გახდა, შეეძინა ახალი 66-კილოვატაანი ძვირად ღირებული გენერატორი;
3. ექსპლუატაციის პერიოდში აღმოჩნდა, რომ ავტომატურ («პადიომნიკი») არ შეესაბამებოდა სახელშეკრულებო პირობებს -2ტ სიმძლავრის ამწეობის მაგივრად, იყო 1,5;
4. 10 თვის ექსპლუატაციის შემდეგ საშრობის სითბური გაყვანილობის მდგომარეობა იყო სავალალო, დაჟანგდა მილები, ზოგ ადგილებში გაიხვრიტა და დაახლოებით 20% იყო შესაცვლელი, დასხურების სისტემას მოჰყვებოდა ჟანგი, რაც იწვევდა მასალის დაჟანგვასა და ხარისხის გაფუჭებას, არ ვარგოდა ორთქლის ვინტილები, არ იკეტებოდა ბოლომდე და კამერის გამორთვის შემდეგ შეინიშნებოდა ორთქლისა და კონდენსირებული წყლის გაჟონვა კამერაში, რაც საზიანო იყო გამომშრალი მასალისათვის. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც შრობის პროცესში, მილების გადაბმის ადგილებში ზიანდებოდა საფენი («პრაკლადკა») და იწყებოდა ორთქლის გაჟონვა, რაც, აგრეთვე, საზიანო იყო მასალისათვის. კამერაში იცვლებოდა ტენიანობა და შრობის გაგრძელება შეუძლებელი ხდებოდა. ამ შემთხვევაში სს «კედარი» იძულებული ხდებოდა, გაეცივებინა კამერა, განეტვირთა და შეეკეთებინა იგი, რაც დაკავშირებული იყო არცთუ ისე მცირე ხარჯებთან და, რაც მთავარია, გვიანდებოდა მასალის გაშრობა;
5. პრობლემები გაჩნდა ელექტროკლავანების მუშაობაშიც -დაიწვა ელექტრომაგნიტი, რომელიც განაპირობებდა ორთქლის მიწოდებას კამერაში, ვერაფრით ვერ შეკეთდა დამასხურებელი სისტემის გადაბმის ადგილები. მუდმივად შეიმჩნეოდა წყლისა და ორთქლის გაჟონვა, რაც საზიანო იყო ელექტროგაყვანილობისა და კამერების მმართველი კარადების გამართული მუშაობისათვის. ტემპერატურა დერეფანში იწევდა +45-50 გრ. ჩ-მდე, მმართვე კარადებში დაზიანდა სამფაზიანი ელექტროგამშვები;
6. დარღვეული იყო კამერის ჰერმეტიკობა და კარების ამწევი მექანიზმიც ხშირად ზიანდებოდა. ძლიერი წვიმის დროს კამერებში წყალი ჩადიოდა და ასველებდა მასალას. საჭირო ურდულების ღირებები მოცვდა და ურდულებს ბოლომდე ვერ კეტავდა;
7. განსხვავებული იყო შრობის დრო. ერთი და იმავე ხის მასალას სხვადასხვა კამერაში სხვადასხვა დრო სჭირდებოდა გასაშრობად;
8. საჭირო იყო სათადარიგო ნაწილები: ელექტროკლავანები, ელექტროკლავანის ელმაგნიტი, მაღალტემპერატურული საფენები («პრაკლადკები»), გადაბმებისათვის საჭირო მასალები, მილები, ვინტილები;
9. შრობის ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლისას ჩერდებოდა (ეკიდებოდა) პროგრამა და შრობის პროცესი არ მიმდინარეობდა. აღნიშნულის მიზეზი ვერ დადგინდა, რის გამოც ხდებოდა შრობის შეფერხება;
10. დარღვეული იყო ორთქლის ქვების თბოდაცვა წინა და უკანა მხარეს;
11. ორთქლის ქვებიდან საშრობ კამერამდე და კონდენსატის და ორთქლის მიწოდებელ მილსადენებად გამოყენებული იყო მეტალის მილგაყვანილობა, რომელიც ჟანგავდა კონდენსატს;
12. ორთქლის ქვების წყლის რეზერვუარად გამოყენებული იყო მეტალის ავზები, რომლებიც, ასევე, ჟანგავდა წყალს;
13. ორთქლის მიწოდებელ მილსადენზე დაყენებული უნდა ყოფილიყო «ვინტილი» ქვების ჩართვისას წყლის გაზრდის მომენტისათვის მილსადენის გაქარვის მიზნით;
14. კონდენსატის მილსადენზე დაახლოებით ორ ადგილას (სწორ მონაკვეთსა და ყველაზე დაბალ წერტილში) საჭირო იყო კონდენსატის დასაცვლად «ვინტილების» არსებობა ჰიდროდარტყმების მოხსნის მიზნით;
15. საშრობ კამერებში სისტემაზე დაყენებული ყველა ვინტილი ვერ უზრუნველყოფდა სისტემის ჰერმეტიკობის დაცვას, მიუხედავად მრავალგზის მოსაწესრიგებელი სამუშაოების ჩატარებისა;
16. მთლიანად იყო შესაცვლელი კამერებში მიმყვანი მილსადენები, რადგან მოხდა მათი კოროზიული დაზიანება. ძირითადი მიზეზი იყო მილსადენის თხელკედლიანობა და მეტალური მილების გამოყენება;
17. საშრობი კამერების მთლიანი მოცულობები არ შეესაბამებოდა სასარგებლო მოცულობის გარანტიულ მოცულობას;
18. მილსადენის შეერთების ადგილებში გამოყენებული შუასადებები არ უზრუნველყოფდა შრობის ერთ პროცესში შრობის საიმედოობას;
19. შეფერხებებით მუშაობდა საშრობი ელექტრონული სარქველები, ზოგჯერ კი, არც მუშაობდა;
20. ორთქლის ქვების რეკლამირებული მონაცემები საწვავი აირის ხარჯვის შესახებ იყო არარეალური;
21. კამერის სადრენაჟო არხები ვერ უზრუნველყოფდა კონდენსატის გატარებას.

მოსარჩელის განმარტებით, მითითებული ხარვეზების გამო, ლიზინგის მიმღებსა და ლიზინგის გამცემს შორის არსებული ხელშეკრულების 2.3.4 პუნქტიდან გამომდინარე, სს «კედარმა» 2001 წლის 25 ივნისს #206-რ/ან წერილით მიმართა მოპასუხეებს, რათა ადგილზე შეესწავლათ ხის საშრობი კამერის ფორმა #1-ს და ფაქტობრივ პარამეტრებს შორის არსებული შეუსაბამოები და სხვა მრავალი დეფექტი, რომლებმაც თავი იჩინა მისი ექსპლუატაციის დროს. შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტოდან» მოსარჩელისათვის გაგზავნილ 2002 წლის 30 ივლისის #01/44 და 2002 წლის 15 აგვისტოს #01/01-03/270 პასუხებში მითითებული იყო, რომ ხსენებული სააგენტოს მიერ ჩატარებულმა

გადაზომვებმა, თითქოს აჩვენეს, რომ კამერის ფართის მოცულობა შეადგენდა 249 მ³-ს, ხოლო სასარგებლო ფართის მოცულობა -166 მ³-ს და კამერაში უნდა განთავსებულიყო 100 მ³ ნედლი ხის მასალა. ვინაიდან აღნიშნული სააგენტოს მითითებული წერილები არ შეესაბამებოდა რეალობას, სს «კედარმა» 2002 წლის 23 აგვისტოს #243-კ/ან წერილით კვლავ მიმართა სამინისტროსა და სააგენტოს დანადგარის ხარვეზების გამოსწორებისა და მწყობრიდან გამოსული ელექტროგენერატორის უკან დაბრუნების თაობაზე, რაზედაც სს «კედარს» არ მიუღია პასუხი. ყოველივე ზემოაღნიშნულმა სს «კედარი» იძულებული გახადა, 2003 წლის 12 თებერვლის #22-კ/ან პრეტენზიით მიემართა მოპასუხეებისათვის, რათა ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, გამოეყოთ კომისია, რომელიც შეისწავლიდა გამოვლენილ ხარვეზებს, რასაც არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ვინაიდან საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ და ხსენებულმა სააგენტომ არ შეასრულეს ხელშეკრულებით მათზე დაკისრებული მოვალეობები, მოწოდებულ იქნა უხარისხო და სპეციფიკაციასთან შეუსაბამო დანადგარები, არ გამოყვეს სათანადო კომისია, არ ჩაატარეს ობიექტური გამოკვლევა, რაც უნდა ასახულიყო შესაბამის აქტში, სს «კედარი» იძულებული გახდა, აღმოჩენილი ხარვეზების გამოკვლევისა და დადასტურების მიზნით, მიემართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისთვის. ხსენებულმა ექსპერტიზის ცენტრმა შესაბამისი დარგის სპეციალისტების მეშვეობით ჩაატარა გამოკვლევა და 2003 წლის 10 ივნისს შეადგინა #2-ე-20 საექსპერტო დასკვნა, რომლითაც დასტურდებოდა, რომ:

1. საწარმოში არსებული საშრობი კამერების მოცულობა არ შეესაბამებოდა სახელშეკრულებო-საპასპორტო მონაცემებს. მათში 100 მ³ ნედლი მასალის ნაცვლად, შესაძლებელი იყო მაქსიმუმ 62 მ³ ჩამოგანილი და 48 მ³ ჩამოუგანავი მასალის დაწყობა;

2. გენერატორი შეკეთებული იყო ჩინეთიდან გამოგზავნილი ნაწილებით და იმჟამად იმყოფებოდა მუშა მდგომარეობაში;

3. ტვირთამწეობის სიმძლავრის მიხედვით, ავტოამწის მონაცემები არ შეესაბამებოდა სახელშეკრულებო პირობებს. დადგენილი იყო, რომ მისი მაქსიმალური ტვირთამწეობა იყო 1,5 ტონა;

4. ტექნოლოგიური ხაზისა და მასში შემავალი მანქანა-დანადგარების ტექნიკური და საექსპლუატაციო პირობები არ შეესაბამებოდა სახელშეკრულებო პირობებს;

5. ელმაგნიტისა და ელკლავების მწყობრიდან გამოსვლას იწვევდა დენის ძაბვის ცვალებადობა სისტემაში. სუსტი ელექტროდეტალები ძაბვის მერყეობას ვერ გაუმძლავრებდა;

6. მანქანა-დანადგარების კვანძები (კამერები, კარებები და სხვა დეტალები) ვერ აკმაყოფილებდა ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი ჰერმეტიულობასა და ცვეთაზე;

7. ერთი და იმავე ჯიშისა და ზომის მასალის შრობის ხანგრძლივობა ერთსა და იმავე ტიპის კამერაში უნდა ყოფილიყო ერთნაირი. სს «კედარის» შემთხვევაში აღნიშნული პირობა ირღვეოდა, თითოეულ კამერაში არსებული ინდივიდუალური ხარვეზების შრობის პროცესზე გავლენის გამო;

8. შესაცვლელი იყო საშრობი სისტემის მთელი მილგაყვანილობა, ორთქლის მიმწოდი გამხსნელ-ჩამკვეტი «ვინტილები», მართვის მთელი ელექტროსისტემა. ყველა კამერაში საჭირო იყო კედლის შიგა პანელების ამოკვრა და მათი თბოსაიზოლაციო ფენით უზრუნველყოფა, კარების ჩამკვეტი მექანიზმებისა და ჰერმეტიულობის მოწესრიგება. ერთი კამერა საერთოდ აღსადგენი იყო მაკომპლექტებული დეტალების არარსებობის გამო;

9. მასალის შრობის შეფერხება ხდებოდა საშრობ სისტემაში არსებული ხარვეზების გამო. ავტომატური მართვის პროგრამით გათვალისწინებული შრობის პარამეტრების დაცვა კამერების შიგნით ვერ ხერხდებოდა. ამიტომ, პროგრამის თეორიული მსვლელობა ვერ ემთხვეოდა შრობის პრაქტიკული მსვლელობის პროცესს;

10. ორთქლის ქვაბის თბოდაცვა იყო დარღვეული იზოლაციის ფენის უხარისხობის გამო;

11. ორთქლის ქვაბიდან გამოსული მილგაყვანილობა ჟანგავდა კონდენსატს და ხდებოდა გამოუსადეგარი შემდგომი გამოყენებისათვის. მილგაყვანილობა იმდენად თხელი იყო, რომ ვერ აკმაყოფილებდა ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მოთხოვნებს;

12. საწარმოში არსებული ლითონის დაქანებული ავზი იყო შესაცვლელი უვარგისობის გამო;

13. ორთქლის მიმწოდებელ მილსადენზე არ იყო საკმარისი რაოდენობის ვინტილები, ყველა არსებული კი იყო დაქანებული და დაზიანებული, მუდმივად გამოდიოდა ორთქლი და წვეთავდა კონდენსატი;

14. ჰიდროდარტყმების მოხსნის მიზნით, აუცილებელი იყო კონდენსატის გამომტან მილსადენზე ვინტილის არსებობა;

15. არც ერთ კამერაში და საერთოდ, მთელ სისტემაში ვერც ერთი ვინტილი ვერ უზრუნველყოფდა ჰერმეტიულობის დაცვას. ამის გამო, ადგილი ჰქონდა ორთქლისა და კონდენსატის მუდმივ დანაკარგებს;

16. ყველა მილსადენი იყო კოროზირებული, არ არსებობდა შესაბამისობა ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მოთხოვნებთან;

17. მილსადენის შეერთების ადგილებში იმჟამად გამოყენებული შუასადებები ვერ უზრუნველყოფდა შრობის საიმედოობას. იგი ვერ უძლებდა მაღალტემპერატურულ პირობებს და გამოდიოდა მწყობრიდან. გამოყენებული უნდა ყოფილიყო სითბოგამძლე შუასადებები;

18. ნორმალურ რეჟიმში ვერ მუშაობდა კამერების მართვის ელექტროსისტემა სუსტი ელექტროდეტალებით აღჭურვის გამო;

19. ორთქლის ქვაბის მონაცემები საწვავი აირის ხარჯვის შესახებ არ შეესაბამებოდა რეკლამირებულ მონაცემებს მთელ საშრობ სისტემაში არსებული, ხარვეზებით გამოწვეული ფუჭი დანაკარგების გამო. ორთქლის ქვაბს უწევდა ზედმეტი დატვირთვით მუშაობა;

20. ადგილობრივი პერსონალის მიერ დამონტაჟებული სადრენაჟო არხები ვერ უზრუნველყოფდა კონდენსატის გატარებას, რის გამოც ტერიტორიაზე გამუდმებით იყო წყლის გუბეები.

მოსარჩელის მითითებით, რომ ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნით უდავოდ დადგენილი იყო, რომ სამინისტრომ ვერ შეასრულა ლიზინგის ხელშეკრულებით და მისი დანართით გათვალისწინებული სიმძლავრის და ტევადობის ტექნიკური პარამეტრების მქონე დანადგარების მიწოდება სს «კედარისათვის», ანუ სს «კედარისათვის» მიწოდებულ იქნა ნაკლის მქონე ქონება, რომლის არასრულყოფილი ფუნქციონირების პერიოდში შეუძლებელი გახდა სტანდარტული მზა პროდუქციის წარმოება, როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად, რის გამოც სს «კედარმა» განიცადა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, რაც გამოიხატა შემდეგში: 121000 აშშ დოლარი - ბანკის კრედიტი, რომლიდანაც 35000 აშშ დოლარი იყო ხის საშრობების საფასური, 45000 აშშ დოლარი დაიხარჯა ნულოვანი ციკლის მოსაწყობად, 22300 აშშ დოლარი - სპეციალური ელექტროხაზის გამოყვანისათვის. ამ პერიოდის განმავლობაში, მარტო პროცენტის სახით, სს «თიბისი ბანკს» სს «კედარმა» გადაუხადა 32779 აშშ დოლარი და გადასახდელი დარჩა, ბანკისათვის პროცენტის სახით, 9058 აშშ დოლარი. სს «კედარმა» გასწია 6410 აშშ დოლარის ხარჯი 3 ჩინელი სპეციალისტის მიერ წარმოებულ სამუშაოებთან დაკავშირებით, რომლებმაც დაამონტაჟეს მანქანა-დანადგარები. გენერატორის მწყობრიდან გამოსვლის გამო, რომელიც 6 თვე არ მუშაობდა, სს «კედარი» იძულებული გახდა, ეყიდა ინგლისური გენერატორი (65 კვტ-ის სიმძლავრის), რომელშიც გადაიხადა 12000 აშშ დოლარი. შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს» ე.წ. მომსახურებისათვის სს «კედარმა» გადაუხადა 6608 აშშ დოლარი. საგარანტიო პერიოდში, საშრობების მწყობრიდან გამოსვლის გამო, სს «კედარი» იძულებული გახდა, ჩატარებინა სარემონტო სამუშაოები, რისთვისაც გაიღო 3432 აშშ დოლარის ხარჯი, რადგან საგარანტიო მომსახურებაზე დაყრდნობა შეუძლებელი იყო. ასევე, სს «კედარს» მოუხდა ცალკე შენობის აშენება კომპიუტერისა და სხვა დანადგარისათვის, რადგან კორიდორში, სადაც კომპიუტერი იყო განლაგებული, ჰაერის ტემპერატურა აღწევდა +45-45 გრ. ჩ-ს, რის გამოც კომპიუტერი მწყობრიდან გამოდიოდა. შენობის აშენებაზე დაიხარჯა 7300 აშშ დოლარი. ივნის-ივლისში ჟანგბანი წყლის გამოყოფის შედეგად, დაიჟანგა და გაფუჭდა 78 კვ.მ უმაღლესი ხარისხის მასალა, რის გამოც სს «კედარმა» განიცადა ზარალი 31200 აშშ დოლარის ოდენობით. ასევე, კომპანია «რონიკა ინდასტრი დეველოპმენტისთან» 2002 წლის 6 მაისს სს «კედარს» დადებული ჰქონდა #17/2002 კონტრაქტი 400 კვ.მ წიფლის მშრალი მასალის ყოველთვიურ მიწოდებაზე, რაც პრაქტიკულად ვერ შესრულდა საშრობი კამერების ტევადობის შესაბამისად გამო, რის გამოც სს «კედარმა» ჯარიმის სახით გადაიხადა 20000 აშშ დოლარი კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სს «კედარის» მიერ გაწეული სხვადასხვა გათვალისწინებული თუ გაუთვალისწინებელი ხარჯები, ასევე მიუღებელი შემოსავლები დადასტურდა დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმა «ბაკაშვილი & ჩო»-ს დასკვნით, რომლითაც დადგენილი იყო, რომ:

1. 2001 წლის 1 აგვისტოს სს «თიბისი ბანკიდან» 2001 წლის 1 აგვისტოს #927-7681 ხელშეკრულებით აღებულ იქნა მიზნობრივი კრედიტი საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად. სესხის ოდენობა შეადგენდა 66000 აშშ დოლარს. ამ სესხით დაიფარა შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტოში» პირველი შესატანი -71.000 ლარი, რაც შეადგენდა 35000 აშშ დოლარს, ხოლო დანარჩენი თანხა გახარჯულ იქნა ხის საშრობი შენობის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად;

2. 2002 წლის 26 იანვარს სს «თიბისი ბანკიდან» დამატებით აღებულ იქნა სესხი, რომლის ნაწილით დამთავრდა ხის საშრობი შენობის სამშენებლო სამუშაოები და გაყვანილ იქნა ელსადენი. ხის საშრობის აშენებაზე დაიხარჯა 89040 ლარი, რაც შეადგენდა 41000 აშშ დოლარს, ხოლო ელსადენის გაყვანა -22300 აშშ დოლარი;

3. სს «კედარმა» დამატებით გასწია ხარჯი, რათა აეშენებინა ხის საშრობის კომპიუტერული მართვის ცენტრის შენობა, რაც დაჯდა 16120 ლარი და შეადგენდა 7300 აშშ დოლარს;

4. გაწეულ იქნა ასევე წარმომადგენლობითი ხარჯი ხის საშრობის დანადგარების გამართვის პერიოდში ჩინელი სპეციალისტების საცხოვრებლისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ხარჯის ასანაზღაურებლად, რამაც შეადგინა 6410 აშშ დოლარი;

მთლიანად ტენდერში მონაწილეობისა და ხის საშრობი შენობის აშენება-გამართვისათვის საწარმომ გასწია 112510 აშშ დოლარის ხარჯი;

5. ბანკის საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 50931,46 აშშ დოლარი;

6. ხის საშრობის ექსპლუატაციის დროს საწარმომ გასწია უამრავი მიმდინარე სარემონტო ხარჯი, რაც გამოწვეული იყო ხის საშრობი მანქანა-დანადგარების დაბალი ხარისხით, ჩინელი სპეციალისტების მიერ ხის საშრობი მანქანა-დანადგარების დამონტაჟების დროს რიგი შეცდომების დაშვებით. მიმდინარე სარემონტო ხარჯმა შეადგინა 7700 ლარი, რაც იყო 3500 აშშ დოლარის ეკვივალენტი;

7. კომპანია «რონიკა ინდასტრი დეველოპმენტისთან» 2002 წლის 6 მაისს სს «კედარს» დადებული ჰქონდა #17/2002 კონტრაქტი 400 მ³ წიფლის მშრალი მასალის ყოველთვიურ მიწოდებაზე, მაგრამ სს «კედარმა» ვერ შეასრულა ხსენებული კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები, რადგან გრანტით

მიღებული ხის საშრობის ტევადობა გრანტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ბევრად ნაკლები აღმოჩნდა, როგორც ამას ადასტურებდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ექსპერტ-სპეციალისტა 2003 წლის 10 ივნისის #2-ე-20 დასკვნა. შესაბამისად, საწარმოს მოუწია ჯარიმის სახით დამკვეთი საწარმოსათვის გადაეხადა 20000 აშშ დოლარი, 2002 წლის 6 მაისს დადებული #17/2002 ხელშეკრულების თანახმად;

8. სს «კედარი» იძულებული გახდა, დამატებით შეეყიდა ელექტროგენერატორი, რადგან ჩინური გრანტით მიღებული გენერატორი სწრაფად გამოვიდა მწყობრიდან, რაც საწარმოს დაუჯდა დამატებით 12000 აშშ დოლარი და რაც აღნიშნული იყო ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტის დასკვნაში;

9. 2001 წლის 28 სექტემბერს დადებული ხელშეკრულების თანახმად, სს «კედარმა» შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს» გადაუხადა მომსახურების ღირებულება -13472 ლარი, რაც შეადგენდა 6134 აშშ დოლარს;

10. საწარმომ განიცადა ასევე საქონლის დანაკარგი, რაც გამოწვეული იყო ჩინური ხის საშრობის უხარისხო მუშაობით, კერძოდ, საშრობში დასხურების მილსადენის გასწვრივ დაიქანა და გაფუჭდა 78 მ³ უმაღლესი ხარისხის წიფლის მასალა და დანაკარგმა შეადგინა 31200 აშშ დოლარი.

მოსარჩელის მტკიცებით, სს «კედარის» მიერ გაწეულმა ხარჯმა მთლიანობაში შეადგინა 236275,46 აშშ დოლარი. წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის მიხედვით, სს «კედარის» მიერ შემუშავებული ბიზნეს-გეგმის თანახმად, სარჩელის აღძვრამდე საწარმოს ყოველთვიური ამონაგების სახით უნდა მიეღო 476000 აშშ დოლარი, რაც წარმოადგენდა სს «კედარის» მიუღებელ შემოსავალს. ამდენად, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და უხარისხო და ნაკლოვანი მანქანა-დანადგარების გადაცემის შედეგად სს «კედარის» მიერ გაწეულმა ხარჯმა ზიანის სახით სულ შეადგინა 236275,46 აშშ დოლარი, ხოლო მიუღებელი შემოსავლის სახით განციდილმა ზიანმა -476000 აშშ დოლარი, ანუ სს «კედარმა» მთლიანობაში განიცადა ზარალი 712275,46 აშშ დოლარის ოდენობით.

მოსარჩელის განმარტებით, ლიზინგის საგნის გაუმართავ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, მოპასუხეებს მიაწოდა წერილობითი შეტყობინებები, რომლებიც ხელშეკრულების 2.3.9 პუნქტის თანახმად, რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო ლიზინგის გამცემის მიერ შექმნილი კომისიის ცალკე აქტით, რაც მოპასუხეებს არ გაუკეთებიათ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ექსპერტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმა «ბაკაშვილი & ჩო»-ს დასკვნებით, სს «კედარის» საფინანსო და სამეურნეო დოკუმენტებით, სს «კედარსა» და სამინისტროს შორის არსებული მიმოწერითა და წაყენებული პრეტენზიით დადასტურებული იყო, რომ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, ვერ შეძლო ლიზინგის ხელშეკრულებითა და მისი დანართებით გათვალისწინებული სიმძლავრეებისა და ტექნიკური პარამეტრების მქონე დანადგარების მიწოდება სს «კედარისათვის», რამაც განაპირობა სიმძლავრეების შემცირება, არასტანდარტული პროდუქციის წარმოება და რენტაბელობის შემცირება, რის გამოც სს «კედარმა» განიცადა და სარჩელის აღძვრის დროსაც განციდიდა მნიშვნელოვანი მატერიალურ ზარალს. რაიმე დამატებითი ვადის დაწესება ხელშეკრულების პირობათა დარღვევის აღმოსაფხვრელად აშკარა იყო, რომ უშედეგო იქნებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ სამინისტროს მიერ მოწოდებული მანქანა-დანადგარები იმდენად უხარისხო და ნაკლოვანი იყო, რომ შეუძლებელი იყო აღნიშნული ნაკლის აღმოფხვრა, თუნდაც დამატებითი ვადის დაწესებით, მოსარჩელე უარს ამბობდა და გადიოდა 2002 წლის 28 სექტემბრის #1 ლიზინგის ხელშეკრულებიდან და სამოქალაქო კოდექსის 578-ე და 537-ე მუხლების პირველი ნაწილების, 580-ე, 361-ე, 394-ე, 408-ე, 409-ე, 411-ე, 412-ე და 414-ე მუხლების თანახმად, მოითხოვდა ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხეთათვის 712275,46 აშშ დოლარის ეკვივალენტის დაკისრებას ეროვნულ ვალუტაში, ამასთან, შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტოდან» უნდა მომხდარიყო იმ თანხების დაბრუნება, რაც 2002 წლის 28 სექტემბრის ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე იქნა მისთვის გადახდილი, ხოლო სამინისტროს უნდა აენაზღაურებინა დანარჩენი ოდენობის ზარალი. სს «კედარს» წარმოემოზოდა ხის საშრობი მანქანა-მოწყობილობების დაბრუნების ვალდებულება, ხოლო საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს -სს «კედარისათვის» ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 11 აგვისტოს განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირებად საქმეში ჩაებნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური.

შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტომ» თბილისის საოლქო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

შესაგებლის ავტორმა აღნიშნა, რომ ლიზინგის ხელშეკრულებით არ განსაზღვრულა ლიზინგის საგნის ლიზინგის მიმღებისათვის მიწოდების ვადა და, ამდენად, დაგვიანებით მიწოდებაზე საუბარი იყო გაუმართლებელი. რაც შეეხებოდა მომსახურების საზღაურს, ლიზინგის ხელშეკრულების 2.3.16 პუნქტით, ლიზინგის მიმღებს მომსახურების გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა ხელშეკრულების გაფორმებიდან, ანუ 2001 წლის 28 სექტემბრიდან, ერთ თვეში. საინვესტიციო სააგენტომ კეთილსინდისიერად შეასრულა მასზე დაკისრებული სამუშაოები, რის გამოც სააგენტომ

მიიჩნია, რომ სს «კედარის» მიერ მომსახურებისათვის გადახდილი 13472 ლარი მიღებული იყო სააგენტოს მხრიდან მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების საზღაურად. ფაქტობრივი შეცდომა იყო აუდიტორული ფირმა «ბაკაშვილი & ჩო»-ის მიერ შედგენილ, სასარჩელო განცხადებაზე თანდართულ დასკვნაში, კერძოდ:

ა) მცდარი იყო მითითება, თითქოს სალიზინგო საზღაურიდან გადახდილი 71000 ლარი ჩარიცხულ იქნა საინვესტიციო სააგენტოსათვის. აღნიშნული თანხა გადაირიცხა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელზე ეროვნულ ბანკში გახსნილ ანგარიშზე და ამ საკითხზე სააგენტოს არ გააჩნდა არანაირი კომპეტენცია;

ბ) არასწორად იყო დაანგარიშებული ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული და საწარმოს ყოველთვიური ამონაგების სახით შესაგებლის წარდგენამდე მიუღებელი შემოსავლის ოდენობა, რაზედაც ეყრდნობოდა შემდგომში მოსარჩელის მოთხოვნა მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე, კერძოდ, მიუღებელი შემოსავალი დაანგარიშებული იყო ხის საშრობი კამერების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობის ერთ კუბურ მეტრ მასალაზე მისაღები მოგების ნამრავლით, ანუ 400 მ³-ის ნამრავლი 85 აშშ დოლარზე უდრიდა 34000 აშშ დოლარს, რაც იყო არასწორი, ვინაიდან ამ გაანგარიშებაში არ იყო გამოკლებული ხის საშრობი კამერების ფაქტობრივად არსებული შესაძლებლობებით წარმოებული მასალის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მტკიცება მიუღებელი შემოსავლის სახით განცდილი ზარალის საზღაურად 476000 აშშ დოლარის თაობაზე, იყო არასწორი.

შესაგებლის ავტორმა დანადგარების დასამონტაჟებლად საქართველოში გამოგზავნილი ჩინელი სპეციალისტების ცხოვრებისა და კვებისათვის 6410 აშშ დოლარის ოდენობით გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისას სს «კედარმა» იკისრა ლიზინგის საგნის საქართველოს საბაჟო საზღვარზე მიღებისა და დაბა ჟინვალამდე მისი ტრანსპორტირების პასუხისმგებლობა. შემდეგში, ვინაიდან ბათუმის პორტიდან დაბა ჟინვალამდე 4 ცალი ორმოცფუთიანი კონტეინერის (რომელშიც იყო განთავსებული დანადგარები) ტრანსპორტირება საგრძნობ ხარჯთან იყო დაკავშირებული, ლიზინგის მიმღებმა ითხოვა დახმარება, რათა ჩინურ მხარეს აენაზღაურებინა კონტეინერების დაბა ჟინვალამდე ტრანსპორტირების ხარჯები. მოხდა ზეპირი შეთანხმება სს «კედართან», რითაც დანადგარების მწარმოებელმა ჩინურმა მხარემ აიღო ვალდებულება, კონტეინერების დაბა ჟინვალამდე ტრანსპორტირების საზღაურის გადახდაზე, ხოლო ლიზინგის მიმღებმა - ჩინელი სპეციალისტების საქართველოში ყოფნის პერიოდში მათი ცხოვრებისა და კვების ხარჯების ანაზღაურებაზე, რაც ორივე მხარის მიერ შესრულებულ იქნა პირნათლად, რის გამოც გაუმართლებელი იყო მოსარჩელის მიერ აღნიშნული პრეტენზიის წამოყენება.

შესაგებელში აღნიშნული იყო, რომ მოსარჩელის მიერ წამოყენებული პრეტენზია ხის საშრობი კამერის ნულოვანი ციკლის მოსაწყობად დახარჯული 45000 აშშ დოლარის, სპეციალური ელექტროხაზის გამოყვანისათვის 22300 აშშ დოლარისა და ამ მიზნით აღებული ხარჯების გასაწევად მიძიებული, ბანკის კრედიტის სასარგებლოდ პროცენტის სახით გადახდილი 50931 აშშ დოლარის ანაზღაურებაზე იყო გაუმართლებელი, ვინაიდან ლიზინგის ხელშეკრულების 2.3.1 პუნქტისა და სს «კედარის» 2001 წლის 24 ივლისის აქციონერთა რიგგარეშე კრების საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად, ლიზინგის მიმღებს ეკისრებოდა დანადგარების დამონტაჟებისა და მუშაობისათვის აუცილებელი ხარჯების გაწევა. სს «კედარის» პრეტენზია, რომ ლიზინგის ხელშეკრულებით ფაქტობრივად გადაცემული დანადგარებიდან ხის საშრობი კამერები არ აკმაყოფილებდა მის დოკუმენტაციაში მითითებულ მონაცემებს, იყო დაუსაბუთებელი. რაც შეეხება მოსარჩელის განცხადებას, რომ ხის საშრობ კამერაში, ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით, ეტეოდა არა 100 მ³ ნედლი მასალა, არამედ 60-65 მ³. აღნიშნულთან დაკავშირებით, სს «კედარმა» 2002 წლის 25 ივნისს მიმართა როგორც სამინისტროს, ისე საინვესტიციო სააგენტოს და მოითხოვა ლიზინგის საგნის ღირებულების კორექტირება. შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს» წარმომადგენელთა მიერ სს «კედარის» წარმომადგენლებთან ერთად, ერთობლივი შემოწმებისა და ხის საშრობი კამერების აზომვის შედეგად დადგინდა, რომ ხის საშრობი კამერების საერთო მოცულობა შეადგენდა 249 მ³-ს, ხოლო ლიზინგის მიმღების განმარტებებით, კამერაში ხის შრობის პროცესში აუცილებლად დასატოვებელი მანძილების გამოკლების შედეგად, კამერის სასარგებლო მოცულობამ შეადგინა 166 მ³. შემოწმების პროცესში, ვინაიდან სააგენტოს წარმომადგენლები არ იყვნენ აღნიშნული საქმის სპეციალისტები და არ უხელმძღვანელიათ დანადგარების ტექნიკურ-ეკონომიკური პასპორტებით, თეორიულად განისაზღვრა, რომ 166 მ³ კამერაში უნდა განთავსებულიყო 100 მ³ ნედლი ხის მასალა. აღნიშნულ საკითხზე წერილობითი პასუხი ეცნობა ლიზინგის მიმღებს და სააგენტომ დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ ლიზინგის საგნის ღირებულების კორექტირების საკითხი არ წარმოადგენდა მის კომპეტენციას.

შესაგებლის ავტორი არ დაეთანხმა ხის საშრობი კამერების შეუსაბამობის დასამტკიცებლად სასარჩელო განცხადებაზე თანდართულ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ექსპერტიზის ცენტრის დასკვნას, ვინაიდან მასში ნათქვამი იყო, რომ კომისიის წევრთა მიერ კამერის შიგა და გარე ზომების გაზომვისა და მიღებული მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულ იქნა კამერის ფაქტობრივი ტევადობა და დადგინდა, რომ თითოეული კამერა შეიძლება დატვირთულიყო 60 მ³-მდე ჩამოგანილი და 45 მ³-მდე ჩამოუგანავი მასალით. დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ გაანგარიშება ეყრდნობოდა 1985 წელს გამოშვებულ სახელმძღვანელოს, რაც იყო გაუმართლებელი და ვერ ასახავდა ობიექტურ რეალობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის ობიექტურად გადასაწყვეტად

მიზანშეწონილი იყო სასამართლოს მიერ დამოუკიდებელი ექსპერტიზის დანიშვნა და ხის საშრობი კამერების ტექნიკურ-ეკონომიკური დოკუმენტაციის საფუძველზე ახალი გამოკვლევის ჩატარება. რაც შეეხებოდა ჩინური გრანტით მიღებული გენერატორის მწყობრიდან გამოსვლასა და ახალი გენერატორის შესამენად გადახდილი 12000 აშშ დოლარის ანაზღაურებას, აღნიშნული გენერატორი მართლაც გამოვიდა მწყობრიდან, ლიზინგის მიმღებმა გახსნა ძრავა და აღმოაჩინა სხვადასხვა ნაწილების დაზიანება, რაც შეიძლებოდა გამოწვეული ყოფილიყო ქარხნული დეფექტით. სააგენტომ დაუყოვნებლივ მოსთხოვა დანადგარის მომწოდებელ ჩინურ კომპანიას მიეწოდებინა ლიზინგის მიმღების მიერ მითითებული ნაწილები, რაც შესრულდა მიწოდებისათვის აუცილებელ ვადაში და ნაწილების შეცვლის ღირებულება -1600 ლარი გაიღო ლიზინგის მიმღებმა, რაც მისთვის იყო დამატებითი ხარჯი. ლიზინგის მიმღების მიერ გაწეული დამატებითი ხარჯი იყო ხის შრობის მართვისათვის საჭირო კომპიუტერების განსათავსებლად ოთახის აშენებაც, რაც გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა კომპიუტერების გამართულად მუშაობისათვის და 16120 ლარი დახარჯულ იქნა სს «კედარის» მიერ.

სს «კედარმა» თბილისის საოლქო სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სასარჩელო განცხადება და საბოლოოდ, მოსარჩელის მითითებით, მისი სასარჩელო მოთხოვნები გამოიხატებოდა შემდეგში: ექსპერტიზის დასკვნით უდავოდ დადგენილი იყო, რომ სამინისტრომ ვერ შეასრულა ლიზინგის ხელშეკრულებითა და მისი დანართით გათვალისწინებული სიმძლავრისა და ტევადობის ტექნიკური პარამეტრების მქონე დანადგარების მიწოდება, რის გამოც ნივთის ნაკლი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მცირდებოდა ნივთის ვარგისიანობა, რაც მოსარჩელისთვის ხელშეკრულების დადების დროს არ შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო. ვინაიდან საშრობი კამერების სასარგებლო ფართი, ნაცვლად 400 მ²-ისა შეადგენდა 240 მ²-ს, ანუ 160 მ²-ით ნაკლებს და, ვინაიდან ბიზნეს-გეგმისა და აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, სს «კედარი» ერთი მ²-დან იღებდა მოგებას -85 აშშ დოლარს, მოსარჩელის ყოველთვიური მოგება შემცირდა 13600 აშშ დოლარით, რაც, თავის მხრივ, 18 თვის მანძილზე (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 2003 წლის სექტემბრამდე) შეადგენდა 244800 აშშ დოლარს და აღნიშნული თანხა, როგორც მიუღებელი შემოსავალი, უნდა დაკისრებოდათ მოპასუხეებს. ვინაიდან საშრობი კამერების სასარგებლო ფართი შეადგენდა 240 მ²-ს, ანუ 160 მ²-ით და, შესაბამისად, 40%-ით ნაკლებს, მოსარჩელემ მოითხოვა სალიზინგო საზღაურის შემცირება შემდეგნაირად: ლიზინგის ხელშეკრულებით მას უნდა გადაეხადა 748477 ლარი, ანუ 1 მ²-ის საშრობის ლიზინგის გადასახადი შეადგენდა 1871 ლარს. ვინაიდან საშრობის საერთო მოცულობა იყო 240 მ², აქედან გამომდინარე, 240 მ²-ზე ლიზინგის საზღაური შეადგენდა 449040 ლარს, რასაც იგი მიიჩნევდა ლიზინგის სამართლიან საფასურად. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ გადასახდელი ლიზინგის საზღაური შეადგენდა 449040 ლარს, რასაც უნდა გამოკლებოდა წინასწარ გადახდილი ლიზინგის საფასური - 71000 ლარი და ლიზინგის საბოლოო საფასური უნდა დადგენილიყო 378040 ლარის ოდენობით.

ამასთან ერთად, მოსარჩელემ მოითხოვა სს «კედარისათვის» მიყენებული ზარალის ანაზღაურება, კერძოდ:

1. კომპანია «რონიკა ინდასტრი დეველოპმენტისის» მიერ სს «კედართან» 2002 წლის 6 მაისს დადებული კონტრაქტის საფუძველზე გადახდილი ჯარიმა -20000 აშშ დოლარის ზარალი;
2. დამატებითი ხარჯი კომპიუტერული მართვის შენობის ასაშენებლად -7300 აშშ დოლარი;
3. საგარანტიო პერიოდში საშრობის მწყობრიდან გამოსვლის ხარჯი -3532 აშშ დოლარი;
4. ივნის-ივლისში ჟანგის წყლის გამოყოფის შედეგად გაფუჭებული მასალის ღირებულება -31200 აშშ დოლარი;
5. სააგენტოს მაგივრად გადახდილი ელექტროგენერატორის შემცველი ნაწილების საბაჟო გადასახადი -1600 ლარი, ანუ 751 აშშ დოლარი;
6. ელექტროგენერატორის ღირებულება -12000 აშშ დოლარი;
7. ადვოკატის ჰონორარი -3000 აშშ დოლარი;

ამდენად, მოსარჩელემ სულ მოითხოვა სს «კედარისათვის» მიყენებული ზარალის -77783 აშშ დოლარის ანაზღაურება.

შესაბამისად, მოსარჩელის მოსაზრებით, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და უხარისხო და ნაკლოვანი მანქანა-დანადგარების გადაცემის შედეგად სს «კედარის» მიერ გაწეულმა ხარჯმა ზიანის სახით მთლიანობაში შეადგინა 77783 აშშ დოლარი, ხოლო მიუღებელი შემოსავლების სახით განცდილმა ზიანმა -244800 აშშ დოლარი, ანუ სს «კედარმა» მთლიანობაში განიცადა ზარალი 322583 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით. ვინაიდან ლიზინგის საზღაური უნდა დაწესებულიყო 378040 ლარის ოდენობით, რაც იყო 178742 აშშ დოლარის ეკვივალენტი და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს, როგორც საბიუჯეტო დაწესებულებას, გაუმნელებოდა მათი მოთხოვნების ფულადი დაკმაყოფილება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 251-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩელემ მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრულების წესის იმგვარად დადგენა, რომ სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის საფუძველზე მომხდარიყო სს «კედარის» მიერ ხის საშრობი მანქანა-დანადგარების სალიზინგო საზღაურის გაქვითვა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაში და საკუთრების უფლება ამ გზით მანქანა-მოწყობილობებზე გადასცემოდა სს «კედარს». ურთიერთმოთხოვნათა გადაფარვით სარჩელის საბოლოო მოთხოვნა შეადგენდა 143841 აშშ

დოლარს, რომლის გადახდაც უნდა დაკისრებოდათ მოპასუხეებს და მიწოდებული მანქანა-დანადგარები ჩათვლილიყო სს «კედარის» საკუთრებად.

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ თბილისის საოლქო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

შესაგებლის ავტორის განმარტებით, სასარჩელო განცხადებაში მითითებული იყო, რომ სს «კედარისათვის» ფაქტობრივად გადაცემული დანადგარები არ აკმაყოფილებდა მის დოკუმენტაციაში მითითებულ მონაცემებს, კერძოდ: ა) ხის საშრობ კამერაში, ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით, ეტეოდა არა 100 მ³ ნედლი მასალა, არამედ 60 მ³ და აღნიშნულთან დაკავშირებით, სს «კედარმა» მიმართა როგორც სამინისტროს, ისე სააგენტოს, რაზედაც გაკეთდა შესაბამისი რეაგირებები, როგორც სამინისტროს, ისე შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს» მიერ და სს «კედარს» ეცნობა, რომ ხსენებული სააგენტოსა და სს «კედარის» წარმომადგენლების მიერ ერთობლივი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ხის საშრობების კამერების მოცულობა შეადგენდა 249 მ³-ს, ხოლო სასარჩელო მოცულობა -166 მ³-ს, რომელშიც უნდა განთავსებულიყო 100 მ³ ნედლი ხის მასალა; ბ) ამწე მანქანა იყო არა 2 ტონა, არამედ 1,5 ტონა სიმძლავრისა და აღნიშნულის დასამტკიცებლად ადვოკატს მოჰყავდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2003 წლის 10 ივნისის #2-ე-20 საექსპერტო დასკვნა, თუმცა აღნიშნულ დასკვნაში საუბარი იყო არა ზუსტ პროგნოზზე, არამედ ვარაუდზე, რომ ამწე შესაძლებელია არ ყოფილიყო დეკლარირებული მონაცემების შესაბამისი და მითითებული იყო ამის შესაძლო და არა დაზუსტებულ მიზეზზე, რაც შესაძლებელი იყო გამოხატული ყოფილიყო ამწის ჰიდროამძრავის მცირე სიმძლავრეში. ამასთან, ამწის შემოწმება, განსხვავებით საშრობი დანადგარისაგან, გაცილებით მარტივი იყო, რაც გაკეთდა კიდევ და არსებობდა შესაბამისი -2002 წლის 25 მარტის მიღება-ჩაბარების აქტი, გაფორმებული საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილესა და სს «კედარის» დირექტორს შორის, რომელშიც მითითებული იყო, რომ შესაბამისი საგამოცდო გაშვების შემდგომ მომხმარებელმა გამართულ მდგომარეობაში ჩაიბარა დანადგარები, მათ შორის, 2 ტონა ტვირთამწეობის მქონე მანქანა; გ) დაზიანებული აღმოჩნდა ელექტრომომწობილობები, თუმცა იმავეს თაობაზე ზემოთ აღნიშნულ დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ ამის მიზეზი იყო ელექტროძაბვის დანადგარებისათვის ცვალებადი მიწოდება, ანუ სახეზე იყო არა ქარხნული წყნი, არამედ სათანადო მოუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანი, რის გამოც ვერ ხერხდებოდა სარჩელი მითითებული მთელი რიგი პროცედურების ჩატარება; დ) მიღები იყო რკინის და სხვადასხვა ადგილას საჭიროებდა ვინტილებს. აღნიშნული ფაქტორი თავიდანვე ცნობილი იყო მოსარჩელისათვის, რის თაობაზეც პრეტენზიის გამოთქმა მიზანშეწონილობის საზღვარს სცდებოდა; ე) სარჩელში აღნიშნული იყო, რომ სადრენაჟო არხები დამონტაჟდა არა ჩინელი სპეციალისტების, არამედ ადგილობრივი პერსონალის მიერ, თუმცა არაპროფესიონალურ დონეზე, რამაც ვერ გაამართლა, მაგრამ 2002 წლის 20 მარტის აქტში, რომელსაც ხელს აწერენ ჩინელი სპეციალისტები და სს «კედარის» წარმომადგენლები, მითითებულია, რომ მთელი აღჭურვილობა დამონტაჟდა, ჩატარდა საცდელი გაშვება, რომელიც მიმდინარეობდა 8 საათის განმავლობაში და ცხადი გახდა, რომ დანადგარი გამართულად მუშაობდა. აქედან გამომდინარე, სს «კედარისათვის» ცნობილი იყო, თუ რა აღჭურვილობა ახლდა ხის საშრობ დანადგარს და მის მიერ მომავალში გამოთქმული პრეტენზია, თითქოს ჩინელმა სპეციალისტებმა არაჯეროვნად შეასრულეს აღნიშნული სამუშაო, იყო არამართებული; ვ) სარჩელში, აგრეთვე, მითითებული იყო, რომ მწყობრიდან გამოვიდა გენერატორი, რის გამოც მომხმარებელს მოუხდა დამატებით 12000 აშშ დოლარის გაღება ახალი გენერატორის შესაძენად. გაუგებარი იყო აღნიშნული ფაქტი, რადგან საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ პირნათლად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და სს «კედარს» გაუწია დახმარება ჩინეთის მხარესთან ურთიერთობების თვალსაზრისით, რის შედეგადაც ჩინეთიდან გამოგზავნილ იქნა დაზიანებული ნაწილების შემცველი ნაწილები და გენერატორის მუშაობა აღდგა; ზ) მოსარჩელის მიერ გამოთქმული პრეტენზია ჩინელი სპეციალისტების საქართველოში ცხოვრებისა და კვების ხარჯებთან დაკავშირებით, იყო მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებლის, ანუ მოსარჩელის ბრალი, რადგან მის მიერ დროზე არ იქნა მომზადებული ხის საშრობი დანადგარების დამონტაჟებისათვის საჭირო ფუნდამენტი, რაც ძირითადი მოთხოვნა იყო. შესაბამისად, ჩინელმა სპეციალისტებმა დათქმულ ვადაში ვერ მოასწრეს დანადგარის დამონტაჟება, მაგრამ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ სს «კედარი» გაიღებდა მათი შენახვისათვის საჭირო შესაბამის ხარჯებს, ისინი დარჩებოდნენ საქართველოში. მომხმარებელი დათანხმდა აღნიშნულ წინადადებას. ხსენებულ ფაქტებს და ჩინური მხარის პრეტენზიებს ადასტურებდა მათი მემორანდუმი, წარდგენილი საინვესტიციო სააგენტოში, რომელსაც ხელს აწერდნენ ჩინური დელეგაციის ხელმძღვანელი და წევრები.

შესაგებლის ავტორის აღნიშვნით, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ლიზინგის ხელშეკრულების 2.6 პუნქტის თანახმად, ლიზინგის მიმღები გადაცემული საგნის დეფექტის, ნაკლისა და აქედან გამომდინარე, ლიზინგის მიმღების დანაკარგებზე აცნობებდა ლიზინგის გამცემს, ხოლო სადავო საკითხები რეგულირდებოდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და იქვე მიუთითებდა, რომ თურმე ლიზინგის გამცემი შესაბამისად ვალდებული იყო, აღმოეფხვრა მიწოდებული საქონლის დეფექტები, თუმცა ეს უკანასკნელი ფრაზა ხელშეკრულებაში არ იყო განსაზღვრული.

ხსენებული ხელშეკრულების 2.7 პუნქტში განსაზღვრული იყო ლიზინგის გამცემის პასუხისმგებლობა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ლიზინგის გამცემი ვალდებული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, რომ მიეღო ყველანაირი ზომა, რათა ხელი შეეწყოს ლიზინგის მიმღებს ლიზინგის საგნის მწარმოებელთან ლიზინგის საგნის გარემო წამოჭრილი ყველა ტექნიკური საკითხის მოგვარებაში, მათ შორის საგარანტიო ვადაზე აღებული პასუხისმგებლობის მოგვარებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანდა ლიზინგის საგნის გამცემის პასუხისმგებლობა და ისიც, თუ ვინ იღებდა ვალდებულებას ლიზინგის საგნის გამართულობაზე, მწარმოებლის მიერ გაცემული საგარანტიო წერილიდან გამომდინარე. შესაგებლის ავტორის მტკიცებით, აღნიშნული ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირობები ლიზინგის გამცემის მიერ პირნათლად იქნა შესრულებული.

შესაგებლის ავტორი მიუთითებდა, რომ ლიზინგის მიმღებს არ წაუყენებია პრეტენზია ქონების მწარმოებლისათვის, რაშიც ლიზინგის გამცემი მზად იყო მას დახმარებოდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 533-ე მუხლის მიხედვით, გამქირავებელს (ლიზინგის გამცემს) დამქირავებლისთვის (ლიზინგის მიმღებისთვის) უნდა გადაეცა ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი. ლიზინგის გამცემმა რომ ლიზინგის მიმღებს ნივთობრივად უნაკლო ნივთი გადასცა, აღნიშნული ნათლად ჩანდა მათ შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტიდან, სადაც არც ერთი მხარე არ გამოთქვამდა პრეტენზიას ნივთის ნაკლოვანებების შესახებ. არსებობდა ლიზინგის მიმღებსა და ჩინელ სპეციალისტებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებიც, სადაც ანალოგიური მითითება იყო ნივთის გამართულობასთან დაკავშირებით. ამდენად, ცხადი იყო, რომ ნივთი იყო უფლებრივად უნაკლო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის შესაბამისად, უპირველესად, უნდა დადგინდეს იყო თუ არა ლიზინგის გამცემი მისი მიმღების მოვალე, ხოლო ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, იყო პირიქით, რადგან სწორედ ლიზინგის მიმღებს მართებდა გამცემისათვის გადასახდელი გარკვეული თანხები მომსახურებისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეეძლო მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით, ამ შემთხვევაში კი არ არსებობდა ხელშეკრულების შეუსრულებლობის ფაქტები ლიზინგის გამცემის მხრიდან და იმავე კოდექსის 408-ე-409-ე მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობაც. ლიზინგის გამცემის ვალდებულება ჯეროვნად შესრულდა, ხოლო ნივთის ექსპლუატაციის პროცესში მის ტექნოლოგიურ მომსახურებაზე პასუხისმგებლობა აიღო მისმა მწარმოებელმა და, შესაბამისად, აღნიშნული ვერ ჩაითვლებოდა ლიზინგის გამცემის შეუსრულებელ ვალდებულებაში. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ლიზინგის გამცემს სრული საფუძველი ჰქონდა თურმე იმის ვარაუდისათვის, რომ ხელშეკრულების პირობების შეუსაბამო მანქანა-დანადგარების მიწოდების შედეგად სს «კედარისათვის» გარდაუვალი იქნებოდა მატერიალური ზარალის განცდა, რაც არასწორი იყო. მანქანა-დანადგარების საპასპორტო მონაცემები ზუსტად ემთხვეოდა სატენდერო მანქანა-დანადგარების მონაცემებს, ამასთან, ადგილზე საცდელი გაშვების შედეგად, როგორც გამცემმა, ისე მიმღებმა, რომელიც გამცემისაგან განსხვავებით იყო ამ საქმის სპეციალისტი, დაადასტურა, რომ მანქანა-დანადგარები იყო მწყობრში და მიიღო იგი. აქედან გამომდინარე, გაუგებარი იყო მოსარჩელის განცხადება აღნიშნულის თაობაზე, რაც უფრო მეტად საქმეში ჩაუხედავობას შეიძლება დაბრალდებოდა, ვიდრე მის პროფესიონალიზმს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს «კედარის» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

ა) საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სს «კედარის» სასარგებლოდ დაეკისრა 99890 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით და მითითებული თანხა შედგებოდა შემდეგი თანხებისაგან:

(1) საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ 2001 წლის 28 სექტემბრის #1 ლიზინგის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და უხარისხო და ნაკლოვანი მანქანა-დანადგარების სს «კედარისათვის» გადაცემის შედეგად სს «კედარის» მიერ გაწეული ხარჯებისაგან, რაც შეადგენდა 33832 აშშ დოლარს;

(2) სს «კედარის» მიერ მიუღებელი შემოსავლის შედეგად განცდილი მატერიალური ზიანი, რაც შეადგენდა 244800 აშშ დოლარს;

ანუ სს «კედარმა» მთლიანობაში განიცადა მატერიალური ზიანი -278632 აშშ დოლარი (33832 აშშ დოლარს + 244800 აშშ დოლარი =278632 აშშ დოლარს).

ბ) სალიზინგო საზღაური შეადგენდა 178742 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, რაც უდრიდა 378040 ლარს (კურსით -1 აშშ დოლარი -2,115 ლარი).

დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა და მოხდა სს «კედარის» მიერ ხის საშრობი მანქანა-დანადგარების სალიზინგო საზღაურის გაქვითვა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაში და საკუთრების უფლება მანქანა-დანადგარებზე ამ გზით, 2001 წლის 28 სექტემბრის #1 ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა სს «კედარს»; სარჩელის სხვა ნაწილში დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა.

სასამართლო კოლეგიამ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2003 წლის 10 ივნისის #2-ე-20 დასკვნის საფუძველზე დადგინდა

მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ ვერ შეასრულა ლიზინგის ხელშეკრულებითა და მისი დანართით გათვალისწინებული სიმძლავრისა და ტევადობის ტექნიკური პარამეტრების მქონე დანადგარების მიწოდება სს «კედარისათვის», ანუ ამ უკანასკნელისათვის მიწოდებულ იქნა ნაკლის მქონე ქონება, რის გამოც შეუძლებელი გახდა სტანდარტული მზა პროდუქციის წარმოება, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად და სს «კედარმა» განიცადა მატერიალური ზიანი.

სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, რომ ლიზინგის საგნის ნაკლი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მცირდებოდა ნივთის ვარგისიანობა, რაც სს «კედარისათვის» #1 ლიზინგის ხელშეკრულების დადების დროს არ ყოფილა და ვერც იქნებოდა ცნობილი და მის მიერ გათვალისწინებული. ვინაიდან საშრობი კამერების სასარგებლო ფართი, ნაცვლად 400 მ²-ისა, შეადგენდა 240 მ²-ს, ანუ 160 მ²-ით ნაკლებს, შესაბამისად, შემცირდა ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების შესაძლებლობა - ბიზნეს-გეგმისა და აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, სს «კედარს» 1 მ²-დან უნდა მიეღო მოგება 85 აშშ დოლარის ოდენობით, სასარგებლო ფართის შემცირებით მოსარჩელის ყოველთვიური მოგება შემცირდა 13600 აშშ დოლარით, რაც 18 თვის მანძილზე (ანუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2003 წლის სექტემბრამდე) შეადგენდა 244800 აშშ დოლარს და რაც სს «კედარისათვის» წარმოადგენდა მიუღებელ შემოსავალს.

სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ 2001 წლის 28 სექტემბრის #1 ლიზინგის ხელშეკრულებით, ლიზინგის მიმღებს ლიზინგის გამცემისათვის უნდა გადაეხადა 748477,7 ლარი. ვინაიდან გაანგარიშების თანახმად, 1 მ² საშრობის ლიზინგის გადასახადი 1871 ლარი იყო, ხოლო საშრობის საერთო მოცულობა -240 მ², შესაბამისად, 240 მ²-ზე ლიზინგის საზღაური 449040 ლარს შეადგენდა. სასამართლო კოლეგიამ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ, ვინაიდან საშრობი საკნების სასარგებლო ფართი 40%-ით ნაკლებს შეადგენდა, ვიდრე ეს ლიზინგის ხელშეკრულებაში იყო მითითებული, ლიზინგის საფასური 40%-ით უნდა შემცირებულიყო და ლიზინგის საზღაურიც 449040 ლარით განსაზღვრულიყო. ვინაიდან სს «კედარს» ლიზინგის საფასურის ანგარიშში გადახდილი ჰქონდა 71000 ლარი, ლიზინგის საზღაურის საბოლოო ოდენობად დადგენილ იქნა 378040 ლარი.

სასამართლო კოლეგიამ ნაწილობრივ გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნა მიყენებულ მატერიალურ ზიანთან მიმართებაში, კერძოდ, დაუსაბუთებლად მიიჩნია გაფუჭებული მასალის ღირებულების -31200 აშშ დოლარის, სათადარიგო ნაწილების საბაჟო გადასახადის -751 აშშ დოლარის და ელექტროგენერატორის ღირებულების -12000 ლარის ჩათვლა მატერიალურ ზიანად. სასამართლო კოლეგიამ დაასკვნა, რომ სს «კედარმა» რეალურად განიცადა მატერიალური ზიანი 33832 აშშ დოლარის ოდენობით და მთლიანობაში სს «კედარის» მიერ განცდილმა მატერიალურმა ზიანმა შეადგინა 278632 აშშ დოლარი.

სასამართლო კოლეგიამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 251-ე მუხლის და სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაადგინა სს «კედარისათვის» ხის საშრობი მანქანა-დანადგარების სალიზინგო საზღაურის (178742 აშშ დოლარი) გაქვითვა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ ზიანის ანაზღაურების (278632 აშშ დოლარი) ვალდებულებაში და საკუთრების უფლების გადაცემა ამ მანქანა-მოწყობილობებზე სს «კედარისათვის». სასამართლო კოლეგიამ გადაწყვეტილება სამართლებრივად დააფუძნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 394-ე, 408-ე-409-ე, 412-ე, 414-ე, 578-ე, 536-ე, 537-ე და 580-ე მუხლებზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით ცალ-ცალკე გაასაჩივრეს შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტომ», საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 20 თებერვლისა და 2004 წლის 4 ივნისის განჩინებებით შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტოსა» და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები განუხილველად დარჩა დაუშვებლობის მოტივით.

კასატორმა -საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლო კოლეგია გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრის საექსპერტო დასკვნას, რომლის მიხედვითაც, სს «კედარისათვის» ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2001 წლის 28 სექტემბრის #1 ლიზინგის ხელშეკრულებით გადაცემული ხის საშრობი დანადგარების რეალური მოცულობა 400 მ²-ის ნაცვლად, შეადგენდა 240მ²-ს. კასატორს ექსპერტიზის კომპეტენტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი და რაიმე პრეტენზია არ გააჩნდა, მაგრამ სასამართლო, კასატორის მოსაზრებით, დაეყრდნო სრულიად გაუმართლებელ არგუმენტს, არ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. კასატორის განმარტებით, სასამართლო სხდომაზე მან დაადასტურა, რომ დანადგარების ნაკლოვანება არ იყო სამინისტროს ბრალულობა, ვინაიდან დანადგარების მწარმოებლის მიერ მიწოდებულ დანადგარების თანხლებ დოკუმენტაციაში

აღნიშნულია, რომ ისინი შეესაბამებოდა ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტექნიკურ მახასიათებლებს. ხსენებული ხელშეკრულების 2.7 პუნქტის შესაბამისად, «ლიზინგის გამცემი» ვალდებულია, ხელი შეუწყოს «ლიზინგის მიმწოდებლებს» ლიზინგის საგნის მწარმოებელთან ლიზინგის საგნის გარშემო წამოჭრილი ყველა ტექნიკური საკითხის მოგვარებაში. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 578-ე მუხლის შესაბამისად, ლიზინგის მიმღებმა პრეტენზია უნდა წაუყენოს ჩინელ მწარმოებლებს და არა ეკონომიკის სამინისტროს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით კასატორის, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების პირველი ნაწილის «ა» პუნქტი საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსათვის სს «კედარის» სასარგებლოდ 99890 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; დადგინდა იქნა, რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2001 წლის 28 სექტემბრის #1 ლიზინგის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და უხარისხო და ნაკლოვანი მანქანა-მოწყობილობების სს «კედარისათვის» გადაცემის შედეგად სს «კედარის» მიერ გაწეული ხარჯები შეადგენდა 33832 აშშ დოლარს, ხოლო სს «კედარის» მიერ მიუღებელი შემოსავლის შედეგად განცდილი მატერიალური ზიანი -144910 აშშ დოლარს, ანუ მთლიანობაში სს «კედარმა» განიცადა მატერიალური ზიანი 178742 აშშ დოლარის ოდენობით; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კასატორს, ფაქტობრივად, სადავოდ არ გაუხდია ლიზინგის საგნის -ხის საშრობი მანქანა-მოწყობილობის ნაკლოვანებების არსებობის ფაქტი და დაეთანხმა საქმეში არსებულ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრის საექსპერტო დასკვნას. როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორის 2004 წლის 6 აპრილის #01/20/13-305 წერილიდან ირკვეოდა, ხის საშრობ კამერებში ტექნოლოგიური პროცესების, მათი წარმადობისა და ხის მასალების შრობის ექსპერტიზა არ შედიოდა ამ ცენტრის კვლევის სფეროში და აღნიშნულ საკითხებზე ექსპერტიზას ატარებდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც წარმოადგენდა კომპეტენტურ საექსპერტო დაწესებულებას აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში. კასატორს სადავოდ არ გაუხდია ასევე მიყენებული მატერიალური და მიუღებელი შემოსავლით გამოწვეული ზიანის ოდენობა და მართებულობა. საკასაციო საჩივრის ძირითად არგუმენტს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ლიზინგის ხელშეკრულების 2.7 პუნქტისა და სამოქალაქო კოდექსის 578-ე მუხლის თანახმად, ლიზინგის მიმღებს ლიზინგის საგნის ნაკლოვანებების თაობაზე პრეტენზია ჩინელი მწარმოებლებისთვის უნდა წარედგინა, რაც საკასაციო პალატამ არ გაიზიარა. ლიზინგის ხელშეკრულების 2.6 პუნქტის თანახმად, «ლიზინგის გამცემის» მიერ «ლიზინგის მიმღებისათვის» გადაცემული ნაკლის, დეფექტების მქონე «ლიზინგის საგანზე» და აქედან გამომდინარე, «ლიზინგის მიმღების» დანაკარგებზე «ლიზინგის მიმღები» ვალდებული იყო, მიემართა «ლიზინგის გამცემისთვის», ხოლო სადავო საკითხი დარეგულირდებოდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულების 4.1 პუნქტის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა პრეტენზია მეორე მხარის მიერ განხილული უნდა ყოფილიყო მის მიერ პრეტენზიის ფაქტობრივად მიღების დღიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში და შემდგომი 3 სამუშაო დღის განმავლობაში გაეგზავნა პასუხი ამ ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. მხარეთა შეუთანხმებლობის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდებოდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საერთო სასამართლოში. ის ფაქტი, რომ სს «კედარი» შესაბამისი პრეტენზიებით მიმართავდა მოპასუხეებს აღმოჩენილ და გამოვლენილ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, დაადასტურეს საკასაციო სასამართლოს სხდომაზე ამ უკანასკნელთა წარმომადგენლებმა. ხელშეკრულების პირობების თანახმად, «ლიზინგის გამცემს» წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო (ყოფილი ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო), ხოლო «ლიზინგის მიმღებს» -სს «კედარი» და ეს უკანასკნელი უფლებამოსილი იყო, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ლიზინგის ხელშეკრულების ნორმების საფუძველზე მოეთხოვა მიყენებული მატერიალური და მიუღებელი შემოსავლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება სწორედ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსაგან, როგორც «ლიზინგის გამცემისაგან».

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, თითქოსდა ლიზინგის ხელშეკრულების 2.7 პუნქტი მას ათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან და ლიზინგის მიმღებს პრეტენზიის წარდგენის უფლება მხოლოდ ჩინელი მწარმოებლების მიმართ ჰქონდა. ამ მუხლში მოიაზრებოდა ტექნიკური საკითხების მოგვარება, რაც მოხდა ელექტროგენერატორის მწყობრიდან გამოსვლისას, როდესაც შესაბამისი სათადარიგო ნაწილები ჩინეთიდან იქნა გამოთხოვილი და შეკეთებულ იქნა ელექტროგენერატორი. საშრობი კამერების ფაქტობრივი მოცულობის შეუსაბამობა ტენდერის პირობებში მითითებულ მონაცემებთან არ შეიძლება განხილული ყოფილიყო ტექნიკურ საკითხად, რომელიც შეიძლება აღმოფხვრილიყო. იგი სალიზინგო ნივთის ნაკლს წარმოადგენდა, რომელმაც სს «კედარისათვის» ზიანის მიყენება გამოიწვია.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ასევე უსაფუძვლო იყო კასატორის მითითება სამოქალაქო კოდექსის 578-ე მუხლზე, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ლიზინგის

მიმღებმა ლიზინგის გამცემისთვის პრეტენზიის წაყენებამდე უნდა მოითხოვოს დაკმაყოფილება ქონების მიმწოდებლისაგან. ლიზინგის ხელშეკრულებაში ამავე შეთანხმება მხარეების მიერ არ ყოფილა დაფიქსირებული. მოცემულ შემთხვევაში ეს გარემოებაც ვერ იქნებოდა განხილული მოსარჩელის მხრიდან - ეკონომიკის სამინისტროსაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შეზღუდვის საფუძველად.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე და კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთშეწონილობის გათვალისწინებით, მოპასუხეს, ეკონომიკის სამინისტროს, უნდა შემცირებოდა მიუღებელი შემოსავლის სახით გადასახდელად დაკისრებული თანხის ოდენობა იმ გაანგარიშებით, რომ ამ თანხას სს «კედარისათვის» უხარისხო და ნაკლოვანი მანქანა-მოწყობილობების გადაცემის შედეგად სს «კედარის» მიერ გაწეულ ხარჯებთან - 33832 აშშ დოლართან ერთად, მთლიანობაში შეედგინა ლიზინგის საზღაურის სახით გადასახდელად დარჩენილი 178742 აშშ დოლარი, ანუ შემცირებულიყო 99890 აშშ დოლარით და ამ ნაწილში ნაცვლად 244800 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა, დაკისრებოდა 144910 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა და მომხდარიყო მხარეებს შორის ვალდებულებათა გაქვითვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებული ნაწილის შესაბამისად.

2007 წლის 9 თებერვალს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

განმცხადებლის განმარტებით, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს «კედარის» სარჩელი პირველი მოპასუხე საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს, მეორე მოპასუხე შპს «საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს», მესამე პირების - საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სს «კედარის» სასარგებლოდ 99890 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა დაეკისრა, რაც შედგებოდა შემდეგი თანხებისაგან: საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ 2001 წლის 28 სექტემბრის #1 ლიზინგის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და უხარისხო და ნაკლოვანი მანქანა-დანადგარების სს «კედარისათვის» გადაცემის შედეგად სს «კედარის» მიერ გაწეული ხარჯებისაგან, რაც შეადგენდა 33832 აშშ დოლარს; სს «კედარის» მიერ მიუღებელი შემოსავლის შედეგად განცდილი მატერიალური ზიანისაგან, რაც შეადგენდა 244800 აშშ დოლარს, ანუ სს «კედარის» მთლიანობაში განიცადა მატერიალური ზიანი 278632 აშშ დოლარი (33832 აშშ დოლარისა და 244800 აშშ დოლარის ჯამი), სალიზინგო საზღაური კი შეადგენდა 178742 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, რაც უდრიდა 378040 ლარს; მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მოხდა სს «კედარის» მიერ ხის საშრობი მანქანა-დანადგარების სალიზინგო საზღაურის გაქვითვა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაში და საკუთრების უფლება მანქანა-დანადგარებზე ამ გზით, 2001 წლის 28 სექტემბრის #1 ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა სს «კედარს»; სარჩელის სხვა ნაწილში დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა. უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების პირველი ნაწილის «ა» პუნქტი ეკონომიკის სამინისტროსათვის სს «კედარის» სასარგებლოდ 99890 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; დადგინდა იქნა, რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2001 წლის 28 სექტემბრის #1 ლიზინგის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და უხარისხო და ნაკლოვანი მანქანა-მოწყობილობების სს «კედარისათვის» გადაცემის შედეგად სს «კედარის» მიერ გაწეული ხარჯები შეადგენდა 33832 აშშ დოლარს, ხოლო სს «კედარის» მიერ მიუღებელი შემოსავლის შედეგად განცდილი მატერიალური ზიანი - 144910 აშშ დოლარს, ანუ მთლიანობაში სს «კედარის» განიცადა მატერიალური ზიანი 178742 აშშ დოლარის ოდენობით (33832 აშშ დოლარისა და 144910 აშშ დოლარის ჯამი); გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ 2007 წლის 15 იანვარს ქ. თბილისის პროკურატურამ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წერილით მიმართა იმის თაობაზე, რომ 2007 წლის 12 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი სს «კედარის» გენერალური დირექტორის - გ. ა-იანის მიმართ. ხსენებული სასამართლო განაჩენით დადგინდა იქნა, რომ 2001 წლის 28 სექტემბერს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსა და სს «კედარს» შორის გაფორმებული ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე, სს «კედარს» გადაეცა 748477,7 ლარის ღირებულების ხის საშრობი დანადგარები. გ. ა-იანმა, ა. ჩ-შვილმა და მათმა პარტნიორებმა, განზრახული ჰქონდათ რა თაღლითური გზით ქონებრივი უფლების მიღება ისე, რომ არ გადაეხდათ მიღებული მანქანა-დანადგარების საზღაური, 2003 წლის 10 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის ცენტრიდან მოიპოვეს ყალბი დასკვნა, თითქოს საქართველოს მთავრობის მიერ სს

«კედარზე» ლიზინგის წესით გადაცემული ხის საშრობი მანქანა-დანადგარები უვარგისი იყო, რის გამოც სააქციო საზოგადოებას 278632 აშშ დოლარის ზიანი მიადგა. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, ლიზინგის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და უხარისხო და ნაკლოვანი მანქანა-დანადგარების სს «კედარისათვის» გადაცემის შედეგად სს «კედარმა» განიცადა 748477,7 ლარის ზარალი და ხის საშრობი მანქანა-დანადგარების სალიზინგო საზღაურის გაქვითვა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაში უნდა მომხდარიყო, ხოლო საკუთრების უფლება მანქანა-დანადგარებზე სს «კედარს» გადაეცა. იმის გათვალისწინებით, რომ თავის მხრივ, სს «კედარს» ვალდებულება ჰქონდა ეკონომიკის სამინისტროს წინაშე 748477,7 ლარის გადახდისა, მოხდა ვალის ურთიერთგაქვითვა და სს «კედარი» გათავისუფლდა 748477,7 ლარის გადახდისაგან, რითაც სახელმწიფოს მიადგა 748477,7 ლარის ზიანი. აღნიშნული დასკვნის სიყალბე დადგენილ იქნა თვით განსასჯელის აღიარებითა და მოწმეთა ჩვენებებით.

განმცხადებლის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში განსჯად სასამართლოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია წარმოადგენდა, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 26 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას იმ ნაწილში ასაჩივრებდა, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით უცვლელად დარჩა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 თებერვლის განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება განსჯადობით განსახილველად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას გადაეზავნა.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 მარტის განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება მიჩნეულ იქნა უზენაესი სასამართლოს განსჯადად; ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განცხადების განხილვა დაინიშნა 2007 წლის 18 აპრილს ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა იყო, რის გამოც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ უნდა ყოფილიყო განხილული.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 აპრილის განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება დაკმაყოფილდა; გაუქმდა უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება; ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2007 წლის 30 მაისს, ზეპირი მოსმენის გარეშე.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2007 წლის 18 აპრილის განჩინებაში აღნიშნა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადებით, 2007 წლის 15 იანვარს ქ. თბილისის პროკურატურამ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წერილით მიმართა იმის თაობაზე, რომ 2007 წლის 12 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი სს «კედარის» გენერალური დირექტორის -გ. ა-იანის მიმართ, რომლითაც დადგენილ იქნა, რომ გ. ა-იანმა, ა. ჩ-შვილმა და მათმა პარტნიორებმა, განზრახული ჰქონდათ რა თაღლითური გზით ქონებრივი უფლების მიღება ისე, რომ არ გადაეხადათ მიღებული მანქანა-დანადგარების საზღაური, 2003 წლის 10 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის ცენტრიდან მოიპოვეს ყალბი დასკვნა, თითქოს საქართველოს მთავრობის მიერ სს «კედარზე» ლიზინგის წესით გადაცემული ხის საშრობი მანქანა-დანადგარები უვარგისი იყო, რის გამოც სააქციო საზოგადოებას 278,632 აშშ დოლარის ზიანი მიადგა, ხოლო სახელმწიფოს - 748477,7 ლარის ზიანი, აღნიშნული დასკვნის სიყალბე კი დადგენილ იქნა თვით განსასჯელის აღიარებითა და მოწმეთა ჩვენებებით. მოცემული საქმის მასალებიდან ირკვეოდა, რომ 2007 წლის 15 იანვარს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ქ. თბილისის პროკურატურისგან მიიღო წერილი, რომელსაც დართული ჰქონდა გ. ა-იანის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 იანვრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ასლი. აღნიშნულ განაჩენში მითითებული იყო, რომ გ. ა-იანის, მოწმეების -მ. ტ-ძის, გ. თ-ძის ჩვენებები და საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებების ერთობლიობა ადასტურებდა განსასჯელის მიმართ წარდგენილ

ბრალდებას. ხსენებული განაჩენით ქ. თბილისის პროკურატურის საგამომიებო ნაწილის პროკურორ ჯ. მ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; დამტკიცდა ქ. თბილისის პროკურატურის საგამომიებო ნაწილის პროკურორ ჯ. მ-შვილსა და განსასჯელ გ. ა-იანს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება; გ. ა-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის II ნაწილის «ა», «გ» და 180-ე მუხლის III ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც ჩაითვალა პირობით და მას გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 2 წელი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 იანვრის განაჩენით გ. ა-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და, შესაბამისად, დამტკიცდა მისი ბრალეულობა ჩადენილ დანაშაულში, რომელიც განახორციელა 2003 წლის 10 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის ცენტრიდან მოპოვებული ყალბი დასკვნის საშუალებით. მასმასადამე, დასახელებული დასკვნის სიყალბე აღიარებული იყო თვით გ. ა-იანისა და მოწმეების -მ. ტ-ძის და გ. თ-ძის მიერ, დადასტურებული იყო საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებებით და საბოლოოდ დამტკიცებული იყო სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე და მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების საფუძველი, კერძოდ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის ცენტრის დასკვნის სიყალბე, რომელსაც ემყარებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება, აგრეთვე, იმავე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული საქმის წარმოების განახლების აუცილებელი პირობა -კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება იყო საფუძვლიანი, რის გამოც იგი უნდა დაკმაყოფილებულიყო, გაუქმებულიყო უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარზე განახლებულიყო საქმის წარმოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, აღნიშნავს, რომ სასამართლო კოლეგიამ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მთლიანად დააფუძნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2003 წლის 10 ივნისის #2-ე-20 საექსპერტო დასკვნაზე, კერძოდ, ხსენებული დასკვნის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ ვერ შეასრულა ლიზინგის ხელშეკრულებითა და მისი დანართით გათვალისწინებული სიმძლავრისა და ტევადობის ტექნიკური პარამეტრების მქონე დანადგარების მიწოდება სს «კედარისათვის», ანუ ამ უკანასკნელისათვის მიწოდებულ იქნა ნაკლის მქონე ქონება, რის გამოც შეუძლებელი შეიქმნა სტანდარტული მზა პროდუქციის წარმოება, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად და სს «კედარმა» განიცადა მატერიალური ზიანი. აღნიშნულის საფუძველზე კი, სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, რომ ლიზინგის საგნის ნაკლი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მცირდებოდა ნივთის ვარგისიანობა, ხოლო, ვინაიდან საშრობი კამერების სასარგებლო ფართი, ნაცვლად 400 მ³-ისა, შეადგენდა 240 მ³-ს, ანუ 160 მ³-ით ნაკლებს, შესაბამისად, შემცირდა ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების შესაძლებლობა, ბიზნეს-გეგმისა და აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, სს «კედარს» 1 მ³-დან უნდა მიეღო მოგება 85 აშშ დოლარის ოდენობით, სასარგებლო ფართის შემცირებით მოსარჩელის ყოველთვიური მოგება შემცირდა 13600 აშშ დოლარით, რაც 18 თვის მანძილზე (ანუ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2003 წლის სექტემბრამდე) შეადგენდა 244800 აშშ დოლარს და, რაც სს «კედარისათვის» წარმოადგენდა მიუღებელ შემოსავალს. აქედან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან საშრობი საკნების სასარგებლო ფართი 40%-ით ნაკლებს შეადგენდა, ვიდრე ეს ლიზინგის ხელშეკრულებაში იყო მითითებული, ლიზინგის საფასურიც 40%-ით უნდა შემცირებულიყო და სასამართლო კოლეგიამ დაადგინა სს «კედარისათვის» ხის საშრობი მანქანა-დანადგარების სალიზინგო საზღაურის (178742 აშშ დოლარის ოდენობით) გაქვითვა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის

სამინისტროს მიერ ზიანის ანაზღაურების (278632 აშშ დოლარის ოდენობით) ვალდებულებაში და საკუთრების უფლების გადაცემა ამ მანქანა-მოწყობილობებზე სს «კედარისათვის».

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ზემოხსენებულის თაობაზე კასატორიც მიუთითებს საკასაციო საჩივარში, კერძოდ, იგი პირდაპირ აცხადებს, რომ სასამართლო კოლეგია გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნო ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრის საექსპერტო დასკვნას, რომლის მიხედვითაც, სს «კედარისათვის» ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2001 წლის 28 სექტემბრის #1 ლიზინგის ხელშეკრულებით გადაცემული ხის საშრობი დანადგარების რეალური მოცულობა 400 მ³-ის ნაცვლად, შეადგენდა 240მ³-ს. კასატორი, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ სასამართლო კოლეგიამ არ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ხოლო სასამართლო სხდომაზე მან დაადასტურა, რომ დანადგარების ნაკლოვანება არ იყო ხსენებული სამინისტროს ბრალეულობა, ვინაიდან დანადგარების მწარმოებლის მიერ მიწოდებულ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ ისინი შეესაბამებოდა ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტექნიკურ მახასიათებლებს, რის გამოც ლიზინგის მიმღებმა პრეტენზია უნდა წაუყენოს ჩინელ მწარმოებლებს და არა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლო კოლეგიამ სს «კედარისათვის» ზიანის მიყენების დადგენილად მიჩნევას, ხის საშრობი მანქანა-დანადგარების სალიზინგო საზღაურის (178742 აშშ დოლარის ოდენობით) გაქვითვას ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ ზიანის ანაზღაურების (278632 აშშ დოლარის ოდენობით) ვალდებულებაში და საკუთრების უფლების გადაცემას ამ მანქანა-მოწყობილობებზე სს «კედარისათვის» საფუძვლად დაუდო სწორედ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2003 წლის 10 ივნისის #2-ე-20 საექსპერტო დასკვნა, რომლის სიყალბეც დამტკიცებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 იანვრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით და საბოლოოდ სასამართლო წესით დადასტურდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 აპრილის განჩინებით.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო კოლეგიამ მოცემულ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა, კასატორისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება განსაზღვრა და დასკვნები გააკეთა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2003 წლის 10 ივნისის #2-ე-20 საექსპერტო დასკვნასთან მიმართებაში, ანუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მთელი მოტივაცია აგებულია დასახელებული დასკვნით დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებებზე, ხოლო ხსენებული დასკვნის სასამართლო წესით ყალბად და, შესაბამისად, იურიდიული ძალის არმქონედ მიჩნევით კი, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს გამოეცალა მთელი მისი შინაარსის განსაზღვრული სამართლებრივი საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათს ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს ამ ეტაპზე მიაჩნია, რომ, ვინაიდან სასამართლო კოლეგიამ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაამყარა იმ მტკიცებულებაზე, რომელიც ყალბადაა მიჩნეული ზემოთ მოხსენიებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტებით და, ამდენად, საქმის არსის განსაზღვრელი ფაქტობრივი გარემოებები არასწორად დაადგინა და ამის შედეგად არასწორი დასკვნები გააკეთა, ამიტომ სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი - გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის მისთვის დაბრუნების შემდეგ სასამართლო კოლეგიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, ახლიდან დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის უფლებამონაცვლე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება და მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის უფლებამონაცვლე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
3. სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**6. შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
საწარმოო ტრავმა; სარჩო**

**შრომის მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად
ზიანის ანაზღაურება; სარჩო**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ბს-1026-979(23-06) 7 ივნისი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩო

აღწერილობითი ნაწილი:

20.03.06 წ. ბ. ბ-იანმა სარჩელი აღძრა ცაგერის რაიონულ სასამართლოში ცაგერის რაიონის სატყეო მეურნეობის მიმართ და მოპასუხისათვის 21 219.40 ლარისა და ყოველთვიური სარჩოს სახით 216 ლარის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მუშაობდა ცაგერის რაიონის სატყეო მეურნეობის სოფელ ... ხის გადამამუშავებელ საამქროში მუშად, იღებდა ხელფასს გაწეული შრომისათვის. 13.05.85 წ. სამუშაოს შესრულების დროს ხის კოტრის ფარულმა კორმმა ჩაშალა ხერხის ნორმალური მუშაობა, რის შედეგადაც მიიღო ტრავმა -დაკარგა მარცხენა ხელის მტევნის ოთხი თითი. შედგენილი იქნა საწარმოში მომხდარ უბედური შემთხვევის აქტი. ცაგერის საექიმო საექსპერტო კომისიის მიერ განესაზღვრა შრომის უნარის დაკარგვა 60%-ით და ინვალიდობის III ჯგუფი. ცაგერის სატყეო მეურნეობა ზიანის ანაზღაურების მიზნით უხდიდა თანხას. თანხის გადახდა მოპასუხე ორგანიზაციამ შეუწყვიტა 1995 წლის ნოემბრიდან. მოსარჩელის განცხადებით, არაერთხელ მიმართა სატყეო მეურნეობას, თუმცა უშედეგოდ. მოპასუხე თანხის გაცემაზე უარს ეუბნებოდა 1996 წლის დასაწყისში სატყეო მეურნეობაში სამრეწველო საქმიანობის გაუქმების და სატყეო მეურნეობაში მრეწველობის მუშის შტატის არ არსებობის გამო. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 09.02.97 წ. #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» მე-2 თავის მე-11 პუნქტის თანახმად, დაზარალებულს ზიანი აუნაზღაურდება ყოველთვიური სარჩოს გადახდის იმ ვადით, რა ვადითაც დადგენილი აქვს შრომის უნარის ხარისხის დაკარგვა, მიუხედავად იმისა, მინიჭებული აქვს თუ არა ინვალიდობის ჯგუფი. მოსარჩელის აზრით, ცაგერის სატყეო მეურნეობას არ ჰქონდა უფლება შეეჩერებინა ან შეეწყვიტა მისთვის სარჩოს გადახდა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» შესაბამისად, თუ ორგანიზაციაში აღარ არსებობდა აღნიშნული ან იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები, დაზარალებულს სარჩო უნდა განსაზღვროდა ორგანიზაციაში არსებული შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ათმაგი ოდენობით. სატყეო მეურნეობის მიერ გაცემული ცნობით დგინდებოდა, რომ საწარმოში არ არსებობდა ის შტატი, რომელზეც მუშაობდა საწარმოო ტრამვის მიღებამდე. მოსარჩელის განცხადებით, სატყეო მეურნეობას უნდა აენაზღაურებინა ზიანი ორგანიზაციაში არსებული საშუალო ხელფასის გათვალისწინებით.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 01.04.06წ. გადაწყვეტილებით ბ. ბ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ცაგერის რაიონის სატყეო მეურნეობას მოსარჩელე ბ. ბ-იანის სასარგებლოდ დაეკისრა შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ასანაზღაურებლად 20919 ლარის და 40 თეთრის და ყოველთვიური სარჩოს სახით 216 ლარის გადახდა.

ცაგერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის საპელაციო სასამართლოს 06.11.06წ. გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა ცაგერის რაიონული სასამართლოს 01.04.06წ. გადაწყვეტილება, ბადრი ბ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ცაგერის რაიონის სატყეო მეურნეობას ბ. ბ-იანის სასარგებლოდ დაეკისრა ერთჯერადად 2160 ლარის, ხოლო 01.04.06წ. აპრილიდან ყოველთვიურად 60 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ბ. ბ-იანმა სატყეო მეურნეობაში მიიღო საწარმოო ტრავმა, რის გამოც შეუმცირდა შრომის უნარი 60%-ით, უვადოდ. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სატყეო მეურნეობის მოვალეობა ბადრი ბ-იანისათვის სარჩოს გადახდის შესახებ წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, რის გამოც მასზე უნდა გავრცელებულიყო სსკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ბ. ბ-იანს უნდა ანაზღაურებოდა მხოლოდ ბოლო სამი წლის მიუღებელი თანხა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» მე-11 მუხლის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, თუ ორგანიზაციაში აღარ არსებობს დაზარალებულის ან იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები, დაზარალებულს სარჩო განესაზღვრება სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობიდან. სააპელაციო სასამართლოს აზრით, ვინაიდან, ცაგერის სატყეო მეურნეობაში აღარ არსებობდა ის თანამდებობა, რომელიც ადრე ეკავა დაზარალებულს, ასევე გაუქმებული იყო მრეწველობის დარგი, სადაც იგი მუშაობდა, ხოლო სახელმწიფოს მინიმალური ხელფასი შეადგენდა 20 ლარს, ბ. ბ-იანს ყოველთვიურად 20X30 ანუ 60 ლარი უნდა მიეღო, ხოლო 3 წლის მიუღებელი თანხა 60X36, ამდენად, 2160 ლარით უნდა განსაზღვრულიყო.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ბ. ბ-იანის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო დაწესებულებებში მინიმალური ხელფასი შეადგენდა 115 ლარს და შესაბამისად გაანგარიშებაც უნდა განხორციელებულიყო 115 ლარიდან. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის #43 ბრძანებულებით 115 ლარის ოდენობის მინიმალური ხელფასი გათვალისწინებული იყო მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისათვის.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ და აღნიშნა, რომ ვინაიდან სადავო თანხის გადახდა წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, მოსარჩელის მოთხოვნა ბოლო სამი წლის მიუღებელ თანხაზე არ იყო ხანდაზმული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.11.06წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ. ბ-იანმა. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატას არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სადავო სამართალურთიერთობა უნდა გადაეწყვიტა სსკ-ის 137-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. კასატორის განმარტებით, ცაგერის სატყეო მეურნეობამ ავანსის სახით გადაუხადა 400 ლარი და სისტემატურად პირდებოდა თანხის გადახდას, რითაც კასატორის აზრით, აღიარებდა მოთხოვნის არსებობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი თვლის, რომ მოპასუხეს სადავო თანხა უნდა დაკისრებოდა 1995 წლიდან 2005 წლის ოქტომბრამდე და გადასახდელი თანხის ოდენობა უნდა გამოთვლილიყო ცაგერის სატყეო მეურნეობაში არსებული ხელფასის მინიმალური ოდენობიდან, რაც, ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, 120 ლარს შეადგენდა. კასატორი თვლის, რომ თანხის გაანგარიშებისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა ქვეყანაში არსებული მინიმალური ხელფასის ოდენობით -20 ლარით.

კასატორის აზრით, სააპელაციო პალატას უნდა გამოეყენებინა საქართველოს პრეზიდენტის 29.08.05წ. #726 ბრძანებულება, რომლის მიხედვით საბიუჯეტო სფეროში დასაქმებული მუშაკთა ხელფასი შეადგენს 115 ლარს 1 სექტემბრიდან, არ გამოიყენა ასევე შრომის კანონთა კოდექსის 76-ე მუხლი, რომლის თანახმად, მინიმალური ხელფასის ოდენობას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, მინიმალური თვიური ანაზღაურება არ შეიძლება იყოს მინიმალურ ხელფასზე ნაკლები. მინიმალური ხელფასის დაცვა სავალდებულოა ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისთვის მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად.

კასატორმა აღნიშნა, რომ მოსამართლემ არასწორად განმარტა კანონი, სარჩო განსაზღვრა სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობით და არა სამმაგი ოდენობიდან, როგორც ეს დადგენილი იყო «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99წ. #48 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე» საქართველოს პრეზიდენტის 11.09.03წ. #443 ბრძანებულების მე-2 პუნქტით.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მისი სარჩოს ოდენობა შემდეგნაირად უნდა გამოეთვალა:

1997 წლის 1 ნოემბრიდან 1997 წლის 1 აპრილამდე: $6,60 \times 10 \times 17 \times 0,6 = 673.20$ სადაც 6.60 იქნებოდა აღნიშნული პერიოდისათვის ხელფასის მინიმალური ოდენობა, 10-კოეფიციენტი, 17-თვეების რაოდენობა, ხოლო 0,6 შრომის უნარის დაკარგვის ხარისხი.

1997 წლის 1 აპრილიდან 1 აგვისტომდე:

$$12.60 \times 10 \times 4 \times 0,6 = 302.40$$

1997 წლის 1 აგვისტოდან 1998 წლის 1 მარტამდე

$$16 \times 10 \times 7 \times 0,6 = 672$$

1998 წლის 1 მარტიდან 2000 წლის 1 აგვისტომდე:

$$18 \times 10 \times 29 \times 0,6 = 3132$$

2000 წლის 1 აგვისტოდან 2003 წლის 1 ოქტომბრამდე:

$$20 \times 10 \times 38 \times 0,6 = 4560$$

2003 წლის 1 ოქტომბრიდან 2005 წლის 1 იანვრამდე

$$120 \times 3 \times 15 \times 0,6 = 3240$$

2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 ნოემბრამდე

$$15 \times 3 \times 22 \times 0,6 = 4554$$

აღნიშნულის გათვალისწინებით კასატორმა მოპასუხისათვის 16 733.160 ლარის დაკისრება მოითხოვა. კასატორის აზრით, მოპასუხეს უნდა დაეკისროს ყოველთვიურად სარჩოს სახით 207 ლარის გადახდა შემდეგი გაანგარიშების საფუძველზე: $115 \times 3 \times 0,6 = 207$

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 20.12.06წ. განჩინებით ბ. ბ-იანის საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული. მხარეებს უფლება მიეცათ წარმოედგინათ მოსაზრებები საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით.

28.12.06წ. სასამართლოს საკასაციო საჩივრის მომართა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სათანადოდ არ იყო გარკვეული ფაქტობრივი გარემოებანი, რომლებითაც დადგინდებოდა ხანდაზმულობის დაწყების თუ შეწყვეტის დრო. სასამართლოზე გამოკვლეული მტკიცებულებების სისრულე არ იძლეოდა შესაბამისი დასკვნის გაკეთების საშუალებას. კასატორის აზრით, ბ-იანმა სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა დაარღვია. მართალია, მოსარჩელის განცხადებით, მან თავის უფლების დარღვევის შესახებ 2005 წლის 10 მაისს შეიტყო, თუმცა მან 1997-2005 წწ. არ გამოიყენა თავისი უფლებების დაცვის ყველა საშუალება. კასატორის აზრით, სსკ-ის 137-ე მუხლის შესაბამისად ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა ბ-იანის შრომის უნარის დაკარგვის პროცენტული მაჩვენებელი - 60%. კასატორის აზრით გადასახდელი თანხის გაანგარიშება უნდა განხორციელებულიყო შემდეგნაირად:

$$20 \times 3 = 60 \text{ 60-ის } 60\% = 36$$

$$36 \times 36 \text{ (3 წელი) } = 1296 \text{ ლარი}$$

აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა გასაჩივრებელი გადაწვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება მოითხოვა.

საკასაციო პალატის 29.01.07წ. განჩინებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შეგებებული საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული. მხარეებს უფლება მიეცათ წარმოედგინათ მოსაზრებანი შეგებებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის თაობაზე. საკასაციო პალატის 19.04.07წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი და შეგებებული საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების, საკასაციო საჩივრის და შეგებებული საკასაციო საჩივრის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება წარმოადგენს პერიოდულად შესრულებულ ვალდებულებას და მის მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბ. ბ-იანმა სასარჩელო განცხადებით სასამართლოს 20.03.06წ.

მიმართა. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორ ბ. ბ-იანს ერთდროულად უნდა მიეცეს 3 წლის მიუღებელი ყოველთვიური სარჩო - 2003 წლის 20 მარტიდან 2006 წლის 20 მარტამდე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორ ბ. ბ-იანის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხე ორგანიზაციამ მის მიმართ არსებული დავალიანება აღიარა, რაც ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველია. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ვალის არსებობის აღიარება ხელშეკრულებას წარმოადგენს. ამავე კოდექსის 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულია ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეული უნდა იქნეს შეთანხმება ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. ნებისმიერი დოკუმენტი, რომელშიც ვალის არსებობაა დაფიქსირებული, ვერ ჩაითვლება ვალის აღიარების ხელშეკრულებად, თუ არ დადგინდება, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე. განსახილველ შემთხვევაში წარმოდგენილი არ არის სამოქალაქო სამართლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი რაიმე დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მოპასუხე ორგანიზაციის მიერ დავალიანება აღიარებულად ჩაითვლებოდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს ოდენობა სააპელაციო პალატას ბ. ბ-იანის შრომის უნარიანობის დაკარგვის პროცენტული მაჩვენებლის გამოყენებით უნდა დაეადგინა. საქართველოს პრეზიდენტის 09.02.97წ. #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» მე-11 მუხლის თანახმად, დაზარალებულს ზიანი აუნაზღაურდება იმ ოდენობით, რამდენი პროცენტითაც დაკარგული აქვს შრომის უნარის ხარისხი. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და დავას არ იწვევს, რომ ბ. ბ-იანს შრომის უნარი დაკარგული აქვს 60%-ით.

საქართველოს პრეზიდენტის 09.02.97წ. #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» მე-11 მუხლის 2003 წლის 11 სექტემბრამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით, ზიანის ოდენობა განისაზღვრებოდა შრომის ხელშეკრულების მინიმალური დონის ათმაგი ოდენობიდან. საქართველოს პრეზიდენტის 04.06.99 წ. #351 ბრძანებულებით მინიმალური ხელფასი 20 ლარით განისაზღვრა. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ 2000 წლის 1-ლი აგვისტოდან ცაგერის სატყეო მეურნეობაში მინიმალური ხელფასი 20 ლარი იყო. ამდენად, 2003 წლის 20 მარტიდან 20 სექტემბრამდე მოპასუხეს უნდა დაეკისროს 6 თვის გადაუხდელი თანხის, კერძოდ, $20 \times 10 = 200$ -ის $60\% = 120 \times 6 = 720$ ლარის გადახდა. საქართველოს პრეზიდენტის 09.02.97 წ. #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესებში» საქართველოს პრეზიდენტის 11.09.03 წ. #443 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებების შედეგად წესების მე-11 მუხლის «გ» ქვეპუნქტით დადგინდა, რომ დაზარალებულს სარჩო განესაზღვრება სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობიდან. ამდენად, 2003 წლის 20 სექტემბრიდან მოპასუხეს ყოველთვიურად უნდა დაეკისროს $20 \times 3 = 60$ -ის $60\% = 36 \times 30 = 1080$ ლარის ($1080\text{ლ} + 720\text{ლ}$) გადახდა.

ამდენად, მიუღებელი თანხის სახით მოპასუხეს ბ. ბ-იანის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სამი წლის გაუცემელი სარჩო ერთდროულად გადასახდელი თანხა 1800 ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის 24.03.07 წ. #53 დადგენილებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის» 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, 2007 წლის 1 მარტის შემდეგ არ შეიძლება დაწესდეს ახალი გასაცემლები საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99 წ. #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებდნენ უფლებამონაცვლის არარსებობის პირობებში გასაცემლების დანიშვნის საფუძველებს, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობს თუ არა ამ საკითხებზე სამართალწარმოება სასამართლოებში. განსახილველ შემთხვევაში ზემოაღნიშნული გარემოების არარსებობის გამო საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეს ბ. ბ-იანის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ყოველთვიური სარჩოს გადახდა საქართველოს პრეზიდენტის 09.02.97 წ. #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესების» საფუძველზე 36 ლარის ოდენობით სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვის დღიდან - 2006 წლის 20 მარტიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ბ. ბ-იანის საკასაციო საჩივარი და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შეგებებული საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საკასაციო პალატის მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ბ. ბ-იანის საკასაციო საჩივარი და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შეგებებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.11.06წ. გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ბ. ბ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბ. ბ-იანის სასარგებლოდ დაეკისროს ერთდროულად გადასახდელი თანხის სახით 1800 ლარის, 2006 წლის 20 მარტიდან ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს სახით 36 ლარის გადახდა;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომის მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#ბს-803-769 (23-06) 19 აპრილი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩო

აღწერილობითი ნაწილი:

27.04.05წ. გ. ქ-შვილმა ახმეტის რაიონის განათლების განყოფილების მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართა ახმეტის რაიონულ სასამართლოს. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1972 წლიდან მუშაობდა ახმეტის რაიონის სპორტსკოლის დირექტორად. 1973 წლის ივნისში მიიღო საწარმოო ტრავმა და დაინვალიდა, პროფესიული შრომისუნარიანობა 80%-ით დაკარგა. 90-იან წლებამდე იღებდა სხვაობას პენსიასა და ხელფასს შორის. 90-იანი წლებიდან თანხა აღარ მიუღია. მოსარჩელემ მოპასუხისათვის ყოველთვიური მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობის პენსიის 80%-ის, 81 ლარის და ბოლო სამი წლის მანძილზე მიუღებელი პენსიის 2916 ლარის ოდენობით დაკისრება მოითხოვა.

ახმეტის რაიონული სასამართლოს 13.07.05 წ. გადაწყვეტილებით გ. ქ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ახმეტის რაიონის განათლების განყოფილებას დაევალა გ. ქ-შვილისათვის ყოველთვიურად, სარჩოს სახით 81 ლარის და ერთჯერადად, მიუღებელი სარჩოს სახით 2916 ლარის ანაზღაურება. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ახმეტის რაიონის განათლების განყოფილებამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.03.06 წ. განჩინებით საქმეში მოპასუხედ იქნა ჩაბმული სოფელ ... რვაწლიანი საშუალო სკოლა და მესამე პირად - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ამავე სასამართლოს 02.05.06 წ. განჩინებით, სსკ-ის 92-ე მუხლის შესაბამისად, საქმეში მოპასუხე მხარემ ახმეტის რაიონის სოფელ ... რვაწლიანი საშუალო სკოლა შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით -სოფელი ... მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.07.06 წ. გადაწყვეტილებით ახმეტის რაიონის განათლების განყოფილების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ახმეტის რაიონული სასამართლოს 13.07.05 წ. გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. ქ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ახმეტის რაიონის სოფელ ... მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლას გ. ქ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 2002 წლის 27 აპრილიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე პერიოდისათვის ერთდროული თანხის გადახდა თვეში 70,97 ლარის გაანგარიშებით, ხოლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან ყოველთვიურად 70,97 ლარის ოდენობით მდგომარეობის შეცვლამდე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» მე-2 პუნქტის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება სოფელ ... მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლას უნდა

დაკისრებოდა, ვინაიდან საწარმოო ტრავმა გ. ქ-შვილმა ახმეტის რაიონის სოფელ ... 8-წლიან სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობისას მიიღო. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სარჩელის სასამართლოში შეტანის დღეს, 2005 წლის 27 აპრილს, სოფელ ... მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლის ხელფასი შეადგენდა 88,72 ლარს, რომლის 80%, 70,97 ლარი უნდა მიეღო დაზარალებულს ყოველთვიურად. ვინაიდან საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, სკ-ის 129-ე მუხლის შესაბამისად, გ. ქ-შვილს ზიანი 2002 წლის 27 აპრილიდან უნდა ანაზღაურებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.07.06წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით მთლიანად გაასაჩივრა ახმეტის რაიონის სოფელი ... ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლამ და ნაწილობრივ გაასაჩივრა გ. ქ-შვილმა.

კასატორ გ. ქ-შვილის აზრით სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება უკანონოა იმ ნაწილში, რომლითაც ახმეტის რაიონის სოფელი ... მე-2 საჯარო სკოლას მის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად 70,97 ლარის ოდენობით სარჩოს გადახდა. კასატორი მიიჩნევს, რომ მოპასუხეს მისთვის ყოველთვიურად 119.60 ლარი უნდა დაკისრებოდა, ვინაიდან 2005 წლიდან სოფელ ... მე-2 საჯარო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლის ხელფასი 149,50 ლარი იყო და აღნიშნული თანხის 80% 119.60 ლარს შეადგენდა. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა მასწავლებლის ხელფასის შესახებ არსებული ძველი მონაცემებით და ყოველთვიურად მისაღები თანხა 88.72 ლარიდან განუსაზღვრა. კასატორმა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული ნაწილის გაუქმება და მოპასუხისათვის ყოველთვიურად 119,60 ლარის დაკისრება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 07.11.06წ. განჩინებით ახმეტის რაიონის სოფელ ... ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლის საკასაციო საჩივარი ხარვეზზე იქნა დატოვებული, ხოლო ამავე პალატის 02.02.07წ. განჩინებით დატოვებული იქნა განუხილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.11.06წ. განჩინებით გ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული, მხარეებს უფლება მიეცათ წარმოედგინათ მოსაზრება საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით. მხარეებს მოსაზრებები არ წარმოუდგენიათ.

საკასაციო პალატის 22.03.07წ. განჩინებით გ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე მიჩნეული იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატაში დავის საგანს შეადგენს სააპელაციო სასამართლოს 04.07.06 წ. გადაწყვეტილების მხოლოდ ის ნაწილი, რომლითაც ახმეტის რაიონის სოფელი ... მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლას ქ. ქ-შვილის სასარგებლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ყოველთვიურად 70.97 ლარის გადახდა დაეკისრა.

საქართველოს მთავრობის 24.03.07 წ. #53 დადგენილებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის» 1-ლი მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2007 წლის 1 მარტის შემდეგ არ შეიძლება დაწესდეს ახალი გასაცემლები საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99 წ. #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებდნენ უფლებამონაცვლის არარსებობის პირობებში გასაცემლების დანიშვნის საფუძვლებს, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობს თუ არა ამ საკითხებზე სამართალწარმოება სასამართლოებში. განსახილველ შემთხვევაში ზემოაღნიშნული გარემოების არარსებობის გამო საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეს გ. ქ-შვილის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ყოველთვიური სარჩოს გადახდა საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99 წ. #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» საფუძველზე.

საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99 წ. #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» მე-11 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, ზიანი ანაზღაურდება იმავე ან იგივე თანრიგის ნებისმიერი სპეციალობის მუშაკის ბოლო სამი თვის სრულად ნამუშევარი ფაქტობრივად მიღებული საშუალო ხელფასიდან იმ ოდენობით, რამდენი პროცენტითაც დაკარგული აქვს შრომის უნარის ხარისხი. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კასატორის მიერ მითითებული წესების მე-12 პუნქტი, რომლის საფუძველზეც სასამართლოს ან დამქრავებლის მიერ ხდებოდა ყოველთვიური სარჩოს ოდენობის გადაანგარიშება ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ან

მისი მინიმალური დონის ცვლილებების შესაბამისად, წესებიდან საქართველოს პრეზიდენტის 07.11.05 წ. #923 ბრძანებულებით იქნა ამოღებული. ამდენად, ყოველთვიური სარჩო ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ცვლილების შესაბამისად ხელახალ გადაანგარიშებას არ ექვემდებარება.

მითითებული გარემოების გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ სარჩოს ოდენობა გამოთვლილი უნდა იქნეს იმ დროს არსებული შრომის ანაზღაურებიდან, როდესაც დაზარალებულმა წამოიწყო დავა ყოველთვიური სარჩოს მოპასუხისთვის დაკისრების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას ... საჯარო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლის ხელფასის გაზრდის შესაბამისად ზიანის ანაზღაურების სარჩოს გადაანგარიშებისა და გაზრდილი ოდენობით ანაზღაურების შესახებ. საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. ქ-შვილის საკასაციო მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო პალატის 04.07.06წ. გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 404-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. გ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.07.06წ. გადაწყვეტილება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომის მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურება; საწარმოო ტრავმა

განჩინება

#ბს-865-827(კ-07) 4 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად **გამოარკვია:**

ნ. მ-მემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოპასუხის -ქ. ბათუმის მერიის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ზიანის ანაზღაურება, შემდეგი საფუძველით:

საქმის გარემოებები:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 05.02.04წ. გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიას, როგორც საწარმოო ტრავმაში ბრალეული საწარმოს შპს «სხივი-200-ის» სამართალმემკვიდრეს, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიური სარჩოს, მიუღებელი და არასწორად დარიცხვის შედეგად წარმოშობილი 4,505 ლარის დავალიანებისა და მკურნალობის თანხის ნაწილის - 930 ლარის, სულ 5,435 ლარის გადახდა, ხოლო 100 ლარის ყოველთვიური სარჩოს დაკისრებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის ვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესის» 23-ე პუნქტის თანახმად, იურიდიული პირების გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში დამქირავებელი ვალდებული იყო დაზარალებულისათვის ყოველთვიური სარჩოს ნაცვლად მიეცა კომპენსაცია. მიუხედავად აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა, მოპასუხეს არც ერთდროული საკომპენსაციო თანხა გადაუხდია და არც ყოველთვიური სარჩოს გაცემა განუახლებია.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველები:

მოსარჩელემ განცხადებით მიმართა -ქ. ბათუმის მერიას სარჩოს ანაზღაურების თაობაზე, რაზეც მიიღო პასუხი, რომ ქ. ბათუმის მერია 100 ლარის ყოველთვიური სარჩოს გადახდის გადაწყვეტილებას მიიღებდა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ. მოსარჩელის განმარტებით, იგი არ იყო წინააღმდეგი ყოველთვიური სარჩოს ნაცვლად მიეღო ერთდროული კომპენსაცია, მაგრამ დადგენილი არ იყო ერთდროული კომპენსაციის გაანგარიშების წესი.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველები:

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეს დაკისრებოდა 2004 წლის 1 თებერვლიდან ყოველთვიური სარჩოს გადახდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის ვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესის» შესაბამისად, მათ შორის, დღემდე გადაუხდელი თანხის ერთდროულად, მორალური ზიანის - 200 ლარის და რწმუნებულის მომსახურებისათვის -300 ლარის გადახდა. მოსარჩელემ ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2006 წლის 10 ივნისს შეტანილი დაუხსტებული სარჩელით მოითხოვა მოპასუხე -ქ. ბათუმის მერიას ყოველთვიური სარჩოს ნაცვლად დაკისრებოდა 46800 ლარის ერთდროული საკომპენსაციო თანხის, ასევე მორალური ზიანის სახით 2000 ლარისა და ადვოკატის მომსახურების -1992 ლარის გადახდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

1979 წელს ნ. მ-ძემ შპს «სხივი-2000-ში» მუშაობისას მიიღო საწარმოო ტრავმა და დაიზიანა თვალი. სამედიცინო-საექსპერტო კომისიის დასკვნის შესაბამისად, მას დაუდგინდა მე-3 ჯგუფის ინვალიდობა შრომის უნარის 50%-ის დაკარგვით, რის საფუძველზეც დაენიშნა ყოველთვიური სარჩო ფულადი სახით, რომელსაც ღებულობდა 1995 წლამდე. შპს «სხივი-2000-ის» ლიკვიდაციის შემდეგ მოსარჩელეს არ მიუღია ყოველთვიური სარჩო იმ ოდენობით, რასაც ითვალისწინებდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 48-ე ბრძანებულება, რის გამოც მოსარჩელემ მოითხოვა ამავე ბრძანებულების ძალაში შესვლიდან, ანუ 2001 წლის 1 იანვრიდან, 23 თვის განსხვავების, 805 ლარის, 2001 წლის 1 იანვრიდან 2003 წლის 1 სექტემბრამდე -3200 ლარის, მკურნალობის ხარჯების -1200 ლარის დაკისრება მოპასუხისათვის და ასევე, ყოველთვიური სარჩოს -100 ლარის გადახდის გაგრძელება. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ქ. ბათუმის მერიას მოსარჩელე ნ. მ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიური სარჩოს სხვაობის და დავალიანების -4,505 ლარის, ასევე მკურნალობის ხარჯების -930 ლარის, სულ -5,435 ლარის გადახდა, ხოლო მოთხოვნის დანარჩენი ნაწილის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის ვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესის» 23-ე მუხლი და განმარტა, რომ «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ლიკვიდაციის ან გაკოტრების შემთხვევაში დამჭირავებელი ვალდებული იყო, დაზარალებულისთვის ყოველთვიური სარჩოს ნაცვლად მიეცა კომპენსაცია ფულადი სახით ორგანიზაციის ქონებიდან. შპს «სხივი-2000-ის» ლიკვიდაცია განხორციელდა აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 2002 წლის 19 ოქტომბრის #91 დადგენილებით, ხოლო აჭარის ა/რ ქონების მართვის სამინისტროს 2002 წლის 11 ნოემბრის #5/108 ბრძანებით შეიქმნა შპს «სხივი-2000-ის» სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც უნდა უზრუნველყო საწარმოს ბალანსზე რიცხული საშუალებების რეალიზაცია და შემოსული თანხებით არსებული დავალიანებების დაფარვა. სწორედ აღნიშნულ სალიკვიდაციო კომისიას უნდა ეწარმოებინა ქონების რეალიზაციით შემოსული თანხებიდან ყოველთვიური სარჩოს ნაცვლად, საკომპენსაციო თანხის გაცემა ნ. მ-ძეზე. შემდგომში აჭარის ა/რ ქონების მართვის სამინისტროს უფლებამონაცვლე გახდა ქ. ბათუმის მერია, მაგრამ აღნიშნული არ შეიძლებოდა გამხდარიყო საკომპენსაციო თანხის დაკისრების საფუძველი, რამდენადაც ქ. ბათუმის მერიას შპს «სხივი-2000-ის» ქონება არ გადასცემია და შესაბამისად, აღნიშნული ქონებიდან ვერ განახორციელებდა თანხის გადახდას. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 48-ე ბრძანებულების 23-ე მუხლი კი იმპერატიულად ადგენდა, რომ საკომპენსაციო თანხის გაცემა საწარმოს ლიკვიდაციის დროს უნდა მომხდარიყო ორგანიზაციის ქონებიდან, რის გამოც საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. მ-ძის სასარჩელო მოთხოვნა ქ. ბათუმის მერიისთვის თანხების დაკისრების თაობაზე, დაუსაბუთებელი იყო და არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-ძემ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

აპელანტის განმარტებით, საქალაქო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილი იყო პროცესუალური დარღვევებით, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის ვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესის» 23-ე მუხლი, როგა მიუთითა ამავე ნორმის იმპერატიულობაზე, რომ საწარმოს ლიკვიდაციის დროს საკომპენსაციო თანხის გაცემა უნდა მომხდარიყო ორგანიზაციის ქონებიდან. აღნიშნული უნდა მოეხდინა ბრალეული საწარმოს სალიკვიდაციო კომისიას, რომელიც შეიქმნა აჭარის ა/რ ქონების მართვის სამინისტროს ბრძანებით და რომლის უფლებამონაცვლეც იყო ქ. ბათუმის მერია. ამავე დროს, მოსარჩელეს აჭარის ა/რ სოციალური

დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსა და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში განუმარტეს, რომ ზემოაღნიშნული ბრძანებულების 23-ე მუხლის მიხედვით, ყოველთვიური სარჩოს ნაცვლად ერთდროული საკომპენსაციო თანხის გაანგარიშების წესი კანონით არ იყო დადგენილი, რის გამოც მას მიეცემოდა ყოველთვიური სარჩო ლიკვიდირებული ორგანიზაციის სამართალმემკვიდრის მიერ.

აპელანტის მოსაზრებით, აღნიშნული დავა უნდა მოწესრიგებულიყო საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის ვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესის» 42-ე ან 42¹ პუნქტებით. სარჩოს დანიშვნაზე მოსარჩელის თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი იყო სწორედ 42-ე პუნქტი და იქვე აღინიშნა, რომ აპელანტი თანახმა იყო, სარჩოს ნაცვლად საკომპენსაციო თანხის მიღებაზე, 23-ე პუნქტის მიხედვით.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 ივნისის განჩინებით ნ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით, ბათუმის მერიას, როგორც შპს «სხივი-2000-ის» სამართალმემკვიდრეს, ნ. მ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიური სარჩოს სხვაობის და დავალიანების -4,505 ლარის, ასევე მკურნალობის ხარჯის -930 ლარის გადახდა. ყოველთვიური სარჩოს დაკისრების ნაწილში ნ. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 48-ე ბრძანებულება გაუქმდა, რომლის სანაცვლოდ მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილება #53, რომლითაც დამტკიცდა «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი». სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული წესის 2.2 მუხლის მიხედვით, დამსაქმებელს უფლება ჰქონდა, «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული ყოველთვიური ზიანის ანაზღაურების სარჩოს ნაცვლად მიეცა ერთჯერადი კომპენსაცია ზიანის ანაზღაურების სარჩოს მიმღებთან შეთანხმებით. სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელეს ყოველთვიური სარჩო დანიშნული არ ჰქონდა, მას ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვა ყოველთვიური სარჩოს -100 ლარის მერიაზე დაკისრების შესახებ, ასეთ შემთხვევაში კი აღარ არსებობდა ერთჯერადი კომპენსაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლები და განმარტა, რომ პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებდა ზიანს, ვალდებული იყო, აენაზღაურებინა ეს ზიანი. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელემ საწარმოო ტრავმა მიიღო შპს «სხივი-2000-ში». ბათუმის მერიას არ მიუყენებია ზიანი მოსარჩელისათვის, ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მის მიმართ სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-ძემ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

კასაციის მოტივი:

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ასევე სააპელაციო სასამართლოს განჩინება ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, სასამართლომ შეფასება არ მისცა საქმის მასალებს და საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილება, როცა მიუთითა, რომ აღნიშნული წესის 2.2 მუხლის მიხედვით, დამსაქმებელს უფლება ჰქონდა, შრომითი მოვალეობის შესრულებისას, «მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული ყოველთვიური ზიანის ანაზღაურების სარჩოს ნაცვლად მიეცა ერთჯერადი კომპენსაცია ზიანის ანაზღაურების სარჩოს მიმღებთან შეთანხმებით. როგორც აღინიშნა, მოსარჩელეს ყოველთვიური სარჩო დანიშნული არ ჰქონდა. მას ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვა ყოველთვიური სარჩოს -100 ლარის მერიაზე დაკისრების შესახებ. ასეთ შემთხვევაში აღარ არსებობდა ერთჯერადი კომპენსაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ქ. ბათუმის მერია გარკვეული პერიოდის განმავლობაში იხდიდა სარჩოს, ხოლო შემდეგ შეაჩერა მისი გადახდა. კასატორის აზრით, საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 5 თებერვლის სასამართლო მასალების გამოთხოვა და შესწავლა.

კასატორი მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის შესაბამისად, ექვემდებარება დასაშვებად ცნობას, რამდენადაც საქმე მნიშვნელოვანია სამართლის

განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 29 იანვრის განჩინებით ნ. მ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. «გ» პუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია/.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინებების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. მ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებების გამოტანისას დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2, 394 «ე» მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

სსსკ-ის 407.2. მუხლის შესაბამისად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, რამდენადაც სრულიად დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელეს ყოველთვიური სარჩო დანიშნული არ ჰქონდა, კერძოდ მას ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვა ყოველთვიური სარჩოს -100 ლარის მერიაზე დაკისრების შესახებ, ასეთ შემთხვევაში კი აღარ არსებობდა ერთჯერადი კომპენსაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის ვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესის» 23-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ლიკვიდაციის ან გაკოტრების შემთხვევაში დამქირავებელი ვალდებული იყო, დაზარალებულისთვის ყოველთვიური სარჩოს ნაცვლად მიეცა კომპენსაცია ფულადი სახით ორგანიზაციის ქონებიდან. შპს «სხივი-2000-ის» ლიკვიდაცია განხორციელდა აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 2002 წლის 19 ოქტომბრის #91 დადგენილებით. აჭარის ა/რ ქონების მართვის სამინისტროს 2002 წლის 11 ნოემბრის #5/108 ბრძანებით შეიქმნა შპს «სხივი-2000-ის» სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც უნდა უზრუნველყო საწარმოს ბალანსზე რიცხული საშუალებების რეალიზაცია და შემოსული თანხებით არსებული დავალიანებების დაფარვა. აჭარის ა/რ ქონების მართვის სამინისტროს უფლებამონაცვლეს დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს ქ. ბათუმის მერია, ამდენად სასამართლოს დასკვნა, რომ ქ. ბათუმის მერია არ წარმოადგენს ვალდებულ პირს, რომელმაც უნდა აუნაზღაუროს ნ. მ-ძის ზიანი, მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლომ საქმის განხილვისას არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქმის მასალების თანახმად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 5 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათუმის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიური სარჩოსა და სხვაობის, ასევე მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება ხოლო ნ. მ-ძის მოთხოვნა ყოველთვიური სარჩოს 100 ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ არ იყო განსაზღვრული სარჩოს ანაზღაურების წესი.

საკასაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები და სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, ქ. ბათუმის მერიის მიერ შესრულებულ იქნა თუ არა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 5 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მასზე დაკისრებული ვალდებულება ნ. მ-ძის სასარგებლოდ, და რა ოდენობის თანხა იქნა გაცემული მოსარჩელის მიმართ. აღნიშნული მტკიცებულებების მოპოვების შედეგად სასამართლომ უნდა გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, კერძოდ დავალიანების ანაზღაურებით ქ. ბათუმის მერიამ აღიარა თუ არა ფაქტობრივად მოსარჩელის წინაშე ვალდებულება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს იმ გარემოებაზე, იმ პირობებში, თუ სალიკვიდაციო კომისია არ განახორციელებდა ლიკვიდირებული საწარმოს ქონებიდან საწარმოს დავალიანების დაფარვას კრედიტორთა წინაშე,

აღნიშნული არის თუ არა საკმარისი საფუძველი იმ გარემოების დადგენისათვის, რომ ქ. ბათუმის მერია, რომელიც სალიკვიდაციო კომისიის უფლებამონაცვლეა, აღარ წარმოადგენს ვალდებულ პირს მოსარჩელის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში. აღნიშნული გარემოების დადგენის შემდეგ სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 48-ე ბრძანებულების «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» 42-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის (შერწყმა, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ან პრივატიზაციის შემთხვევაში განცხადება შეიტანება მის უფლებამონაცვლე ან მისი ქონების ბაზაზე დაფუძნებულ ან შექმნილ ორგანიზაციაში, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ უფლებამონაცვლე ორგანიზაცია არ არსებობს, ზიანის ანაზღაურება სალიკვიდაციო კომისიის წარდგინებით გაიცემა ტერიტორიული ერთეულების გამგეობების (მერიების) სოციალური დახმარების სამსახურის მეშვეობით.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები სრულყოფილად, კერძოდ ს.ფ. 52-ე მდებარე წერილს არ მისცა სამართლებრივი შეფასება, რომლის თანახმად ნ. მ-მეს აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და ჯანმრთელობის სამინისტრომ 2002 წელს აცნობა, რომ საკომპენსაციო თანხის გაცემა ნ. მ-მეზე შპს «სხივი 2000» ლიკვიდაციისას უნდა აწარმოოს ქონების მართვის სამინისტროს მიერ დანიშნულმა სალიკვიდაციო კომისიამ. აღნიშნულ წერილს სააპელაციო სასამართლომ არ მისცა სამართლებრივი შეფასება. შესაბამისად, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, ნ. მ-მეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 9.1. მუხლის საფუძველზე წარმოუშვა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოსგან კანონიერი ნდობა, რომ მის მიმართ არსებული დავალიანება იქნებოდა გაცემული.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები და სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოითხოვოს 2004 წლის 5 თებერვალს ნ. მ-მის მიერ აღძრული სარჩელის საქმის მასალები და მათი შეფასების და გამოკვლევის შემდეგ გამოიტანოს დასკვნა, იმსჯელოს სარჩელის საფუძვლიანობაზე ნ. მ-მის მიერ მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების ფარგლებში, რამდენადაც სარჩელი /დარღვეული ან სადავოდ ქვეყლი უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება/ შედგება, როგორც სამართლებრივი, აგრეთვე ფაქტობრივი საფუძვლისაგან, ამასთან სარჩელის საფუძველი არის ის ფაქტები, რომელთა არსებობა განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და რომლებსაც მატერიალური სამართლის ნორმა უკავშირებს სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტების უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას.

საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილებით დამტკიცდა «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი», რომლის 2.2 მუხლის მიხედვით, დამსაქმებელს უფლება ჰქონდა, «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული ყოველთვიური ზიანის ანაზღაურების სარჩოს ნაცვლად მიეცა ერთჯერადი კომპენსაცია ზიანის ანაზღაურების სარჩოს მიმდებთან შეთანხმებით.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილებით დამტკიცდა «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი» რომლის 2.1 მუხლის თანახმად, «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული «ზიანის ანაზღაურების სარჩო» ექვემდებარება ანაზღაურებას დამსაქმებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე წესის მე-3 პუნქტის თანახმად კი დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საკვეთუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში წყდება დანიშნული «ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს» გაცემის ვალდებულება.

საკასაციო სასამართლოს სრულიად დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად არ არსებობდა მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ქ. ბათუმის მერიასათვის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი, რამდენადაც ბათუმის მერიას არ მიუყენებია ზიანი მოსარჩელისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სსსკ-ის 105-ე მუხლის საფუძველზე სარწმუნოდ უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, მოცემულ შემთხვევაში კი სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას საქმის ფაქტობრივი გარემოება დადგენილ იქნა არასრულყოფილად, შესაბამისად, სახეზეა

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მითითებული ნორმით დადგენილი პირობების დარღვევლად მიჩნევის პროცესუალური საფუძვლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. შესაბამისად, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემომითითებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53.4. მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ბს-327-309(23-07) 14 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ს-შვილი-ბ-მემ 04.03.05წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა აჭარის ა/რ უმაღლეს სასამართლოს მოპასუხეების: აჭარის ა/რ შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შპს «ბათუმის #1 საავადმყოფოს» და ფიზიკური პირების (სამედიცინო პერსონალის): ჯ. ქ-მის, ჯ. ნ-მის, ზ. ო-მის, მ. ქ-მის, ი. თ-მის, ი. შ-მის, ნ. გ-მის, ხ. ჩ-მის, ც. წ-იასა, მ. ხ-მის მიმართ და მიყენებული მატერიალური ზიანის, კერძოდ: წამლებისა და სამედიცინო მომსახურების საფასურის -15 000 ლარის, დაკრძალვის ხარჯების -5000 ლარის, სასაფლაოს ხარჯის -5000 ლარის და მორალური ზიანის -500000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 16.02.04წ. მისი შვილი გ. ბ-მე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ელექტროსადენების შეკეთების დროს ჩამოვარდა აწიდან და მიიღო სხეულის დაზიანებები, რის გამოც გადაიყვანეს ქ. ბათუმის #1 საავადმყოფოში. შემდგომში ავადმყოფის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, მას დაეწყო თორმეტგოჯა ნაწლავიდან სისხლდენა, რის შესახებაც ექიმები მშობლებს არაფერს ეუბნებოდნენ. ავადმყოფი შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროებდა აუცილებელ ოპერაციას, მაგრამ ექიმებმა გამოიჩინეს გულგრილობა და სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ მას. მცდარი შეხედულებებისა და გულგრილი დამოკიდებულების გამო, პაციენტს არ ჩაუტარდა აუცილებელი სამედიცინო მკურნალობა და დაენიშნა კონსერვატიული, ჰომოსტაზიური და ინფლუვი-ტრანსფლუვიური თერაპია სისხლდენის მიზეზის დაუდგენლად, რითაც მკურნალი ექიმის მიერ დაშვებულ იქნა შეცდომა, რადგან აუცილებელი იყო სასწრაფო ენდოსკოპიური გამოკვლევა. მოსარჩელის მოსაზრებით, დანიშნული კონსერვატიული მკურნალობა ჩატარდა არასრულყოფილად, ვინაიდან გ. ბ-მეს სისხლდენის დაწყების დღიდანვე ესაჭიროებოდა მუდმივი ქირურგიული მეთვალყურეობა.

მოსარჩელის აზრით, ექიმების მიერ, არასწორად იქნა შეფასებული ავადმყოფის მდგომარეობა, სათანადო ინტენსივობით არ ხორციელდებოდა სისხლის მონაცემების კონტროლი, გასტროსკოპია ჩატარდა დაგვიანებით, არ მოხდარა სათანადო რეაგირება სისხლდენის რეციდივზე, მიუხედავად იმისა, რომ მკურნალი ექიმის დღიურში არსებობდა ჩანაწერი სისხლდენის რეციდივის შემთხვევაში ოპერაციული მკურნალობის აუცილებლობის შესახებ. 10 მარტს ქირურგი ჯ. ნ-მე იძულებული იყო, მიეღო ოპერაციული მკურნალობის გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე სავალდებულო იყო ფიბროგასტროსკოპიის გაკეთება, რითაც შესაძლებელი გახდებოდა ოპერაციული მკურნალობის თავიდან აცილება, რადგან ოპერაციული მკურნალობა, ასეთი უხეში შეცდომის გამო, მეტად სარისკო და საეჭვო იყო.

ამასთან, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ შპს «ბათუმის #1 საავადმყოფო» აწარმოებდა ულიცენზიო საქმიანობას სხვადასხვა სფეროში. გ. ბ-მესთან მიმართებაში კი არალიცენზირებული საქმიანობა განხორციელდა კარდიოლოგიაში და კლინიკურ ტრანსფუზიოლოგიაში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 20.01.06წ. გადაწყვეტილებით გ. ს-შვილი-ბ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე, შპს «ბათუმის #1 საავადმყოფოს» დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 2756 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის და 6000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება, მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე ფიზიკური პირების - ჯ. ქ-მისა და სხვებისათვის, აგრეთვე, აჭარის ა/რ შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მატერიალური და მორალური ზიანის საკომპენსაციო თანხების დაკისრების ნაწილში უსაფუძვლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.02.07წ. გადაწყვეტილებით გ. ს-შვილი-ბ-მის და შპს «ქ. ბათუმის #1 საავადმყოფოს» სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 20.01.06 წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ს-შვილი-ბ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე შპს «ბათუმის #1 საავადმყოფოს» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 6 953 ლარის ოდენობით მატერიალური და 6000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება, გ. ს-შვილი-ბ-მეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე ფიზიკური პირების - ჯ. ქ-მისა და სხვათა (სულ 10 პირის), აგრეთვე, აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსათვის მატერიალური და მორალური ზიანის საკომპენსაციო თანხების დაკისრების ნაწილში.

სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დადგენილად ცნო, რომ ბათუმის ლიფტების სამმართველოს ელექტროშემდუღებელი გ. ბ-მე, ელექტროსადენების შეკეთების დროს 16.02.04 წ. გადმოვარდა ავტომანქანის ამწიდან და მიიღო სხეულის დაზიანება, რის გამოც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანით მიყვანილ იქნა ბათუმის #1 საავადმყოფოში ნეიროქირურგიული განყოფილების ნეირორეანიმაციაში, სადაც დაუდგინდა დიაგნოზი: ქალა ტვინის ღია ტრავმა, თავის ტვინის დაჟეჟილობა მძიმე ხარისხის, თავის ტვინის ღეროს დაზიანება, სუბარახნოიდალური სისხლჩაქცევა, კეფის ძვლის ხაზოვანი მოტეხილობა. უტარდებოდა ადეკვატური მკურნალობა. ავადმყოფს 28.02.04 წ. დაეწყო სისხლჩაქცევა კუჭნაწლავის ტრაქტიდან. ქირურგების მიერ დაენიშნა კონსერვატიული მკურნალობა. მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, ავადმყოფი გადაიყვანეს პალატაში, მაგრამ 06.03.04 წ. ჯანმრთელობის გაუარესების გამო, კვლავ გადაყვანილ იქნა ნეირორეანიმაციაში. ჩატარდა ფიბროგასტროსკოპია, სამჯერ კოლონოსკოპია, დაუდგინდა სისხლდენის წყარო, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული აქტიური სისხლდენის გარეშე. დაენიშნა კონსერვატიული მკურნალობა (სისხლდენის შემაჩერებელი მედიკამენტები). მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა, 10 მარტს თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულიდან სისხლდენის გამო, შშობლების წერილობითი თანხმობით, ჩატარდა სასწრაფო ოპერაცია სასიცოცხლო ჩვენებით (კუჭის რეუქცია), მდგომარეობა არ გაუმჯობესდა და ავადმყოფი გ. ბ-მე 14 მარტს გარდაიცვალა. შშობლების წინააღმდეგობის გამო, გვამი არ გაკვეთილა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩატარებულა. ფაქტზე ადრული იქნა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა გამოძიებით სამედიცინო პერსონალის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა არ იქნა დადგენილი, რის გამოც სისხლის სამართლის საქმე წარმოებით იქნა შეწყვეტილი.

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების (საექსპერტო დასკვნების) საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შპს «ბათუმის #1 საავადმყოფოში» ავადმყოფ გ. ბ-მის მკურნალობისას სამედიცინო პერსონალის უხეში გაუფრთხილებლობით (პაციენტისადმი არასათანადო ყურადღება, სწორი დიაგნოზის დაუსმელობა) პირის ჯანმრთელობას მიადგა ზიანი, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია ავადმყოფ გ. ბ-მის გარდაცვალება. სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლით დადგენილი სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რადგანაც სახეზე იყო აღნიშნული ვალდებულების წარმოშობის 4 აუცილებელი პირობა: ზიანი, ქმედების არამართლობიერება, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი.

გ. ბ-მის სიკვდილის ფაქტზე, ბათუმის რაიონული პროკურატურის მიმართვის საფუძველზე ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმად, იმის გამო, რომ არ ჩატარებულა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, სიკვდილის უშუალო მიზეზის დადგენა ვერ მოხდა, თუმცა ავადმყოფ გ. ბ-მის #116 სამედიცინო ბარათის ჩანაწერებით დასტურდება, რომ სიკვდილის მიზეზია ძირითადი დაავადება -გასტროდუოდენალური სისხლდენა. ამავე დასკვნით, გ. ბ-მის

მკურნალობის პროცესში, სამედიცინო პერსონალის მიერ დაშვებულია საექიმო შეცდომა, ოპერაციის ჩატარების მხრივ, რაც განპირობებული იყო კლინიკური, ენდოსკოპიური და ლაბორატორიული მონაცემების არასწორი შეფასებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებების ხარისხის კონტროლის ინსპექციის უფროსის 28.10.04წ. აქტით დასტურდება, რომ გ. ბ-მის მიმართ 10.03.04წ. ჩატარებული ქირურგიული ოპერაციის ერთადერთი მიზანი იყო სისხლდენის საბოლოო მიზეზის დადგენა და მკურნალობა წარმოებული იყო დაგვიანებით.

კონტროლის ინსპექციის უფროსის -გ. ბ-მის 22.02.05წ. #18 წერილით დასტურდება, რომ ავადმყოფ გ. ბ-მის მკურნალობის პროცესში დაგვიანებითაა გამოცნობილი კუჭ-ნაწლავის სისხლდენის არსებობა, ასევე დაგვიანებითაა ჩატარებული ოპერაციული მკურნალობა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამედიცინო პერსონალის მიერ დაშვებული საექიმო შეცდომის დაშვება ოპერაციის ვადების მხრივ, დასტურდება, აგრეთვე, საქმეში არსებული თსსუ ქირურგიის განყოფილების კათედრის დოცენტის - გ. ჩ-ავას წერილით, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ავადმყოფობის მიმდინარეობის დინამიკა. დასკვნაში ექიმების მიერ დაშვებულ შეცდომად მიჩნეულია სისხლდენის წყაროს დაუდგენლად კონსერვატიული, ჰემოსტეზური და ინფუზურ-ტრანსფუზიური თერაპიის დანიშვნა. დანიშნული კონსერვატიული მკურნალობა მიჩნეულია არასრულყოფილად, ვინაიდან მის სქემაში არ იყო ჩართული ანტიციდური პრეპარატები. სისხლდენის დაწყების დღიდან ავადმყოფს ესაჭიროებოდა მუდმივად ქირურგის მეთვალყურეობა, რაც არ იყო ასახული დღიურებში. აუცილებელი იყო წითელი სისხლის მონაცემების მუდმივი კონტროლი, რაც არ დგინდება წარმოდგენილი მასალებიდან. საბოლოო დასკვნის სახით გ. ჩ-ავამ აღნიშნა, რომ არასათანადოდ იქნა შეფასებული თვითონ გასტროდუოდენალური სისხლდენის ფაქტი, არასრულყოფილადაა გამოყენებული სისხლდენის კონსერვატიული მკურნალობის შესაძლებლობები.

სასამართლომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებების ხარისხის კონტროლის ინსპექციის უფროსის 28.10.04წ. აქტის საფუძველზე დაადგინა რომ შპს «ბათუმის #1 საავადმყოფო» ეწეოდა ულიცენზიო საქმიანობას მედიცინის სხვადასხვა დარგში. არალიცენზირებული მკურნალობა განხორციელდა გ. ბ-მის მიმართაც.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ სუბიექტს წარმოადგენდა შპს «ბათუმის #1 საავადმყოფო», რადგან გ. ბ-მის სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმებულია სამედიცინო დაწესებულებასთან. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით დადგენილი წესის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 1007-ე მუხლის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძველებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ს-შვილი-ბ-მის სასარჩელო მოთხოვნას მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლომ დაადგინა მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა, გამოიკვლია მკურნალობასა და მედიკამენტებზე დახარჯული თანხის ოდენობა, აგრეთვე დაკრძალვასთან დაკავშირებული დანახარჯები და მოპასუხეს დააკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 6953 ლარის ოდენობით.

სასამართლომ საფუძველიანად მიიჩნია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით, ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. «პაციენტის უფლების შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოსთხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის კომპენსაცია, რაც გამოწვეულია მცდარი სამედიცინო ქმედებებით. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში (რაც სახეზეა) ქონებრივი ზიანის კომპენსაციასთან ერთად, დაზარალებული (მოსარჩელე გ. ს-შვილი-ბ-მე) უფლებამოსილია მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურებაც. აღნიშნული უფლება არსებობა არ არის დამოკიდებული ქონებრივი ზიანის მიყენებაზე, უახლოესი ადამიანის (მეუღლე, მშობელი ან შვილი) გარდაცვალების გამო წარმოშობილი მორალური ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება დასაშვებია სახელშეკრულებო ურთიერთობების დროსაც. სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში მხარეები ხელშეკრულებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, მაგრამ მორალური ზიანის ანაზღაურება მიჩნეულ უნდა იქნეს დელიქტურ ვალდებულებად, რადგან ზიანი წარმოიშვა არასწორი სამედიცინო მომსახურებიდან, რაც ექვემდებარება ანაზღაურებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის საფუძველზე.

სასამართლომ მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი, მოპასუხის მატერიალური მდგომარეობა, გაითვალისწინა

მოსარჩელის ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის სიმძიმე, ის ფაქტობრივი გარემოება, რომ განცილებულ მორალურ ზიანს მოსარჩელისათვის ხანგრძლივი ხასიათი აქვს და სხვა გარემოებები.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამედიცინო დაწესებულებისა და მისი მუშაკის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ სუბიექტს წარმოადგენს შპს «ბათუმის #1 საავადმყოფო», ხოლო, რაც შეეხება სამედიცინო პერსონალს (მოპასუხე ფიზიკურ პირებს), ვისი ბრალითაც მიადგა ზიანი ავადმყოფ გ. ბ-ძის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, სამედიცინო დაწესებულებას შეუძლია მათ რეგრესის წესით მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება. მოცემულ შემთხვევაში ასევე არ შეიძლება დადგეს აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობის საკითხი, რადგანაც შპს «ბათუმის #1 საავადმყოფო» წარმოადგენს «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე დაფუძნებულ დამოუკიდებელ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, დამფუძნებლებში არ ფიგურირებს აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. შპს «ბათუმის #1 საავადმყოფოს» გარკვეული სამედიცინო დარგების შესაბამისი ლიცენზიის გარეშე ფუნქციონირებისათვის ასევე არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რადგანაც ასეთი ლიცენზიის გაცემის უფლება «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის 54-ე მუხლით გააჩნია მხოლოდ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოცემული დავის გადაწყვეტის დროს დაშვებული იყო პროცესუალური დარღვევა, რაც გამოიხატა გადასაწყვეტი დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვაში, იმ პირობებში, როდესაც მოცემულ დავაში ერთ-ერთ მოპასუხეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო, აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ვისგანაც მოსარჩელე, სხვა მოპასუხეებთან ერთად, სოლიდარულად ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარებოდა.

შპს «ბათუმის #1 საავადმყოფომ» და გ. ს-შვილი-ბ-ძემ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს. შპს «ბათუმის #1 საავადმყოფომ» ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.02.07წ. გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა, ხოლო მეორე კასატორმა -გ. ს-შვილი-ბ-ძემ აღნიშნული გადაწყვეტილების ნაწილობრივი გაუქმება და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხისათვის 500000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

შპს «ბათუმის #1 საავადმყოფომ» მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია პროცესუალური ნორმების დარღვევით, იურიდიული დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ არასწორად განიხილა მოცემული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ვინაიდან იგი კერძო სამართლის იურიდიული პირია, მისი დამფუძნებელი არ არის აჭარის ა/რ ჯანდაცვის სამინისტრო და შესაბამისად, მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათისაა.

კასატორის მოსაზრებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება მხოლოდ 2004 წლის აჭარის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც შედგენილია ავადმყოფობის ისტორიის საფუძველზე და რომლიდანაც გამომდინარეობს ექსპერტის მოსაზრება ოპერაციული ჩარევის დაგვიანების შესახებ. გ. ბ-ძის გვამს არ ჩატარებია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და შესაბამისად, საქმეში არსებული ყველა მოსაზრება ვარაუდებზეა აგებული. არსებობს ორი ქირურგის, გ. ჩ-ძისა და გ. ჩ-ავას ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება ოპერაციის ვადებთან დაკავშირებით. საქმეში მოიპოვება საქართველოს ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 28.11.06წ. წერილი ექსპერტიზის ჩატარების შეუძლებლობის შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის საქმე გ. ბ-ძის მკურნალი ექიმების მიმართ შეწყვეტილია დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. სასამართლომ არასწორად დაადგინა სამკურნალო დაწესებულების ექიმების მიერ ულიცენზიო სამედიცინო საქმიანობის განხორციელების ფაქტი. სასამართლომ დეტალურად არ გამოიანგარიშა მატერიალური ზიანის ოდენობა და ისე დააკისრა მოპასუხეს ზიანის ანაზღაურების თანხა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი თვლის, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით გ. ს-შვილი-ბ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველები.

გ. ს-შვილი-ბ-ძემ თავის საკასაციო საჩივარში მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ორგანიზაციის, შპს «ბათუმის #1 საავადმყოფოს» ბრალეული ქმედების გამო, გ. ს-შვილი-ბ-ძემ განიცადა, როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანი, მაგრამ მორალური ზიანისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის ოდენობა არც გონებრივ და არც სამართლებრივ კრიტერიუმებს არ შეესაბამება.

სასკ-ის 34-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე საკასაციო საჩივრები დაშვებულ იქნა განსახილველად. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ს-შვილი-ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შპს «ბათუმის #1 საავადმყოფოს» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გ. ს-შვილი-ბ-ძის სასარგებლოდ მორალური ზიანის კომპენსაციის სახით 6000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, გ. ს-შვილი-ბ-ძეს უარი უნდა ეთქვას მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ განსჯადობის წესების დარღვევით საქმის განხილვას არ ადასტურებს ის გარემოება, რომ ზიანის ანაზღაურება არ დაეკისრა აჭარის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროს. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა არ არის დამოკიდებული მხარეთა მოსაზრებებზე, დაუშვებელია არაგანსჯადი სასამართლოს განსჯადად მიჩნევა და პირიქით განსჯადი სასამართლოს არაგანსჯადად მიჩნევა მხარეთა მოსაზრებების დამხედვით. მოპასუხეთა შუამდგომლობა საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის შესახებ არ წარმოადგენს განსჯადობის წესის შეცვლის საკმარის საფუძველს, ვინაიდან განსჯადობა ემყარება დავის იმანენტურ ბუნებას, საქმის საგნობრივი განსჯადობის ობიექტურ კრიტერიუმებს. სასკ-ის 2.1 მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოებისათვის წარდგენილი მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ წარმოადგენს ადმინისტრაციული დავის საგანს, გ. ს-შვილი-ბ-ძემ სარჩელი აღძრა აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, შპს «ბათუმის #1 საავადმყოფოს» და ფიზიკური პირების (მკურნალი ექიმების) მიმართ და მოპასუხეებისაგან სოლიდარულად ითხოვდა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას. აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სსკ-ის 85-ე მუხლის წესების დაცვით არასათანადო მოპასუხედ სასამართლოს მიერ ცნობილი არ ყოფილა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 30.09.05წ. განჩინებით მოპასუხე აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის შუამდგომლობა სამინისტროს მოპასუხეთა სიიდან ამორიცხვის შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო, სააპელაციო პალატის სხდომაზე მოსარჩელემ და მისმა წარმომადგენელმა დაადასტურეს, რომ სოლიდარულ მოპასუხეებად სარჩელზე საავადმყოფოსთან ერთად არიან აგრეთვე აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სამედიცინო პერსონალი. აღნიშნულის გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 04.07.06წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი განსჯადობით გადაეცა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლის 09.10.06წ. სხდომაზე მოსარჩელემ დაადასტურა, რომ მის მოთხოვნაზე სათანადო მოპასუხეა აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. შპს «ბათუმის #1 საავადმყოფოს» საკასაციო საჩივარში მითითება იმის შესახებ, რომ «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ევალება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, არ ადასტურებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არ დაიშვება ამგვარ დავებში სამინისტროს მოპასუხედ გამოსვლა. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით იყო გადასაწყვეტი და, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოცემული დავის გადაწყვეტის დროს დაშვებული იყო პროცესუალური დარღვევა, რაც გამოვლინდა გადასაწყვეტი დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დადგენილად ცნო, რომ ბათუმის ლიფტების სამმართველოს ელექტროშემდუღებელი გ. ბ-ძე, ელექტროსადენების შეკეთების დროს 16.02.04 წ. გადმოვარდა ავტომანქანის ამწიდან და მიიღო სხეულის დაზიანება, რის გამოც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანით მიყვანილ იქნა ბათუმის #1 საავადმყოფოში ნეიროქირურგიული განყოფილების ნეირორეანიმაციოში, სადაც დაუდგინდა დიაგნოზი: ქალა ტვინის ღია ტრავმა, თავის ტვინის დაჟეილობა მძიმე ხარისხის, თავის ტვინის ღეროს დაზიანება, სუბარახნოიდალური სისხლჩაქცევა, კეფის ძვლის ხაზოვანი მოტეხილობა. უტარდებოდა ადეკვატური მკურნალობა. ავადმყოფს 28.02.04 წ. დაეწყო სისხლჩაქცევა კუჭნაწლავის ტრაქტიდან. ქირურგების მიერ დაენიშნა კონსერვატიული მკურნალობა. მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, ავადმყოფი გადაიყვანეს პალატაში, მაგრამ

06.03.04წ. ჯანმრთელობის გაუარესების გამო, კვლავ გადაყვანილ იქნა ნეირორეანიმაციაში. ჩაუტარდა ფიზიოგასტროსკოპია, სამჯერ კოლონოსკოპია, დაუდგინდა სისხლდენის წყარო, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული აქტიური სისხლდენის გარეშე. დაენიშნა კონსერვატიული მკურნალობა (სისხლდენის შემაჩერებელი მედიკამენტები). მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა, 10 მარტს თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულიდან სისხლდენის გამო, მშობლების წერილობითი თანხმობით, ჩაუტარდა სასწრაფო ოპერაცია სასიცოცხლო ჩვენებით (კუჭის რეზექცია), მდგომარეობა არ გაუმჯობესდა და ავადმყოფი გ. ბ-მე 14 მარტს გარდაიცვალა. დადგენილია, რომ გვამი არ გაკვეთილა. ფაქტზე აღძრული იქნა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა გამოძიებით სამედიცინო პერსონალის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა არ იქნა დადგენილი, რის გამოც სისხლის სამართლის საქმე წარმოებით იქნა შეწყვეტილი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძველზე. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის შპს «ბათუმის #1 საავადმყოფოს» მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა მოპასუხის ბრალი დამდგარ შედეგში, რადგან საქმეზე წარმოდგენილი ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებები (ექსპერტიზის დასკვნები) ამის საშუალებას არ იძლეოდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საქმეში მოიპოვება რამოდენიმე ექსპერტიზის დასკვნა, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, კერძოდ გ. ბ-მის სიკვდილის ფაქტზე, ბათუმის რაიონული პროკურატურის მიმართვის საფუძველზე ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნის მიხედვით, იმის გამო, რომ არ ჩატარებულა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, სიკვდილის უშუალო მიზეზის დადგენა ვერ მოხდა, თუმცა ავადმყოფ გ. ბ-მის სამედიცინო ბარათის ჩანაწერების საფუძველზე დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ სიკვდილის მიზეზია გასტროდუოდენალური სისხლდენა. ამავე დასკვნით, გ. ბ-მის მკურნალობის პროცესში, სამედიცინო პერსონალის მიერ დაშვებულია საექიმო შეცდომა ოპერაციის ჩატარების მხრივ, რაც განპირობებული იყო კლინიკური, ენდოსკოპიური და ლაბორატორიული მონაცემების არასწორი შეფასებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებების ხარისხის კონტროლის ინსპექციის უფროსის 28.10.04 წ. აქტით დასტურდება, რომ გ. ბ-მისათვის 10.03.04 წ. ჩატარებული ქირურგიული ოპერაციის ერთადერთი მიზანი იყო სისხლდენის საბოლოო მიზეზის დადგენა და მკურნალობა წარმოებული იყო დაგვიანებით.

კონტროლის ინსპექციის უფროსის - გ. ბ-მის 22.02.05 წ. #18 წერილით დასტურდება, რომ ავადმყოფ გ. ბ-მის მკურნალობის პროცესში დაგვიანებითაა გამოცნობილი კუჭ-ნაწლავის სისხლდენის არსებობა, ასევე დაგვიანებითაა ჩატარებული ოპერაციული მკურნალობა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლოს მიერ ავადმყოფობის ისტორია არასათანადოდ არის შეფასებული და შესწავლილი. ავადმყოფობის ისტორიის საფუძველზე შედგენილია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრის საქსპერტო და სპეციალისტთა დასკვნები. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მითითება გ. ბ-ავას დასკვნაზე არ ადასტურებს შპს «ბათუმის #1 საავადმყოფოს» მოთხოვნის საფუძველიანობას, ვინაიდან ხსენებული დასკვნის მიხედვით სამედიცინო პერსონალის მიერ არასათანადოდ იქნა შეფასებული 27.02.04წ. დაფიქსირებული ყავისფერი გამონადენი კუჭის ზონდიდან, თავიდანვე არასათანადოდ იქნა შეფასებული თვით გასტროდუოდენური სისხლდენის ფაქტი, დასკვნის ავტორს არასრულყოფილად მიაჩნია დანიშნული კონსერვატიული მკურნალობა, დასკვნის თანახმად დაგვიანებით ჩატარდა გასტრო-ფიზიოგასტროსკოპია, ე.წ. «სასოწარკვეთის ოპერაციის» ჩატარებამდე მიზანშეწონილი იყო ფიზიოგასტროსკოპიის გაკეთება, რითაც შესაძლოა მომხდარიყო ოპერაციული მკურნალობის თავიდან აცილება. დასკვნის ავტორის მითითება იმის შესახებ, რომ ვინაიდან არ ჩატარებულა გვამის ექსპერტიზა კატეგორიულად რაიმეს მტკიცება შეუძლებელია, ადასტურებს არა გ. ბ-ავას დასკვნის სხვა დასკვნებთან წინააღმდეგობას, არამედ იმას, რომ დასკვნა არ არის კატეგორიული ხასიათის.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ბიუროს 28.11.06 წ. წერილის თანახმად გვამის მორფოლოგიური გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია სიკვდილის მიზეზის დადგენა და მკურნალობის შეფასება, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში დაცული სასამართლო სამედიცინო ცენტრის დასკვნის, აჭარის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროს კომისიის დასკვნის, თსსუ ქირურგიულ სნეულებათა კათედრის დოცენტის გ. ბ-ავას და აჭარის ა.რ. ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო დახმარების კონტროლის ინსპექციის უფროსის გ. ბ-მის 22.02.05 წ. დასკვნების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომისიის 28.10.04 წ. აქტის მიხედვით დასტურდება საექიმო შეცდომის დაშვება.

გ. ბ-მისათვის არასათანადო სამედიცინო დახმარების გაწევა დასტურდება, აგრეთვე, თვით შპს «ბათუმის #1 საავადმყოფოს» დირექტორის 27.09.04 წ. #21 ბრძანებით, რომლის თანახმად, აწ გარდაცვლილ გ. ბ-მის მკურნალობის პროცესში დაშვებულ იქნა საექიმო შეცდომა, რაც განპირობებული იყო კლინიკური, ენდოსკოპიური და ლაბორატორიული მონაცემების არასწორი შეფასებით. აღნიშნულის გამო ხსენებული ბრძანების საფუძველზე მკურნალი ექიმი ნეიროქირურგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რეანიმატოლოგებს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური, ნეიროქირურგიული განყოფილების გამგეს მიეცა შენიშვნა, ქირურგიული განყოფილების გამგეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, სამკურნალო დარგში დირექტორის მოადგილეს მიეთითა და დაევალა სასწრაფო ოპერაციული მკურნალობის დროულად ჩატარებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება. ბრძანების გამოცემას საფუძველად დაედო ქ. ბათუმის პროკურატურის წარდგინება და აჭარის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრის დასკვნა, 27.09.04 წ. #21 ბრძანება არ გასაჩივრებულა და ძალაშია.

სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის შპს «ბათუმის #1 საავადმყოფოს» მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა საავადმყოფოს მიერ ულიცენზიო საქმიანობის განხორციელება მედიცინის სხვადასხვა დარგებში. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებების ხარისხის კონტროლის ინსპექციის უფროსის 28.10.04 წ. აქტით დასტურდება, რომ შპს «ბათუმის #1 საავადმყოფო» აწარმოებდა ულიცენზიო სამედიცინო საქმიანობას შემდეგ დარგებში: კარდიოლოგია, ქირურგია-დიაგნოსტიკურ და რეკონსტრუქციულ დარგში, პროქტოლოგია, უროლოგია, პედიატრია, ეპიდემიოლოგია, კლინიკური ტრანსფუზიოლოგია და დროებითი შრომისუნარობის ექსპერტიზა. ავადმყოფ გ. ბ-მესთან მიმართებაში არალიცენზირებული საქმიანობა განხორციელდა შემდეგ საქმიანობაში: კარდიოლოგია, კლინიკური ტრანსფუზიოლოგია. ავადმყოფ გ. ბ-მის სამკურნალოდ მოწვეულ სპეციალისტებს: ც. წ-იას - ენდოსკოპისტი და ე. გვარიშვილს - ოფთალმოლოგს, არ ჰქონდათ საექიმო საქმიანობის ნებართვა - სერტიფიკატი. უმცროს ექიმებად გაფორმებული იყვნენ მ. ხ-მე - ნეიროქირურგი (ამჟამად გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან) და ხ. ჩ-მე - რეანიმატოლოგი, რომლებიც ეწეოდნენ დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას. ექიმ ი. თ-მეს ჰქონდა სერტიფიკატი პედიატრიაში, თუმცა მუშაობდა ტრანსფუზიოლოგად. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აღნიშნულით დაირღვა «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» და «საექიმო საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნები, კერძოდ, «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის 54-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო დაწესებულების სამედიცინო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ ლიცენზიას გასცემს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. სამედიცინო დაწესებულების სამედიცინო საქმიანობის სფერო განისაზღვრება ლიცენზიაში მითითებული ჩამონათვალით. ამავე კანონის 56-ე მუხლის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულებებს ეკრძალებათ სამედიცინო საქმიანობა სათანადო ლიცენზიის გარეშე. «საექიმო საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, სახელმწიფო სერტიფიკატი არის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს საექიმო სპეციალობას და ვადას, რომლითაც პირი უფლებამოსილია განხორციელოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა. «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის 28-ე მუხლი კრძალავს სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლებას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს აგრეთვე კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების თანხა სასამართლოს მიერ სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობის გარეშე იქნა დაკისრებული. მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების თანხის განსაზღვრისას სასამართლომ რიგ შემთხვევაში მხედველობაში მიიღო წარმოდგენილი მტკიცებულებები (ქვითრები), მაგ: დონორებზე დახარჯულია 800 ლარი, სისხლის (პლაზმის) დამზადებაში გადახდილია 510 ლარი, თავის ტვინის ტომოგრაფიულ გამოკვლევებში -360 ლარი, შესახვევ და სხვა მასალებში -386 ლარი, რიგ შემთხვევაში კი სათანადო ცნობებზე დაყრდნობით დადგინდა გ. ბ-მის მკურნალობისას გამოყენებული მედიკამენტების საბაზრო ღირებულება (შპს «პეკატეს» ცნობის მიხედვით მედიკამენტების ღირებულება ერთიანობაში 2397 ლარს შეადგენს). ამგვარად, სასამართლომ დაადგინა, რომ სულ მკურნალობასა და სხვადასხვა სამედიცინო მედიკამენტებში გადახდილმა თანხამ შეადგინა 4453 ლარი.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას გარდაცვლილ გ. ბ-მის დაკრძალვისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, საქმის მასალებში წარმოდგენილია აჭარის ა/რ სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობა პროდუქტების საბაზრო-სარეალიზაციო საშუალო ფასის თაობაზე, აგრეთვე, ი/მ რიტუალების სახლი «სამეფოს» მიერ გაცემული ცნობა ქელეხისათვის საჭირო პროდუქტების ღირებულების შესახებ და ბათუმის სამოქალაქო მომსახურების ბიუროს ცნობა მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული სამგლოვიარო მომსახურების და ხარჯების გაანგარიშების შესახებ. საფუძველიანია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოპასუხეს უნდა დაეკისროს სარიტუალო მომსახურების აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება 1000 ლარის ოდენობით, წარმოდგენილი მტკიცებულების მიხედვით დასაფლავების და ქელეხის ხარჯები შეადგენს ასევე 1000 ლარს, ხოლო ორმოცისათვის გაწეული ხარჯები -500 ლარს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს «ბათუმის #1 საავადმყოფოს» ამ ნაწილში უნდა დაკისრებოდა 2500 ლარი (დაკრძალვის, სამგლოვიარო სუფრისა და ორმოცის ხარჯების გამოანგარიშებისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო საქართველოს უზენაესი

სასამართლოს დიდი პალატის 04.03.02 წ. განჩინება). ერთიანობაში მატერიალური ზიანის ანაზღაურების თანხამ შეადგინა 6953 ლარი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში კასატორის შპს «ბათუმის #1 საავადმყოფოს» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გ. ს-შვილი-ბ-ძეს უარი უნდა ეთქვას სასარჩლო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ამ ნაწილში და შესაბამისად არ უნდა დაკმაყოფილდეს გ. ს-შვილი-ბ-ძის საკასაციო საჩივარი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონიერული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მორალური (არაქონებრივი) ზიანის დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა, დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, მორალური ზიანი არის ის სულიერი განცდა და ფიზიკური ტკივილი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად განიცდის ფიზიკური პირი. მორალური ზიანი თავისი ხარისხით და წარმოშობის საფუძვლების მიხედვით შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი არსებობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებაც პირდაპირ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების სივრცე სამართალში შეზღუდულია, ზიანის სრული ანაზღაურება უპირობოდ ეხება მხოლოდ ქონებრივ ზიანს. მორალური ზიანი შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს, მაგრამ თუ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული მისი ანაზღაურება, იგი არ ანაზღაურდება, სრულ ანაზღაურებაში მორალური ზიანის ანაზღაურება იგულისხმება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, მორალური ზიანის ანაზღაურება კანონით ზუსტად განსაზღვრულ ფარგლებშია მოქცეული, ამგავრი მოთხოვნის დაკმაყოფილებას კონკრეტული ნორმა უნდა დაედოს საფუძვლად. აღნიშნულის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით მეუღლის, შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანი არ ანაზღაურდება, რადგან აღნიშნული პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით (იხ. მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 24.04.02წ. #33-1218-01; 06.04.01წ. #33/242; 29.01.03წ. #33-1443-02; 09.11.06წ. #ას-14-1466-05 წ; 27.09.06წ. #ას-105-545-06 გადაწყვეტილებები).

სკ-ის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების უფლება გააჩნია მხოლოდ დაზარალებულს. სააპელაციო პალატამ მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითა «პაციენტის უფლების შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის «ა» ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოსთხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის კომპენსაცია, რომელიც გამოწვეულია მცდარი სამედიცინო ქმედებით. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ქონებრივი ზიანის კომპენსაციასთან ერთად, დაზარალებული უფლებამოსილია, მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურებაც, რადგან მორალური ზიანი, რომელიც წარმოიშვა უახლოესი ადამიანის გარდაცვალების საფუძველზე (მეუღლე, მშობელი ან შვილი) ექვემდებარება ანაზღაურებას. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ «პაციენტის უფლების შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის «ა» ქვეპუნქტი ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში. ხსენებულ ნორმაში საუბარია პაციენტის უფლებაზე უშუალოდ ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კანონიერი წარმომადგენელი პირს ენიშნება კანონით გათვალისწინებული საფუძვლით (არასრულწლოვანების, ქმედუუნარობის და სხვ.) შემთხვევებში. მოსარჩელე ვერ მოითხოვდა ზიანის ანაზღაურებას როგორც გარდაცვლილი პაციენტის წარმომადგენელი, ხოლო გარდაცვლილის ოჯახის წევრის, ახლობლის და სხვა პირის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას მითითებული ნორმა არ ითვალისწინებს. უდავოა, რომ ახალგაზრდა შვილის გარდაცვლებით მშობელი განიცდის მორალურ ტკივილს, მაგრამ იგი არ ექვემდებარება მატერიალურ ანაზღაურებას, რადგან აღნიშნული პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. შესაბამისად, მორალური ზიანის კომპენსაციის ნაწილში, რომელსაც არა აქვს რესტიტუციის მნიშვნელობა, გ. ს-შვილი-ბ-ძის სასარჩლო მოთხოვნის და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. სსკ-ის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საკასაციო პალატა ათავისუფლებს გ. ს-შვილი-ბ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1 მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. ს-შვილი-ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს «ბათუმის #1 საავადმყოფოს» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.02.07 წ. გადაწყვეტილება გ. ს-შვილი-ბ-ძის სასარგებლოდ მორალური ზიანის (6000 ლარის) კომპენსაციის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. გ. ს-შვილი-ბ-ძეს უარი ეთქვას მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე;
5. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება

სარჩოს დაკისრების საფუძველი

განჩინება

#ბს-1059-1012(კ-07) 22 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: დასახიჩრებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. კ-შვილი 07.09.05 წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი 1963 წლის 27 სექტემბრიდან მუშაობდა მარნეულის რაიონის სოფ. არაპლოს მერძევეობა-მეზოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში მთავარ ინჟინერ-მექანიკოსად. 27.12.63 წ. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ტრავმის შედეგად დაუზიანდა ხერხემალი და მკურნალობდა ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში. 14.05.81 წ. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საექიმო-შრომითი საქსპერტო კომისიის შრომითი ექსპერტიზის #62 შემოწმების აქტით წარმოებამი მიღებული ტრავმის შედეგად დაუდგინდა პროფესიული შრომის უნარის 100%-ით, საერთოს - 80%-ით დაკარგვა უვადოდ. 06.02.80 წ. ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხე ორგანიზაციას დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული დაზიანებიდან გამომდინარე ზარალის საზღაურად ერთდროული თანხის, პენსიასა და ხელფასს შორის სხვაობის ყოველთვიურად, ასევე გარეშე მომვლელის ხარჯების ანაზღაურება. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოსარჩელეს აუნაზღაურდა ზიანი და გარეშე მომვლელის ხარჯები, ხოლო პენსიასა და ხელფასს შორის სხვაობას ღებულობდა 1997 წლის იანვრამდე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი ყოველთვიური ხელფასი შეადგენდა 170 მანეთს, რაც დასტურდებოდა 06.02.80 წ. გადაწყვეტილებით და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირების ცკ-ის ტექნიკური ინსპექტორის დასკვნით. სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ 11.07.05 წ. გაცემული #3/4-16/194 ცნობის თანახმად, 01.07.05 წ. მდგომარეობით 1963 წლის 170 მანეთი შეადგენს 143.06 ლარს. 11.08.96 წ. მარნეულის რაიონის სოფელ არაპლოს მერძევეობისა და მეზოსტნეობის მეურნეობა ლიკვიდირებული იქნა და მის დაქვემდებარებაში (უფლებამონაცვლე) რაიმე საწარმო არ აღრიცხულა. მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99 წ. #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» თანახმად, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ტრავმის შედეგად დაზარალებულს მე-2 და მე-3 მუხლებისა და მე-11 მუხლის «ა», «გ», «დ» ქვეპუნქტების შესაბამისად აუნაზღაურდება ყოველთვიური სარჩო დაკარგული პროფესიული შრომის უნარის (100%-ის) გაანგარიშებით, რაც შეადგენს 13 156 ლარს. მოსარჩელემ განმარტა, რომ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო ზიანის ანაზღაურების შესახებ ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას ვერ მიმართა 2005 წლის 11 აგვისტომდე. ვაკე-საბურთალოს გამგეობამ უფლებამოსილების არ ქონის გამო ვერ გადაწყვიტა განცხადებაში მითითებული საკითხები. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის შრომითი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ტრავმის შედეგად დაკარგული პროფესიული შრომის უნარის მიხედვით მიუღებელი ხელფასისა და პენსიას შორის სხვაობის 1997 წლის იანვრიდან 13156 ლარის გადახდის დაკისრება მოპასუხისათვის, აგრეთვე სსკ-ის 46-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.10.05 წ. გადაწყვეტილებით ა. კ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 2005 წლის 12 სექტემბრიდან, თვეში 143.06 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. კ-შვილმა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ. ა. კ-შვილმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება, კერძოდ, 1997 წლის იანვრიდან ზიანის -14 157 ლარისა და მომვლეის ხარჯის -11880 ლარის, სულ -26037 ლარის, ასევე ყოველთვიურად, ზიანის -143 ლარისა და მომვლეის ხარჯის -120 ლარის ანაზღაურება. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.11.06 წ. განჩინებით ა. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.10.05 წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 17.05.07 წ. გადაწყვეტილებით ა. კ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. კ-შვილმა და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.09.07 წ. განჩინებით, სსკ-ის 92-ე მუხლის საფუძველზე, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით -სსიპ -სოციალური სუბსიდიების სააგენტოთი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.09.07 წ. განჩინებით ა. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.05.05 წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესული ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონული სახალხო სასამართლოს 06.02.1980 წ. გადაწყვეტილებით მოპასუხე მარნეულის რაიონის სოფელი არპალოს მერძვევობა-მეზოსტენობის მეურნეობას დაეკისრა ზარალის, ხელოფასისა და პენსიის სხვაობის, ასევე, გარეშე მომვლეის ხარჯების ანაზღაურება გადამოწმებამდე, 1981 წლის 21 მაისამდე. ა. კ-შვილი აღნიშნულ თანხას იღებდა 1997 წლის იანვრამდე. საქართველოს პრეზიდენტის 11.08.96 წ. #500 ბრძანებულების საფუძველზე ლიკვიდირებული იქნა მარნეულის რაიონის სოფელ არპალოს მერძვევობა-მეზოსტენობის მეურნეობა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. კ-შვილის მიმართ ვერ გავრცელდებოდა მთავრობის 24.03.07 წ. #53 დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შეღავათები. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხსენებული დადგენილების 3.2 მუხლის თანახმად, წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პერიოდამდე არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება დადასტურებული უდავო მოთხოვნებით სსიპ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სხვა პირის მიმართ, რაც სააპელაციო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნიდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.09.07 წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. კ-შვილმა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.09.07 წ. განჩინების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა. კასატორის განმარტებით, 1963 წლის 27 სექტემბრიდან მუშაობდა მარნეულის რაიონის სოფელ არაპალოს მერძვევობა-მეზოსტენობის საბჭოთა მეურნეობაში მთავარ ინჟინერ-მექანიკოსად. ყოველთვიური ხელოფასი შეადგენდა 170 მანეთს. 27.12.1963წ. უბედური შემთხვევის შედეგად მიიღო თავის ტრავმა, ხერხემლის დაზიანება. 14.05.81 წ. #62 შემოწმების აქტით წარმოებაში მიღებული ტრავმის შედეგად დაუდგინდა პროფესიული შრომის უნარის დაკარგვა 100%-ით, საერთო -80%-ით, უვადოდ. 06.02.1980 წ. სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხე ორგანიზაციას დაეკისრა 27.12.1963 წ. მიღებული დაზიანებიდან გამომდინარე, ზიანის ერთდროული თანხის, პენსიასა და ხელოფასს შორის სხვაობისა და გარეშე მომვლეის ხარჯების ანაზღაურება. პენსიასა და ხელოფასს შორის სხვაობას იღებდა 1997 წლის იანვრამდე. კასატორის განმარტებით, შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურება დადგენილი იყო 06.02.80წ. ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით და აღნიშნული გადაწყვეტილება სათანადოდ იყო რეგისტრირებული, რის საფუძველზეც ღებულობდა პენსიასა და ხელოფასს შორის სხვაობას 1997 წლამდე. შესაბამისად, მის მოთხოვნას წარმოადგენდა პენსიის განახლება და მიუღებელი ზიანის ანაზღაურება, რომელიც უნდა ანაზღაურებულიყო 1997 წლის იანვრიდან ან მის მიერ სასამართლოში მიმართვის დღიდან, ბოლო სამი წლის პერიოდიდან, რადგან ვალდებულება, რომელიც ხსენებული გადაწყვეტილებით ეკისრებოდა ორგანიზაციას, იყო პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება და მასხედ ვრცელდებოდა

სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მოთხოვნები. ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ შექმნა ვაკუუმი და მისი უფლებების განხორციელება შესაძლებელი გახდა საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99წ. #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» საფუძველზე. მაგრამ სასამართლოში საქმის განხილვის გაჭიანურებამ და კანონებში სისტემატურმა ცვლილებებმა განაპირობა ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მიმდინარე კანონსაც არ შეესაბამება და იწვევს მისი უფლებების შელახვას. კასატორის განმარტებით, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99წ. #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» და 24.03.07წ. საქართველოს მთავრობის #53 დადგენილებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის» პირველი მუხლის მე-4 პუნქტი და მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, რომელთა თანახმად, იმ პირებზე, რომელთაც ამ დადგენილების ამოქმედებამდე დაუწესდათ გასაცემები ამ პუნქტში მითითებული საფუძვლებით, ვრცელდება ამ წესის მე-3 მუხლის დებულებები, საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99წ. #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 4² პუნქტის საფუძველზე, 2007 წლის 1 მარტამდე ფონდში რეგისტრირებულ, აგრეთვე აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა უნდა განხორციელდებოდეს 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდზე. 2007 წლის 1 მარტამდე არსებობდა 06.02.1980წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დავალიანების დაფარვის განხორციელების შესახებ და ამის საფუძველზე, ზემოთ ხსენებული ბრძანებულების თანახმად, უნდა დაკმაყოფილებულიყო მისი სასარჩელო მოთხოვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.07.08წ. განჩინებით ა. კ-შვილის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული.

საკასაციო პალატის სხომაზე კასატორმა და მისმა წარმომადგენელმა მოითხოვეს სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება, საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება. მოწინააღმდეგე მხარემ –შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სსიპ-სოციალური სუბსიდიების სააგენტოს წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივრები არ ცნეს და ითხოვეს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. კ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

«სახელმწიფო პენსიის შესახებ» კანონის 27-ე მუხლის თანახმად, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ურთიერთობები (ე.წ. რეგრესული პენსიები) რეგულირდება ცალკე კანონმდებლობით. საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99 წ. #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის», რომელიც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 06.02.07 წ. #93 ბრძანებულებით, აწესრიგებდა საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, დასაქმებულ მუშაკთა შრომითი მოვალეობის შესრულებისას საწარმოო ტრავმით, პროფესიული დავადებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძვლებს. აღნიშნული წესის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს ზიანი უნაზღაურდებოდა ყოველთვიური სარჩოს გადახდით იმ დამქირავებლის მიერ, რომელთანაც იგი ზიანის მიყენებისას შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა, ამ უკანასკნელის ბრალის არსებობის შემთხვევაში, წესის 4² მუხლის თანახმად, 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში, რომლებსაც უფლებამონაცვლე არ ჰყავდათ, საწარმოო ტრავმით დაზარალებულ პირთა აღრიცხვას, ზიანის ანაზღაურების გაანგარიშებას და გაცემას უზრუნველყოფდა სსიპ -სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ამ დანიშნულებით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის 24.03.07 წ. #53 დადგენილებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის» პირველი მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრა, რომ 2007 წლის 1 მარტის შემდეგ არ შეიძლებოდა ახალი გასაცემების დაწესება «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99 წ. #48 ბრძანებულების იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებდნენ უფლებამონაცვლის

არარსებობის პირობებში გასაცემების დანიშვნის საფუძვლებს, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობდა თუ არა ამ საკითხზე სამართალწარმოება სასამართლოებში. ამასთანავე, საქართველოს მთავრობის 24.03.07 წ. #53 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99 წ. #48 ბრძანებულების 42¹ პუნქტის საფუძველზე, 2007 წლის 1 მარტამდე სსიპ სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში რეგისტრირებულ, აგრეთვე აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის უზრუნველყოფა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდზე დაევალა სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს.

საქმეზე დადგენილად არის მიჩნეული, რომ კანონიერ ძალაში შესული ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონული სახალხო სასამართლოს 06.02.1980წ. გადაწყვეტილებით მოპასუხე მარნეულის რაიონის სოფელი არპალოს მერძვეობა-მეზოსტნეობის მეურნეობას ა. კ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ზარალის, ხელფასისა და პენსიის სხვაობის, ასევე, გარეშე მომვლელის ხარჯების ანაზღაურება გადამოწმებამდე. 14.05.81წ. სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის შრომითი ექსპერტიზის #62 მორიგი შემოწმების აქტით წარმოებაში მიღებული ტრავმის შედეგად დაუდგინდა, რომ პროფესიული შრომის უნარი ა. კ-შვილს უდაოდ აქვს დაკარგული 100%-ით, ხოლო საერთო შრომის უნარი - 80%-ით. ა. კ-შვილი სასამართლოს გადაწყვეტილებით დანიშნულ თანხას იღებდა 1997 წლის იანვრამდე. საქართველოს პრეზიდენტის 11.08.96წ. #500 ბრძანებულების საფუძველზე ლიკვიდირებული იქნა მარნეულის რაიონის სოფელ არპალოს მერძვეობა-მეზოსტნეობის მეურნეობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში ა. კ-შვილის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე აღიარებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დადგენილია ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონული სახალხო სასამართლოს 06.02.1980 წ. გადაწყვეტილებით, რის გამოც იგი უდავო მოთხოვნად უნდა იქნეს მიჩნეული. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობის 24.03.07 წ. #53 დადგენილებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის» საფუძველზე ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ სსიპ - სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნები. საქართველოს მთავრობის 24.03.07 წ. #53 დადგენილებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი» არ განსაზღვრავს, რომ ვალდებულების დამდგენი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იყოს მხოლოდდამხოლოდ სსიპ - სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ, სააპელაციო პალატის აღნიშნული მოსაზრება არ ემყარება საქართველოს მთავრობის 24.03.07 წ. დადგენილებით დამტკიცებული წესის შინაარსს. მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნის აგრეთვე მოწინააღმდეგე მხარის -სააგენტოს წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოთხოვნა ფონდში არ იყო რეგისტრირებული, ხოლო წესის მე-3 მუხლი ვრცელდება მხოლოდ ფონდში რეგისტრირებული მოთხოვნების მიმართ. საქართველოს მთავრობის 24.03.07 წ. #53 დადგენილებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის» მე-3 მუხლით სსიპ -სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დაევალა საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99წ. #48 ბრძანებულების 42¹ პუნქტის საფუძველზე, 2007 წლის 1 მარტამდე სსიპ -სოციალური დაზღვევის ერთიან ფონდში რეგისტრირებულ, აგრეთვე აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99წ. #48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის 42¹ მუხლის თანახმად 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში, რომლებსაც უფლებამონაცვლე არა ჰყავთ, საწარმოო ტრავმით დაზარალებულ პირთა აღრიცხვის, ზიანის ანაზღაურების გაანგარიშებების, გაცემის უზრუნველყოფა, საქართველოს პრეზიდენტის 07.11.05წ. #923 ბრძანებულებით წესში შეტანილი ცვლილებების თანახმად, თავდაპირველად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ხოლო შემდგომში, საქართველოს პრეზიდენტის 20.02.06წ. #156 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებით, თავად ფონდს ევალებოდა. ამასთანავე, ა. კ-შვილს პენსიასა და ხელფასს შორის სხვაობის მიღება დანიშნული ჰქონდა ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 06.02.80წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, გადაწყვეტილება მიქცეული იყო აღსასრულებლად, 25.12.81წ. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ა. კ-შვილს მიღებული აქვს ზარალის ანაზღაურების თანხა, გარეშე მომვლელის ხარჯები და 1997 წლის იანვრამდე დებულობდა პენსიასა და ხელფასს შორის სხვაობას. საქართველოს მთავრობის 24.03.07წ. #53 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლი ითვალისწინებს 2007 წლის 1 მარტამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვას 1 მარტამდე. ამდენად, არსებობს მოსარჩელისათვის 2007 წლის 1 მარტამდე დავალიანების დაფარვის საფუძველი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს ა. კ-შვილის სასარგებლოდ მოწინააღმდეგე მხარისათვის 2007 წლის 1 მარტის შემდეგ ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს დაკისრების

საფუძველი. საქართველოს მთავრობის 24.03.07წ. #53 დადგენილებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის» მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის წყდება სარჩოსა და სხვა გასაცემლების გაცემის ვალდებულება 2007 წლის 1 მარტიდან, ხოლო იმ პირების მიმართ, რომლებზეც არ განხორციელებულა მათი გაცემის ვალდებულების დაკისრება, მითითებული ვალდებულებები აღარ უნდა წარმოიშვას. ამასთანავე, ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ბოლო წინადადების საფუძველზე, სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტო ვალდებულია სააგენტოს მიერ სარჩოს გაცემის ვალდებულების შეწყვეტის გამო დამატებით გასცეს ერთჯერადი კომპენსაციის ზიანის ანაზღაურების სარჩო ექვსი თვის ოდენობით.

სასარჩელო განცხადებით ა. კ-შვილი ითხოვს სარჩელის აღძვრამდე მიუღებელ ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობის - 13156 ლარს (92 თვე X 143 ლ.). საკასაციო პალატა თვლის, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს პენსიასა და ხელფასს შორის სხვაობის დადგენის შედეგად. იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელის აღძვრის დროისათვის მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი კანონმდებლობა (საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99წ. #48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის 51-ე მუხლი) შრომის უნარის ხარისხის დაკარგვიდან განცხადების მოგვიანებით შეტანის შემთხვევაში ანაზღაურების გაცემას უკავშირებს განცხადების შეტანის დღეს, საქმეზე უნდა დადგინდეს კომპეტენტურ ორგანოში სარჩოს დანიშვნის მოთხოვნით მიმართვის დღე. ვინაიდან მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვს პენსიასა და ხელფასს შორის სხვაობის თანხის გადახდას, საქმეზე უნდა დადგინდეს საბჭოთა მეურნეობაში ა. კ-შვილის ყოველთვიური ხელფასის ოდენობა, ხელფასის თანხის სადღეისო ეკვივალენტი ლარებში, პენსიის ოდენობა, რომელსაც ღებულობს მოსარჩელე. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ა. კ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. კ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.09.07წ. განჩინება, საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურება; საწარმოო ტრავმა

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ბს-281-274(კ-08) 6 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

მ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: მარჩენალის დაკარგვით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 13 ივლისს ნ. ი-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ა. მ-შვილი მუშაობდა სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო

ცენტრში» იურისტის თანამდებობაზე. 2004 წლის 12 ივნისს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, როდესაც ა. მ-შვილი ბრუნდებოდა ქ. ბათუმში გამართული სასამართლო სხდომიდან, სადაც მონაწილეობდა სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» ინტერესების დამცველის სახით, გარდაიცვალა საგზაო უბედური შემთხვევის მიზეზით. ა. მ-შვილი ქ. ბათუმში გამართულ სასამართლო სხდომაზე იმყოფებოდა სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» მიერ გამოყოფილი ავტომანქანით. ხსენებულ ცენტრში იყო მძღოლის საშტატო ერთეულები და ამ ცენტრის მუშაკები უზრუნველყოფილი იყვნენ მძღოლის მომსახურებით. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა ცენტრმა ა. მ-შვილს არ გამოუყო მძღოლი და ისე გადასცა მას თავისი კუთვნილი ავტომანქანა «ტოიოტა კოროლა» სასამართლო სხდომაზე გასამგზავრებლად ქ. ბათუმში. ამდენად, სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრმა» ა. მ-შვილს დამატებით დაავალა იმ სამუშაოს შესრულება (ავტომანქანის მართვა), რაც არ შედიოდა მის, როგორც იურისტის, ფუნქციებში.

მოსარჩელის მტკიცებით, მოცემულ შემთხვევაზე უნდა გავრცელებულიყო სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, მგზავრების გადაყვანისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი (სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი»), თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვებოდა ადამიანის სიკვდილი, ვალდებული იყო, დაზარალებულისთვის აენაზღაურებინა აქედან წარმოშობილი ზიანი. იმავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებდა მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებული იყო მფლობელის ნაცვლად აენაზღაურებინა ზიანი. ამასთან, მფლობელი ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მიყენებული ზიანი თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება, შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» ბრალი გამოიხატებოდა ა. მ-შვილისთვის მძღოლის ნაცვლად ავტომანქანის მართვის დავალებაში, რითაც აღნიშნულმა ცენტრმა დაარღვია შრომის კანონთა კოდექსის 25-ე მუხლი, რომლის თანახმად, საწარმოს, დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება არ ჰქონდა, მუშაკისთვის ან მოსამსახურისთვის მოეთხოვა იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც გათვალისწინებული არ იყო შრომის ხელშეკრულებით.

მოსარჩელის განმარტებით, იგი იყო ა. მ-შვილის ოჯახის წევრი, კერძოდ, მისი მეუღლე მ. მ-შვილი და დ. მ-შვილი კი მათი მცირეწლოვანი შვილები (ნ. ი-შვილი, იმავდროულად, ამ სარჩელს ხელს აწერდა, როგორც დ. და მ. მ-შვილების კანონიერი წარმომადგენელი). ნ. ი-შვილი იმჟამად იყო უმუშევარი. დასახელებული პირები მთლიანად იყვნენ ა. მ-შვილის კმაყოფაზე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 35-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების უფლებით სარგებლობდნენ შრომისუუნარო პირები (მოცემულ შემთხვევაში -დ. მ-შვილი და მ. მ-შვილი), რომლებიც იმყოფებოდნენ გარდაცვლილის კმაყოფაზე, აგრეთვე, ოჯახის სხვა წევრი, თუ ის არსად არ მუშაობდა და ეწეოდა გარდაცვლილის შვილების აღზრდას (ამ შემთხვევაში -ნ. ი-შვილი). ხსენებული წესის 39-ე მუხლის მიხედვით, შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მუშაკის დაღუპვის შემთხვევაში, დაღუპულის ოჯახს ეძლეოდა ერთჯერადი დახმარება გარდაცვლილის 10 წლის სამსახურებრივი სარგოს ოდენობით, აგრეთვე, დაკრძალვის ხარჯები. ა. მ-შვილის ხელფასი შეადგენდა 1300 აშშ დოლარის ეკვივალენტ ეროვნულ ვალუტას. ამდენად, ნ. ი-შვილისათვის და დ. და მ. მ-შვილებისათვის გასაცემი ერთჯერადი დახმარება შეადგენდა 156000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ნ. ი-შვილის, დ. და მ. მ-შვილების სასარგებლოდ 156000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტის გადახდის მოპასუხისათვის დაკისრება.

სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრმა» თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი ნ. ი-შვილის სარჩელზე, რომლითაც სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მას და ა. მ-შვილს შორის შრომითი ხელშეკრულება დაიდო 2002 წლის 1 აგვისტოს, რომელიც შესაბამისად გაგრძელდა მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. შრომის კანონთა კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება იყო შეთანხმება საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის, რომლითაც ერთი მხარე საწარმოს -დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულებას იღებდა, უზრუნველყო მუშაკი შრომის სათანადო პირობებით, გადაეხადა ხელფასი იმ ოდენობით, რაც შრომითი ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, ხოლო მეორე მხარე -მუშაკი ვალდებულებას იღებდა, შეესრულებინა გარკვეული სამუშაო სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით, დაეცვა შრომითი ხელშეკრულების პირობები, დამორჩილებოდა შრომის შინაგანაწესს. სწორედ ხსენებული შრომითი ხელშეკრულების ტექნიკური დავალების თანახმად (პუნქტი -«სამუშაოს აღწერილობა»), ა. მ-შვილი, როგორც იურისტი,

ვალდებული იყო, იმავე ცენტრისთვის გაეწია რეგულარული იურიდიული მომსახურება, რომელიც მოიცავდა იურიდიულ რჩევებს, რეკომენდაციებს, შუამავლობასა და კონსულტაციებს. აღნიშნული მიუთითებდა იმაზე, რომ ამ შემთხვევაში, თუ ხსენებული ცენტრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობას, ა. მ-შვილი, როგორც იურისტი, ვალდებული იყო, შესაბამისი რჩევა მიეცა იმავე ცენტრის ხელმძღვანელობისათვის და მისი გადაწყვეტილება დაეფიქსირებინა. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ თითქოს დასახელებულმა ცენტრმა ა. მ-შვილს დაავალა იმაზე მეტი, რაც გათვალისწინებული იყო მის შრომით ხელშეკრულებაში და დაარღვია შრომის კანონთა კოდექსის 25-ე მუხლი, რაშიც გამოიხატებოდა მისი ბრალი. აღნიშნული არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, რადგან ხსენებული შრომითი ხელშეკრულების ტექნიკური დავალების ღ3 პუნქტის თ3 ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო პროცესებზე იმავე ცენტრს წარმოადგენდა ამ ცენტრის იურისტი, ხოლო ის ფაქტი, რომ შესაბამის სასამართლო პროცესზე ა. მ-შვილი მისი მოთხოვნის საფუძველზე გაემგზავრა ავტომანქანით, სრულად ჯდებოდა აღნიშნული შრომითი ხელშეკრულების ტექნიკური დავალების ღ6 პუნქტის ფარგლებში, რომლის თანახმად, იურისტი ასრულებდა სხვა მოვალეობებს/დავალეობებს, რომლებიც დაკავშირებული იყო მოცემულ თანამდებობასთან, მაგრამ არ იყო იურისტის ძირითადი მოვალეობის ჩამონათვალში.

შესაგებლის ავტორის განმარტებით, მისი გადაწყვეტილების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას ასევე ადასტურებდა ზემოხსენებული შრომითი ხელშეკრულების ტექნიკური დავალების პუნქტი – «სამუშაოს აღწერილობა» და ღ2 პუნქტის თ4 ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, იურისტი ვალდებული იყო, იურიდიული რჩევები მიეცა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელისათვის ნებისმიერი მისი გადაწყვეტილების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე. ამ შემთხვევაში ა. მ-შვილის თანხმობა, უფრო ზუსტად, მოთხოვნა, სასამართლო სხდომაზე მარტო წასულიყო ავტომანქანით, რომელიც იმავე ცენტრის მიერ დაკმაყოფილდა, მიუთითებდა, რომ შრომის კანონთა კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, ხოლო ადმინისტრაციამ მუშაკისათვის სათანადო პირობის შექმნის მიზნით, გადასცა მას ტექნიკურად გამართული ავტომანქანა. ა. მ-შვილი დაიღუპა 2004 წლის 12 ივნისს, საგზაო შემთხვევის დროს, როდესაც ბრუნდებოდა ქ. ბათუმში გამართული სასამართლო სხდომიდან. აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა #8204043 სისხლის სამართლის საქმე. წინასწარი გამოძიების მასალების თანახმად, ზემოხსენებულმა ცენტრმა ა. მ-შვილი სამსახურებრივ მივლინებაში გაამგზავრა ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მყოფი ავტომანქანით, რასაც ადასტურებდა 2004 წლის 28 ივნისის #133/ა ექსპერტის დასკვნა. წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ა. მ-შვილმა დაარღვია «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უსახებ» კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმად, მას ავტომანქანა უნდა ემართა ისეთი სიჩქარით, რომელიც არ აღემატებოდა დადგენილ შეზღუდვებს, ამასთან, უნდა გაეთვალისწინებინა მოძრაობის ინტენსიურობა, სატრანსპორტო საშუალების თავისებურება, საგზაო პირობები, ხილვადობა მოძრაობის მიმართულებით. დასახელებულ საქმეზე ჩატარებული ავტოტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზით დადგენილი იყო, რომ ზემოაღნიშნული წესების დაცვის შემთხვევაში, მძღოლს შეეძლო ამ შემთხვევის თავიდან აცილება, რასაც ადასტურებდა, როგორც ექსპერტის დასკვნა, ასევე, სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის თაობაზე 2004 წლის 12 სექტემბრის დადგენილება. მაშასადამე, რომ არა მძღოლის მხრიდან დასახელებული კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა, არ მოხდებოდა ავტოსაგზაო შემთხვევა. შესაბამისად, იმავე ცენტრს ამ უბედურ შემთხვევაში ბრალი არ მიუძღოდა. ა. მ-შვილს ჰქონდა ავტომანქანის მართვის საკმარისი გამოცდილება – იგი მუდმივად სარგებლობდა მსუბუქი ავტომანქანით და, შესაბამისად, ფლობდა მართვის მოწმობას, რაც სრულ საფუძველს აძლევდა ცენტრს, ევარაუდა, რომ იგი გაართმევდა თავს ავტომანქანის მართვას. მას საშუალება ჰქონდა, არ გამოეყენებინა შეთავაზებული მანქანა და მივლინებაში გამგზავრებულიყო სხვა სატრანსპორტო საშუალებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 7 დეკემბრის განჩინებით მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაბმულ იქნა ფინანსთა სამინისტრო.

ნ. ი-შვილმა დაუხსტებული სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მისთვის ცნობილი გახდა საქმესთან დაკავშირებული ისეთი გარემოებები, რაც უცნობი იყო სარჩელით სასამართლოსათვის მიმართვის მომენტში, კერძოდ, ის, რომ ა. მ-შვილის ხელფასი შეადგენდა არა 1300 აშშ დოლარს, არამედ –1232 აშშ დოლარს, რის გამოც მან შეამცირა სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა და მოითხოვა ნ. ი-შვილის, დ. და მ. მ-შვილების სასარგებლოდ მოპასუხისათვის 147840 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტის გადახდის დაკისრება.

მოსარჩელემ დამატებით აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 39-ე მუხლის თანახმად, დაღუპულის ოჯახისთვის დახმარების გაცემისათვის საკმარისი პირობა იყო მუშაკის დაღუპვა შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო. სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ავტომანქანის მფლობელი (მოცემულ შემთხვევაში –სსიპ «მსოფლიო

ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი») თავისუფლდებოდა ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან, როცა ზიანი გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით. ამდენად, ხსენებული მუხლი ავტომატურად მფლობელს აკისრებდა ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ზიანის დადგომამი მას ბრალი არ მიუძღოდა (მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისას ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის წესი). იმავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებდა მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებული იყო, მფლობელის ნაცვლად აენაზღაურებინა ზიანი. ამასთან, მფლობელი ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მიყენებული ზიანი თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. აღნიშნული ნაწილი არ გამორიცხავდა იმავე ცენტრის პასუხისმგებლობას იმდენად, რამდენადაც ა. მ-შვილი სატრანსპორტო საშუალებას იყენებდა მფლობელის ნებართვით. ა. მ-შვილისთვის ავტომატურად მართვის დავალების მომენტში ამ ცენტრში არსებობდა მძღოლის საშტატო ერთეულები და ამგვარად, ავტომატურად მართვა წარმოადგენდა სამუშაოს, რომლის შესრულების სანაცვლოდაც, იმავე ცენტრში დასაქმებული მძღოლები ლეზიონდრულად ხელფასს და ზემოთ დასახელებული სამუშაოს ა. მ-შვილისთვის დავალება უნდა შეფასებულიყო, როგორც კანონსაწინააღმდეგო ქმედება.

სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრმა» თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი ნ. ი-შვილის დაზუსტებულ სარჩელზე, რომლითაც სარჩელი არ ცნო და დამატებით აღნიშნა, რომ მოცემული შემთხვევა შეეხებოდა დელიქტურ ვალდებულებას. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებდა ზიანს, ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მისთვის ეს ზიანი. ამ მუხლიდან გამომდინარე, იმავე ცენტრს ზიანის ანაზღაურება დაეკისრებოდა თუ არსებობდა ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ არსებობდა ზიანი, მიყენებული მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით (ავტომატურად მართვაში გადაცემა განზრახ ან გაუფრთხილებლობით), მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობდა მიზეზობრივი კავშირი (გაუმართავი ავტომატურად მართვის გადაცემის გამო მოხდა საგზაო უბედური შემთხვევა) და ზიანის მიმყენებელს მიუძღოდა ბრალი. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა დასახელებული ცენტრის ბრალი და, შესაბამისად, ვერ იქნებოდა მის ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, ამასთან, ა. მ-შვილი დაიღუპა თავისი ბრალით გამოწვეული საგზაო შემთხვევის გამო, რასაც ადასტურებდა მომხდარ ფაქტზე აღმრული #8204043 სისხლის სამართლის საქმის მასალებში არსებული, როგორც ექსპერტის დასკვნა, ასევე, საქმის წარმოებით შეწყვეტის დადგენილება. ა. მ-შვილის მხრიდან «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა რომ არა, არ მოხდებოდა ავტოსაგზაო შემთხვევა. შესაბამისად, ხსენებულ ცენტრს ამ უბედურ შემთხვევაში ბრალი არ მიუძღოდა და სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, არ უნდა დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურება მაშინაც კი, თუ ზემოაღნიშნული წესის 39-ე მუხლი ადგენდა უპირობო ანაზღაურებას, რადგან «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კანონს ჰქონდა უპირატესი იურიდიული ძალა კანონქვემდებარე აქტების მიმართ და ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას უპირატესობა ეძლეოდა იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს.

შესაგებლის ავტორის დამატებითი განმარტებით, რომ, რაც შეეხება მოსარჩელის მიერ მითითებული მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისას ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის წესს, საფრთხე მომეტებულად ითვლებოდა, თუ ის ქმნიდა ზიანის მიყენების მომეტებულ ალბათობას იმის გამო, რომ შეუძლებელი იყო მასზე ადამიანის მხრივ სრული კონტროლის განხორციელება. ამ შემთხვევაში ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმით დადგენილი იყო და დამატებითი მტკიცება არ სჭირდებოდა, რომ მძღოლ ა. მ-შვილს «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, შეეძლო ამ შემთხვევის თავიდან აცილება და, შესაბამისად, არ შეიძლებოდა არსებულიყო მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ი-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრს» ნ. ი-შვილის, დ. და მ. მ-შვილების სასარგებლოდ დაეკისრა 147840 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი» შექმნილი იყო საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის #149 ბრძანებულების საფუძველზე და წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს, «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» კანონის მეორე მუხლის თანახმად, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებდა სახელმწიფოებრივ საჯარო-სამართლებრივ საქმიანობას. იგი ვალდებული იყო შრომით ურთიერთობებში დაეცვა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით დადგენილი მოთხოვნები და შესაბამისად, მასზე ვრცელდებოდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით

დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი».

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით, დადგინდად მიიჩნია და აღნიშნა, რომ მხარეთა შორის სადავო არ იყო ის გარემოება, რომ ა. მ-შვილი მუშაობდა სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრში» იურისტის თანამდებობაზე და მისი ხელფასი შეადგენდა 1232 აშშ დოლარს. ა. მ-შვილი 2004 წლის 12 ივნისს დაიღუპა ავტოავარიის შედეგად, როდესაც ბრუნდებოდა ქ. ბათუმიდან, სადაც იმყოფებოდა სასამართლო სხდომაზე და იცავდა ხსენებული ცენტრის ინტერესებს. იგი გაემგზავრა ქ. ბათუმში ამ ცენტრის კუთვნილი ავტომანქანა «ტოიოტა კოროლათი». მისი გარდაცვალების მიზეზი იყო უბედური შემთხვევა -გზაზე მომხდარი ავტოავარია, რაც დასტურდებოდა საქმეზე დართული შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2004 წლის 28 ივნისის ექსპერტის დასკვნით და 2004 წლის 12 სექტემბრის დადგენილებით #8204043 სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის თაობაზე. გარდაცვლილის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ მისი მეუღლე ნ. ი-შვილი და მცირეწლოვანი შვილები -დ. და მ. მ-შვილები.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომის კანონთა კოდექსის 155-ე მუხლის თანახმად, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები მატერიალურად პასუხისმგებელი იყვნენ მუშაკისათვის მიყენებული ზიანის გამო, რაც გამოწვეული იყო შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, მათი დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ვნებით, ხოლო შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესს განსაზღვრავდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება, რომლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამქირავებელი მატერიალურად პასუხისმგებელი იყო იმ საწარმოო ტრავმისათვის, რომელიც მოხდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე, სამუშაოზე, ან სამუშაოს შემდეგ მგზავრობისას, დამქირავებლის მიერ გამოყოფილ ტრანსპორტზე. მომხდარი უბედური შემთხვევა იყო შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიღებული საწარმოო ტრავმა, რადგან გარდაცვლილი იმყოფებოდა მივლინებაში და ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, დაკისრებულს შრომითი ხელშეკრულებით. აღნიშნული ბრძანებულებით განსაზღვრული იყო ყოველთვიური სარჩოს გადახდა, სადაც გასათვალისწინებელი იყო ბრალეულობის საკითხი სარჩოს ოდენობის დაწესებისას. განსხვავებული წესი იყო დადგენილი დამატებითი ხარჯებისა და ერთჯერადი დახმარების გაცემისას, რადგან იმავე ბრძანებულების მე-8 პუნქტის თანახმად, შერეული პასუხისმგებლობა არ ვრცელდებოდა ზიანის ანაზღაურებისას დამატებით ხარჯებსა და ერთჯერად დახმარებაზე, რაც ასევე ცალსახად იყო დადგენილი ამ ბრძანებულების 39-ე პუნქტით, რომლის შესაბამისად, შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მუშაკის დაღუპვის შემთხვევაში, დაღუპულის ოჯახს ეძლეოდა ერთჯერადი დახმარება გარდაცვლილის 10 წლის სამსახურებრივი სარგოს ოდენობით, აგრეთვე, დაკრძალვის ხარჯები, სადაც არ ხდებოდა ბრალეულობის გათვალისწინება და პასუხისმგებლობის საკითხის გარკვევა.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით, დადგინდად მიიჩნია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა მომხდარი იყო გარდაცვლილის ბრალეულობით. მიუხედავად ამისა, ზემოხსენებული ბრძანებულების დასახელებული პუნქტის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ვალდებული იყო, მისი ოჯახისათვის მიეცა ერთჯერადი დახმარება და დაკრძალვის ხარჯები.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ მოპასუხე ცენტრის ხელმძღვანელობის მხრიდან დაირღვა საქართველოს შრომის კანონმდებლობა, რადგან იმავე ცენტრის იურისტს დაევალა იმ მოვალეობის შესრულება, რაც მის ფუნქციებში არ შედიოდა. წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მოწმეთა ჩვენებებით და საქმის გარემოებებით დადგენილი იყო, რომ ავტომანქანის გადაცემა განხორციელდა მხარეთა ნებისა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რადგან ხსენებული ცენტრის ხელმძღვანელობას არანაირი იძულების წესით არ შეეძლო მისთვის მივლინებაში წასვლა აეძლებინა ამ ცენტრის ავტომანქანით. რაც შეეხებოდა მხარეთა მითითებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლზე, აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული იყო ზიანის ანაზღაურება იმ სატრანსპორტო საშუალებების მართვისათვის, რომლებიც მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისათვის იყო გათვალისწინებული და ამასთანავე, ითვალისწინებდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას დაზარალებულისათვის და არა ზიანის ანაზღაურებას სატრანსპორტო საშუალების მფლობელისაგან სატრანსპორტო საშუალებით მოსარგებლისათვის. მოცემულ შემთხვევაში ზიანი მიადგა თავად სატრანსპორტო საშუალების მოსარგებლეს, მისივე ბრალეულობით და ამდენად, მითითება ზემოაღნიშნულ მუხლზე, იყო უსაფუძვლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრმა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის განჩინებით სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს

სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც არ ბათილდებოდა სააპელაციო საჩივრის არგუმენტებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო კანონიერი და დასაბუთებული და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრმა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი აღნიშნავს, რომ იგი ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს განჩინებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტების საფუძველზე. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 155-ე მუხლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები მატერიალურად პასუხისმგებელი იყვნენ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მიყენებული ზიანის გამო. სააპელაციო სასამართლომ, ისევე, როგორც საქალაქო სასამართლომ, აღნიშნული მუხლი არასწორად განმარტა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მოცემულ შემთხვევაში სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრს» ზიანის ანაზღაურება დაეკისრებოდა თუ იარსებებდა ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ სახეზე იქნებოდა ზიანი, მიყენებული მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით (ავტომანქანის გაუმართავ მდგომარეობაში გადაცემა განზრახ ან გაუფრთხილებლობით), მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის იქნებოდა მიზეზობრივი კავშირი (გაუმართავი ავტომანქანის გადაცემის გამო მოხდა საგზაო უბედური შემთხვევა) და ზიანი მიყენების ბრალით იქნებოდა გამოწვეული. ამ შემთხვევაში ხსენებული ცენტრის ბრალის არსებობა სახეზე არ ყოფილა და შესაბამისად, ვერ იქნება მის ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, რაც დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და მოწმეთა ჩვენებებით. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ამავე ცენტრს ამ უბედურ შემთხვევაში (დაზარალებულისათვის ზიანის მიყენებაში) ბრალი არ მიუძღვის, ამიტომ მას არ უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება და შესაბამისად, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 155-ე მუხლი არ ადგენდა მუშაკის მიმართ ზიანის დადგომის დროს დასახელებული ცენტრის პასუხისმგებლობას ნებისმიერ შემთხვევაში.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» 39-ე პუნქტი ადგენდა უპირობო ანაზღაურებას და შესაბამისად, სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» მიერ უნდა ანაზღაურებულიყო ერთჯერადი დახმარების ხარჯები, რასაც კასატორი არ ეთანხმება, რადგან აღნიშნული პუნქტი მიუთითებს არა მუშაკის გარდაცვალების ყველა შემთხვევაში ერთჯერადი დახმარების ანაზღაურების მოთხოვნაზე, არამედ ორგანიზაციისათვის, მუშაკის დაღუპვის შემთხვევაში, ერთჯერადი დახმარებისა და დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ზიანი დამდგარია შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში კი, ა. მ-შილი გარდაიცვალა არა შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, არამედ შრომითი მოვალეობის განხორციელების შემდგომ, მისივე ბრალით გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევის დროს. იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული ბრძანებულების 39-ე პუნქტი უპირობოდ დაადგენდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 25-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელთა თანახმად, კანონს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა კანონქვემდებარე აქტების მიმართ და ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას უპირატესობა ეძლევა იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 27 მარტის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 29 მაისამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 მაისის განჩინებით სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2008 წლის 10 ივლისს, 11.30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი» წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის #149 ბრძანებულების საფუძველზე დაფუძნებულ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს სახელმწიფოებრივ საჯარო-სამართლებრივ საქმიანობას. ნ. ი-შვილი იყო აწ გარდაცვლილი ა. მ-შვილის მეუღლე. დ. და მ. მ-შვილები არიან ნ. ი-შვილისა და აწ გარდაცვლილი ა. მ-შვილის შვილები, რომლებიც იმყოფებოდნენ აწ გარდაცვლილი მამის კმაყოფაზე. ა. მ-შვილსა და ამავე ცენტრს შორის საკონსულტაციო მომსახურებაზე 2002 წლის 1 აგვისტოს 2003 წლის 31 ივლისის ჩათვლით დადებული #L#02085 შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე მუშაობდა სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრში» იურისტის თანამდებობაზე და ხსენებული ხელშეკრულების გაგრძელებისა (2 გაგრძელება) და ამ ხელშეკრულებაში ცვლილების შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულება გაგრძელებულ იქნა 2005 წლის 31 იანვრის ჩათვლით და ა. მ-შვილის ხელფასი განისაზღვრა 1232 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტით. ა. მ-შვილი მივლინებით გაემგზავრა ქ. ბათუმში ამ ცენტრის კუთვნილი ავტომანქანით -«ტოიოტა კოროლა» და 2004 წლის 12 ივნისს დაიღუპა ავტოავარიის შედეგად, როდესაც ბრუნდებოდა ქ. ბათუმიდან, სადაც იმყოფებოდა სასამართლო პროცესზე დასასწრებად და იცავდა ხსენებული ცენტრის ინტერესებს, მისი გარდაცვალების მიზეზი კი იყო უბედური შემთხვევა -გზაზე მომხდარი ავტოავარია.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, აღნიშნავს, რომ მოცემული დავის შინაარსის ნათლად გამოკვეთის, დავის მართებულად გადაწყვეტისა და საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის მოცულობისა და გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი ზიანის ანაზღაურების თანხის ოდენობის განსაზღვრის მართლობიერების შეფასება ამ საქმის ყველა გარემოების კომპლექსური ანალიზისა და შესაბამისი დასკვნის გამოტანის გზით. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხზე მსჯელობას და იმის გარკვევას, თუ რამდენად შეესაბამება სასარჩელო განცხადებაში ზიანის სახით მოყვანილი (მოთხოვნილი) თანხისა და სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის მიკუთვნილებული თანხის ოდენობები საქმის რეალურ ვითარებას და რამდენად თანაზომიერია ისინი ამ საქმის, მათ შორის, მომხდარი შემთხვევის ყველა გარემოების სრულყოფილი, შეჯერებული ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნისა.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ამ შემთხვევაში სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» საერთოდ არ უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება. ამასთან დაკავშირებით, სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრმა» სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 დეკემბრის სხდომაზეც მიუთითა, რომ უბედური შემთხვევა არ დამდგარა ამ ცენტრის მოქმედებით და მოსარჩელის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ა. მ-შვილის მონაწილეობით მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე აღიძრა #8204043 სისხლის სამართლის საქმე და ჩატარდა ექსპერტიზა, რომლის 2004 წლის 28 ივნისის #133/ა დასკვნის თანახმად, ა. მ-შვილის მოქმედება არ შეესაბამებოდა «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, კერძოდ, მას ავტომანქანა უნდა ემართა ისეთი სიჩქარით, რომელიც არ აღემატებოდა დადგენილ შეზღუდვებს, ამასთან, უნდა გაეთვალისწინებინა მოძრაობის ინტენსიურობა, სატრანსპორტო საშუალების თავისებურება, საგზაო და მეტეოროლოგიური პირობები, ხილვადობა მოძრაობის მიმართულებით. იმავე დასკვნაში პირდაპირ არის მითითებული, რომ ავტომობილი «ტოიოტა კოროლა» საჭის მექანიზმი და წინა დაკიდების მექანიზმები გამართულ მდგომარეობაში იყო, ხოლო სამუხრუჭე სისტემა -გამოსული მწყობრიდან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად, «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში კი, ა. მ-შვილს შეეძლო მომხდარი შემთხვევის თავიდან აცილება.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ შსს საგამომიებო დეპარტამენტის კასპის რაიონის ქვეგანყოფილების უფროსი გამომძიებლის 2004 წლის 12 სექტემბრის დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ავტომანქანა «ტოიოტა კოროლა» ა. მ-შვილი მოძრაობდა დიდი სიჩქარით, გადავიდა საპირისპირო სავალ ნაწილზე და შეეჯახა სხვა ავტომანქანას, ხოლო საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ ა. მ-შვილმა დაარღვია «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზით კი დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული წესების დაცვის შემთხვევაში, ა. მ-შვილს შეეძლო ამ შემთხვევის თავიდან აცილება. ამასთან, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყდა ა. მ-შვილის გარდაცვალების გამო.

ამდენად, ზემოხსენებული, კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით უდავოდ დადგენილია, რომ სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» ავტომანქანა «ტოიოტა კოროლა», რომლითაც ა. მ-შვილი სამსახურებრივ მივლინებაში გაემგზავრა, ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში იყო, ხოლო მომხდარი ავტოსაგზაო (უბედური) შემთხვევა, ა. მ-შვილის დაღუპვა და ამ შემთხვევის სხვა შედეგები უშუალოდ გამოიწვია ა. მ-შვილის მხრიდან საგზაო მოძრაობის წესების – «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების დარღვევამ.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ის ფაქტი, რომ შესაბამის სასამართლო პროცესზე ა. მ-შვილი მისი მოთხოვნის საფუძველზე გაემგზავრა ავტომანქანით, სრულად ჯდება მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ტექნიკური დავალების ღრ პუნქტის ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმჟამად მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება იყო შეთანხმება საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის, რომლითაც ერთი მხარე –საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებული იქნებოდა, უზრუნველყო მუშაკი შრომის სათანადო პირობებით, გადაეხადა ხელფასი იმ ოდენობით, რაც შრომითი ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, ხოლო მეორე მხარე –მუშაკი ვალდებული იქნებოდა, შეესრულებინა გარკვეული სამუშაო სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით, დაეცვა შრომითი ხელშეკრულების პირობები, დამორჩილებოდა შრომის შინაგანაწესს. იმავე კოდექსის 25-ე მუხლის მიხედვით, საწარმოს, დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება არ ჰქონდა, მუშაკისთვის ან მოსამსახურისთვის მოეთხოვა იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც გათვალისწინებული არ იყო შრომის ხელშეკრულებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» დებულების III თავის (ცენტრის მართვა) მე-9 პუნქტზე, რომლის თანახმად, ცენტრის დირექტორი ამტკიცებს სამტატო განრიგში მითითებული თითოეული თანამშრომლის ტექნიკურ დავალებებს. სოფლის მეურნეობის პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ძირითადი მომსახურების ჯგუფის იურისტის ტექნიკური დავალების ნაწილის –«სამუშაოს აღწერილობა» თანახმად, ა. მ-შვილი, როგორც იურისტი, ვალდებული იყო, იმავე ცენტრისთვის გაეწია რეგულარული იურიდიული მომსახურება, რომელიც მოიცავდა იურიდიულ რჩევებს, რეკომენდაციებს, შუამავლობასა და კონსულტაციებს, ხოლო იმავე დავალების ნაწილის –«პასუხისმგებლობა და დავალებები» ლ1, ლ2, ლ3, ლ4 და ლ5 პუნქტებში ჩამოთვლილია ის კონკრეტული დავალებები, რომელთა შესრულებაც ევალებოდა ა. მ-შვილს, ამ ნაწილის ლ3 პუნქტის თ3 ქვეპუნქტი ითვალისწინებდა, რომ იურისტი ამ ცენტრთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებზე იყო იმავე ცენტრის წარმომადგენელი. ხსენებული იურისტის ტექნიკური დავალების ღრ პუნქტის მიხედვით, იურისტი ასრულებდა სხვა მოვალეობებს/დავალებებს, რომლებიც დაკავშირებული იყო მოცემულ თანამდებობასთან, მაგრამ არ იყო იურისტის ძირითადი მოვალეობების ჩამონათვალი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» სამტატო განრიგზე, რომელშიც გათვალისწინებულია მძღოლის/კურიერის შტატი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სოფლის მეურნეობის პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ძირითადი მომსახურების ჯგუფის იურისტის ტექნიკური დავალების ღრ პუნქტში მოცემულ იურისტის თანამდებობასთან დაკავშირებულ სხვა მოვალეობებში/დავალებებში, რომლებიც არ იყო იურისტის ძირითადი მოვალეობების ჩამონათვალი, იგულისხმებოდა იურისტის თანამდებობასთან პროფესიული ჩარჩოების ფარგლებში დაკავშირებული და შემხებლობაში მყოფი დამატებითი, ფაკულტატური პროფესიული მოვალეობები, რომელშიც ვერ მოექცეოდა ის ფუნქციები, რომლებიც არ იყო დაკავშირებული იურისტის პროფესიასთან. აღნიშნული დასტურდება იმავე ტექნიკური დავალების ნაწილში –«მოთხოვნილი კვალიფიკაცია და ძირითადი კომპეტენციები» ჩამოთვლილი იმ სავალდებულო მოთხოვნებით, რომლებიც სისტემურად აღებული, უშუალოდ უკავშირდებოდა მხოლოდ იურისტის

პროფესიასა და მის მიერ საკუთარი პროფესიული ფუნქციების განხორციელებას. ა. მ-შვილს არ ჰქონდა მოპასუხესთან დადებული შრომითი ხელშეკრულება მძღოლის ფუნქციების შესრულებაზე, ამასთან, მას ხსენებული ცენტრის თანხმობის გარეშე არ წაუყვანია ავტომანქანა ქ. ბათუმში, მისი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით არ მომხდარა მისთვის ამ ცენტრის კუთვნილი ავტომანქანის ქ. ბათუმში მივლინებაში გასამგზავრებლად გადაცემა.

ამასთან დაკავშირებით, ნ. ი-შვილის წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე აღნიშნა, რომ შრომითი მოვალეობის შესრულების დროს მუშაკის გარდაცვალება საკმარისი პირობა იყო კომპენსაციის მისაღებად, ხოლო სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრში» ა. მ-შვილს დააკისრა იმ მოვალეობის შესრულება -ავტომანქანის მართვა, რომელიც არ შედიოდა მის, როგორც იურისტის, მოვალეობაში და ამ ცენტრში იყო მძღოლის სამტატო ერთეული. საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 11 სექტემბრის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრში» იყო მძღოლის სამტატო ერთეულები, რის გამოც მძღოლის მოვალეობის შესრულება - ავტომანქანის მართვა და თანამშრომლების ტრანსპორტირება სხვა მუშაკის მოვალეობაში შედიოდა და იგი თანამდებობრივად არ უკავშირდებოდა იურისტის პროფესიულ ფუნქციებს.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 11 სექტემბრის სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა განმარტა, რომ იგი სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ ა. მ-შვილი გარდაცვალების მომენტში იმყოფებოდა მივლინებაში სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად და ბრუნდებოდა ქ. ბათუმიდან, თუმცა ა. მ-შვილის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება გამოიხატებოდა სასამართლო პროცესზე წარმომადგენლად გამოსვლაში. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ ავანსის ანგარიშ-ფაქტურა-შეკვეთაზე, რომელშიც აღნიშნული მივლინების ვადა 2004 წლის 10-14 ივნისია. საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის წარმომადგენლის მიერ ა. მ-შვილის აღნიშნული პროფესიული მოვალეობის ამგვარ ვიწრო განმარტებას, ასევე, ვერ გაიზიარებს კასატორის წარმომადგენლის მიერ ამავე სხდომაზე გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ა. მ-შვილი ვადაზე ადრე დაბრუნდა მივლინებიდან. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შესაძლოა მივლინება იყოს 5-დღიანი, ხოლო სასამართლო პროცესი, რისთვისაც გაფორმდა მივლინება, დამთავრდეს ერთ, ან ორ-სამ დღეში, რის შემდეგაც, მიუხედავად მივლინების სრულად გაწერილი ხარჯისა, წარმომადგენელი არ არის ვალდებული, დარჩეს მივლინების ადგილას მივლინების ვადის ბოლომდე. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ა. მ-შვილი გარდაიცვალა არა შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, არამედ შრომითი მოვალეობის განხორციელების შემდგომ.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მართალია, კონკრეტულ შემთხვევაში, უდავოა, რომ გარდაცვლილი ა. მ-შვილის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ მისი მეუღლე ნ. ი-შვილი და მცირეწლოვანი შვილები -დ. და მ. მ-შვილები და ამდენად, ნ. ი-შვილს, დ. და მ. მ-შვილებს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» შესაბამისად, გააჩნიათ მოპასუხისაგან ზიანის ანაზღაურების უფლება, მაგრამ ამავდროულად, მათი დასახელებული უფლების რეალიზაცია შემოიფარგლება საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპით, მით უმეტეს, რომ გარდაცვლილთან კასატორს ვადიანი შრომითი ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის უფლებებელყოფით, არასწორად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ ზიანის ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ, ვინაიდან მხარეთა შორის სადავო არ იყო ის გარემოება, რომ ა. მ-შვილი მუშაობდა სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრში» იურისტის თანამდებობაზე და მისი ხელფასი შეადგენდა 1232 აშშ დოლარს, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» შესაბამისად, ა. მ-შვილის ოჯახს, ა. მ-შვილის 10 წლის სამსახურებრივი სარგოს მიხედვით, უნდა ანაზღაურებოდა 147840 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» (ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის #93 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან) პირველი და მე-2 მუხლების თანახმად, ეს წესი აწესრიგებდა საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ საწარმოებში, დაწესებულებებში,

ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, დასაქმებულ მუშაკთა შრომითი მოვალეობის შესრულებისას ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძვლებს, ხოლო დამქირავებელი მატერიალურად იყო პასუხისმგებელი მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანისათვის, რომელიც მოხდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე, სამუშაოზე, ან სამუშაოს შემდეგ მგზავრობისას, დამქირავებლის მიერ გამოყოფილ ტრანსპორტზე. ამავე ბრძანებულების მე-3 მუხლის მიხედვით, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდით ზიანი უნდა აენაზღაურებინა იმ დამქირავებელს, რომელთანაც იგი ზიანის მიყენებისას შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა, ამ უკანასკნელის ბრალის არსებობის შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» მე-6 და მე-7 მუხლები შეეხებოდა შერეულ პასუხისმგებლობას ზიანის ანაზღაურებისას, რომელთა თანახმად, თუ დაზარალებულის გაუფრთხილებლობამ ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას, დაზარალებულის ბრალის ხარისხის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება შეიძლება შემცირებულიყო, ხოლო შერეული პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრაზე უთანხმოების შემთხვევაში, საკითხი წყდება სასამართლოში. იმავე წესის მე-8 მუხლის მიხედვით, შერეული პასუხისმგებლობა არ ვრცელდებოდა ზიანის ანაზღაურებისას დამატებით ხარჯებსა და ერთჯერად დახმარებაზე. ხსენებული წესის 35-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების უფლებით სარგებლობდნენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ გარდაცვლილის კმაყოფაზე, აგრეთვე, ოჯახის სხვა წევრი, თუ ის არსად მუშაობდა და ზრდიდა გარდაცვლილის შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე, ხოლო შრომისუუნარობად ითვლებოდნენ არასრულწლოვანი პირები 18 წლის ასაკამდე, გარდაცვლილის მეუღლე კი ზიანის ანაზღაურების უფლებით სარგებლობდა, მიუხედავად იმისა, მუშაობდა თუ არა იგი. იმავე წესის 37-ე მუხლის მიხედვით, შერეული პასუხისმგებლობა არ გამოიყენებოდა მარჩენალის დაკარგვის გამო ზიანის ასანაზღაურებელი ოდენობის განსაზღვრის დროს. ხსენებული წესის 39-ე მუხლის თანახმად, შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მუშაკის დაღუპვის შემთხვევაში, დაღუპულის ოჯახს ეძლეოდა ერთჯერადი დახმარება გარდაცვლილის 10 წლის სამსახურებრივი სარგოს ოდენობით, აგრეთვე, დაკრძალვის ხარჯები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს და მხარეთა ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, არსებითი და გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმას, სახეზეა თუ არა სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» ბრალი მომხდარ ავტოსაგზაო (უბედურ) შემთხვევასა და ამის შედეგად, ა. მ-შვილის დაღუპვაში, ანუ მიუღძვის თუ არა რაიმე ბრალი ხსენებულ შემთხვევაში დასახელებულ ცენტრს, არამედ იმ გარემოებას, რომ «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესით» განსხვავებულად იყო მოწესრიგებული ზიანის ანაზღაურება ყოველთვიური სარჩოს გადახდის სახით და ზიანის ანაზღაურება ერთჯერადი დახმარების გაცემის სახით. ყოველთვიური სარჩოს გადახდისათვის აუცილებელი იყო შესაბამისი დამქირავებლის ბრალის არსებობა, ხოლო ერთჯერადი დახმარების მიცემისათვის შერეული პასუხისმგებლობაც, ანუ შერეული ბრალის არსებობაც კი არ იყო გათვალისწინებული, თუმცა საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ეს არ ნიშნავდა ზიანის ანაზღაურების შემცირების შესაძლებლობის გამორიცხვას, კერძოდ, შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მუშაკის დაღუპვის შემთხვევაში, იმავე წესის 39-ე მუხლით გათვალისწინებული დაღუპულის ოჯახისათვის გარდაცვლილის 10 წლის სამსახურებრივი სარგოს ოდენობით ერთჯერადი დახმარების სახით ზიანის ანაზღაურების მოცულობის შემცირების გამორიცხვას და ამ წესის 39-ე მუხლის ნებისმიერ შემთხვევაში, ავტომატურად, ამა თუ იმ შემთხვევის გარემოებების გათვალისწინებლად გამოყენებას. «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» მე-8 მუხლით დადგენილი იყო ბრალის გარეშე ზიანის ანაზღაურება, რის გამოც სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» ბრალის არარსებობაც კი, ამ შემთხვევაში, ვერ დააფუძნებს განსაზღვრულ ფარგლებში მოსარჩელისთვის ზიანის ანაზღაურების გამორიცხვას. გარდა ამისა, მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების მოცულობის დადგენისათვის, ჯერ ერთი, ვერ იქნება გამოყენებული «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის» მე-6 მუხლი, რადგან აღნიშნული მუხლი ითვალისწინებდა შერეულ ბრალს/პასუხისმგებლობას და მეორეც, ერთჯერადი დახმარების სახით ზიანის ანაზღაურებისას ხსენებული მუხლის გამოყენების შეუძლებლობა არ გულისხმობს ზიანის ანაზღაურების შემცირების შეუძლებლობას, რაც შესაბამის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის არსი მდგომარეობს საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერ გაწონასწორებასა და მათ მართლზომიერ დაბალანსებაში, ანუ დაუშვებელია მხოლოდ კერძო ინტერესის დაცვა საჯარო ინტერესის ხარჯზე, ან

პირიქით. აღნიშნული პრინციპის მიხედვით, ამა თუ იმ შემთხვევის ყველა გარემოების გათვალისწინებითა და მხედველობაში მიღებით, რეალურად უნდა შეფასდეს საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთმიმართება და ამგვარად დადგინდეს მათ შორის პროპორცია, რათა ურთიერთსაწიადმდეგო არ გახდეს კერძო პირის/პირებისა და საზოგადოებრივი/საჯარო ინტერესები.

ყოველივე ზემოთ მითითებულის მხედველობაში მიღების შედეგად, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ ნ. ი-შვილის სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას და სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრისთვის» ნ. ი-შვილის, დ. და მ. მ-შვილების სასარგებლოდ 147840 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტის გადახდის დაკისრებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მოსარჩელისათვის ზიანის სახით ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა და მოპასუხე სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრს» მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა რეალურ ვითარებასთან შეუსაბამოდ დიდი ოდენობის თანხა -147840 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტა, რაც არ გამომდინარეობს მოცემული საქმის გარემოებებიდან, ანუ სააპელაციო სასამართლომ ამ საქმეზე განჩინების მიღებისას არ იხელმძღვანელა საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპით, კერძოდ, ამ პრინციპის უგულვებლყოფით დაეთანხმა ზიანის ანაზღაურების მოცულობის საქალაქო სასამართლოს მიერ შეფასებას. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე, მოსარჩელისათვის მისაცემი თანხის ოდენობა უნდა შემცირდეს და განისაზღვროს 70000 ლარით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი და შესაბამისად, სარჩელი არის ნაწილობრივ საფუძვლიანი, რის გამოც სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის განჩინების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ი-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ და სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრს» ნ. ი-შვილისა და დ. და მ. მ-შვილების სასარგებლოდ დაეკისრება 70000 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის განჩინების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. ი-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სსიპ «მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრს» ნ. ი-შვილის, დ. და მ. მ-შვილების სასარგებლოდ დაეკისროს 70000 ლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. ზიანის ანაზღაურება კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტისას

განჩინება

#ბს-343-330(კ-08)

15 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 28 ივნისს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, მოპასუხე მ. მ-მის მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ მ. მ-მემ 2005 წლის 30 მარტს თავდაცვის სამინისტროსთან გააფორმა კონტრაქტი 4 წლის ვადით. მხარეებს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გაწეული საქმიანობის გასამრჯელო, კონტრაქტის მოქმედების ვადა და მისი ვადამდე შეწყვეტის პირობები განისაზღვრა კონტრაქტის ძალაში შესვლის დღიდან. კონტრაქტის 7.3 მუხლის შესაბამისად, თუ «სამხედრო მოსამსახურე» მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილითა და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს, შეუწყვიტოს ოთხწლიანი კონტრაქტი, «სამხედრო მოსამსახურე» უპირობოდ ხდება ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით, აუნაზღაუროს სამინისტროს კონტრაქტით მასზე დახარჯული თანხა.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე მ. მ-მემ დაარღვია რა კონტრაქტის პირობები, იგი ვალდებულია, ხელშეკრულების 7.3 მუხლის თანახმად, აუნაზღაუროს თავდაცვის სამინისტროს მასზე დაკისრებული თანხა, რომელიც შეადგენს 3160,07 ლარსა და 19,30 აშშ დოლარს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხეს დაკისრებოდა თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ 3160.07 ლარისა და 19,30 აშშ დოლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე მ. მ-მისთვის თანხის დაკისრების თაობაზე განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის გაერთიანებულ საქალაქო სასამართლოს.

მოპასუხე მ. მ-მემ სარჩელი ცნო 19,30 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში, ხოლო 3160,07 ლარის დაკისრების ნაწილში სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მ. მ-მეს დაეკისრა 19,30 აშშ დოლარის თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ გადახდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თავდაცვის სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებას სარჩელის უარყოფის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მ. მ-მემ და მისმა ადვოკატმა მოითხოვეს ადვოკატის მომსახურებისა და მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება საქმეში წარმოდგენილი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინებით თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ აღძრულია სარჩელი ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეუსრულებლობის თაობაზე, რომლის საფუძველზეც თავდაცვის სამინისტრო ითხოვს დავალიანების გადახდას, კერძოდ, სარჩელი ეფუძნება მხარეთა შორის სამხედრო სამსახურის თაობაზე დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას სამხედრო მოსამსახურის მიერ.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს მოპასუხის მიერ ხელშეკრულების (კონტრაქტის) 7.3 მუხლის არაჯეროვანი შესრულება. მითითებული კონტრაქტის 7.3 მუხლით კი სამხედრო მოსამსახურეს თანხის გადახდა ეკისრება ერთი წლის სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ. შესაბამისად, ერთი წლის გასვლამდე სამხედრო მოსამსახურეს არ შეიძლება დაეკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დადგენილია, რომ თავდაცვის სამინისტროსა და მ. მ-მეს შორის ხელშეკრულება შეწყდა ერთი წლის გასვლამდე (ხელშეკრულება დაიდო 2005 წლის 30 მარტს, ხოლო მ. მ-მე სამსახურიდან დათხოვნილ იქნა 2005 წლის 10 ნოემბერს).

თავდაცვის სამინისტროსა და მ. მ-ძეს შორის დადებული 2005 წლის 30 მარტის ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, არ ითვალისწინებს მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის ერთი წლის გავლამდე კონტრაქტის მოშლისას პასუხისმგებლობას, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია სარჩელის უარყოფის სამართლებრივ საფუძვლად.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნა ადვოკატის მომსახურებისა და მგზავრობის ხარჯების ანაზღაურების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლით დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ არც პირველმა და არც სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა თავდაცვის სამინისტროს მოსაზრებასთან დაკავშირებით, სადაც სამინისტრო მიუთითებს, რომ მოთხოვნილი თანხა არის ზიანი, რომელიც კონტრაქტის (ხელშეკრულების) დარღვევიდან გამომდინარე წარმოიშვა და რომლის მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და მოქმედი კანონმდებლობა.

რის გამოც კასატორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს სარჩელის საფუძვლების ანალიზს და თვლის, რომ დავის გადაწყვეტისათვის განსაზღვრელია - სარჩელის საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, რომელზე მითითებასაც შეიცავს სააპელაციო საჩივარი თუ მოთხოვნა ემყარება მხარეთა შორის 2005 წლის 30 მარტს დადებული ხელშეკრულების შესაბამის ნორმებს, რომელზე მითითებასაც ასევე შეიცავს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი.

მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრა, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მნიშვნელოვნად ცვლის საქმის არსს, რამეთუ სარჩელის საფუძველი განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და უკავშირდება სამართალური თეორიებითა სუბიექტის უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეფასების ნაწილში და თვლის, რომ თავდაცვის სამინისტროსა და მ. მ-ძეს შორის 2005 წლის 30 მარტს დადებული ხელშეკრულება მიეკუთვნება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა კატეგორიას. თუ თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ეფუძნება მითითებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, საკასაციო სასამართლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარს მიიჩნევს კანონშესაბამისად და ადასტურებს, რომ თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველს არ ქმნის ხელშეკრულების 7.3 მუხლი. ხელშეკრულების აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებსა და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან შეთანხმებით» დატოვებს სამხედრო ძალებს ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს, შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, ასეთ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის თანხა, შემდეგი წესით: ა) 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ორი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10000 ლარის ოდენობით; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული ნორმის კონსტრუქციას და თვლის, რომ ანაზღაურების წესი განსაზღვრულია ბოლო აზრით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას ერთ წლამდე სამხედრო სამსახურის შეწყვეტის შემთხვევაში. შესაბამისად, კონტრაქტით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის მოთხოვნის უფლება თავდაცვის სამინისტროს წარმოეშობა ხელშეკრულების დადებიდან 1 წლის შემდეგ. დადგენილია, რომ თავდაცვის

სამინისტროსა და პროცესუალურ მოწინააღმდეგეს შორის ხელშეკრულება შეწყდა 1 წლის გასვლამდე – ხელშეკრულება დადებულია 2005 წლის 30 მარტს და შეწყდა 2005 წლის 2 დეკემბერს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება არ განსაზღვრავს პასუხისმგებლობას მოსამსახურის მხრიდან ერთი წლის გასვლამდე კონტრაქტის შეწყვეტის პირობებში, რისი გათვალისწინებითაც, საკასაციო სასამართლო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას მიიჩნევს უსაფუძვლოდ და თვლის, რომ არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი წინამძღვრები.

რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნას სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, საკასაციო სასამართლო მოკლებულია ამ თვალსაზრისით მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების კანონიერების შემოწმებას, ვინაიდან აღნიშნული არ ქვეყნის საპელაგო სასამართლოს მსჯელობისა და შეფასების საგნად.

საკასაციო სასამართლო კვლავ მიუთითებს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების აუცილებლობაზე და თვლის: თუ თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ცალსახად ემყარება სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს, ამ შემთხვევაში სასამართლო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს მითითებული ნორმების არსებულ პირობებში შეფარდების შესაძლებლობა. კერძოდ, ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა იძლევა თუ არა სამართალდარღვევის შემადგენლობის ყველა იმ მახასიათებელ აუცილებელ ელემენტს, როგორცაა მართლსაწინააღმდეგობა, ზიანი და მიზეზობრივი კავშირი. საგულისხმოა, რომ თუ არ არსებობს ზიანი, არ შეიძლება დადგეს ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, ხოლო ამასთან, ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ კასაციის ძირითად საფუძველს წარმოადგენს სწორედ ის გარემოება, რომ საპელაგო სასამართლომ არ განსაზღვრა და არ იმსჯელა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე, კერძოდ, მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობის თაობაზე, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნოს იმავე სასამართლოში. აქვე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სარჩელის საფუძველი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს დავის განსჯადობას, რაც ასევე უნდა იქცეს საპელაგო სასამართლოს მსჯელობის საგნად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის II ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის საპელაგო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტისას

განჩინება

#ბს-544-522(კ-08) 13 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 28 ივნისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, მოპასუხე ს. ხ-იდის მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ ს. ხ-იდმა 2005 წლის 30 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გააფორმა კონტრაქტი 4 წლის ვადით. მხარეებს კონტრაქტით

ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გაწეული საქმიანობის გასამრჯელო, კონტრაქტის მოქმედების ვადა და მისი ვადამდე შეწყვეტის პირობები განისაზღვრა კონტრაქტის ძალაში შესვლის დღიდან. კონტრაქტის 7.3 მუხლის შესაბამისად, თუ «სამხედრო მოსამსახურე» მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილითა და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს, შეუწყვიტოს ოთხწლიანი კონტრაქტი, «სამხედრო მოსამსახურე» უპირობოდ ხდება ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს კონტრაქტით მასზე დახარჯული თანხა.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე ს. ხ-იძმა დაარღვია რა კონტრაქტის პირობები, იგი ვალდებულია, ხელშეკრულების 7.3 მუხლის თანახმად, აუნაზღაუროს თავდაცვის სამინისტროს მასზე დაკისრებული თანხა, რომელიც შეადგენს 5128,60 ლარს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხე -ს. ხ-იდს დაკისრებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ 5128,60 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 თებერვლის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილვად გადაეგზავნა ბათუმის გაერთიანებულ საქალაქო სასამართლოს.

2007 წლის 7 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე -ს. ხ-იდს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაკისრებოდა მიყენებული ზიანის სახით 4902,33 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხე ს. ხ-იძმა სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ აღძრულია სარჩელი ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეუსრულებლობის თაობაზე, რომლის საფუძველზეც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ითხოვს დავალიანების გადახდას, კერძოდ, სარჩელი ეფუძნება მხარეთა შორის სამხედრო სამსახურის თაობაზე დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას სამხედრო მოსამსახურის მიერ.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს მოპასუხის მიერ ხელშეკრულების (კონტრაქტის) 7.3 მუხლის არაჯეროვანი შესრულება. მითითებული კონტრაქტის 7.3 მუხლით კი სამხედრო მოსამსახურეს თანხის გადახდა ეკისრება ერთი წლის სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ. შესაბამისად, ერთი წლის გასვლამდე სამხედრო მოსამსახურეს არ შეიძლება დაეკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ს. ხ-იდს შორის ხელშეკრულება შეწყდა ერთი წლის გასვლამდე (ხელშეკრულება დაიდო 2005 წლის 30 მარტს, ხოლო ს. ხ-იდი სამსახურიდან დათხოვნილ იქნა 2006 წლის 21 თებერვალს).

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ს. ხ-იდს შორის დადებული 2005 წლის 30 მარტის ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, არ ითვალისწინებს მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის ერთი წლის გასვლამდე კონტრაქტის მოშლისას პასუხისმგებლობას, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია სარჩელის უარყოფის სამართლებრივ საფუძველად.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ არც პირველმა და არც სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრებასთან დაკავშირებით, სადაც სამინისტრო მიუთითებს, რომ მოთხოვნილი თანხა არის ზიანი, რომელიც კონტრაქტის (ხელშეკრულების) დარღვევიდან გამომდინარე წარმოიშვა და რომლის მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და მოქმედი კანონმდებლობა.

აღნიშნულის საფუძველზე კასატორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს სარჩელის საფუძვლების ანალიზს და თვლის, რომ დავის გადაწყვეტისათვის განსაზღვრელია - სარჩელის საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, რომელზე მითითებასაც შეიცავს დაზუსტებული სასარჩელო განცხადება თუ მოთხოვნა ემყარება მხარეთა შორის 2005 წლის 30 მარტს დადებული ხელშეკრულების შესაბამის ნორმებს, რომელზე მითითებასაც ასევე შეიცავს დაზუსტებული სარჩელი.

მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრა, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მნიშვნელოვნად ცვლის საქმის არსს, რამეთუ სარჩელის საფუძველი განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და უკავშირდება სამართალური თეორიებითა სუბიექტის უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეფასების ნაწილში და თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ს. ხ-იდს შორის 2005 წლის 30 მარტს დადებული ხელშეკრულება მიეკუთვნება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა კატეგორიას. თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ეფუძნება მითითებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, საკასაციო სასამართლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარს მიიჩნევს კანონშესაბამისად და ადასტურებს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველს არ ქმნის ხელშეკრულების 7.3 მუხლი. ხელშეკრულების აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებსა და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს, შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, ასეთ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა, შემდეგი წესით: ა) 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ორი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10000 ლარის ოდენობით; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული ნორმის კონსტრუქციას და თვლის, რომ ანაზღაურების წესი განსაზღვრულია ბოლო აზრით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას ერთ წლამდე სამხედრო სამსახურის შეწყვეტის შემთხვევაში. შესაბამისად, კონტრაქტით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის მოთხოვნის უფლება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმოეშობა ხელშეკრულების დადებიდან 1 წლის შემდეგ. დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და პროცესუალურ მოწინააღმდეგეს შორის ხელშეკრულება შეწყდა 1 წლის გასვლამდე - ხელშეკრულება დადებულია 2005 წლის 30 მარტს და შეწყდა 2006 წლის 21 თებერვალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება არ განსაზღვრავს პასუხისმგებლობას მოსამსახურის მხრიდან ერთი წლის გასვლამდე კონტრაქტის შეწყვეტის პირობებში, რისი გათვალისწინებითაც, საკასაციო სასამართლო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას მიიჩნევს უსაფუძვლოდ და თვლის, რომ არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი წინამძღვრები.

რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნას სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, საკასაციო სასამართლო მოკლებულია ამ თვალსაზრისით მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების კანონიერების შემოწმებას, ვინაიდან აღნიშნული არ ქვეყნის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობისა და შეფასების საგნად.

საკასაციო სასამართლო კვლავ მიუთითებს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების აუცილებლობაზე და თვლის: თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ცალსახად ემყარება სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს, ამ შემთხვევაში სასამართლო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს მითითებული ნორმების არსებულ პირობებში შეფარდების შესაძლებლობა. კერძოდ, ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა იძლევა თუ არა სამართალდარღვევის შემადგენლობის ყველა იმ მახასიათებელ აუცილებელ ელემენტს, როგორცაა მართლსაწინააღმდეგობა, ზიანი და მიზეზობრივი კავშირი. საგულისხმოა, რომ თუ არ არსებობს ზიანი, არ შეიძლება დადგეს ქონებრივი პასუხისმგებლობის

საკითხი, ხოლო ამასთან, ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ კასაციის ძირითად საფუძველს წარმოადგენს სწორედ ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ არ განსაზღვრა და არ იმსჯელა მოთხოვნის სამათლებრივ საფუძველზე, კერძოდ, მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობის თაობაზე, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნოს იმავე სასამართლოში. აქვე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სარჩელის საფუძველი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს დავის განსჯადობას, რაც ასევე უნდა იქცეს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგნად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის II ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სახელმწიფო მოხელის მიერ მიყენებული ზიანისათვის

განჩინება

#ბს-198-187(კ-07) 22 ნოემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 14 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. გ-იანმა მოპასუხეების - შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი უფროსის - ვ. ჯ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხეებისათვის სოლიდარულად მატერიალური ზიანის - 30 000 ლარისა და მორალური ზიანის -10 000 ლარის, სულ -40 000 ლარის დაკისრება.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

1992-1993 წლის ზამთარში ონის რაიონის სოფ. ... დაუდგენელმა პირებმა გაქურდეს მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი და გაიტაცეს ოთხი ძველებური ხალიჩა, რაც სოლიდური თანხის ფასეულობას წარმოადგენდა. აღნიშნული ფაქტის შესახებ მოსარჩელემ გაგებისთანავე შეატყობინა შინაგან საქმეთა სამინისტროს ონის პოლიციის უფროსს ვ. ჯ-ძეს, რომელმაც არ მიიღო დანაშაულის გახსნის მიზნით კანონით გათვალისწინებული ზომები და მიჩქმალა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ქურდობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ 1996 წლის 22 მაისს აღიძრა, რის შედეგადაც ვერ მოხერხდა დამნაშავეების გამოვლენა და დაზარალებულისათვის მისი ნივთების დაბრუნება ან ზიანის ანაზღაურება. ქუთაისის პროკურატურის 2005 წლის 25 თებერვლის დადგენილებაში მიეთითა, რომ ვ. ჯ-ძემ სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად გამოიყენა და განზრახ არ აღძრა საქმე დამნაშავეთა დროულად გამოსავლენად.

მოსარჩელის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ არღვევს თავის მოსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის შემთხვევაში მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით მ. გ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფო პასუხისმგებლობის წესს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლები. სახელმწიფომ ზიანი უნდა აანაზღაუროს იმ ფორმით, წესითა და მოცულობით, რაც სამოქალაქო კოდექსით არის განსაზღვრული. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები - დადასტურებულია ზიანი, მიყენებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით და ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა. ამასთან, აუცილებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფო მოსამსახურის ქმედებასა და დამდგარ შედეგს - მოსარჩელისათვის მატერიალური ზიანის მიყენებას შორის. მოსარჩელეს მატერიალური ზიანი მიადგა ქურდობით - უცხო, მესამე პირების ქმედებით - ხალიჩების მოპარვით და არა სახელმწიფო მოსამსახურის ქმედებით - საგამოძიებო მოქმედების დროულად ჩაუტარებლობით. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ის გარემოება, რომ ზიანი უნდა წარმოადგენდეს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. თუ მოპასუხის უშუალო მოქმედებით არ არის ზიანი გამოწვეული, მისი პასუხისმგებლობა გამორიცხულია. სახელმწიფო ვალდებულია, აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო მოხელის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებასთან. მოპასუხე ვ. ჯ-მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ აღძრულა, ხოლო პირის ბრალეულობა დგინდება მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

მოპასუხეების მიერ ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია არა მარტო მათი ბრალეული ქმედება, არამედ ზიანის გამომწვევი მოქმედებაც. მოსარჩელის ახსნა-განმარტებით, მას ზიანი მიადგა ხალიჩების დაკარგვით, რასთანაც არანაირი კავშირი მოპასუხეებს არ გააჩნიათ. შესაბამისად, მოპასუხეებს არ გააჩნიათ ხალიჩების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება.

სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი ზიანი მიყენებული უნდა იყოს უშუალოდ ადმინისტრაციული ორგანოს სახელმწიფო მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მოსარჩელეს კონკრეტული მატერიალური ზიანი მიადგა პოლიციის უფროსის ქმედებით, მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებასა და ზიანს შორის არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი, რომელიც პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელი პირობაა.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მოსარჩელე ვერ ასაბუთებს და არც საქმის მასალებით დგინდება, რაში გამოიხატება მოსარჩელის მორალური ზიანი, რომელიც მის მიერ შეფასებულია 10 000 ლარად.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ხარჯებისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელები დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სახეზე არ არის მოპასუხეების დანაშაული, რომელიც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით და მოპასუხე არ არის აღიარებული დამნაშავედ, შესაბამისად, ვერ იქნება გამოყენებული აღნიშნული მუხლი და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 38-ე მუხლების შესაბამისად, დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, საქმის განხილვასთან დაკავშირებული სახელმწიფო ბაჟი 1000 ლარის ოდენობით უნდა დაეკისროს მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-იანმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

საქმეში წარმოდგენილია 2005 წლის 25 თებერვლის დადგენილება, რომლითაც დადგენილია, რომ ონის რაიონის შს რაიგანყოფილების უფროსმა ვ. ჯ-მემ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 191-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, თუმცა, რადგან გასული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის «ზ» ქვეპუნქტით უარი ეთქვა სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე და შეწყდა სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, 1999 წლის 4 იანვარს მ. გ-იანი ცნობილი იქნა დაზარალებულად. შესაბამისად, მას, როგორც დაზარალებულს, უფლება აქვს, მოითხოვოს როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანი, რაც მიადგა მოპასუხის დანაშაულებრივი ქმედებით.

სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარყო ზემოაღნიშნული მტკიცებულება, შეფასება არ მისცა სახელმწიფო მოხელის დანაშაულებრივ ქმედებას, რის შედეგადაც

იგი დაზარალებულ პირს წარმოადგენდა და დაასკვნა, რომ არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფო მოსამსახურის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

აპელანტის აზრით, მცდარია სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან ვ. ჯ-ის მიმართ არ აღიძრა სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაბამისად, არ დგინდებოდა მისი ბრალეულობა. აღნიშნული შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობის შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით, აპელანტმა აღნიშნა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ხანდაზმულობის გამო არ ადასტურებდა პირის უდანაშაულობას, აღნიშნული გულისხმობდა მისი სასჯელისაგან გათავისუფლებას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ვადის გასვლის გამო.

გარდა ამისა, აპელანტი არ დაეთანხმა სასამართლოს გადაწყვეტილებას მისთვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში.

აპელანტმა მიუთითა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირს, რომელსაც არ წარუდგენია სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე, უფლება აქვს წარადგინოს იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. მ. გ-იანი ცნობილ იქნა დაზარალებულად ვ. ჯ-ის დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით და სარჩელი წარადგინა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ბაჟით არ იბეგრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით მ. გ-იანის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და მ. გ-იანი გათავისუფლდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივები მდგომარეობს შემდეგში:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინოდად მიიჩნია, რომ 1991-1992 წლების ზამთარში ონის რაიონის სოფ. ... დაუდგენელმა პირებმა გაქურდეს მოქალაქე ნ. ს-ის საცხოვრებელი სახლი, საიდანაც ფარულად გაიტაცეს ოთხი ხალიჩა, ნაბადი და სხვა საოჯახო ნივთები. დადგინოდად იქნა მიჩნეული ისიც, რომ სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ვ. ჯ-ის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. ამავე კოდექსის 992-ე მუხლით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც პირმა მიაყენა სხვა პირს თავისი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით, ანუ ანდა არსებობდეს კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოვალეობის წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ბრალეული ქმედება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა და მიიჩნია, რომ მართებულად არ დაკმაყოფილდა მ. გ-იანის სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან არ დასტურდებოდა მოპასუხის ბრალეული ქმედება, რამაც მოცემულ შემთხვევაში ზიანი გამოიწვია. ამასთან, დაუსაბუთებელი იყო ზიანის ოდენობა, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ წარადგინა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები. დასახელებული გარემოების მტკიცების ტვირთი კი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, სწორედ ამ უკანასკნელს ეკისრებოდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მორალურ ზიანთან დაკავშირებით და აპელანტის აღნიშნული მოთხოვნა, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის შესაბამისად, დაუსაბუთებლად მიიჩნია.

რაც შეეხება აპელანტისათვის 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრებას, ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. გ-იანი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან უნდა გათავისუფლებულიყო და აღნიშნულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში საკასაციო წესით გასაჩივრა მ. გ-იანმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში მითითებული გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივებით:

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა

მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

საქმეში წარმოდგენილია 2005 წლის 25 თებერვლის დადგენილება, რომლითაც დადგენილია, რომ ონის რაიონის შს რაიგანყოფილების უფროსმა ვ. ჯ-მემ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 191-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, თუმცა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის «ზ» ქვეპუნქტით უარი ეთქვა სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე და შეწყდა სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, 1999 წლის 4 იანვარს მ. გ-იანი ცნობილ იქნა დაზარალებულად, რაც მას უფლებას ანიჭებს, მოითხოვოს როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურება. ამის მიუხედავად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა მოპასუხის ბრალეული ქმედება, რამაც მოცემულ შემთხვევაში ზიანი გამოიწვია.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა არ გამომდინარეობდა საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან. ბრალის არარსებობის შემთხვევაში ნ. გ-იანი დაზარალებულად არ ჩაითვლებოდა. მოპასუხე ვ. ჯ-მემ, რომელიც სახელმწიფო მოხელეს წარმოადგენდა, სისხლის სამართლის საქმის არაღძვრით, ჩხრეკის ოქმებისა და საქმის სხვა მასალების გაყალბებით ხელი შეუწყო დამნაშავეებს და დაფარა დანაშაულის კვალი. მისი ბრალის გამო არ გაიხსნა დანაშაული და ვერ გამოვლინდნენ დამნაშავეები, შესაბამისად, მოსარჩელემ, რომელიც 10 წლის განმავლობაში ცდილობდა სიმართლის დადგენას, საჭირო შედეგს ვერ მიაღწია. საბოლოოდ, დადგინდა მოპასუხის დანაშაულებრივი ქმედება, თუმცა მას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია, რამდენადაც დამნაშავეს მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენს და სასამართლოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს სარჩელი.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სრულიად დაუსაბუთებელია. იგი არ შეიცავს მითითებას იმის შესახებ, თუ რატომ არ მიიჩნევს სასამართლო სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე უარის თქმისა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ 2005 წლის 25 თებერვლის დადგენილებას მტკიცებულებად და დაზარალებულად ცნობის დადგენილებას მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების საფუძველად.

რაც შეეხება ზიანის ოდენობას, კასატორი მიიჩნევს, რომ მოპარული ნივთების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და მოპასუხის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ოდენობის განსაზღვრელი მტკიცებულებების წარდგენა შეუძლებელია და ისინი სასამართლომ თვითონვე უნდა დაადგინოს გონივრულ ფარგლებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრების საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-იანის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1991-1992 წლების ზამთარში, ონის რაიონის სოფ. ... ნ. ს-ძის საცხოვრებელი სახლიდან ფარულად გატაცებულ იქნა ოთხი ძველებური ხალიჩა, ნაბადი და სხვა საოჯახო ნივთები, რაც შს რაიგანყოფილებას ეცნობა 1992 წლის აპრილში ნ. ს-ძის ქალიშვილის -მ. გ-იანის მიერ. სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე უარის თქმისა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ 2005 წლის 25 თებერვლის დადგენილებით დადგენილია, რომ ვ. ჯ-მემ, რომელიც ამ დროს ონის შს რაიონული განყოფილების უფროსად მუშაობდა, სახელმწიფო აღრიცხვაზე არ დააყენა მომხდარი დანაშაული, არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და არ აწარმოა დანაშაულის გახსნის მიზნით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებები. სისხლის სამართლის საქმე აღნიშნულ ფაქტზე აღძრა მხოლოდ 1996 წლის 22 მაისს.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის -30 000 აშშ დოლარისა და მორალური ზიანის -10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოპასუხეთათვის დაკისრებას. მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად: «თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს». აღნიშნული ნორმის სწორად შეფარდებისათვის გადამწყვეტია თანამდებობის პირის მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრიობის პირდაპირი, უშუალო ჯაჭვის არსებობა: დამდგარი ზიანი გამოწვეული უნდა იყოს სწორედ იმის შედეგად, რომ თანამდებობის პირმა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა არ შეასრულა. 2005 წლის 25 თებერვლის სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის შესახებ დადგენილებით დადგენილია, რომ ვ. ჯ-ძის მიერ დროულად არ იქნა უზრუნველყოფილი სისხლის

სამართლის საქმის აღძვრა, რითაც დაირღვა კასატორის უფლება ეფექტურ გამოძიებაზე. მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებისა, საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასება არ იძლევა იმ დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ სისხლის სამართლის საქმის დაუყოვნებლივ აღძვრას აუცილებლად მოჰყვებოდა დანაშაულის გახსნა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ თავად შს რაიგანყოფილების ინფორმირება დანაშაულის ფაქტის თაობაზე მ. გ-იანმა შესძლო არა დაუყოვნებლივ, არამედ დანაშაულის ჩადენიდან სავაი დროის გასვლის შემდეგ. ამასთან, კიდევ რომ მომხდარიყო სისხლის სამართლის საქმის დაუყოვნებლივ აღძვრა, გაიხსნებოდა თუ არა რეალურად დანაშაული, თავის მხრივ, ასევე სააღბათოა. მეტიც, დანაშაულის გახსნის შემთხვევაშიც კი ალბათობის შემცველია, მოხდებოდა თუ არა დამნაშავისაგან გატაცებული ნივთების უკან დაბრუნება ან აღნიშნული ნივთების ღირებულების ეკვივალენტი თანხის ამოღება. შესაბამისად, არ არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი კასატორის მიერ ნივთების დაკარგვით გამოწვეულ მატერიალურ ზარალსა და სისხლის სამართლის საქმის დროულად არააღძვრას შორის. ამასთან, ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც სავარაუდო კავშირი საკმარის ობიექტურ საფუძველად ვერ გამოდგება სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კასატორის უფლება შეილახა სისხლის სამართლის საქმის არათავისდროული აღძვრით, იმავდროულად, საქმის გარემოებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე, არ დგინდება აღნიშნული უფლების დარღვევის შედეგად რეალურად განცდილი მატერიალური ზიანი. სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად კი, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლითა და 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შემადგენლობა.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ასეთი შემთხვევები კი მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილსა და 413-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომელიც მოსარჩელის მიერ მითითებულ ზემოაღნიშნულ შემთხვევას არ მოიცავს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არსებითად სწორია და იგი უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. გ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სახელმწიფო მოხელის მიერ მიყენებული ზიანისათვის

განჩინება

#ბს-1025-978(კ-06) 22 ნოემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 11 ოქტომბერს თერჯოლის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა თ. რ-მემ მოპასუხე თ. ი-მის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მატერიალური ზიანის -5000 აშშ დოლარისა და მორალური ზიანის -3000 აშშ დოლარის ანაზღაურება.

სარჩელის საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

2004 წლის 4 ოქტომბერს თერჯოლის რაიონის სოფელ ... თ. რ-მის საცხოვრებელი სახლიდან გაიტაცეს ოჯახის კუთვნილი ოქროს ნივთები, რის შესახებაც მოსარჩელემ იმავე დღესვე შეატყობინა თერჯოლის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ ნათესავს -მ. ს-ძეს, რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ აცნობა თერჯოლის შს რაიგანყოფილების კრიმინალური განყოფილების უფროსს თ. ი-ძეს. ამ უკანასკნელმა შესაბამისი ოქმის გაფორმების გარეშე მოახდინა შემთხვევის ადგილის დათვალიერება თერჯოლის შს რაიონული განყოფილების ექსპერტ-კრიმინალისტ გ. ა-ძესა და პოლიციის ორ თანამშრომელთან ერთად. თ. ი-ძემ მიიჩნია, რომ დანაშაული ვერ გაიხსნებოდა, რის გამოც იგი სათანადო წესით არ აღრიცხა, არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, არ შეადგინა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებითა და მოსარჩელის ოჯახის წევრების ზეპირი გამოკითხვით დაკმაყოფილდა.

2004 წლის 6 დეკემბერს მოსარჩელემ განმეორებით განცხადებით მიმართა თერჯოლის შს რაიონულ განყოფილებას, რის შემდეგაც იმავე წლის 8 დეკემბერს აღძრა სისხლის სამართლის საქმე ოქროს ნივთების ქურდობის ფაქტზე. თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 31 აგვისტოს განაჩენით თ. ი-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახით განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა გამოსაცდელი ვადით. თ. ი-მის უკანონო მოქმედებამ გამოიწვია ერთადერთ ნივთიერ მტკიცებულებაზე არსებული დანაშაულის კვალის (თითის ანაბეჭდის) განადგურება, რამაც საბოლოოდ ხელი შეუწყო დამნაშავე პირის დაუდგენლობას. აღნიშნული დასტურდება 2005 წლის 27 ივნისის ექსპერტის დასკვნით, რომელშიც მითითებულია, რომ გამოსაკვლევად წარდგენილ ჩაიდანის სახურავის ზედაპირზე აღინიშნებოდა დვრილოვანი ხაზების ვერცხლისფრად შეღებილი კვალი, მცირე ნაწყვეტების სახით, რომელიც პიროვნების იდენტიფიკაციისათვის უვარგისი იყო. წინასწარი გამოძიების პროცესში სავალდებულო წესით უნდა დანიშნულიყო დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა, შედეგად მიიღებოდა თითის გარკვეული ფორმა, რაც იქნებოდა ერთ-ერთი მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმეზე.

მოსარჩელის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, თუ პირი სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი ადგენს სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესს, აღნიშნული ნორმის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანი, რომელიც პირს მიადგა სამართალწარმოების ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელ ქმედებათა შედეგად. ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად აგებს პასუხს.

რაიონული სასამართლოში საქმის განხილვისას 2006 წლის 13 იანვრის სასამართლოს სხდომაზე საქმეში თანამოპასუხედ ჩაება შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო თანამოსარჩელედ -ნ. ს-ძე და საქმის წარმოება წარიმართა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით თ. რ-მისა და ნ. ს-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს. მოსარჩელები მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველად მიიჩნევენ თ. ი-მის მიმართ 2005 წლის 31 აგვისტოს დადგენილ განაჩენს, რომლის თანახმად, თ. ი-ძე მსჯავრდებულია სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით, მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით და 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომ თავისი არაკომპეტენტურობის დაფარვის, კარიერიზმისა და სამსახურებრივი საქმიანობის შელამაზების მიზნით საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ მიჩქმალა და სახელმწიფო აღრიცხვაზე არ აიყვანა თ. რ-მის საცხოვრებელ სახლში მომხდარი ქურდობის ფაქტი, რითაც გამოიწვია დაზარალებულ თ. რ-მის კანონიერი უფლებების არსებითი დარღვევა.

სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული განაჩენი ვერ გახდებოდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან განაჩენით დადგენილია დაზარალებულ თ. რ-მის კანონიერი უფლების არსებითი დარღვევა და არაა გადაწყვეტილი დაზარალებულ თ. რ-ძეზე ზარალის მიყენების საკითხი. მოსარჩელე ვალდებულია ამტკიცოს თ. ი-მის ქმედებით, მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებით, რისთვისაც იგი მსჯავრდებულია, რა მატერიალური და მორალური ზიანი მიადგა, ასეთს კი ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურება ეკისრება პირს იმ შემთხვევაში, თუ იგი სხვა პირს განზრახ ან გაუფრთხილებლობით მართლსაწინააღმდეგოდ მიაყენებს ზიანს. აქედან გამომდინარე, მოპასუხეებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოემოზოდათ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მიერ დასაბუთებული იქნებოდა ზიანის ფაქტი და ოდენობა, დადგინდებოდა, რომ ზიანი მიყენებულ იქნა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მათ შორის არსებობდა მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღოდა ბრალი. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდებოდა, რომ თ. ი-მის საქმეზე დაზარალებულად ცნობილია მხოლოდ თ. რ-ძე და რომ მას მიადგა მორალური ზიანი.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში. ამავე კოდექსის

მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მოსარჩელებს წარმოეშობათ პირის მიერ ბრალეული მოქმედებით გამოწვეული დარღვევის შემთხვევაში.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმეზე დადგენილია, რომ თ. რ-ის საცხოვრებელ სახლში მომხდარი ქურდობის შედეგად მოსარჩელებმა მიიღეს მატერიალური ზიანი, ე.ი. ზიანის უშუალო გამომწვევი მიზეზია მომხდარი ქურდობის ფაქტი და არა მოპასუხე თ. ი-ის ბრალეული ქმედება, შესაბამისად, არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი თ. ი-ის ბრალეულ ქმედებასა და მოსარჩელისათვის მიყენებულ მატერიალურ და მორალურ ზიანს შორის.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა თ. რ-ისა და ნ. ს-ის მიერ. აპელანტებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ასეთს მიეკუთვნება ფაქტები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ი-ის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით თ. რ-ძეს მიადგა მორალური ზიანი, ვინაიდან იგი თ. ი-ის საქმეზე დაზარალებულად არის ცნობილი. სასამართლომ დაადგინა თ. რ-ის კანონიერი უფლების არსებითი დარღვევა, თუმცა იმავდროულად გადაწყვეტილება მიიღო კანონის დარღვევით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 19 სექტემბრის განჩინებით თ. რ-ისა და ნ. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურება ეკისრება პირს იმ შემთხვევაში, თუ იგი სხვა პირს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მართლსაწინააღმდეგოდ მიაყენებს ზიანს. დელიქტის დროს ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომელი ვალდებულების ძალითაც დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ზიანის მიმყენებლისაგან. იმისათვის, რომ პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისროს, უნდა არსებობდეს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები: უნდა არსებობდეს ზიანი, მიყენებული მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღოდეს ბრალი. მხოლოდ ამ პირობების ერთობლიობა წარმოადგენს იურიდიულ შემაღებლობას, ე.წ. «გენერალურ დელიქტს».

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ სახეზე იყო მოსარჩელებზე მიყენებული ზიანი, ზიანი მიყენებული იყო მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებით, გამოძიებით დაუდგენელი პირების მიერ, ანუ ზიანი, რომლის ანაზღაურებასაც მოპასუხეებისაგან ითხოვდნენ აპელანტები, დადგა არა სახელმწიფო მოსამსახურის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, არამედ კონკრეტული ბოროტმოქმედი პირების ქმედებით, რომელთა ვინაობაც გამოძიებით დაუდგენელი იყო. რაც შეეხებოდა ფაქტობრივ გარემოებას, რომ პოლიციის ყოფილმა თანამშრომელმა თ. ი-მემ დროულად არ დააყენა აღრიცხვაზე დანაშაული, აღნიშნულს არ გამოუწვევია ის ზიანი, რომლის ანაზღაურებასაც ითხოვდნენ აპელანტები, ანუ ზიანი დადგა ბინის ქურდობის შედეგად, ხოლო თ. ი-ის შემდეგი ქმედება მიმართული იყო მხოლოდ დანაშაულის დაფარვისაკენ. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მართლსაწინააღმდეგოდ ქმედებასა და ზიანს შორის არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიყენებაში თ. ი-ძეს ბრალი არ მიუძღოდა. შესაბამისად, უსაფუძვლო იყო აპელანტების მოთხოვნა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ. რ-მემ და ნ. ს-მემ. კასატორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორთა განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, თუ პირი სხვა პირს მართლსაწინააღმდეგოდ, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. თ. ი-მემ განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედების შედეგად ზიანი მიაყენა სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, რითაც, ფაქტობრივად, პირველად ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში დაშვებული შეცდომების გამოსწორება განმეორებით ან დამატებით დათვალიერების ჩატარებით შეუძლებელი გახდა. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით დადგენილია, რომ სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას. აქვე აღნიშნულია, რომ უკანონო და დაუსაბუთებელ საპროცესო მოქმედების შედეგად დაზარალებულისათვის მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება უზრუნველყოფილია, განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად აგებს პასუხს. სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის თანახმად, პირი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი

მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აღნიშნულიდან გამომდინარე, თ. ი-მე იმყოფებოდა რა თერჯოლის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსის თანამდებობაზე, 2004 წლის 4 ოქტომბერს თერჯოლის რაიონის სოფელ ბარდისუბანში კასატორების საცხოვრებელი სახლის გაქურდვის ფაქტთან დაკავშირებით, თავისი არაკომპეტენტურობის დაფარვის, კარიერიზმისა და სამსახურებრივი მაჩვენებლების შელამაზების მიზნით, მიჩქმალა და აღრიცხვაზე არ დააყენა მომხდარი დანაშაული, რის გამოც არ შეადგინა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, არ დანიშნა კანონით სავალდებულო ექსპერტიზა, ნივთმტკიცებაზე წაშალა ხელის თითის კვალი და დაფარა დანაშაული, არ დაკითხა სათანადო პირები და არ ჩაატარა მთელი რიგი თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედებები, რითაც კასატორებს მიაყენა ქონებრივი და მორალური ზიანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ასეთს მიეკუთვნება ფაქტები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი.

კასატორების მითითებით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ი-მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით თ. რ-მეს მიაღდა მორალური ზიანი, ვინაიდან იგი თ. ი-მის საქმეზე დაზარალებულად არის ცნობილი. სასამართლომ დაადგინა თ. რ-მის კანონიერი უფლების არსებითი დარღვევა, თუმცა გადაწყვეტილება მიიღო კანონის დარღვევით. სასამართლოში დაიკითხა მოწმეები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მოსარჩელებმა მიიღეს მატერიალური და მორალური ზიანი, მაგრამ სასამართლო თავის მხრივ არ ასაბუთებს, რატომ არ გაიზიარა მოწმეთა ჩვენებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ თ. რ-მისა და ნ. ს-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2004 წლის 4 ოქტომბერს თ. რ-მისა და ნ. ს-მის საცხოვრებელი სახლიდან დაიკარგა ოჯახის კუთვნილი ოქროს ნივთები, რაც თ. რ-მემ შს რაიგანყოფილებას აცნობა მომდევნო დღესვე. თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 31 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ თ. ი-მემ, რომელიც ამ დროს თერჯოლის შს რაიონული განყოფილების კრიმინალური განყოფილების უფროსად მუშაობდა, მოახდინა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, მიიჩნია, რომ დანაშაული ვერ გაიხსნებოდა და სამსახურებრივი საქმიანობის მაჩვენებლების შელამაზების მიზნით განიზრახა, მიეჩქმალა და სახელმწიფო აღრიცხვაზე არ დაეყენებინა მომხდარი დანაშაული, რის გამოც არ შეადგინა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, არ უზრუნველყო თ. რ-მისა და მისი ოჯახის წევრების გამოკითხვის შედეგების სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების შესაბამისად დაფიქსირება. მანვე განზრახ თავი აარიდა დანაშაულის შესახებ ზეპირი განაცხადის მიღების ოქმის შედგენას, შს თერჯოლის რაიონული განყოფილების სამორიგეო ნაწილის სათანადო სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციას და არ შეასრულა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მთელი რიგი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები.

სისხლის სამართლის საქმე აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა მხოლოდ 2004 წლის 8 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც თ. რ-მემ შეიტყო, რომ მისი საცხოვრებელი სახლის გაქურდვის ფაქტზე თ. ი-მის მხრიდან კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები არ გატარებულა, დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა და 2004 წლის 6 დეკემბერს განმეორებით მიმართა შს რაიგანყოფილებას.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები ითხოვენ მატერიალური ზიანის სახით დაკარგული ნივთების ღირებულების -5000 აშშ დოლარისა და მორალური ზიანის -3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოპასუხეთათვის დაკისრებას. მატერიალური ზიანის სახით მოსარჩელები ითხოვენ დაკარგული ნივთების ღირებულების ანაზღაურებას. რაც შეეხება მორალურ ზიანს, აღნიშნულს მოსარჩელები ითხოვენ, როგორც გამოძიების დროულად ჩაუტარებლობით მიყენებულ ზიანს. მოსარჩელეთა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, «თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს». აღნიშნული ნორმის სწორად შეფარდებისათვის გადამწყვეტია თანამდებობის პირის მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრიობის პირდაპირი, უშუალო ჯაჭვის არსებობა: დამდგარი ზიანი გამოწვეული უნდა იყოს სწორედ იმის შედეგად, რომ თანამდებობის პირმა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა არ შეასრულა.

კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ თ. ი-ძის უმოქმედობის შედეგად დროულად არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რითაც დაირღვა კასატორების უფლება ეფექტურ გამოძიებაზე. მიუხედავად უდავოდ დადგენილი ზემოაღნიშნული გარემოებისა, საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასება არ იძლევა იმ დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ თ. ი-ძის მიერ სისხლის სამართლის საქმის დაუყოვნებლივ აღძვრას აუცილებლად მოჰყვებოდა დანაშაულის გახსნა. საქმის მასალებით არ დგინდება, თავიდანვე იყო თუ არა ნივთმტკიცებაზე -ჩაიდანზე კვალი სრულყოფილი დაქტილო-საკოპიური ექსპერტიზის ჩატარებისათვის ვარგის მდგომარეობაში, ამასთან, კიდევ რომ მომხდარიყო ექსპერტიზის მიერ თითის ანაბეჭდის იდენტიფიკაცია, გაიხსნებოდა თუ არა რეალურად დანაშაული, თავის მხრივ, ასევე, სააღბათოა. მეტიც, დანაშაულის გახსნის შემთხვევაშიც კი ალბათობის შემცველია, მოხდებოდა თუ არა დამნაშავისაგან მოსარჩელეთა გატაცებული ნივთების უკან დაბრუნება ან აღნიშნული ნივთების ღირებულების ეკვივალენტური თანხის ამოღება. შესაბამისად, არ არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი კასატორების მიერ ნივთების დაკარგვით გამოწვეულ მატერიალურ ზარალსა და სისხლის სამართლის საქმის დროულად არაღძვრას შორის. ამასთან, ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც სავარაუდო კავშირი საკმარის ობიექტურ საფუძველად ვერ გამოდგება სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ კასატორთა უფლებები შეილახა სისხლის სამართლის საქმის არათავისდროული აღძვრით, იმავდროულად, საქმის გარემოებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე, არ დგინდება აღნიშნული უფლების დარღვევის შედეგად რეალურად განცდილი მატერიალური ზიანი. სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად კი, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლითა და 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შემადგენლობა.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ასეთი შემთხვევები კი მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილსა და 413-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომლებიც მოსარჩელეთა მითითებულ ზემოაღნიშნულ შემთხვევას არ მოიცავს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია და იგი უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. თ. რ-ძისა და ნ. ს-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 19 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სახელმწიფო მოხელის მიერ მიყენებული ზიანისათვის განჩინება

#ბს-860-822(კ-07)

15 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წევლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გამოარკვია:

ა. ლ-აიამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხის -ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ზიანის ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე 2005 წლის 16 ივლისს საკუთარი ავტომობილი «მერსედეს-ბენცი»-მ, მოძრაობდა თბილისი -მცხეთის მიმართულებით, რა დროსაც დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კილომეტრზე, სავალი გზის საფარის დაზიანების გამაფრთხილებელი ნიშნის არარსებობის გამო, მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, დაზიანდა მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა. მან გამოიძახა საპატრულო პოლიცია, შედგა შეტყობინება საპატრულო პოლიციის უფროსის და მერიის მორიგის სახელზე.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

მოსარჩელის ავტომანქანის დაზიანების გამო, შპს «საქექსპერტიზის» მიერ ჩატარდა ექსპერტიზა, რომელმაც დაადგინა მიყენებული ზიანის -454 ლარის ოდენობა. მოსარჩელემ მიმართა ქ. თბილისის მერს, რათა კეთილმოწყობის სამსახურს მისთვის ანაზღაურებინა მიყენებული ზიანი. მოპასუხემ - თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა, ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით, განცხადება გადაუგზავნა ვაკე-საბურთალოს გამგეობას იმ მოტივით, რომ საქალაქო სამსახური აწარმოებდა გზების კაპიტალურ შეკეთებას, ხოლო სავალი ნაწილის ორმოების მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს ახორციელებდნენ ქალაქის შესაბამისი რაიონული სამსახურები. ამავე სამსახურის უფროსმა წერილობით პასუხში აღნიშნა, რომ საკითხის გადაწყვეტა სამსახურის კომპეტენციას არ განეკუთვნებოდა. აღნიშნულის გამო, მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა ქ. თბილისის მერიას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, თუ ვის კომპეტენციას განეკუთვნებოდა ზიანის ანაზღაურება.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ზიანი გამოწვეული იყო მოპასუხის ბრალეული ქმედებით, კერძოდ, საქალაქო სამსახურის შესახებ დებულების მე-3 მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მოპასუხის კომპეტენციას მიეკუთვნებოდა ქალაქის განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ამას გარდა, მოპასუხის ვალდებულებას წარმოადგენდა დაზიანებული საავტომობილო გზის მოვლა-პატრონობა. მოსარჩელის აზრით, არსებობდა მიზეზობრივი კავშირი მომხდარ შემთხვევასა და მოპასუხის ქმედებას შორის, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა ზიანის ანაზღაურების დაკისრება ქ. თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურისათვის.

ამასთან, მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა, მოპასუხეს დაკისრებოდა გადაადგილებისას ტრანსპორტში გაწეული ხარჯების -200 ლარისა და ადვოკატისთვის გადახდილი თანხის -200 ლარის ანაზღაურება. საბოლოოდ, მოსარჩელემ მოითხოვა მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 954 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ლ-აიას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 454 ლარის გადახდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე ა. ლ-აიამ თბილისი-მცხეთის მიმართულებით, აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კილომეტრზე, მოძრაობისას დაზიანა კუთვნილი ავტომანქანა «მერსედეს-ბენცი». ავტომანქანის დაზიანების მიზეზი გახდა საავტომობილო გზის საფარის დაზიანება. აღნიშნული გარემოება დადასტურდა მოსარჩელის ახსნა-განმარტებით, პატრულ-ინსპექტორ დ. მ-შვილის ჩვენებით, საპატრულო ინსპექციასა და ქ. თბილისის მერიის სამორიგეოში არსებული შეტყობინებით. ასევე, მოწმის ჩვენებით, მოსარჩელის განმარტებით და წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით -შპს «საქექსპერტიზის» მიერ შედგენილი ექსპერტიზის #1213 აქტით დადგინდა, რომ ა. ლ-აიას კუთვნილ ავტომანქანას დაუზიანდა ორი საბურავი ალუმინის დისკით. საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მიერ მიყენებული ზარალის შეფასება 454 ლარად, ვინაიდან აღნიშნული დადასტურდა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით, ხოლო მოპასუხის მიერ აღნიშნულის გამაბათილებელი რაიმე მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 10 ოქტომბრის #66 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დებულების 2.1. «გ», «დ» და «ვ» მუხლი და განმარტა, რომ ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ფუნქციებს მიეკუთვნებოდა ქ. თბილისის გარე განათების უზრუნველყოფა, შიდა სარგებლობის გზების შეკეთება და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა, საგზაო ნიშნების მოწესრიგება. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულება არ შეასრულა, რასაც შედეგად მოჰყვა მოქალაქისათვის ზიანის მიყენება. ამდენად, არსებობდა სსკ-ის 992-

ე მუხლით დადგენილი ზიანის ანაზღაურების წინაპირობები, რაც გამოიხატა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაში და ზიანის გამომწვევ უშუალო მიზეზს წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლოს დასკვნით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208.2 მუხლის თანახმად, ადგილობრივი ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას პასუხისმგებელი იყო თვით ადგილობრივი მმართველობის ორგანო. აღნიშნული მსჯელობის თანახმად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მოპასუხის უმოქმედობით მოსარჩელისათვის 454 ლარის ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტი. რაც შეეხებოდა მოსარჩელის მიერ ტრანსპორტირებისას გაწეულ ხარჯებს -250 ლარს, აღნიშნული გარემოება მოსარჩელის მიერ სათანადო მტკიცებულებებით დადასტურებული ვერ იქნა. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად კი თითოეული მხარე ვალდებული იყო, დაედასტურებინა ის გარემოებები, რაზეც ამყარებდა თავის სასარჩელო მოთხოვნას. ამდენად, სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელის მოთხოვნა 450 ლარის ანაზღაურების ნაწილში დაუსაბუთებელი იყო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა, გადაწყვეტილება მიღებულია საპროცესო ნორმების დარღვევით. ამასთან, საქალაქო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2, 249.4, სამოქალაქო კოდექსის 412-ე-992-ე და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208.2 მუხლის მოთხოვნები.

აპელანტის განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოება არ შეიძლება ჩათვლილიყო დადგენილად, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, კერძოდ, პატრულის მიერ შემთხვევის ადგილზე შედგენილი 2006 წლის 16 ივლისის ოქმი ა. ლ-აიას კუთვნილი ავტომანქანის «მერსედეს-ბენცის» დაზიანების შესახებ. მის ნაცვლად საქმის მასალებში წარმოდგენილი იყო 2005 წლის 28 ივლისით დათარიღებული სამორიგეო-საინფორმაციო განყოფილების უფროსის ხელმოწერილი უსათაურო ფურცელი, რომელსაც არ ჰქონდა შესაბამისი ბეჭედი, ასევე არ იყო მითითებული ავტომანქანის დაზიანების შესახებ. ამდენად, საქმეში არ არსებობდა შესაბამისი მტკიცებულება აღნიშნული ფაქტის უტყუარობის დასადგენად. ამასთან, სასამართლომ დადგენილად ცნო შპს «საქქესპერტის» მიერ 7 დღის დაგვიანებით შედგენილი ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც არ შეიძლება დადგენილიყო 2005 წლის 16 ივლისს მომხდარი შემთხვევის შედეგად აღნიშნული ავტომანქანის დაზიანების ხარისხის უტყუარობა, რამდენადაც 7 დღის მანძილზე შესაძლებელი იყო, ა. ლ-აიას ავტომანქანა სულ სხვა ვითარებაში და სხვა მიზეზით დაეზიანებინა.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ლ-აიას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი და განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი შეიქმნებოდა მაშინ, როცა საქმეზე დადგინდებოდა დამდგარი ზიანის ოდენობა, მისი გამომწვევი უშუალო მიზეზი, ასევე, მოპასუხის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობა დამდგარ ზიანთან მიმართებაში. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ექსპერტის დასკვნა არის მტკიცებულების ერთ-ერთი სახე, რომელმაც დაადგინა, რომ ავტომანქანის დაზიანებით მიყენებული ზარალი შეადგენდა 454 ლარს, მაგრამ ექსპერტიზას არ დაუდგენია, თუ რა იყო საბურავების დაზიანების მიზეზი, ასევე, შეეძლო თუ არა გზის საფარს, მიყენებინა ანალოგიური სახის დაზიანებები მოცემული სახით საბურავებისა და ალუმინის დისკებისათვის. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ მოსარჩელემ ნივთიერ მტკიცებულებათა სახით დაზიანებული დისკები და საბურავები ვერ წარადგინა. საქმეში არსებული მასალებით ასევე შეუძლებელი იყო მოსარჩელე ა. ლ-აიას ბრალულობის ხარისხის დადგენა მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში. გზის საფარის აღდგენის გამო, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, ექსპერიმენტის ჩატარების გზით დაედგინა, თუ რა სიჩქარით მოძრაობდა მოსარჩელე და ხომ არ აჭარბებდა მოძრაობის დროს სიჩქარის დასაშვებ ზომას.

ზემოაღნიშნული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო სახელმწიფოს ან მისი მოსამსახურის მიერ განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის არსებობა დამდგარ ზიანთან მიმართებაში, რაც საქმეში არსებული მასალებით არ დადასტურებულა.

სააპელაციო პალატამ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოში სატრანსპორტო გზების მდგომარეობა გასული წლების პერიოდში არ შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს და წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა დაზიანებული გზების შეკეთება. სააპელაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ, მიუხედავად კანონმდებლობის ცხადი პოზიციისა, რომ სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის უნდა არსებულიყო განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დადასტურდა, სახელმწიფოს განვითარების ამ

ეტაზე, როდესაც მიმდინარეობს სახელმწიფო როლის განმტკიცება, მისი ვალდებულებების რეალურად განხორციელება, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია გარდამავალი პერიოდისათვის, მიზანშეუწონელი იყო, საავტომობილო გზების დაზიანების გამო, მოქალაქეებისათვის დამდგარი ზიანის ანაზღაურების სახელმწიფოსათვის დაკისრება. აღნიშნული საკითხის სახელმწიფოს საზიანოდ გადაწყვეტა აუცილებლად გამოიწვევდა წინამდებარე სახის დავების დიდი რაოდენობით გაზრდას, აღნიშნული მილიონობით ავტომანქანების მოძრაობის დროს სარსებით რეალური იყო, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს სავალალო მდგომარეობაში ჩააგდებდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ლ-აიამ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება, შემდეგი მოტივით:

კასაციის მიზეზი:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი და გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული. სააპელაციო სასამართლომ სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის გამოც მიღებულ იქნა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანი, რომელზეც ვრცელდება ანაზღაურების მოვალეობა, ანუ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208.2 მუხლით, თანამდებობის პირის ან სამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. კასატორი მიიჩნევს, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ სწორად დადგინდა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და მასზე სამართლიანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომელიც ექვემდებარებოდა ძალაში დატოვებას.

საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინებით ა. ლ-აიას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. «გ» პუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია/.

მოწინააღმდეგე მხარეს შესაგებელი საკასაციო საჩივარზე არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ა. ლ-აიას საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეულია სსსკ-ის 393.2 და 394 «ე¹» მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ დავის გადაწყვეტისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება, კერძოდ, სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის, კერძოდ, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ სახელმწიფო მოსამსახურის ბრალეული ქმედება /განზრახვა ან გაუფრთხილებლობა/ დადგენილი არის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. აღნიშნულიდან გამომდინარე მოცემულ დავაში არ არსებობს მითითებული სამართლის ნორმის გამოყენების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობა.

საკასაციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის 42.9. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასათვის გარანტირებულია.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა უფლება-მოვალეობები რეგლამენტირებულია რა სპეციალური კანონმდებლობით, კერძოდ, «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» კანონით, «საქართველოს დედაქალაქის -ქ. თბილისის შესახებ» კანონით, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრა მმართველობის ორგანოების ტერიტორიული იურისდიქციის შესაბამისი კომპეტენცია მმართველობის სფეროში, რომელიც რეალიზებულ უნდა იქნეს, როგორც მოქალაქეთა განცხადებების, ასევე, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით, იქედან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამოწვევის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლი/.

აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 10.10 #66 ბრძანებით დამტკიცებული თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დებულების პირველი პუნქტის «გ», «დ» და «ვ» ქვეპუნქტების მიხედვით, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ფუნქციებს მიეკუთვნება თბილისის გარეგანათების უზრუნველყოფა, შიდა სარგებლობის გზების შეკეთება და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა, საგზაო ნიშნების მოწესრიგება. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ ობიექტურად და სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს იყო თუ არა საგზაო შემთხვევის ადგილზე მოპასუხის მიერ მითითებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება უზრუნველყოფილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონით დადგენილი საჯარო ვალდებულება თავის თავში მოიცავს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში მოთხოვნის უფლებას, რომლის რეალიზაციის სამართლებრივ-პროცესუალურ ფორმას სწორედ სარჩელი წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ბრალის არსებობის გარეშეც. ამდენად, საქმის განხილვისას სასამართლომ უნდა შეაფასოს, საჯარო ვალდებულება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ იქნა თუ არა ჯეროვნად შესრულებული, შეუსრულებლობის შემთხვევაში იყო თუ არა პრევენციული ზომები (გამაფრთხილებელი ნიშნები) მიღებული, რათა თავიდან აცილებული ყოფილიყო საგზაო შემთხვევები.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის) უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვალდებულების მითითებული სამართალი აწესრიგებს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება. ვალდებულებითი ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობაა, ამასთან, იგი განსხვავდება საჯარო სამართალში არსებული ვალდებულებისაგან, სამოქალაქო კოდექსის 317.1. მუხლი ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად მიიჩნევს როგორც ხელშეკრულებას, ასევე, დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძველებს.

საკასაციო სასამართლო სრულად კანონშეუსაბამოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის განმარტებას შემდეგზე, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია სახელმწიფო ან მისი მოსამსახურის მიერ ადგილი ჰქონდეს განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას და რომ აღნიშნული გამომდინარეობს სახელმწიფოს როლის გაზრდისა და სულ უფრო ყოვლისმომცველი ხასიათის დამკვიდრებიდან, ასევე, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სახელმწიფოს ნებაზე პრიორიტეტულად აქციოს ინფრასტრუქტურის აღდგენა, რისთვისაც ასეულობით მილიონი ლარი არის გამოყოფილი საავტომობილო გზების შეკეთებისათვის და ახალი გზების დასაგებად, რომ სახელმწიფოს ცხოვრების ამ ეტაპზე, როდესაც მიმდინარეობს სახელმწიფოს როლის განმტკიცება, მისი ვალდებულების რეალურად განხორციელება, მიზანშეუწონელია სახელმწიფოს დაეკისროს გზების დაზიანების გამო მოქალაქეთათვის ზიანის ანაზღაურება და რომ ამ საკითხს სახელმწიფოს საზიანოდ გადაწყვეტა აუცილებლად გამოიწვევს მსგავსი დავების დიდი რაოდენობით გაზრდას, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს სავალალო მდგომარეობაში ჩააგდებს, არაფერი აქვს საერთო ობიექტურ, მიუკერძოებელ და სამართლიან მართლმსაჯულებასთან, რაც საქართველოს მოქალაქეთათვის გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით.

ზემოთითებული მსჯელობა ადასტურებს, რომ სასამართლომ დავა გადაწყვიტა არა საქმის ფაქტობრივი მასალების ობიექტური შეფასების საფუძველზე, არამედ მიზანშეწონილებიდან გამომდინარე, რაც სრულ წინააღმდეგობაშია მართლმსაჯულების პრინციპებთან.

სასამართლო აქტებში სახელმწიფო პრიორიტეტების, საბიუჯეტო ასიგნებების, სახელმწიფოს საზიანოდ დავების გაზრდის პრევენცია და ბიუჯეტის სავალალო მდგომარეობაში აღმოჩენის პერსპექტივაზე დეკლარირებული სახის მსჯელობა გამორიცხავს სასამართლოს, როგორც მიუკერძოებელ და ობიექტური არბიტრის როლის, როგორც სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური ფუნქციის - სასამართლო კონტროლის სრულფასოვან განხორციელებას აღმასრულებელი ხელისუფლების და თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებებზე, მოქმედებებზე და ა. შ.

სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია უტყუარ მტკიცებულებად საქმეში მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, რადგან სასამართლოს მოსაზრებით, ექსპერტიზას არ დაუდგენია თუ რა იყო საბურავების დაზიანების მიზეზი, შეეძლო თუ არა გზის საფარს მიეყენებინა ანალოგიური სახის დაზიანებები მოცემული სახით საბურავებსა და ალუმინის დისკებისათვის, აქვე, სასამართლო უთითებს, რომ მოსარჩელემ ნივთიერ მტკიცებულებათა სახით დაზიანებული დისკები და საბურავები ვერ წარმოადგინა, თუმცა არ მიუთითებია კანონით დადგენილ ვალდებულებაზე, რომლითაც მოსარჩელე მოვალე იქნებოდა აღნიშნული მტკიცებულებების თავდაპირველი სახით (დაზიანებული) წარმოდგენაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მითითებული მტკიცებულებების შეფასებისას სასამართლომ საერთოდ არ მისცა შეფასება პირველი ინსტანციის სასამართლოში პატრულ-ინსპექტორის მიერ მოწმის სახით მიცემულ ჩვენებას, არ შეაფასა წარმოდგენილი მტკიცებულებები ერთობლიობაში, ისე ჩამოაყალიბა ერთმნიშვნელოვნად მოსარჩელის საწინააღმდეგო დასკვნა.

აუცილებელია, რომ საქმის ხელახლა განხილვისას გამოკვლეულ იქნეს საქმეში არსებული მტკიცებულებები და ერთობლიობაში მიეცეს სამართლებრივი შეფასება, ასევე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე მინიჭებული უფლება მასალების საფუძველზე (ოფიციალობის პრინციპი) სასამართლომ უნდა მოიპოვოს საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები და დავა გადაწყვიტოს ობიექტურად და კანონიერად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.1. მუხლით განსაზღვრული საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით შეუძლებელია ახალი გადაწყვეტილების მიღება. სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემომითითებული გარემოებები, სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცეს დავის საგანს და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.4 მუხლის შესაბამისად, საქმეზე სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 390-ე, 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ლ-აიას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

9. ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის ვადა

განჩინება

#ბს-206-196(კ-06)

19 ივნისი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: 1992-93 წლების საომარი მოქმედებების დროს დაზარალებულთა დახმარების სიაში შეყვანა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 13 მაისს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა თ. ა-შვილმა მოპასუხე სამტრედიის რაიონის გამგეობის მიმართ და მოითხოვა 1992-1993 წლების საომარი მოქმედების დროს დაზარალებულთა დახმარების სიაში შეყვანა.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

თ. ა-შვილი იყო 1992-1993 წლების საომარი მოქმედების შედეგად დაზარალებული, რომელზეც მაშინდელმა მთავრობამ გამოყო თანხა დასახმარებლად. თანხა პერიოდულად ირიცხებოდა სამტრედიის რაიონულ ბანკში, რაც დღემდე გრძელდება. ჩარიცხულ თანხას იღებდნენ დაზარალებულები, რომელთაც იგივე დოკუმენტაცია ჰქონდათ, რაც მოსარჩელეს, მაგრამ სამტრედიის რაიონის გამგეობას იგი სიაში არ შეჰყავდა. მოპასუხე ჰპირდებოდა დაზარალებულთა სიაში შეყვანას, მაგრამ დღემდე არ განუხორციელებია. მას გააჩნია ყველა საჭირო დოკუმენტი, კერძოდ, შპს «არქიტექტორის» მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა, რომლის შესაბამისად, ომის შედეგად მიყენებული აქვს 1569 ლარის ზარალი, ასევე სამტრედიის რაიონის გამგეობის #54 განკარგულებით შექმნილი კომისიის დასკვნა, რომელშიც ის ცნობილია 1992-1993 წლების საომარი მოქმედების დროს დაზარალებულად და რომელსაც ხელს აწერს კომისიის 17 წევრი.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ა-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, სამტრედიის რაიონის გამგეობას შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველზე დაევალია დაზარალებულთა საკომპენსაციო თანხების გამანაწილებელი კომისიის სიაში თ. ა-შვილის დაზარალებულის სახით შეყვანა.

რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სამტრედიის რაიონის გამგეობამ. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

აპელანტის მითითებით, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო, სამტრედიის რაიონში ამ დროისათვის აღარ არსებობდა სამოქალაქო ომით დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის შემსწავლელი კომისია, ფუნქციონირებდა მხოლოდ დაზარალებულთა თანხების გამანაწილებელი კომისია, რომლის კომპეტენციაშიც შედიოდა წინა კომისიებისგან გადმოცემული სიის შესაბამისად თანხების განაწილება და დარიცხვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 იანვრის განჩინებით სამტრედიის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების მოტივები მდგომარეობს შემდეგში:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ა-შვილი იყო 1993 წლის საომარი მოვლენების შედეგად დაზარალებული და მისი სახლის შეკეთებას სჭირდებოდა 1569 ლარი. სამტრედიის რაიონის გამგეობის განკარგულებით შექმნილი კომისიის 2002 წლის 21 აგვისტოს #1 ოქმის მიხედვით დაზარალებულთა სიაში შეყვანილი უნდა ყოფილიყვნენ ის პირები, რომლებსაც ჰქონდათ შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა. მოსარჩელე ამ მოთხოვნას პასუხობდა. სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღძრულიყო ისეთი მოქმედების განხორციელების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. სარჩელი დასაშვებია იყო, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. ვინაიდან თ. ა-შვილი განეკუთვნებოდა დაზარალებულთა კატეგორიას, მას უფლება გააჩნდა ყოფილიყო დაზარალებულთა სიაში, ე.ი. სარჩელი დასაშვებია იყო, რადგან მას შეეხებოდა. ამავე მუხლის მიხედვით, ასეთ დავაზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სამტრედიის რაიონის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კასატორის მითითებით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია. ამჟამად სამტრედიის რაიონში აღარ არსებობს სამოქალაქო ომით დაზარალებულთა მდგომარეობის შემსწავლელი კომისია. დღეისათვის რაიონში ფუნქციონირებს სამტრედიის რაიონის გამგეობის #78 განკარგულების საფუძველზე შექმნილი 1993 წელს დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომის შედეგად სამტრედიის რაიონის დაზარალებულ მოსახლეობაზე გამოყოფილი თანხების გამანაწილებელი კომისია, რომელიც უფლებამოსილია მხოლოდ წინა კომისიისგან გადმოცემული სიის მიხედვით გაანაწილოს და დარიცხოს თანხები დაზარალებულ მოსახლეობაზე, ხოლო რომელიმე დაზარალებულის დახმარების ოდენობის გაზრდა ან შემცირება მის უფლებამოსილებას აღემატება. საქმეში არსებულ ხარჯთაღრიცხვაზე კი არ არის მითითებული მისი შედგენის თარიღი.

კასატორის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი

ვალდებულებებიდან, არის 3 წელი. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. მოსარჩელის განცხადებით, იგი დაზარალდა 1993 წელს გამხორციელებული საომარი მოქმედების დროს. მოქალაქეები, რომლებმაც დროულად წარადგინეს საჭირო დოკუმენტები, შეყვანილ იქნენ დაზარალებულთა დახმარების სიებში, ხოლო რადგან თ. ა-შვილს დროულად არ ჰქონდა წარდგენილი საბუთები, ამიტომაც ვერ მოხვდა ხსენებულ სიაში. საქმეში არსებული ხარჯთაღრიცხვა არ შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებად, ვინაიდან არ არის შედგენილი სათანადო წესით, არ არის დათარიღებული. ზარალის აქტს აკლია კომისიის ორი წევრის ხელმოწერა.

კასატორის მითითებით, მოსარჩელემ მისი დარღვეული უფლებების შესახებ გაიგო არა 2005 წელს, როდესაც სარჩელით მიმართა სასამართლოს, არამედ უფრო ადრე და შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენაც სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო. აქედან გამომდინარე, გასულია საერთო ხანდაზმულობის ვადა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ სამტრედიის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სრულიად დაუსაბუთებელია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე1» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ა-შვილი წარმოადგენდა 1992-93 წლების საომარი მოქმედების დროს დაზარალებულ პირს, მის საცხოვრებელ სახლს მიადგა სხვადასხვა სახის დაზიანებები. სააპელაციო სასამართლომ თ. ა-შვილი ისე მიიჩნია 1992-93 წლების საომარი მოქმედების შედეგად დაზარალებულად, რომ აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. მოსარჩელე თ. ა-შვილის სახელზე არ არის შედგენილი საქმეში არსებული არც ერთი დოკუმენტი, რომელსაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. საქმეში არსებული ყველა დოკუმენტი შედგენილია გ. ა-შვილის სახელზე. ის გარემოება, რომ თ. ა-შვილი გ. ა-შვილის მემკვიდრე და დაზიანებული სახლის მესაკუთრეა, სააპელაციო სასამართლოს არ გამოურკვევია.

საკასაციო სასამართლოს ასევე არ დაუდგენია, თუ რა წესით და რა პირობების დაცვით ხდებოდა დახმარების სიაში დაზარალებულთა შეყვანა, არ გამოუთხოვია აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად გამგეობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები და არ გამოურკვევია, აკმაყოფილებდა თუ არა მოსარჩელე აღნიშნულ პირობებს.

საქმეში წარმოდგენილია სამტრედიის რაიონის გამგეობის #54 განკარგულებით შექმნილი კომისიის მიერ გ. ა-შვილის საცხოვრებელი სახლის დათვალიერების 2001 წლის 14 აგვისტოს აქტი, სადაც მითითებულია, რომ მოქალაქე გ. ა-შვილის საცხოვრებელი სახლი დაზიანებულია 1993 წლის საომარი მოქმედებების შედეგად. სააპელაციო სასამართლომ არ გამოითხოვა გამგეობის ზემომითითებული #54 განკარგულება, არ გამოარკვია, თუ რა მიზანს ისახავდა კომისიის წევრთა მიერ აღნიშნული სახლის დათვალიერება, თუ აღნიშნული დათვალიერება განხორციელდა შემდგომი კომპენსაციის გაცემის მიზნით, რატომ ვერ იქნა უზრუნველყოფილი დაზარალებულთა სიაში მოსარჩელის შეყვანა. საქმეში ასევე წარმოდგენილია შპს «არქიტექტორის» მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა. მართალია, მასზე არ არის აღნიშნული შედგენის თარიღი, მაგრამ საქმეში ასევე წარმოდგენილია სალაროს შემოსავლის ორდერი, რომლის თანახმად, გ. ა-შვილმა შპს «არქიტექტორს» 2001 წლის აგვისტოში გადაუხადა ხარჯთაღრიცხვის შედგენის ღირებულება 75 ლარი.

სამტრედიის რაიონის გამგეობის #54 განკარგულებით შექმნილი კომისიის 2002 წლის 21 აგვისტოს #1 ოქმით ირკვევა, რომ დახმარების ოთხი ეტაპი მიიღეს იმ ოჯახებმა, რომლებსაც შედგენილი ჰქონდათ ზარალის აქტი და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა. სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია, კონკრეტულად, როდის შედგა საქმეში არსებული ხარჯთაღრიცხვა, თუკი ხარჯთაღრიცხვის შედგენის თარიღია 2001 წლის აგვისტო, წარდგენილი იქნა თუ არა იგი მოსარჩელის მიერ კომისიაში და მოთხოვნილ იქნა თუ არა დაზარალებულთა დახმარების სიაში შეყვანა.

საკასაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას ასევე უნდა გამოარკვიოს სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი ხანდაზმულობის ვადის დაცვით შეტანილად მიიჩნია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე, იმ მოსაზრებით, რომ აღძრულია ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალების სარჩელი, რომელზეც ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ სარჩელის შეტანის საპროცესო ხანდაზმულობის ვადის საკითხზე, რასაც აწესრიგებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის აღნიშნული 24-ე მუხლი. რაც შეეხება სარჩელის მატერიალური ხანდაზმულობის ვადას, აღნიშნულზე სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია. მოსარჩელე დაზარალებულთა დახმარების სიაში შეტანას ითხოვს საომარი მოქმედებების

დროს მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ზიანის ანაზღაურებისათვის დადგენილი მატერიალური ხანდაზმულობის ვადა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ზიანის ანაზღაურების ზოგადი ხანდაზმულობის ვადა, სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის თანახმად, არის 3 წელი იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ამ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. თ. ა-შვილს სარჩელი აღძრული აქვს 2005 წლის მასში. საქმეში არსებული სამტრედიის რაიონის გამგეობის 2001 წლის 14 აგვისტოს აქტის თანახმად, სამტრედიის რაიონის #54 განკარგულებით შექმნილმა კომისიამ დაათვალიერა 1993 წლის საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული გ. ა-შვილის საცხოვრებელი სახლი, საქმეში არსებული სალაროს შემოსავლის ორდერის თანახმად, გ. ა-შვილმა შპს «არქიტექტორს» 2001 წლის აგვისტოში გადაუხადა ხარჯთაღრიცხვის შედგენის ღირებულება 75 ლარი. სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, გ. ა-შვილს საკომპენსაციო თანხების გაცემის შესახებ უნდა სცოდნოდა თუ არა 2001 წლის აგვისტოში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ხანდაზმულობის ვადის ათვლის საკითხის სრულყოფილად გამოსარკვევად, სააპელაციო სასამართლომ დამატებით ასევე უნდა გამოარკვიოს, თუ როდის მიმართა გ. ა-შვილმა გამგეობას ან გამგეობის მიერ შექმნილ კომისიას დაზარალებულთა დახმარების სიაში შეყვანის განცხადებით. ამასთან, სარჩელში თ. ა-შვილი მიუთითებს, რომ იგი არაერთგზის მიმართავდა მოპასუხეს სიაში შეყვანის მოთხოვნით. სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს, თუ არსებობს ასეთი მიმართვები და ხომ არ არსებობს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს, როდის უნდა შედგენილიყო სიები, უნდა ყოფილიყო თუ არა აღნიშნულის შესახებ მოსარჩელისათვის ცნობილი და ყველა ამ გარემოების ერთობლიობაში შეფასების შედეგად უნდა გამოიტანოს დასკვნა, აღძრულია თუ არა სარჩელი ხანდაზმულობის 3-წლიან ვადაში.

საქმის ხელახლი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს ზემოაღნიშნული გარემოებები და გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. სამტრედიის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის ვადა

განჩინება

#ბს-575-548(კ-07)

19 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
 შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
 ნ. ქადაგიძე,
 ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ც-მემ 19.10.06 წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოპასუხისათვის 1998-2001 წლებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის სარდლის განკარგულებაში 911 დღის მივლინების თანხის დაანგარიშება და შესაბამისი ცნობის სასამართლოში წარმოდგენის დავალება სახელფასო, ბინის ქირის, კვებისა და სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხების სახით 4773.72 ლარის, სამივლინებო თანხის, სამხედრო სამსახურის პერიოდში მიღებული დაავადების შედეგად დაინვალიდების გამო 5 წლის ფულადი სარგოების ოდენობით ერთჯერადი დახმარების, მკურნალობის ხარჯის, დავალიანების ამოღებაზე გაწეული ხარჯის სახით 1000 ლარისა და საადვოკატო მომსახურების ხარჯის სახით 500 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 18.06.01 წ. დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან, არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, დევნილი. სამხედრო სამსახურში მიღებული დაავადების გამო, სამედიცინო-საექსპერტო კომისიამ დაუდგინა ინვალიდობის მე-2 ჯგუფი და სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ცნო, რის გამოც დაითხოვეს კიდევ შეიარაღებული ძალებიდან. ამასთან, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ არის უმუშევარი და კმაყოფაზე ჰყავს უმუშევარი მეუღლე და ორი შვილი, რის გამოც განიცდის უკიდურეს ეკონომიკურ გაჭირვებას. ასეთ პირობებში თავდაცვის სამინისტროს თ. ც-მის მიმართ გააჩნდა სახელფასო, სამივლინებო, ინვალიდობის გამო 5 წლის ხელფასის ოდენობით ერთჯერადი დახმარების, ბინის ქირისა და სამოსელის საკომპენსაციო თანხების დავალიანებები. 5 წელი თითქმის ყოველდღე თერჯოლიდან თბილისში ჩამოდიოდა და თავდაცვის სამინისტროს შესაბამის ხელმძღვანელობას დავალიანებების მოთხოვნით მიმართავდა, რაზეც მხოლოდ სიტყვიერ დაპირებას იღებდა. მოსარჩელის დაქინებული მოთხოვნის შემდეგ, დავალიანებების გასტუმრების ანაზღაურების დაპირებით წერილობით უპასუხეს. წერილებში არ არის მითითებული ვალის დაბრუნების კონკრეტული თარიღი, რის გამოც, უკიდურესი გაჭირვებიდან გამომდინარე, იძულებული გახდა სასამართლოსათვის მიემართა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ #10144 სამხედრო ნაწილის მეთაურისა და საფინანსო განყოფილების უფროსის ხელმოწერით გაცემული 13.11.03 წ. #398 ცნობისა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის საფინანსო სამსახურის უფროსის 02.08.06 წ. #826 წერილის თანახმად, 1998-2000 წლებში მიღებული აქვს ხელფასი, ბინის ქირის, კვებისა და სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხების სახით 4773 ლარი და 72 თეთრი. შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, მინისტრის პირველი მოადგილისა და კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანების შესაბამისად, 1998 წლის 15 სექტემბრიდან 2001 წლის 13 მარტამდე (911 დღე) მივლინებული იყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის სარდლის განკარგულებაში. აღნიშნული თანხა ვერ მიიღო და მიუხედავად არაერთი მცდელობისა, არც დაუანგარიშეს, რაც, მოსარჩელის აზრით, «საჯარო სამსახურის შესახებ» სააქართველოს კანონის 38-ე მუხლის მოთხოვნას ეწინააღმდეგება. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სამხედრო პირის სამსახურის განსაკუთრებულობა განისაზღვრება სახელმწიფოს შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ასეთი მომატებული რისკის პირობებში სამსახურმა, აფხაზეთის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობამ, ამის შემდეგ კონფლიქტის ზონაში 911 დღის განმავლობაში დასვენებისა და შვებულების გარეშე სამსახურმა, ხელფასების, კვების საკომპენსაციო თანხებისა და სხვა სახის დავალიანებების ქრონიკულმა აუნაზღაურებლობამ, მოსარჩელის და მის კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრების არსებობისთვის საჭირო საშუალებების სისტემატურმა უკმარისობამ, შრომის, დასვენებისა და განსაკუთრებით კვების რეჟიმის დაუცველობამ ჯანმრთელობა შეურყია, რაც გახდა მისი დაავადების მიზეზი. საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04 წ. #493 ბრძანებულების 53-ე პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურის პერიოდში დაინვალიდებისას, სამხედრო მოსამსახურეს 5 წლის ფულადი სარგოების ოდენობით ეკუთვნის ერთჯერადი დახმარება. აღნიშნული ნორმა შემოღებულია «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სამხედრო სამსახურში შერყეული ჯანმრთელობის სარეაბილიტაციოდ პერიოდულად სჭირდება მკურნალობა, რაც დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან. 2001 წლიდან ამ მიზნით გაწეულმა ხარჯებმა 2979 ლარი შეადგინა. ამის გარდა, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურის პერიოდში 1998 წლიდან დაგროვილი დავალიანების მისაღებად ქ. ზუგდიდსა, ქ. ქუთაისში და ქ. თბილისში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილებში 5 წლის განმავლობაში სიარულის გამო, მგზავრობისა და სხვა ხარჯის სახით მიღებულმა ზარალმა 1000 ლარი შეადგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.12.06 წ. გადაწყვეტილებით თ. ც-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თავდაცვის სამინისტროს დაევალა თ. ც-მის 1998-2001 წლებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო

ძალეების გაერთიანებული შტაბის სარდლის განკარგულებაში 911 დღის მივლინების თანხის დაანგარიშება და ინფორმაციის გაცემა, თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე თ. ც-მის სასარგებლოდ დაეკისრა სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის 902,19 ლარის, სახელფასო დავალიანების -1316,01 ლარის, კვების კომპენსაციის -649 ლარის, ბინის ქირის კომპენსაციის -1858,490 ლარის, ფულადი ჯილდოს -98,12 ლარის, საადვოკატო მომსახურების ხარჯის -500 ლარის ანაზღაურება, თ. ც-მის სასარჩელო მოთხოვნა მკურნალობაზე გაწეული ხარჯის -2979 ლარის, კუთვნილი დავალიანების ამოღებისათვის გაწეული ხარჯის სახით 1000 ლარის და სამხედრო სამსახურის პერიოდში მიღებული დავადების გამო 5 წლის ფულადი სარგოს ოდენობით ერთჯერადი დახმარების ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოებისა და დაუსაბუთებლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.12.06წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ც-მემ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.03.07 წ. განჩინებით თ. ც-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.12.06 წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, და სასამართლოს მოსაზრებებს დაუსაბუთებლობის გამო მკურნალობისა და დავალიანების ამოღებისთვის გაწეული ხარჯების მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04 წ. #493 ბრძანებულების მოქმედების მოსარჩელეზე გაუვრცელებლობის შესახებ და დამატებით განმარტა, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-16.3 მუხლი ითვალისწინებდა დასახიჩრების შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურისათვის ერთჯერადი დახმარების გაცემას. საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოსარჩელე დათხოვნილ იქნა სამსახურიდან ავადმყოფობის გამო, ხოლო მეორადი შემოწმებისას მას დაუდგინდა მეორე ჯგუფის ინვალიდობა, რისი მიზეზიც გახდა სამხედრო სამსახურის პერიოდში მისი დაავადება. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონი უკავშირებს ერთჯერადი დახმარების მოთხოვნის უფლების წარმოშობას პირის დასახიჩრების (დაინვალიდების) მომენტს. მოსარჩელის განმარტებით იგი დაავადდა 2001 წელს, 19.06.01 წ. დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან ავადმყოფობის გამო. მეორადი შემოწმება ჩაუტარდა შპს თერჯოლის სს ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2002 წელს, რის შედეგადაც მოსარჩელეს დაუდგინდა ინვალიდობა. შესაბამისად, მოთხოვნის უფლება მას წარმოეშვა სწორედ 2002 წლიდან. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად არ მიიჩნია, რომ 19.10.06 წ., სარჩელის შეტანის დროისათვის, მოსარჩელეს მიმართული ჰქონდა თავდაცვის სამინისტროსათვის ერთჯერადი დახმარების, ასევე მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნით. მოსარჩელეს არ მოუთხოვია თავდაცვის სამინისტროსათვის ერთჯერადი გასასვლელი დახმარება და მკურნალობის ხარჯები, რის გამოც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ არსებობს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის და მისი თავიდან ათვლის საფუძველი. ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხის მიერ კანონისმიერი ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, შესაბამისად, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლები, რომელთა მიხედვით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.03.07 წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ც-მემ და აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი განჩინებით სასარჩელო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ მოსამართლის მიერ არასწორად იქნა მითითებული განჩინებაში, რომ თითქოს თ. ც-მეს დავალიანების ნაწილი -4774,72 ლარი -«მიღებული» ჰქონდა. ეს თანხა რომ არ მიუღია, იმიტომაც მიმართა სასამართლოს და სხვა სახის ხარჯებთან ერთად ამ დავალიანების ანაზღაურებაც მოითხოვა. კასატორმა ყურადღება გაამახვილა სააპელაციო საჩივრის განხილვისას დაშვებულ შეცდომებზე, რომლებმაც, მისი აზრით, არსებითი გავლენა იქონია საქმის საბოლოო შედეგზე. სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონი უკავშირებს ერთჯერადი დახმარების მოთხოვნის უფლების წარმოშობას პირის დასახიჩრების (დაინვალიდების) მომენტს, მაგრამ აქვე შეცდომით უთითებს, რომ «მოსარჩელის განმარტებით, იგი დაავადდა 2001 წელს». კასატორის განცხადებით, მსგავსი რამ მას არ უთქვამს და რომც ეთქვა, ასეთი განმარტება სასარჩელო განცხადებაზე თანდართული მტკიცებულებების საწინააღმდეგო იქნებოდა, რომლის მიხედვითაც დადგენილია, რომ მას დაავადების სიმპტომი პირველად 1995 წელს გამოუვლინდა, რამაც ოპერაციისა და «B» წესით კუჭის რეზექციის ჩატარების აუცილებლობა განაპირობა. მოსამართლე ვალდებული იყო, გაერკვია მტკიცებულებათა ნამდვილობა, რაც არ უცდია და პირადი მოსაზრებით, ფაქტობრივი გარემოება განჩინებაში არასწორად ასახა. ასევე არასწორია ინვალიდობის დადგენის პერიოდად, მეორადი შემოწმების მინიშნება. ინვალიდობის მე-2 ჯგუფი თავდაპირველად პირველადი შემოწმების შედეგად, 2001 წელს დადგინდა, რაც სსკ-ის 106-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენას არ საჭიროებს. ამჯერად, კვლავ

რაიმე გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, კასატორმა დამატებით წარმოადგინა საქართველოს სამხედრო ძალების ცენტრალური სამხედრო სამედიცინო საექსპერტო კომისიის მიერ 27.04.01წ. ჩატარებული პირველადი შემოწმების შედეგად, ინვალიდობის მე-2 ჯგუფის დადგენის შესახებ გაცემული ცნობის ასლი. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს ამ საკითხზე შეკითხვაც კი არ დაუსვამს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველადი შემოწმების შესახებ ცნობასაც წარუდგენდა და თანაც განუმარტავდა, რომ მეორადი და შემდგომი შემოწმებებით, ინვალიდობის ფაქტი კი არ დგინდება, არამედ წინა შემოწმებისას გამოვლენილ დაავადებათა სახეობისა და ინვალიდობის ჯგუფში ცვლილებების შეტანის ან შეუტანლობის ფაქტი დასტურდება. შრომისუუნარობისა და ინვალიდობის მე-2 ჯგუფის 2002 წელს დადგენის ფაქტის შესახებ მოსამართლის მოსაზრების უსაფუძვლობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ თ. ც-მე სამსახურიდან დაითხოვეს «ავადმყოფობის გამო» 19.06.01 წ., რასაც თვით მოსამართლეც დადგენილად მიიჩნევს და ასეთ შემთხვევაში სრულიად გაუგებარია ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების განვითარება ანუ 2001 წელს წინასწარ, ავადმყოფობის მიზეზით, როგორ დაითხოვდნენ სამსახურიდან, ამავე მიზეზით გამოწვეული შრომისუუნარობა ერთი წლის შემდეგ, 2002 წელს, რომ დაედგინათ. განჩინების სამოტივაციო ნაწილის დასასრულს, უმართებულოდ აღინიშნა, რომ 19.10.06 წ., ანუ სასამართლოში სარჩელის შეტანამდე, თითქოს მოსარჩელეს თავდაცვის სამინისტროსათვის არ მიუმართავს ერთჯერადი დახმარების ანაზღაურების მოთხოვნით. სასამართლო «ერთჯერად დახმარებას» «ერთჯერად გასასვლელ დახმარებად» იხსენიებს, რომელიც თ. ც-მეს მიღებული აქვს და რასაც არანაირი კავშირი არა აქვს სასარჩელო განცხადებასთან. საქმეში დაცულია თ. ც-მის 30.09.03წ. #846-ც განცხადება, რომლითაც მოსარჩელემ თავდაცვის მინისტრის მოადგილეს გენერალ-მაიორ ნ. ქ-შვილს, რომლითაც კუთვნილი დავალიანებების დაანგარიშება და ანაზღაურება მოსთხოვა. ამასთან მიანიშნა, რომ თუ მოთხოვნილიდან რაიმე არ ეკუთვნოდა, დასაბუთებული პასუხი მიეცათ. მსგავსი განცხადებებით მიმართა მათ 14.04.05წ., 14.03.06წ. და 02.08.06წ., მართალია, პასუხები დააგვიანეს, მაგრამ უარი თ. ც-მეს არც სიტყვიერად და არც წერილობით არ მიუღია, რამაც ადმინისტრაციისადმი კანონიერი ნდობის საფუძველი გაუჩინა. წერილობით პასუხებში საფინანსო დარგის მუშაკები უთითებენ ტერმინ «ხელფასს», რაც მოცემულ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც მხოლოდ თანამდებობრივი სარგო. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. სხვა სიტყვებით, «ხელფასი», ანუ შრომითი გასამრჯელო არის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიხედვით მიღებული შედეგის საფუძველზე (სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულება; დამქირავებლის მიზეზით ან უბედური შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანი და ა.შ.), დამქირავებლის მიერ დაქირავებულზე კანონისმიერი ნორმით განსაზღვრული ფულადი სარგებელი, ე.ი. «ხელფასი», თანამდებობრივ სარგოსთან ერთად ისეთ კანონისმიერ «დანამატსაც» მოიცავს, როგორცაა ერთჯერადი დახმარება. მოსამართლემ, ინვალიდობის გამო დახმარებისა და მკურნალობაზე გაცემული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის მოტივად ისეთი მოსაზრება დაასახელა, რომელზედაც არც ადმინისტრაციული საქმისწარმოებისას და არც სასამართლოებში სამართალწარმოებისას მსჯელობა საერთოდ არ შემდგარა. ეს მოსაზრება ეფუძნება მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დარღვევას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლებით დადგენილ ნორმებს. საგულისხმოა, რომ მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით გამოძებნა ეს ნორმა, რომელიც არც მოპასუხეს და არც პირველი ინსტანციის მოსამართლეს დავის არც ერთ ეტაპზე არ გამოუყენებიათ. მოსამართლის ასეთი ქმედება ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე და 381-ე მუხლების მოთხოვნებს, რომლებიც იმპერატიულად ზღუდავენ სააპელაციო სასამართლოში დავის საგნის შეცვლას, ამასთან, მოსამართლეს უკრძალავენ მხარეს მიაკუთვნოს ის ან იმაზე მეტი, რაც მას არ უთხოვია. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის თანახმად: «დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ». ამდენად, 1008-ე მუხლის მიხედვით, მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დაცვისათვის, დადგენილი უნდა იყოს ზიანის მიყენების დელიქტის არსი, სამოქალაქო სამართალდარღვევის სახე (ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი და ა.შ.), «დელინკენტი», ანუ სამართალდამრღვევი პირი და ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გავრცელება, ე.ი. როდესაც სასამართლო სხდომაზე დელიქტის არსებობა-არარსებობის შესახებ მსჯელობა არ ყოფილა, დაუშვებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა. ამ ნორმის თ. ც-მის შემთხვევაზე გავრცელება იმითაც არის უმართებულო, რომ ადმინისტრაცია წლიდან წლამდე ჰპირდებოდა კუთვნილი დავალიანებების ანაზღაურებას, ბოლო წერილობითი დაპირება გაუზავნა 02.08.06წ., რაც ადმინისტრაციისადმი კანონიერი ნდობის საფუძველს აძლევდა. თ. ც-მემ სასამართლოს სარჩელით მიმართა არა იმიტომ, რომ დავალიანებების ანაზღაურებაზე უარს ეუბნებოდნენ, არამედ იმიტომ, რომ დავალიანებების ანაზღაურების პროცესი გაუაქტიურეს, მაშინ როდესაც მისი შერყეული ჯანმრთელობა გადაუდებელი მკურნალობის კურსის ჩატარებას მოითხოვს, რასაც უფულობის გამო ვერ ახერხებს. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ 22.03.07 წ. განჩინების

გამოტანისას, სხვა ნორმებთან ერთად, იხელმძღვანელა სსკ-ის 257-ე მუხლით, რომელიც გადაწყვეტილების გამოტანის პირობებს ეხება და არანაირი კავშირი არ აქვს განჩინების გამოტანის პირობებთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორი თვლის, რომ სააკაველი სასამართლომ ზედპირულად განიხილა საქმე, არსებითად არ შეისწავლა ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, კანონით განსაზღვრული ნორმების არასწორი გამოყენებითა და განმარტებით შეაფასა ფაქტები, ამასთან უსაფუძვლოდ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს არაობიექტური მოსაზრებები და საერთოდ არ იმსჯელა აპელანტის და მისი ადვოკატის მიერ დაყენებულ არგუმენტებზე, რის შედეგადაც სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები და გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ დაასაბუთა.

საკასაციო პალატის 01.11.07 წ. განჩინებით თ. ც-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორმა და მისმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და ითხოვეს მისი დაკმაყოფილება. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა საკასაციო საჩივარი არ ცნო საკასაციო საჩივრის უსაფუძვლობის გამო და ითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ თ. ც-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააკაველი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.03.07 წ. განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ თ. ც-ძის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა და განმარტა, რომ აპელანტის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხის მიერ კანონისმიერი ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამხედრო სამსახურის დროს დაინვალიდებისას სარგოს ანაზღაურება წარმოადგენს სახელმწიფოს კანონისმიერ ვალდებულებას, რომლის საფუძველს წარმოადგენს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» 25.06.98 წ. კანონის, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი. ამდენად, მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით დაწესებული ხანდაზმულობის საერთო ვადა -10 წელი მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თ. ც-ძე დაავადდა სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში, რასაც ადასტურებს სამედიცინო-ექსპერტიზის ბიუროს 27.04.01 წ. პირველადი და 24.04.02 წ. მეორადი შემოწმების აქტის ამონაწერი, ამავე აქტით მას დაუდგინდა მეორე ჯგუფის ინვალიდობა. თ. ც-ძე გათავისუფლდა სამსახურიდან 19.06.01 წ. ბრძანებით, გათავისუფლების საფუძვლად მითითებულია «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 21-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტზე /ავადმყოფობის გამო/. შესაბამისად, კასატორს ერთჯერადი ანაზღაურებას შეეძლო მოეთხოვა დაავადებიდან და მასზე ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა გავრცელდებოდა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 16.3 მუხლის თანახმად ერთჯერადი დახმარების გაცემის პირობას წარმოადგენდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევა. საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04 წ. #493 ბრძანებულებით დამტკიცებული «თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» დებულების 53-ე მუხლის თანახმად, ერთჯერადი დახმარების პირობას შეადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრავმის მიღება. ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმები არ ითვალისწინებენ სამხედრო მოსამსახურისათვის ერთჯერადი დახმარების გაცემას სამხედრო სამსახურის გავლისას სამხედრო მოსამსახურის ყოველგვარი დაავადების შემთხვევაში. კანონმდებლობით გათვალისწინებული დახმარების გაცემის პირობას წარმოადგენს ტრავმული (ბერძ. ტრაუმა) დაზიანება, ანუ სხეულის ქსოვილების ან ორგანოების დაზიანება რაიმე გარეგანი ზემოქმედების (დაჭრის და სხვ.) შედეგად. ამასთანავე, ფულადი სარგოს გაცემისათვის სავალდებულო წესით უნდა იკვეთებოდეს ტრავმასა და სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. საქმის მასალებით დადგენილია, რომ კასატორ თ. ც-ძის ინვალიდობის მიზეზი გახდა კუჭის წყლულოვანი დაავადება, დაავადება მან მიიღო სამხედრო სამსახურის პერიოდში. კასატორი ასევე მიუთითებს თერჯოლის საავადმყოფოს 31.11.04 წ. სამედიცინო დასკვნას, რომლის თანახმად, თ. ც-ძე დაავადებულია თორმეტგოჯა ნაწლავის პეპტიური წყლულით. ამდენად, საქმის მასალებით არ დასტურდება სამხედრო სამსახურის გავლისას ტრავმის, დასახიჩრების მიღება, არ დგინდება კასატორის დაავადებასა და სამხედრო სამსახურის გავლას შორის მიზეზობრივი კავშირი, შესაბამისად, არ არსებობს ხსენებული ნორმებით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარების კასატორისათვის გაცემის საფუძველი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს აგრეთვე მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მკურნალობის უფლებით

სამხედრო მოსამსახურე, «სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 16.5 მუხლის თანახმად, სარგებლობს სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებებში, სამხედრო ნაწილებსა და სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებებში. თ. ც-ძეს მკურნალობის გავლისას არ გააჩნდა სამხედრო მოსამსახურის სტატუსი, ამასთანავე, თ. ც-ძეს მკურნალობა არ გაუვლია სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებაში. თ. ც-ძეს არ წარმოუდგენია მკურნალობაზე გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებანი. დაუსაბუთებელია აგრეთვე კასატორის მოთხოვნა მგზავრობისა და სხვა სახის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, მხარემ სასკ-ის მე-17, სსკ-ის 102-ე მუხლების შესაბამისად ვერ უზრუნველყო შესაბამისი ხარჯების გაწევის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულებების წარმოდგენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თ. ც-ძის საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე, სასამართლოს მიერ დავა არსებითად სწორად იქნა გადაწყვეტილი. შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს თ. ც-ძის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. თ. ც-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.03.07წ. განჩინება;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის ვადა

განჩინება

#ბს-942-903(კ-07) 10 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ბინით უზრუნველყოფა ან თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

01.09.06 წ. ნ. შ-ძე-ბ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ხულოს რაიონის სასამართლოს. მოსარჩელის განმარტებით, 1989 წ. ეროზიის შედეგად მისი ოჯახი საცხოვრებელი სახლის გარეშე დარჩა. ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის #შ-1745 და #646 საგარანტიო ცნობებით აღმასკომმა იკისრა ვალდებულება, 1989-1990 წწ. დაწყებული 45-ბინიანი საცხოვრებელი სახლის დასრულების შემდეგ გადაეცა ბინა დაზარალებული ოჯახისათვის. მითითებული დაპირება აღმასკომს არ შეუსრულებია. ნათესავების დახმარებით რაიონის ცენტრში შეიძინა ერთ-ოთახიანი ბინა, რომელიც 1993წ. გაჩენილი ხანძრის შედეგად განადგურდა. ხულოს რაიონის გამგეობამ იკისრა ბინით მისი უზრუნველყოფის ვალდებულება. ვალდებულების შესრულებამდე, დროებით შეასახლა სასტუმროში. მოსარჩელემ ხულოს რაიონის გამგეობისათვის ნაკისრი ვალდებულების შესრულების დავალდებულება ან 10 000 აშშ დოლარის მის სასარგებლოდ დაკისრება მოითხოვა.

ხულოს რაიონული სასამართლოს 26.10.06 წ. გადაწყვეტილებით ნ. შ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, დაევალა მოპასუხე ხულოს რაიონის გამგეობას შეუძინოს და საკუთრებაში გადასცეს მოსარჩელე ნ. შ-ძეს ხულოს რაიონის დაბა ხულოს ტერიტორიაზე 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ღირებულების საცხოვრებელი ბინა ან სახლი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 10 000 აშშ დოლარის გადახდა ეროვნული ვალუტით.

ხულოს რაიონული სასამართლოს 26.10.06 წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.06.07 წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ხულოს რაიონული სასამართლოს 26.10.06 წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოპასუხემ გასცა დაპირება, რომელიც კანონიერი ნდობის წარმოშობის საფუძველს ქმნიდა. სააპელაციო სასამართლოს განცხადებით, მოპასუხის დაპირება, ზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, არ ეწინააღმდეგებოდა კანონს. მოპასუხემ ადმინისტრაციული დაპირებიდან გამომდინარე ვალდებულება არ შეასრულა, რაც ზიანს აყენებდა მოსარჩელეს. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ, აპელანტის მიერ მითითებული 4 000 ლარი ნ. შ-ძე-ბ-ძეს მიღებული არა აქვს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზაკ-ის 207-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურებისას უნდა იქნეს გამოყენებული სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოსარჩელე უფლებამოსილია, მოითხოვოს მოპასუხისაგან მოქმედების შესრულება, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების შესაბამისად, ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. სააპელაციო პალატის აზრით, განსახილველ შემთხვევაში სკ-ის 1008-ე მუხლის შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.06.07 წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ. კასატორის განცხადებით, გამგეობის მიერ ნ. შ-ძე-ბ-ძისათვის წერილობით გაცემული პასუხი არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას. მასში მითითებულია მხოლოდ, რომ დაბის ცენტრში 45-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნებოდა ეროზიაში მოხვედრილი მოსახლეობა და არა უშუალოდ ნ. შ-ძე. გამგეობას მოსარჩელის წინაშე არანაირი ვალდებულება აუღია. ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ ეროზიის შედეგად დაზარალებულ ნ. შ-ძე-ბ-ძის ოჯახს გაეწია 25 000 ლარის ოდენობით ფულადი დახმარება და სახელმწიფომ შეუძინა ქ. ბათუმში საცხოვრებელი ბინა. მოსარჩელეს თავისი ოჯახისაგან უნდა მოეთხოვა წილი. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 27.02.08წ. განჩინებით ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განხილული იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველი დავის საგანს შეადგენს საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება ან კომპენსაციის სახით 10 000 აშშ დოლარის ანაზღაურება. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხე ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაცემული იქნა წერილობითი დაპირება დავის საგანთან დაკავშირებით. ზაკ-ის 9.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველგვარი დაპირება ვერ იქნება მიჩნეული კანონიერი ნდობის საფუძველად. ასეთად მიიჩნევა მხოლოდ წერილობითი ფორმით შესრულებული დაპირება, რომლის შინაარსიდანაც აშკარად გამომდინარეობს, რომ ადმინისტრაციული ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულებას იღებს, შეასრულოს რაიმე ქმედება. საქმეში დაცული, ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ადმინისტრაციული კომიტეტის 15.08.89 წ. #შ-1745 წერილობითი პასუხის ტექსტით ირკვევა, რომ გაიცა დაპირება ეროზიით დაზარალებულთა სიაში განმცხადებლის შეყვანის თაობაზე და არა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესახებ. წერილი არ შეიცავს კონკრეტულ მითითებას ნ. შ-ძის საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილებაზე, დასაკმაყოფილებელი ფართის ოდენობაზე.

ხულოს რაიონის გამგეობის 24.08.06წ. #ბ-1334 პასუხში მითითებულია, რომ გამგეობას 2006 წლის ბიუჯეტში თანხით დახმარების გაწევის საშუალება არ გააჩნდა, ხოლო მშენებარე საცხოვრებელი სახლის დასრულების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნებოდა მისი მოთხოვნა. ამდენად, მითითებული წერილობითი პასუხიც შეიცავს ბინით უზრუნველყოფის დაპირებას გარკვეული პირობით (მშენებარე საცხოვრებელი სახლის დასრულების) დადგომის შემთხვევაში, აღნიშნული პირობა არ დამდგარა, შესაბამისად არ არსებობს პირის კანონიერი ნდობის უფლება. 45 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ ნ. შ-ძის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის დაპირებას შეიცავს საქმეში დაცული 10.10.92 წ. წერილობითი პასუხი, რომელიც გაცემულია არა მოპასუხის, არამედ ხულოს რაიონში აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს სრულყოფილი წარმომადგენლის მიერ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არის დასაბუთებული

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს –გამგეობის წერილობითი დაპირების არსებობის შესახებ.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეზე დადგენილი არ არის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები, კერძოდ, დადგენილი არ არის ეროზიული მოვლენების შედეგად დაზარალებულ ნ. შ-ძეს გაეწია თუ არა დახმარება. საქმეში დაცული 27.05.93 წ. პრივატიზაციის ხელშეკრულებით დასტურდება, რომ ხულოს რაიონის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის საბინაო-საექსპლუატაციო უბნის რწმუნებულმა, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 01.02.92 წ. #107 დადგენილების საფუძველზე, საკუთრების უფლებით უსასყიდლოდ გადასცა ნ. შ-ძეს დაბა ხულოში მდებარე ხულოს რაიონის ადგილობრივი მმართველობის ორგანოს კუთვნილი 1-ოთახიანი საცხოვრებელი ბინა. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, აღნიშნული ერთოთახიანი ბინის მოსარჩელისათვის გამოყოფის საფუძველი და სამართლებრივი შეფასება მისცეს ამ ფაქტს. საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სტიქიით დაზარალების შემდეგ ბინა ნ. შ-ძის მიერ იქნა შესყიდული. დავის კანონიერი გადაწყვეტისათვის უნდა გაირკვეს, ხომ არ იყო გაცემული ბინა სტიქიით მიყენებული ზიანის, კერძოდ 1989 წელს ეროზიის შედეგად საცხოვრებელი სახლის დაზიანების საკომპენსაციოთ. აღნიშნულის გარკვევა მით უფრო საჭირო იყო იმის გათვალისწინებით, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობა თავის სააპელაციო საჩივარში საგანგებოდ აღნიშნავდა ნ. შ-ძის ბინით უზრუნველყოფის შესახებ, უფრო მეტიც, აპელანტი უთითებდა, რომ დაწვის შემდგომ მოსარჩელე შესახლებული იქნა დაბა ხულოს სასტუმროს შენობაში, ხოლო გამოსახლების შემდეგ მასზე გაიცა 4 ათასი ლარის კომპენსაცია. უკეთუ მითითებული ბინა ეროზიით მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ გადაეცა ნ. შ-ძეს, საკასაციო პალატის აზრით, ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად ხანძრის შედეგად მისი განადგურებისა, ეროზიით მიყენებული ზიანი ანაზღაურებულად უნდა ჩაითვალოს და შესაძლოა არსებობდეს მხოლოდ ხანძრის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძველი. ამასთანავე, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნ. შ-ძის მოთხოვნას საფუძველად არ უდევს ხანძრისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საქმის მასალებით დასტურდება და მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ ბინა, მდენარე დაბა ხულოში, ... ქ. #15-ში, განადგურდა ხანძრის შედეგად. საქმის მასალებში დაცულია ხულოს რაიონის ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად დამწვარი საცხოვრებელი სახლების შესახებ ხულოს რაიონის გამგეობის მიერ შედგენილი მონაცემები, რომლის თანახმად, ხანძრის შედეგად ნ. შ-ძისათვის მიყენებულმა ზარალმა 5200 ლარი შეადგინა. ამავე დოკუმენტის მიხედვით, დაზარალებული ნ. შ-ძის იმჟამინდელი საცხოვრებელი ადგილი იყო ქ. ბათუმი.

სააპელაციო პალატის სხდომაზე გამგეობის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნ. შ-ძის ოჯახს სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით დახმარება გაეწია ფულადი კომპენსაციის გაცემის (21 000 მანეთი) და ბინის გამოყოფის სახით. სააპელაციო სასამართლოს წარედგინა 16.06.89 წ. გეოლოგიური დასკვნა, რომლის თანახმად, ხულოს რაიონის სოფ. ... მდებარე ი. ბ-ძის სახლი საშობი გეოლოგიური პროცესების აქტიურობის გამო დაექვემდებარა განსახლებას. გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის წერილით ი. ბ-ძის მიმართ ირკვევა, რომ 1991 წელს მის ოჯახს სტიქიის შედეგების საკომპენსაციოდ გამოეყო 15 000 მანეთი, ქ. ბათუმში შეუძინეს ოროთახიანი კაპიტალური ბინა, ამასთანავე დამატებით შესთავაზეს საქართველოს სხვა რაიონში ჩასახლებისათვის ქმედითი დახმარების გაწევა –საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფა და ტრანსპორტის ხარჯების გაწევა, სურვილის შემთხვევაში უნდა მიემართათ ხულოს რაიონის მიგრაციის განყოფილებას. საქმეში დაცულია, აგრეთვე, ხულოს რაიონის გამგებლისათვის წარდგენილი დიოკნისის თემის საკრებულოს გამგებლის მოხსენებითი ბარათი, რომლის თანახმად, სოფელ ... მცხოვრებ ი. ბ-ძეს გაეწია დახმარება ეროზიის შედეგად მიყენებული ზიანის გამო. სააპელაციო პალატის მიერ არ გარკვეულა მოსარჩელის კავშირი ი. ბ-ძის კომლთან, განჩინება გამოტანილ იქნა ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შეფასების გარეშე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასკ-ის მე-4, მე-19 მუხლების თანახმად ადმინისტრაციული კატეგორიის საქმის განმხილველი მოსამართლე უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს ზომები საქმის ფაქტობრივი გარემოებების და მტკიცებულებების შესაგროვებლად. ადმინისტრაციული სამართალ-წარმოების ინკვიზიციური ხასიათიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების მიღების ინტერესებიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლოს უნდა გაერკვია სტიქიით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად მოსარჩელის ოჯახისათვის გაწეული დახმარების საკითხი. სზაკ-ის მე-9 მუხლის თანახმად კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ მას საფუძველად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება, კანონიერი ნდობის საფუძველი არ შეიძლება იყოს აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება. ამდენად, მოთხოვნის დაკმაყოფილების შ-ლდებულო პირობას წარმოადგენს დაპირების მართლზომიერების გარკვევა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საკითხის ობიექტურ მხარეს, ანუ იმას ეწინააღმდეგება თუ არა დაპირება კანონმდებლობას და არა იმას იცოდნენ თუ არა დაპირების მიმცემმა ან დაინტერესებულმა მხარემ ამ დაპირების კანონსაწინააღმდეგობის შესახებ. მოწინააღმდეგე მხარის მიერ დახმარების აღმოჩენის ვალდებულების არსებობის დადგენისათვის სააპელაციო პალატა შემოიფარგლა მხოლოდ სზაკ-ით, მაშინ, როდესაც აჭარის ა.რ. მაღალმთიანი რაიონებიდან სტიქიით დაზარალებულთათვის დახმარების გაწევის ზომები, სტიქიით დაზარალებულთა რეაბილიტაციისათვის

გასატარებელი ღონისძიებები გათვალისწინებული იყო საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების რიგი დადგენილებებით, კერძოდ სსრკ მინისტრთა საბჭოს 06.05.98 წ. #220; საქართველოს კპ ცკ და საქართველოს მინისტრთა საბჭოს 06.05.98 წ. #220; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 14.06.89 წ. #285; 09.10.89 წ. #497; 20.09.89 წ. #481 და სხვ. დადგენილებებით. აღნიშნული აქტები ითვალისწინებდნენ სტიქიონის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის შეღავათებს, კერძოდ, საკასაციო პალატა თვლის, რომ დავის კანონიერი გადაწყვეტისათვის დადგენას საჭიროებს კასატორების მიერ აღნიშნული დადგენილებებით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის ან მათზე შეღავათების გაუვრცელებლობის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს შეადგენს. გასაჩივრებული განჩინებიდან გაურკვეველია თუ რა ფართის საცხოვრებელი ბინის ან სახლის დაკმაყოფილება დაეკისრა მოპასუხეს. გასაჩივრებული გადაწყვეტილება საერთოდ არ შეიცავს რაიმე არგუმენტაციას მოპასუხეზე დაკისრებული თანხის (10 000 აშშ დოლარის) ოდენობასთან, აგრეთვე მოსარჩელის სასარგებლოდ შესაძენი სახლის ღირებულებასთან დაკავშირებით. სააპელაციო საჩივარში აპელანტი აღნიშნავდა, რომ არ ეთანხმებოდა 10 000 აშშ დოლარის ღირებულების ბინის მოსარჩელისათვის შეძენის ან 10000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულების მისთვის დაკისრებას, აპელანტი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა მთლიანად, ამდენად დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მითითება იმის შესახებ, რომ აპელანტი არ ხდოდა სადავოდ ბინის ღირებულებას.

მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გაცდენის უარსაყოფად სააპელაციო პალატა უთითებს სკ-ის 1008-ე მუხლზე. აღნიშნული ნორმა ადგენს დელექტივ გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სამწლიან ხანდამულობის ვადას იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. მოსარჩელეს ეროზიის შედეგად ზიანი 1989 წელს მიაღწა, ხოლო სარჩელი ნ. შ-მის მიერ 01.09.06 წ. იქნა აღძრული. ამდენად, არ არის დასაბუთებული სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება არის დაუსაბუთებელი, სრულყოფილად არ არის გამოკვლეული საქმის ყველა გარემოება, საქმეზე დადგენილი არ არის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რის გამოც არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.06.07წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის ვადა

განჩინება

#ბს-908-768-კ-04

17 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სს «ტრესტი #13-ის» კოლექტივის სახელით საზოგადოების გენერალურმა დირექტორმა 09.03.04 წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 09.11.98 წ. #1-3/699 ბრძანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოითხოვა. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 10.03.04 წ. განჩინებით სარჩელს განესაზღვრა ხარვეზი. კოლეგიამ მიუთითა, რომ «მეწარმეთა შესახებ» კანონის თანახმად, დირექტორი წარმოადგენს საზოგადოებას. შრომითი კოლექტივის სახელით სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება დირექტორს არ გააჩნია. შრომითი კოლექტივის სახელით სარჩელის აღძვრის უფლება აქვთ შრომითი კოლექტივის წევრებს ან მათ წარმომადგენლებს კანონის შესაბამისად გაცემული და გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე. მოსარჩელეს შრომითი კოლექტივის წევრებთან კანონით დადგენილი წესით გაფორმებული მინდობილობები წარმოდგენილი არ ჰქონია.

16.03.04 წ. სს «ტრესტი #13-ის» გენერალურმა დირექტორმა აღმოფხვრა განჩინებაში მითითებული ხარვეზი და სს «ტრესტი #13-ის» სახელით მიმართა ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს. მოსარჩელემ განმარტა, რომ «ტრესტი #13-ის» #2 რკინა-ბეტონის ქარხნის მშენებლობა თავდაპირველად ფინანსდებოდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროში შემავალი ორგანიზაციების მიერ შეტანილი მოგების სახსრებიდან. სამინისტროს რეორგანიზაციის შემდეგ, 22.03.91 წ. ხსენებული ქარხანა გადაეცა «ტრესტი #13-ს» ბალანსიდან ბალანსზე. შესრულებული სამუშაოს აუნაზღაურებელი ღირებულება შეადგენდა 333000 მანეთს, ხოლო ობიექტზე შეტანილი (შეძენილი) ღირებულება -178 600 მანეთს. ექსპერტის დასკვნის თანახმად, აღნიშნული თანხების ჯამი 234 895 აშშ დოლარს შეადგენდა. «ტრესტი #13» არ იყო საბიუჯეტო დაქვემდებარების ორგანიზაცია და გადასული იყო თვითდაფინანსების სისტემაზე. ზემოაღნიშნული თანხა დაფარულ იქნა «ტრესტი #13-ის» კოლექტივის სახსრებით. სამინისტროს მიერ ამ თანხის გადაუხდელობამ «ტრესტი #13» მიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა. საქართველოს მთავრობის დავალებით «ტრესტი #13» ერთი წლის მანძილზე მუშაობდა საჩხერის რაიონში მიწისძვრისაგან დაზიანებული სახლების აღსადგენად. «ტრესტი #13-ის» ხელმძღვანელების ქალაქში არყოფნით ისარგებლა #2 რკინა-ბეტონის მშენებარე ქარხნის დირექტორმა და შპს «ბურჯთან» გააფორმა ორი ხელშეკრულება. დირექტორი უფლებამოსილების გადამეტების საფუძველით გაათავისუფლეს თანამდებობიდან. საქართველოს მშენებლობის სამინისტროსთან შეთანხმებით, ეპს «ბურჯთან» გაფორმდა მესამე ხელშეკრულება, რომელიც დარღვეულ იქნა შპს «ბურჯის» ხელმძღვანელის, თ. ჭ-შვილის მიერ. ქონების მართვის სამინისტროს ეცნობა შპს «ბურჯის» მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ. სამინისტრომ გამოითხოვა ხელშეკრულებები და ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია საწარმოთა შორის გადარიცხვების შესახებ. სამინისტროში არსებული მასალებისა და სს «ტრესტი #13-ის» სადამფუძნებლო დოკუმენტების მიუხედავად, რომელშიც მითითებული იყო «ტრესტი #13-ის» შემადგენლობაში შემავალი ორგანიზაციები, დირექტორთა ვინაობა და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, ფორმირებული საწესდებო კაპიტალი, საწარმოს ქონება და ვალდებულებები, ქონების მართვის მინისტრმა 09.11.98 წ. #13/699 ბრძანებით სს «ტრესტი #13-ის» ბალანსზე რიცხული საწესდებო კაპიტალი კერძო საკუთრებაში გადასცა შპს «ბურჯს» ვაკის რაიონის სასამართლოს 18.09.98 წ. გადაწყვეტილების შესრულების მიზნით. მოსარჩელის განმარტებით, ვაკის რაიონის სასამართლოს 18.09.98 წ. გადაწყვეტილება მიღებული იქნა შპს «ბურჯის» 05.08.98 წ. სასარჩელო განცხადებაზე, რომელიც აღძრული იყო საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიმართ. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ სს «ტრესტი #13-ს» არ აცნობა სასამართლო დავის შესახებ. სასამართლო დავა ეხებოდა ხელშეკრულებებს, რომელზეც საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო პასუხისმგებელი არ იყო. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ არ აცნობა სასამართლო პროცესის დანიშვნის და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, რომლითაც ქარხნის აქციათა 100% გადაეცა შპს «ბურჯს» და განიმარტა გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადა. სამინისტრომ არ მოითხოვა შპს «ბურჯის» მიერ სადავოდ გამხდარ თანხაზე ბუღალტრული ექსპერტიზის დანიშვნა და არ შეიტანა მიღებულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი. პირიქით, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შპს «ბურჯს» საკუთრებაში გადასცა სს «ტრესტი #13-ის» აქციების 100%. სს «ტრესტი #13-ს» არ ეცნობა ასევე, რომ შპს «ბურჯის» დირექტორმა, რომელსაც უკვე საკუთრებაში ჰქონდა გადაცემული სს «ტრესტი #13-ის» აქციების 100%, საწარმოს შეუცვალა სახელი და დიდუბის რაიონის სასამართლოში საწარმო სს «ტრესტი #13-ის» ნაცვლად რეგისტრაციაში გაატარა სს «ბურჯი-1». აღნიშნული ფაქტი სს «ტრესტი #13-ის» ხელმძღვანელებისათვის ცნობილი გახდა ერთი წლის შემდეგ სასამართლო პროცესზე, რომელზეც იხილებოდა სს «ტრესტი #13-ის» მიერ შესრულებული სარემონტო სამუშაოებისათვის კუთვნილი თანხის ანაზღაურების საკითხი. იმ ფაქტმა, რომ იმ დროისათვის სს «ტრესტი #13-ს» იურიდიული სტატუსი გაუქმებული ჰქონდა, ხელი შეუწყო იმას, რომ სარჩელი არსებითად არ განხილულიყო. ამის შემდეგ სს «ტრესტი #13-მა» მიმართა ქალაქის სასამართლოს, რომელმაც

11.02.99 წ. გააუქმა ვაკის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც. ვაკის რაიონულმა სასამართლომ, რომელსაც განსახილველად დაუბრუნდა თ. ჭ-შვილის სარჩელი, სასამართლოს პროცესზე დასწრების უფლება არ მისცა სს «ტრესტი #13-ს» და მის შრომით კოლექტივს იმ მოტივით, რომ არ გადაიხადეს სახელმწიფო ბაჟი და ზედმეტად აქტიურები იყვნენ. სასამართლო დავის დასრულებამდე თ. ჭ-შვილი ყიდდა საწარმოს მატერიალურ ფასეულობებს. საწარმოს ხელმძღვანელებმა მიმართეს ქალაქის პროკურა-ტურას სახელმწიფო და სს «ტრესტი #13-ის» ქონების დატაცების ფაქტების აღკვეთის მიზნით, თუმცა უშედეგოდ. იურიდიული სტატუსის გაუქმებით ორგანიზაციამ დიდი ზარალი განიცადა. სს «ტრესტი #13-ს» ძალისხმევით შედეგად საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაუბრუნდა აქციათა 100%. სს «ტრესტი #13-მა» მიაღწია სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 31.07.03 წ. განჩინებით საწარმომ აღიდგინა რეგისტრაცია და დაიბრუნა იურიდიული სტატუსი.

04.06.04 წ. სს «ტრესტი #13-მა» დააზუსტა მოთხოვნები და რკინა-ბეტონის ქარხნის მშენებლობაზე წილობრივად გახარჯული «ტრესტი #13-ის» საკუთარი თანხის, 290497 ლარის, ამავე ქარხნის ტერიტორიაზე მშენებლობის დანიშნულებისათვის საქმეში ჩადებული და ამჟამად არ არსებული მასალების ღირებულების, 155 804 ლარის, ორგანიზაციის მიერ ხელფასის სახით გასაცემი თანხის - 138 572 ლარის იურიდიული სტატუსის უკანონო გაუქმების შედეგად დამკვეთისაგან მიუღებელი დავალების გამო 1 418 202 ლარის და მატერიალურ-მორალური ზიანის -8 895 ლარის, სულ -2 011 970 ლარის ანაზღაურება მოითხოვა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა სასამართლოს ხარჯებისა და სასამართლოს გარე ხარჯის, კერძოდ, ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის მოპასუხისათვის დაკისრება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 18.06.04 წ. გადაწყვეტილებით სს «ტრესტი #13-ის» სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს დაეკისრა 2500 ლარის სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ვაკის რაიონულ სასამართლოში შპს «ბურჯის» სასარჩელო განცხადების განხილვაში სამინისტროს მონაწილეობა არ ატარებდა მართლსაწინააღმდეგო ხასიათს. სამინისტროს არც ერთი თანამშრომლის მიმართ განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევის გამო არ იყო გამოყენებული სისხლისამართლებრივი, ადმინისტრაციული ან დისციპლინური პასუხისმგებლობა. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება არ ქმნიდა სამინისტროს ქმედების, კერძოდ, ამ პროცესში მონაწილეობის, მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევის საფუძველს, სამინისტროს 09.11.98 წ. ბრძანება არ გასაჩივრებულა, არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება ან ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება. ხსენებული ბრძანება გაუქმებული იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 27.03.2000 წ. განჩინების საფუძველზე, რომლითაც საქმე არსებითად არ გადაწყვეტილა და რომელშიც არაფერია ნათქვამი სამინისტროს 09.11.98 წ. ბრძანების კანონთან შეუსაბამობის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა დელიქტური ვალდებულება, მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეული ქმედება. სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ სარჩელი არ იყო აღძრული სს «ტრესტი #13-ის» კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად, მოპასუხე საწარმოს დამფუძნებელი და მისი ერთადერთი აქციონერი იყო. «მეწარმეთა შესახებ» კანონის შესაბამისად, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო საწარმოს დირექტორის მიერ ამ საწარმოს აქციათა სრული პაკეტის მფლობელისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან სააქციო საზოგადოება ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა საკუთარი დამფუძნებლისაგან და ერთადერთი აქციონერისაგან, სარჩელი აღძრული იყო საწარმოს კანონით დაცული ინტერესების საწინააღმდეგოდ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 18.06.04წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს «ტრესტი #13-მა».

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ საერთოდ არ შეაფასა ყველაზე უმთავრესი გარემოება. წინააღმდეგ შემთხვევაში აღარ მიუთითებდა, რომ მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს დამდგარ შედეგთან, კერძოდ, ვაკის რაიონის სასამართლოს 18.09.98წ. გადაწყვეტილებაში (რაც ცალკე მსჯელობის საგანია) არ ეწერა, რომ შპს «ბურჯის» გადასცემოდა «ტრესტი #13-ის» აქციათა პაკეტი. სამინისტრომ აშკარად გადააჭარბა უფლებამოსილებას და გასცდა გადაწყვეტილების ფარგლებს. იგივე ითქმის სააღსრულებო ფუოცელზეც, სადაც ეწერა #2 რკინა-ბეტონის ქარხნის აქციათა პაკეტი. ამგვარი სააქციო საზოგადოება არ არსებობდა. სამინისტროში დაცული იყო სს «ტრესტი #13-ის» დაფუძნების მასალები და სააქციო საზოგადოებაში შემავალი ორგანიზაციების ჩამონათვალი.

კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი «მეწარმეთა შესახებ», არასწორი ინტერპრეტაცია მისცა კანონს და არ დააკონკრეტა, თუ კანონის რომელ მუხლს ან პუნქტს ეწინააღმდეგებოდა «ტრესტი #13-ის» მოთხოვნა. ასეთი ზოგადი მსჯელობა გადაწყვეტილების სამათლებრივი საფუძვლიანობის შემოწმების შესაძლებლობას არ იძლევა, რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს.

კასატორის განცხადებით, 16.06.04წ. სასამართლო სხდომაზე მოსამართლეებმა აღშფოთება გამოხატეს ვაკის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილების და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს პოზიციის გამო, რაც არ დააფიქსირეს 18.06.04წ. გადაწყვეტილებაში.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსათვის ცნობილი იყო სს «ტრესტი #13-ს» და თ. ჭ-შვილს შორის არსებული დავა, რაც 1994 წლიდან სხვადასხვა ინსტანციებში მიმდინარეობდა, ამ ორგანიზაციების დასკვნები და დოკუმენტაცია ჰქონდათ. სასამართლოს წარუდგინეს ზოგიერთი მათგანი. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ არ გაასაჩივრა გადაწყვეტილება, სრულიად გასაიდუმლოებულად ჩაატარა პროცესები ვაკის და დიდუბის რაიონის სასამართლოებში, ფარულად გამოსცა ბრძანება სს «ტრესტი #13-ის» და მასში შემავალი ყველა ორგანიზაციების ქონების გადაცემის შესახებ. ქონება საკუთრებაში გადასცეს კრიმინალურ პიროვნებას. სასამართლოს აღსრულების ფურცლიდან «ტრესტი #13-ის» თანამშრომლებისათვის ცნობილი იყო, რომ საქმე ეხებოდა #2 მშენებარე რკინა-ბეტონის ქარხანას, ხოლო სამინისტროს უკანონო ბრძანების არსებობის შესახებ შეიტყვეს ერთი წლის მერე, სასამართლო პროცესზე. სამინისტრომ იმის ნაცვლად, რომ დამნაშავესათვის ეგებებინა პასუხი განიავებულ ქონებაზე, თ. ჭ-შვილი ქონების გამკარგველად დატოვა. ეკონომიკის სამინისტროს განმარტება იმის თაობაზე, რომ თ. ჭ-შვილი უფლებამოსილი იყო გაეყიდა ქონება, გაუგებარია. ქონებას სამჯერ დაედო ყადაღა. გამოუკვლეველი და შეუფასებელი დარჩა ქონებაზე რამდენჯერმე ყადაღის მოხსნის ფაქტი. ამ საკითხსაც მოსამართლეებმა გვერდი აუარეს. აღნიშნული სასამართლო პროცესი საგნობრივად და ლოგიკურად წინა სასამართლო პროცესის გაგრძელებაა, როდესაც დავა მიმდინარეობდა სს «ტრესტი #13-ს», სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და თ. ჭ-შვილს შორის. ამ ფაქტის გათვალისწინებით მოსამართლეებმა ი. თ-იამ და დ. თ-ძემ დაარღვიეს სსკ-ის 29-ე მუხლის მოთხოვნა. სამართლიანი იქნებოდა მათ გამოცხადებინათ თვითაცილება. მათ მიერ ყადაღის მოხსნის განჩინების მიღების შედეგად დიდძალი ქონება განიავდა. ყველა მათ მიერ გამოტანილი რამდენიმე განჩინება უზენაესმა სასამართლომ გააუქმა. სასამართლო სხდომაზე უყურადღებოდ დატოვეს მოპასუხის მიერ სსკ-ის 226-ე მუხლის დარღვევის ფაქტი.

კასატორის განცხადებით, სარჩელით მოთხოვნილი თანხის სიდიდის გამო მოსამართლეებს გაუჭირდებოდათ ობიექტური გადაწყვეტილების მიღება, ამიტომაც მოპასუხეს გადაეცა მოთხოვნილი თანხის შემცირების შესახებ განცხადება, ხოლო მოსამართლეებმა აღნიშნული განცხადება არ მიიღეს. კომპენსაციის სახით ითხოვდა მხოლოდ იმ ქონებას, რომელიც სს «ტრესტი #13-ის» თანამშრომელთა ძალისხმევით გადაურჩა განიავებას. მოსამართლეებმა ქონების მართვის სამინისტროს ქმედებებში ვერ აღმოაჩინეს შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები, მაშინ როდესაც გაათავისუფლეს და უმუშევარი დატოვეს საწარმოს ხელმძღვანელობა, დირექტორთა საბჭოს წევრები, რვა კაციანი სამეთვალყურეო საბჭო, მათ შორის ოთხი პიროვნება საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წარმომადგენელი.

მოსამართლეებმა არ ჩათვალეს საჭიროდ განეხილათ სახალხო დამცველის მიერ შექმნილი კომისიის დასკვნა. აქციების შეძენისას კანონი ითვალისწინებდა კოლექტივისათვის აქციების 10%-ის ოდენობით უფასოდ გადაცემას, რაც 27869 აშშ დოლარს შეადგენდა. ქონების მართვის სამინისტროს ქმედების შედეგად საწარმოს მთლიანი ქონების ღირებულება 49436 აშშ დოლარს შეადგენს. დროულად აქციების შეძენა ვერ მოხერხდა, ვინაიდან სახელმწიფო ვერ ფარავდა არსებულ დავალიანებებს, რაც ხელფასების გაცემის საშუალებას აფერხებდა. ყოველთვიური დავალიანება მილიონ ლარს აღემატებოდა, ხოლო ქონების მართვის სამინისტროს მეშვეობით, იურიდიული სტატუსის გაუქმებით, აქციების და დავალიანების მიღების საშუალება მოისპო. დაუსაბუთებელი იყო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სს «ტრესტი #13-ის» აქციების 100% საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ეკუთვნოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 23.06.05წ. განჩინებით დაკმაყოფილდა კასატორის შუამდგომლობა და სს «ტრესტი #13-ის» საკასაციო საჩივარზე შეჩერდა საქმის წარმოება. საკასაციო პალატის მიმართვის საფუძველზე ქ. თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი იქნა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ ქ. თბილისის პროკურატურის 30.07.07წ. დადგენილება, რომლითაც საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს თანამშრომლების მიერ შპს «ბურჯისათვის» სამშენებლო ტრესტი #13-ის» აქციათა 100%-ის უკანონოდ გადაცემის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.10.08წ. განჩინებით სს «ტრესტი #13-ის» საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება. ამავე განჩინებით დადგინდა საქმის განხილვა სსკ-ის 408.3 მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგოდ, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე ანაზღაურებას

ექვემდებარება განზრახი ან გაუფრთხილებელი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანი. მხოლოდ ზიანის არსებობა არ იწვევს მის უპირობო ანაზღაურებას.

განსახილველი დავის საგანს შეადგენს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 09.11.98 წ. #1/3-699 ბრძანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული ბრძანებით სს «ტრესტი #13-ის» აქციათა 100%-იანი პაკეტი გადაეცა შპს «ბურჯს». დადგენილია, რომ ბრძანების გამოცემი სამინისტრო სს «ტრესტი #13-ის» დამფუძნებელი პარტნიორი და მისი აქციების 100%-ის მესაკუთრეა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კასატორი თავად ეს სააქციო საზოგადოებაა, რომელსაც წარმოადგენს მისი დირექტორი. ამდენად სადავო სამართალურთიერთობა წარმოიშვა კორპორაციულად ორგანიზებულ სუბიექტს -სააქციო საზოგადოებასა და დამფუძნებელ-აქციონერს შორის. კასატორის მიერ მითითებული ზიანის გამოწვევი ქმედება გამოიხატა აქციონერის მიერ მის საკუთრებაში არსებული აქციების გასხვისებაში, რამაც ზიანი მიაყენა თავად ამ სააქციო საზოგადოებას.

«მეწარმეთა შესახებ» კანონის 51.1 მუხლის მეორე წინადადების თანახმად, აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. აქციების გასხვისებისას საზოგადოების წინაშე აქციონერის რაიმე ვალდებულებას კანონი არ ითვალისწინებს (მე-3 პირების მიმართ შესაძლებელია აქციონერს რაიმე ვალდებულება ჰქონდეს, მაგალითად, აქციათა პაკეტი სახელმწიფოს ქონებაა, მისი გასხვისებისას შესაძლოა სახელმწიფო ვალდებული იყოს გამოაცხადოს კონკურსი, ჩაატაროს აუქციონი და ა.შ.), რა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაშიც მე-3 პირმა შესაძლოა მოითხოვოს აქციათა გადაცემის გადაწყვეტილების გაუქმება პრივატიზების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევისათვის, მაგრამ თავად ამ სააქციო საზოგადოებამ აქციების გასხვისებისას სახელმწიფოს შეიძლება მოსთხოვოს მხოლოდ იმ ვალდებულებების შესრულება, რაც აკისრია აქციონერს სააქციო საზოგადოების წინაშე მხოლოდ «მეწარმეთა შესახებ» კანონის ფარგლებში). «მეწარმეთა შესახებ» კანონის 52.3 მუხლის 09.11.98 წ. #1/3-699 ბრძანების მიღების დროს მოქმედი რედაქციის მიხედვით, სახელობითი აქციების გასხვისება შეიძლება დამოკიდებული ყოფილიყო საზოგადოების თანხმობაზე და ამგვარი თანხმობის აუცილებლობის შესახებ აღნიშნული უნდა ყოფილიყო საზოგადოების წესდებასა და სააქციო ბარათში ან საზოგადოების წიგნში. მოცემულ შემთხვევაში კასატორი არ უთითებს, რომ «ტრესტი #13-ის» ერთადერთ აქციონერს მიღებული ჰქონდა თვითმობილური გადაწყვეტილება -აქციების გასხვისებისას საზოგადოებისაგან თანხმობის მიღების აუცილებლობის შესახებ და რომ აქციების გასხვისებისას მის მიერ დარღვეულ იქნა «მეწარმეთა შესახებ» კანონის 52.3 მუხლის მოთხოვნა.

კასატორის მითითება იმ გარემოებაზე, რომ სს «ტრესტი #13-ის» აქციების სს «ბურჯისათვის» გადაცემა ვაკის რაიონული სასამართლოს 18.09.98წ. გადაწყვეტილებით არ იყო დადგენილი, არ ქმნის სააქციო საზოგადოებისათვის აქციების გადაცემით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძველს. სს «ტრესტი #13-ის» აქციონერი უფლებამოსილი იყო კუთვნილი აქციები საზოგადოების თანხმობისა და სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე გადაეცა სხვა პირისათვის და აღნიშნულისათვის მის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე კანონი არ ითვალისწინებს. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციონერის ერთადერთი მოვალეობაა შეიტანოს შესატანი კუთვნილი რაოდენობის აქციების მისაღებად. ბათილია სააქციო საზოგადოების წესდებით აქციონერისათვის კანონით გაუთვალისწინებელი სხვა მოვალეობის დაკისრება («მეწარმეთა შესახებ» კანონის 53.1 მუხლი). აქციის დეფინიციიდან გამომდინარე, აქციონერის საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტი ადასტურებს მხოლოდ მის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში და საზოგადოების ვალდებულებებს მის მიმართ (მუხლი 51.1).

«მეწარმეთა შესახებ» კანონის 53.4 მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, თუ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი მდგომარეობა საზოგადოების ინტერესების საზიანოდ, მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამის კომპენსაცია. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ინტერესების საზიანოდ იქნა ქმედება განხორციელებული, აქციონერს პასუხისმგებლობა ეკისრება არა საზოგადოების, არამედ სხვა აქციონერთა წინაშე. საზოგადოების ინტერესები გაიგივებულია აქციონერის ინტერესებთან, საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი საბოლოოდ აქციონერებისათვის მიყენებული ზიანია. სააქციო საზოგადოების კანონმდებლობით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა უზრუნველყოფს საზოგადოების ფუნქციონირებას აქციონერთა ნების შესაბამისად, მათი კანონიერი ქონებრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები სამსახურებრივ ურთიერთობაში იმყოფებიან საზოგადოებასთან. ისინი ანგარიშვალდებულნი არიან აქციონერთა წინაშე და პასუხს აგებენ საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანზე. ამ თვალსაზრისით საფუძვლიანია სასამართლო კოლეგიის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სს «ტრესტი #13-ის» მიერ აღძრული სარჩელი საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ არის აღძრული, ვინაიდან მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სს «ტრესტი #13-ის» 100%-იანი წილის მესაკუთრეა.

საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის კასატორის მითითება იმ გარემოებაზე, რომ აქციათა გადაცემით შესაძლებლობა მიეცა თ. ჰ-შვილს განეკარგა საწარმოს ქონება, მათ შორის მათი თავისუფალი სახსრებით შექმნილი მასალები. ამ გზით საწარმოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სს «ტრესტი #13» უფლებამოსილი იყო სარჩელი აღედრა საზოგადოების

ყოფილი დირექტორის წინააღმდეგ და «მეწარმეთა შესახებ» კანონის 56.4 მუხლის საფუძველზე მოეთხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომლის თანახმად, თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი.

ის ფაქტი, რომ 09.11.98 წ. #1/3-699 ბრძანების მიღების დროისათვის სს «ტრესტი #13-ის» ერთადერთ აქციონერს სახელმწიფო წარმოადგენდა და საკასაციო საჩივრის თანახმად, მოხდა სახელმწიფო ქონების უკანონოდ გასხვისება, საზოგადოებისთვის აქციების გასხვისებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველს არ ქმნის. აქციების მესაკუთრე –სახელმწიფო და არა სს «ტრესტი #13» უფლებამოსილი იყო, საკუთარი ქონების განკარგვის კანონიერება სასამართლო მსჯელობის საგანი გაეხადა, დაეყენებინა უფლებამოსილი ორგანოების წინაშე კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი.

საკასაციო საჩივარში მითითება იმის თაობაზე, რომ საქმის განმხილველ მოსამართლეებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქმედებაში შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები უნდა აღმოეჩინათ, სცილდება დავის საგანს. სს «ტრესტი #13-ის» თანამშრომლების სამსახურიდან განთავისუფლების კანონიერება მოცემული დავის საგანს არ შეადგენს, რის გამოც სასამართლო კოლეგია არ იყო უფლებამოსილი გადაწყვეტილებაში ემსჯელა მათი შრომითი უფლებების დარღვევის საკითხზე.

ის გარემოება, რომ შრომით კოლექტივს აქციათა 10% უფასოდ უნდა გადასცემოდა, არ ქმნის აღნიშნული ოდენობის აქციების მესაკუთრედ სს «ტრესტი #13-ის» შრომითი კოლექტივის მიწვევის საფუძველს. საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 29.05.94 წ. #178 ბრძანებულებით დამტკიცებული «სახელმწიფო საწარმოების (გაერთიანების) გარდაქმნის გზით შექმნილი სააქციო საზოგადოების პრივატიზაციის პროცესში საწარმოთა მუშაკების უფლებათა გაფართოების, აქციათა პაკეტის პირდაპირი მიყიდვის შესახებ» დებულების თანახმად სადავო 09.11.98 წ. ბრძანების გამოცემის მომენტისათვის ამოწურული იყო ხსენებული დებულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული საწარმოს მუშაკებისათვის აქციების შეძენის ვადები.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლო კოლეგიის ორმა მოსამართლემ დაარღვია სსკ-ის 29-ე მუხლის მოთხოვნა. კასატორის განცხადებით, განსახილველი სასამართლო დავა საგნობრივად და ლოგიკურად წინა სასამართლო პროცესის გაგრძელებაა, როდესაც დავა მიმდინარეობდა სს «ტრესტი #13-ს», საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და თ. ჭ-შვილას შორის, რის გამოც მოსამართლეებს ი. თ-ის და დ. თ-ძეს, სამართლიანი იქნებოდა, გამოეცხადებინათ თვითაცილება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 29-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა რომელიმე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სხვა ინსტანციის სასამართლოში. განსახილველ შემთხვევაში კასატორის მიერ მითითებული დავა წარმოადგენს სხვა სასამართლო დავას, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვა მხარეები და მისი განმხილველი მოსამართლეების მონაწილეობა მოცემული დავის განხილვაში არ წარმოადგენს სსკ-ის 29-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევას. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ განსახილველი საქმე განიხილა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ პირველი ინსტანციით. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში შეუძლებელი იყო მათ მიერ სხვა ინსტანციის სასამართლოში ამავე საქმის განხილვაში მონაწილეობა და შესაბამისად, სსკ-ის 29-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ აპელანტ სს «ტრესტი #13-ს» მოსამართლეთა აცილების შუამდგომლობით კოლეგიაში საქმის განხილვის დროს სასამართლოსათვის არ მიუმართავს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ვაკის რაიონული სასამართლოს 18.09.98 წ. გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 09.11.98 წ. ბრძანებით შპს «ბურჯს» დაუდასტურდა საკუთრება სს «ტრესტი #13-ის» აქციათა 100%-ზე. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 07.04.99 წ. ბრძანებით 09.11.98 წ. ბრძანების მოქმედება შეჩერდა, ხოლო 06.07.2000 წ. ბრძანებით გაუქმდა. დიდუბის რაიონული სასამართლოს 31.07.03 წ. გადაწყვეტილებით ბათილად ჩაითვალა დიდუბის რაიონული სასამართლოს 30.11.98 წ. გადაწყვეტილება და მის საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები სამეწარმეო რეესტრში. სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა იწყება სარჩელის უფლების წარმოშობის დღიდან. სარჩელის უფლება წარმოიშობა იმ დღეს, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლებების დარღვევის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადად განსაზღვრულია 3 წელი. საკასაციო საჩივრის თანახმად, სს «ტრესტი #13-ის» ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა 09.11.98 წ. ბრძანების შესახებ ერთი წლის შემდეგ, სასამართლო პროცესზე შეიტყო. სს «ტრესტი #13-მა» სარჩელით სასამართლოდოს 09.03.04 წ., ანუ ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ მიმართა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია კანონმდებლობის შესაბამისად და კასატორის მიერ მითითებულ კანონის დარღვევას ადგილი არა აქვს, რაც სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 25.10.04 წ. განჩინებით კასატორს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა საკასაციო სასამართლოს მიერ სს «ტრესტი #13-ის» საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების დასრულებამდე, რის გამოც კასატორს უნდა დაეკისროს 5000 ლარის სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:



1. სს «ტრესტი #13-ის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 18.06.04წ. გადაწყვეტილება;
2. სს «ტრესტი #13-ს» დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა 5000 ლარის ოდენობით (მიმღები - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ხაზინის ერთიანი ანგარიშის #200122900, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი -300773150, გადახდის დანიშნულება -სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე, გადამხდელის ბანკი -სს «საქართველოს ბანკი», ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი -220101502, მიმღების ბანკი -სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი -220101222).
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.